ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ინგლისური ფილოლოგია

მარიამ ნებიერიძე

სისტემური და რიტუალური შეზღუდვების ლინგვისტური რეალიზაციის თავისებურებანი ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ ტოქშოუებში

ფილოლოგიის დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი ნინო დარასელია

თბილისი
2013

შინაარსი

შესავალი 3

თავი I

ტოქშოუ, როგორც ჟანრი

1. 1. ტოქშოუს შექმნის ისტორია და აგების ზოგადი პრინციპები 5

1. 2. ტოქშოუს სოციო-ლინგვისტური მახასიათებლები 16

I თავის დასკვნა 30

თავი II

სისტემური და რიტუალური შეზღუდვები ტოქშოუებში

2. 1. არხის გამხსნელი და დამასრულებელი სიგნალები 33

2. 2. უკუკავშირის სიგნალები 68

2. 3. ჯერის სიგნალები 78

2. 4. აკუსტიკურად ადეკვატური და ინტერპრეტირებადი შეტყობინებები 92

2. 5. ჩართული მონაკვეთის სიგნალები 99

2. 6. კომუნიკაციის არამონაწილე წევრთა შეზღუდვები 120

2. 7. შეწყვეტინების სიგნალები 125

2. 8. გრაისის მაქსიმები ტოქშოუში 135

2. 9. სახისა და თავაზიანობის სტრატეგიების რეალიზაცია ტოქშოუებში 146

II თავის დასკვნა 155

საერთო დასკვნა 160

გამოყენებული ლიტერატურა 169

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში ინგლისურ (ბრიტანული და ამერიკული ვარიანტი) და ქართულ ენათა მასალაზე გაანალიზებულია ერვინ გოფმანისეული (Goffman 1976) სისტემური და რიტუალური შეზღუდვების ლინგვისტური რეალიზაციის თავისებურებანი ტოქშოუს ჟანრში.

თემის აქტუალობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ტოქშოუ, როგორც დისკურსის ჟანრი ნაკლებად არის ლინგვისტურად შესწავლილი ინგლისურენოვან სპეციალურ ლიტერატურაში და საერთოდ არ არის შესწავლილი ქართულ ლინგვისტიკაში.

ნაშრომის მიზანია შეპირისპირებითი და შედარებითი კვლევის მეთოდების საშუალებით:

1. გამოავლინოს ტოქშოუს, როგორც დისკურსის ჟანრის, ზოგადი სტრუქტურულ-სემანტიკური და პრაგმატიკული მახასიათებლები;
2. დაადგინოს ტოქშოუს ჟანრის კულტურის სპეციფიკით განპირობებული ლინგვისტური ნიშან-თვისებები;
3. შეისწავლოს გოფმანისეული სისტემური და რიტუალური შეზღუდვების ლინგვისტური რეალიზაციის ზოგადი და კულტურის სპეციფიკით განპირობებული მახასიათებლები;
4. გაანალიზოს ტოქშოუ გრაისის კოოპერაციის პრინციპებისა და მაქსიმების თვალსაზრისით;
5. შეისწავლოს სახისა და თავაზიანობის სტრატეგიების რეალიზაცია ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ ტოქშოუებში.

საკვლევ მასალად გამოყენებულია 90 ბრიტანული, ამერიკული და ქართული ტოქშოუ. კერძოდ:

ბრიტანული ტოქშოუები (30 გადაცემა, რომელიც თანაბრად არის გადანაწილებული სამ ქვეჟანრზე):

- **The Graham Norton Show** (გაანალიზებულია 2012-2013 წლების 10 შოუ);
- **The Alan Titchmarsh Show** (2009-2013 წლების 10 გადაცემა);
- **Loose Women** (2011 წლიდან 2013 წლამდე გასული 10 ტოქშოუ).

ამერიკული ტოქშოუები (სულ 30 გადაცემა):

- **Late Night with Conan O'Brien** (1999-2007 წლების 10 გადაცემა);

- **The Ellen DeGeneres Show** (2010-2013 წლების 10 ტოქშოუ);
- **The View** (2009-2013 წლის 10 შოუ)

ქართული ტოქშოუები (30 ტოქშოუ)

- **ვანოს შოუ** (2011-2013 წლების 10 გადაცემა);
- **ნანუკას შოუ** (2009-2013 წლების 10 ტოქშოუ);
- **დღის შოუ** (2012 წლის 10 შოუ).

ნაშრომის თეორიულ საფუძველს ქმნის შემდეგი სოციოლინგვისტური თეორიები და მათთან ასოცირებული კვლევის მეთოდები: ერვინ გოფმანის მოძღვრება სისტემური და რიტუალური შეზღუდვების შესახებ (Goffman 1976; Hatch 1992); დელ ჰაიმზის თეორია კონტექსტის მახასიათებლების შესახებ (Hymes 1964); გოფმანისეული სახის თეორია და თავაზიანობის თეორიები (Goffman 1955; Brown & Levinson 1987; Scollon & Scollon 2001); დისკურსის ანალიზი (Brown & Yule 1983; Hatch 1992; McCarthy 1991).

ნაშრომში შედარებითი და შეპირისპირებითი კვლევის მეთოდებთან ერთად განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სტატისტიკური ანალიზის მეთოდს.

ნაშრომის სტრუქტურა განსაზღვრა დასახულმა მიზნებმა და ამოცანებმა. ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავის (თავი I - „ტოქშოუ, როგორც ჟანრი", თავი II – „სისტემური და რიტუალური შეზღუდვები ტოქშოუებში"), საერთო დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან.

თავი I
ტოქშოუ, როგორც ჟანრი

§1.1. ტოქშოუს შექმნის ისტორია და აგების ზოგადი პრინციპები

ტოქშოუ, როგორც ჟანრი, მეოცე საუკუნეში ჩამოყალიბდა ამერიკაში და დღეს დიდი პოპულარობით სარგებლოს მთელს სატელევიზიო სივრცეში. მუნსონის თანახმად იგი სათავეს იღებს 1930-იანი წლებიდან. ეს ის პერიოდია, როდესაც რადიოში გაჩნდა პირველი, აუდიტორიის მონაწილოებით შექმნილი და ინტერაქციული საუბრით გაჯერებული პროგრამა. (Signes 2000: 9) გადაცემების დიდმა პოპულარობამ უბიძგა წამყვანებს გაეკეთებინათ ამ ტიპის სატელევიზიო შოუებიც.

პიტერ ბერკის (Burke, 1993) თვასაზრისით ტოქშოუს წინამორბედათ შეგვიძლია განვიხილოთ მეთექვსმეტე საუკუნის ***აკადემია***, სადისკუსიო ჯგუფი ინტელექტუალებისათვის, რომლებიც იკრიბებოდნენ წინასწარ განსაზღვრულ დღეებში. მეჩვიდმეტე საუკუნეში, საფრანგეთში გაჩნდა ***სალონი,*** ნახევრად-ოფიციალური სოციალური შეხვედრა, რომელსაც აწყობდა მასპინძელი ქალი, ჩვეულებრივ კვირაში ერთხელ. სტუმრები იყვნენ როგორც ქალები, ასევე კაცები. მეთვრამეტე საუკუნეში ინგლისში წარმოიშვა ანალოგიური ტიპის, არა-ოფიციალური ***ყავის-სახლი, ასამბლეა*** და ***კლუბი.*** ბერკი აქვე დასძენს, რომ "უცხოელი სტუმრები განცვიფრებულნი იყვნენ ინგლისში ქალებსა და მამაკაცებს შორის საუბრის ნაკლებობით და თუ როგორ იყვნენ სქესები განცალკევებული სადილის შემდეგ" (Burke 1993: 114-115). ტოქშოუ შეიძლება მივიჩნიოთ ზემო ჩამოთვლილი საუბრების ტიპების ანგლო-საქსურ სახეობად, რომელიც გახდა მასობრივი და მოიცვა უფრო ფართო აუდიტორია (Ilie 2001: 214-215).

ტოქშოუ, როგორც თავად სახელიდანაც ჩანს, არის პროგრამა, რომელიც აუდიტორიას აწვდის საუბარსა და გართობას, ანუ გართობა საუბრით (Livingstone and Lunt, 1994).

ზოგადი დეფინიციით, ტოქშოუ არის გადაცემა, სადაც მოწვეული სტუმარი ან სტუმრები წამყვანთან ერთად განიხილავენ საზოგადოებისათვის აქტუალურ

თემებს. მოწვეული სტუმრები შეიძლება იყვნენ, როგორც ცნობილი ადამიანები, ასევე ჩვეულებრივი ხალხი (Merriam-Webster Dictionary).

სხვადასახვა ქვეყანაში ტოქშოუს შექმნისა და განვითარების ისტორია სხვადასხვაგავარად წარიმართა. ამერიკა იყო პიონერი ქვეყანა, სადაც იშვა ეს ჟანრი. შემდგომ უკვე მოხდა მისი სხვა ქვეყნებში ტრანსლირება. თანდათანობით დაიწყეს ამერიკული მოდელის მიხედვით ადგილობრივი შოუების შექმნაც. ბუნებრივია, ეს ყოველივე იწვევდა ამერიკული გავლენის არსებობას.

ბერნარდ მ. თიმბერგი (Timberg 2002: 6-9) ტოქშოუს განვითარების მანძილზე (1940-იანი წლებიდან 1990-იან წლებამდე) გამოყოფს სამ ძირითად ქვეჟანრს. მისი კლასიფიკაცია ემყარება დროის ასპექტს, თუ როდის გადის გადაცემა ეთერში. გამოიყოფა სამი ძირითადი ქვეჟანრი:

1) **გვიან-ღამის გასართობი ტოქშოუ** (The Late-Night Entertainment Talk Show) – ჩამოყალიბდა *The Tonight Show of Steve Allen and Jack Paar*-ის შოუს მოდელზე 1954-1961 წლებში. ეს ქვეჟანრი ყველაზე მეტად გავრცელებულია და ტოქშოუს ხსენებაზე სწორედ ამ ტიპის შოუ წარმოუდგება ბევრს. მისთვის დამახასიათებელია მხიარული შეხვედრები ცნობილ სტუმართან ან სტუმრებთან, რომლებიც წამყვანთან ახლოს სხედან. სწორედ ეს ქვეჟანრი გახდა დომინანტი საკაბელო ტელევიზიაში 1950-იან წლებში. მისმა პოპულარობამ განსაკუთრებულ პიკს 1960-70-იან წლებში მიაღწია, როდესაც დაიწყო ბრძოლა ტოქშოუ *Tonight*-ის წამყვან ჯონი კარსონსა და მის მეტოქეებს შორის. 1980-იან წლებში გამოჩნდა დევიდ ლეტერმანი, რომელმაც თავისი შტრიხები შეიტანა ამ ქვეჟანრში. მოგვიანებით ჯეი ლენომ და სხვებმა მოახდინეს ლეტერმანის ინოვაციის შერწყმა კარსონის უფრო ტრადიციულ ელემენტებთან (Tolson 2001: 7). ამ ტიპის შოუში ხდება ახალი ამბების, გართობისა და კომედიური ჟანრის მონოლოგების ერთმანეთში შერწყმა. წამყვანები ცდილობენ გადაცემის დასაწყისში ახალი ამბები კომიკურად წარმოგვიდგინონ და ამისათვის იყენებენ მხოლოდ ვერბალურ ან ვერბალური და ვიზუალური საშუალებების ნაზავს (Timberg 2002: 127). უნდა აღინიშნოს, რომ 1980-იან წლებში წამყვანებმა დაამსხვრიეს რასობრივი, ეთნიკური და სქესობრივი ჩარჩოები სატელევიზიო საუბარში. სტუმრები განეკუთვნებიან სხვადასხვა სფეროს, ხელოვნებიდან დაწყებული პოლიტიკით დამთავრებული.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სტრუქტურულად ამ ქვეჟანრის ტოქშოუ, ისევე როგორც ზოგადად ეს ჟანრი, შედგება სამი

ნაწილისაგან: შესავალი, ინტერვიუ და დასკვნა, რომელიც სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება იქნეს წარმოდგენილი:



თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაწილები სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი ჩემს მიერ განხილულ გვიან-ღამის შოუებში. ბრიტანულ ტოქშოუში (*The Graham Norton Show*) **შესავალს** წინ უძღვის შესავალი-ანონსი, სადაც წამყვანი აუდიტორიასთან დგას ან ზის, აკეთებს მოკლე კომიკურ შესავალს და აცხადებს შოუს დაწყებას. თავად **შესავალში** იკვეთება ორი კომპონენტი: სტუმრის წარდგენა, რომელიც ხდება როგორც ვერბალურად, ასევე არავერბალურად (სურათების საშუალებით), შემდეგ სტუმრის შესახებ მოკლე ინფორმაციის მიწოდება, ანალოგიურად ხდება მომდევნო სტუმრის წარდგენაც. სტუმრებათან ერთად წამყვანი ასევე წარადგენს მოწვეულ შემსრულებელს, რომელიც მღერის გადაცემის ბოლოს. ამ ნაწილში წამყვანი ასევე კომიკურად აწვდის აუდიტორიას ახალ ამბებს, ხშირად იყენებს ვიზუალურ საშუალებებს. შემდგომი ნაწილია – **ინტერვიუ**. წამყვანი კითხვებს უსვამს თითოეულ სტუმარს, რომლებიც ერთდროულად შემოდიან სტუდიაში და სხდებიან ერთმანეთის გვერდიგვერდ. **დასკვნით** ნაწილში წარმოდგენილია რაიმე ნომერი, სიმღერა, რომლის დასრულების შემდეგაც წამყვანი კიდევ ერთხელ წარადგენს სტუმრებს და ემშვიდობება აუდიტორიას.

ამერიკული (*Late Night with Conan O'Brien*) და ქართული (*The ვანოს შოუ*) გვიან-ღამის ტოქშოუები ერთმანეთს უფრო გვანან. უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად როდესაც ქართულ ტელესივრცეში გამოჩნდა ეს გადაცემა მისი წამყვანი იყო ბატონი დათო გოგიჩაიშვილი, რომელიც იმყოფებოდა ამერიკაში და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ამერიკული გვიან-ღამის გასართობი ტოქშოუს გავლენით, გადაწყვიტა შეექმნა მსგავსი გადაცემა საქართველოშიც.

შესავალში ამერიკული და ქართული ტოქშოუების წამყვანები იუმორისტული სახით წარმოადგენენ უახლეს ამბებს, იყენებენ როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ საშუალებებს (სურათებს და ვიდეოებს) და ამის შემდეგ წარადგენენ სტუმრებს. აღსანიშნია, რომ ამერიკულ შოუში წამყვანის მონოლოგს წინ უძღვის შესავალი-ანონსი, რომელშიც აცხადებენ წამყვანს და შოუს თემას. შემდგომი ნაწილი არის **ინტერვიუ**, რომელიც ორივე კულტურის გადაცემაში კითხა-პასუხის სახით არის გამოხატული და ბოლოს **დასკვნა**, რომელიც ასევე ხშირად ორ კომპონენტად იყოფა – მუსიკალური ნომერი ან სკეჩი და სტუმრების კიდევ ერთხელ წარდგენა და აუდიტორიასთან გამომშვიდობება.

რაც შეეხება დროს, ამ ქვეჟანრის გადაცემა ეთერში გადის ღამე. კერძოდ, ბრიტანული (*The Graham Norton Show*) ტოქშოუ გადის ეთერში ღამის ცხრა საათზე, ამერიკული (*Late Night with Conan O'Brien*) ღამის პირველის ნახევარზე, ხოლო ქართული (*The ვანოს შოუ*) გადაცემა იწყება 22:00 საათზე.

განსხვავებაა შოუს ჩვენების სიხშირეშიც; ბრიტანული და ქართული შოუები კვირაში ერთხელ გადის ეთერში, ყოველ პარასკევს, ხოლო ამერიკული ვერსია კი კვირაში ოთხჯერ. მცირე განსხვავება შეინიშნება ზემოაღნიშნული გადაცემების ხანგრძლივობაშიც. ბრიტანული ტოქშოუ გრძელდება საშუალოდ 40-50 წუთი, ამერიკული – 42-43 წუთი, ხოლო ქართული კი 50-60 წუთი. ამჟამად, სატელევიზიო სივრცეში არსებული ბრიტანული (*The Graham Norton Show*), ამერიკული *(Late Night with Conan O'Brien*) და ქართული (*The ვანოს შოუ*) გვიან-ღამის ტოქშოუების ანალიზი და შედარებითი კვლევა გვაჩვენებს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი მახასიათებლები და ფორმატი ყველგან შენარჩუნებულია მცირე განსხვავებებით.

2) **დღის აუდიტორიის მონაწილეობით შექმნილი შოუ** (The Daytime Audience-Participation Show) – ეს ფორმატი შეიქმნა ფილიპ დონაჰიუს მიერ 1967 წელს ოჰაიოში და ეფუძნებოდა დონაჰიუს ადრეულ რადიო შოუს, სადაც სტუდიის

აუდიტორია პირდაპირ ჩართული იყო გადაცემაში ცნობილ ადამიანებთან დიალოგის ფორმით. დონაჰიუ იყო პირველი, რომელმაც წარმოგვიდგინა წამყვანი, როგორც პერიპათეტიკური მედიატორი. მან „გააღვიძა" აუდიტორია და საშუალება მისცა მათ კითხვები დაესვათ ცნობილი ხალხისათვის. დონაჰიუს დიდმა წარმატებამ გამოიწვია ის, რომ 1970-80-იან წლებში გამოჩნდა ბევრი იმიტატორი. 1980-იან წლებში ოპრა ვინფრისთან მეტოქეობამ კიდევ უფრო გაამძაფრა ამ ფორმისადმი ინტერესი. (Timberg 2002: 8) ოპრა იყო მნიშვნელოვანი ფიგურა, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ამ ქვეჟანრის ისტორიაში. მან დაამსხვრია რასისტული ბარიერი: წამყვანი გახდა აფრო-ამერიკელი შავკანიანი (Timberg 2002: 135).

ეს ქვეჟანრი სათავეს იღებს ამერიკაში. სწორედ მან ჩამოაყალიბა ტოქშოუ, როგორც სატელევიზიო ჟანრი. ამ ტიპის შოუებში აუდიტორია პირდაპირ ჩართული იყო შოუში. ისინი საუბრობდნენ წამყვანთან და მოწვეულ სტუმრებთან და ცნობილ ხალხთან. ეს ქვეჟანრი ორიენტირებული იყო ძირითადად მდედრობითი სქესის, უმუშევარ მაყურებელზე. იგი გახდა ყველაზე საყვარელი ჟანრი ქალებისათვის და ჩაანაცვლა სერიალები ამერიკაში (Signes 2000: 9-11). 90-იან წლებში მათი ჩანაცვლება მოხდა ტაბლოიდური შოუებით, ანუ სკანდალურ ისტორიებზე ორიენტირებული გადაცემებით. აღნიშნული შოუს სტუმრები არ იყვნენ ცნობილი ადამიანები. მოხდა მისი შემდგომი სახეცვლილება. სასაუბრო თემები გაფართოვდა, მოწვეული სტუმრები ძირითადად ცნობილი ხალხია. თუმცა, *პროფილში* არის შემთხვევები, როდესაც სტუმრები არიან არაცნობადი სახეები. ასევე იკლო აუდიტორიის მონაწილეობამაც. შედეგად, დღესდღეობით გვაქვს ისეთი შოუები, როგორიცაა *The Alan Titchmarsh Show* (ბრიტანული), *The Ellen DeGeneres Show* (ამერიკული) *და ნანუკას შოუ* (ქართული).

დაკვირვების შედეგად ვნახეთ, რომ ამ ქვეჟანრშიც შენარჩუნებულია სტრუქტურის სამი ძირითადი ნაწილი: **შესავალი, ინტერვიუ** და **დასკვნა**. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ნაწილი წინა ქვეჟანრისაგან განსხვავებულად აიგება. ბრიტანულ შოუში (*The Alan Titchmarsh Show*) **შესავალში** გვხვდება მონოლოგის წინა **შესავალი-ანონსი**, სადაც ხდება წამყვანის გამოცხადება. თავად წამყვანის შესავალი მოიცავს მისალმების რიტუალს და სტუმრის წარდგენას. ამერიკულ ვერსიაში (The Ellen DeGeneres Show), გვიან-ღამის ამერიკული ტოქშოუს მსგავსად, არის მონოლოგის წინა **შესავალი-ანონსი**,

სადაც ხდება გადაცემის და წამყვანის გამოცხადება. შესავალი შედგება წამყვანის მონოლოგისაგან, რომელშიც ის ისტორიას ყვება, რომელიც უკავშირდება სტუმარს და გადაცემის მთავარ თემას. შესავალი იხურება თითქმის ყოველთვის წამყვანის მიერ შესრულებული ცეკვით. შემდგომი ნაწილია **ინტერვიუ**, რომელიც ძირითადად კითხვა-პასუხით არის წარმოდგენილი. ინტერვიუს ნაწილი იყოფა რამდენიმე ეპიზოდად, რადგან ხდება სხვადასხვა სტუმრის შემოყვანა. ბოლოსაა **დასკვა**, რომელშიც წამყვანი ემშვიდობება აუდიტორიას და მომავალ გადაცემაზე მიანიშნებს. ამ ქვეჟანრის სტრუქტურით ხასიათდება *ნანუკას შოუ*, რომელიც საღამოს საათებში გადის. *ნანუკას შოუც* შედგება სტრუქტურულად სამი ნაწილისაგან. **შესავალი** - იწყება წამყვანის მონოლოგით. შოუში წარმოდგენილია რამდენიმე სტუმარი, თითოეული მათგანის წარდგენას წინ უსწრებს წამყვანის მიერ წარმოდგენილი დახასიათება. **ინტერვიუს** ნაწილში წამყვანი საუბრობს მოწვეულ სტუმართან ან სტუმრებთან და **დასკვნით** ნაწილში მადლობას უხდის და ემშვიდობება სტუმრებსა და აუდიტორიას.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ თიმბერგისეული კლასიფიკაცია, რომელიც დროზე იყო ორიენტირებული, აღარ მიესადაგება სინამდვილეს. მიუხედავად იმისა, რომ *ნანუკას შოუ* გადის ეთერში 22:00 საათზე, ჩემი აზრით, ის თავისი ფორმატიდან და მახასიათებლებიდან გამომდინარე ამ ქვეჟანრს მიეკუთვნება. დროის ცვლილება ალბათ განპირობებულია ქართული სოციალური რეალობით, რადგან დღეს საქართველოში კაცებზე მეტად ქალები მუშაობენ და იქიდან გამომდინარე, რომ ეს გადაცემა მათთვის არის გათვლილი, შესაბამისად დროც მათთვის მისაღები უნდა იყოს. თუმცაღა, უნდა აღინიშნოს რომ ბრიტანული და ამერიკული შოუები შუადღეს გადის ეთერში.

ასევე განსხვავებულია ეთერში გასვლის სიხშირეც და გადაცემის ხანგრძლივობაც. ბრიტანული (60 წუთი) და ქართული (60 წუთი) დღის შოუები ყოველკვირეულია, მაშინ როდესაც ამერიკული ვარიანტი ყოველდღიურია და გრძელდება საშუალოდ 40 წუთი (შაბათ-კვირის გარდა).

3) **დილის ახალი ამბების ჟურნალის ფორმატის შოუ** (The Early-Morning News Talk Magazine Show) ნაზავია ახალი ამბების და გასართობი შოუსი. 1940-იან წლებში რადიოს ჰქონდა სხვადასხვა ტოქშოუს ფორმატის შოუები დილით, თუმცა ტელევიზია მხოლოდ მაშინ იწყებდა ამ ჟანრის ექსპერიმენტირებას და სხვადასხვა არხზე გამოჩნდნენ დილის შოუები. 1940-იან წლებში დილაობით არ

იყო ბევრი გადაცემა ტელევიზორში. 1948 წლისათვის ტელევიზიაში გავიდა რამდენიმე დილის ტოქშოუ. ისინი ეთერში გადიოდნენ ძირითადად დღის თორმეტ საათამდე (Timberg 2001: 5). ჩემი აზრით, ამ ქვეჟანრს განეკუთვნება *Loose Women (*ბრიტანული*), The View* (ამერიკული) და *დღის შოუ (*ქართული). საკვლევ მასალაზე დაკვირვებამ მაჩვენა, რომ ამ ქვეჟანრისათვის დამახასიათებელია რამდენიმე წამყვანი, რომელიც ხშირად სხვადასხვა პროფესიისაა და მოწვეულ სტუმართან ერთად განიხილავენ რაიმე თემას. ამ ფორმატშიც დაცულია სტრუქტურის სამი ნაწილი, თუმცა ისინი განსხვავდება წინა ორი ქვეჟანრისაგან. **შესავალი** ნაწილი წარმოდგენილია, როგორც დისკუსია, რომელიც იმართება წამყვანებს შორის გადაცემის მთავარი თემის ირგვლივ. **ინტერვიუს** ნაწილში, კითხვების გარდა, წამყვანები ასევე ყვებიან თავიანთ ისტორიებს. ისინი ყოველდღიური გადაცემებია. ამ შემთხვევაშიც დროის მონაკვეთით კლასიფიკაცია ვეღარ მოხდება, რადგან მაგალითად ქართული *დღის შოუ* 3 საათზე გადის ეთერში, ბრიტანული შოუ ლანჩის დროს, ხოლო ამერიკული კი 12 საათზე. უნდა აღინიშნოს, რომ სამივე კულტურის ტოქშოუ გრძედება საშუალოდ 60 წუთი.

ამგვარად, უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა ქვეჟანრის ტოქშოუები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ეთერში გასვლის სიხშირისა და ფორმატის მიხედვით. სტრუქტურულად ყველა ტოქშოუ შედგება სამი ნაწილისაგან: **შესავალი, ინტერვიუ** და **დასკვნა**, თუმცა გარკვეული განსხვავებები შეინიშნება სხვდასხვა ქვეჟანრისა და ქვეყნის ტოქშოუებში. დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე გრძელი **შესავალი** დღის და გვიან-ღამის ტოქშოუებს აქვთ, რაც შეეხება **ინტერვიუს** ნაწილს, იგი განსხვავებულია დილის შოუებში, სადაც წამყვანები კითხვების გარდა ასევე ყვებიან ამბებს.

არსებობს ტოქშოუს სხვაგვარი კლასიფიკაციაც. მუნსონი (Munson 1993: 7) მიიჩნევს, რომ დღეს არსებული ტოქშოუები ძალიან „აწეწილი" გახდა, ანუ არსებობს ტოქშოუს უამრავი ჰიბრიდული ვარიანტი. კარბაუ გვთავაზობს ტოქშოუს თიმბერგისაგან განსხვავებულ კლასიფიკაციას, რისთვისაც ის იყენებს სხვა მახასიათებლებს და (Carbaugh 1988: 2-3) გამოყოფს ორი ტიპის ტოქშოუს: **პიროვნულ მახასიათებლებზე ორიენტირებული** და **თემაზე ორიენტირებული** ტოქშოუები. პირველი ტიპის ტოქშოუებში წამყვანი კითხვების საშუალებით აუდიტორიას ანახებს მოწვეული ცნობილი სტუმარის სახეს, აწვდის მასზე და მის შემოქმედებასა თუ საქმეზე ინფორმაციას. განხილული თემები უფრო

პირადულია და ნაკლებად საკამათო. თემაზე-ორიენტირებული შოუები კი ყურადღებას ამახვილებს სოციალურ საკითხებზე და გადაცემა მიმდინარეობს აუდიტორიასთან მათი განხილვისა და კომენტარების საშუალებით. თემები უფრო საკამათოა და იწვევს პოლემიკას.

მიუხედავად სხვადასხვა ქვეჟანრებისა და სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ტოქშოუებისა, მათ შორის მაინც არსებობს საერთო პრინციპები ან წესები, რომელიც ყველა ტიპის ტოქშოუში მოიძებნება და გამოარჩევს მათ სხვა სატელევიზიო გადაცემებისაგან. სპეციალური ლინგვისტური ლიტერატურის შესწავლისა და ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოვყოფ ტოქშოუს შემდეგ მახასიათებლებს:

თიმბერგის მიხედვით,

1. ტოქშოუს არ აქვს სცენარი, თუმცა ის დაგეგმილია. ჰყავს წამყვანი ან წამყვანები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გადაცემაზე, მიმართულებას აძლევენ მათ და ერთგვარი დირიჟორის ფუნქციას ასრულებენ, მართავენ მოწვეული სტუმრების სასაუბრო დროს და ავრცობენ წარმოდგენილ თემას (Timberg 2002: 3). როგორც დაკვირვებამ აჩვენა, ყველა ზემოგანხილულ ტოქშოუში წამყვანს ან წამყვანებს აქვთ წინასწარ მომზადებული კითხვები, რომელსაც უსვამენ სტუმარს ან სტუმრებს. მაგალითად, ნანუკას და გრეემ ნორტონს ხელში უჭირავთ ბლოკნოტები, სადაც ჩანიშნული აქვთ კითხვები. წამყვანები არ არიან მხოლოდ შოუს ვარსკვლავები. მათ სრული კონტროლი აქვთ თავიანთ გადაცემაზე. ამას გარდა, ტოქშოუს გადაცემის დასრულების შემდეგ ეკრანზე იწერება ადამიანთა სახელები, რომლებმაც იმუშავეს და რეალურად შექმნეს ესა თუ ის შოუ;

2. წამყვანები სარგებლობენ დიდი პოპულარობით, ისინი არიან სახეები, რომლებიც ყიდიან პროდუქტს (Timberg 2001: 3). ემპირიულ მასალაში ეს დასტურდება იმ ფაქტით, რომ შოუთა სახელწოდებები ხშირად შეიცავენ წამყვანის სახელს. მაგ:, *The Ellen DeGeneres Show, The Alan Titchmarsh Show, Late Night with Conan O'Brien, ნანუკას შოუ, The ვანოს შოუ.* ამ დეტალზე ამახვილებს ყურადღებას ამერიკული გვიან-ღამის ტოქშოუს წამყვანი ქონანიც და ის ჩვეული იუმორით აღნიშნავს, რომ მას არ ემუქრება სამსახურის დაკარგვა, რადგან მაშინ გადაცემაც უნდა შეცვალონ. თუმცა, არის ისეთი შოუებიც, რომელთა სახელწოდებაში წამყვანის სახელი არ დომინირებს. მაგალითად, *დღის შოუ, The View, Loose Women*. ჩემი დაკვირვებით, ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც შოუს

ჰყავს ორზე მეტი წამყვანი. სახელწოდებაში ყველა წამყვანის სახელის გამოყენება საკმაოდ რთულს გახდის მაყურებლისათვის სახელწოდებების დამახსოვრებას. ასევე, გრძელი სახელი ვიზუალურადაც არ იქნება ლამაზი და არც სახელწოდების კომპაქტურობის თვალსაზრისით იქნება გამართლებული.

3. საუბარი ყოველთვის აწმყო დროშია იქნება პირდაპირი, ჩანაწერი თუ განმეორება აწმყო დროის ილუზია მაინც ყოველთვის შენარჩუნებულია. გოფმანის აზრით ტოქშოუებში არის "ცოცხალი საუბრის" ეფექტი. ეს ნაწილობრივ იმითაა გამოწვეული, რომ ნარატივი მიმდინარეობს კითხვა-პასუხის სახით, ასევე ხშირად წინა პლანზე გამოდის ემოცია, არის შეცდომები, რაც დამახასიათებელია ცოცხალი საუბრისათვის, გადაფარვები მოსაუბრეთა ჯერებს შორის და ასევე ნაწილობრივ სტუდიის აუდიტორიის მონაწილეობა. თუმცა, ჩემი აზრით, თოქშოუებში მაინც ნაკლებად ვხვდებით ე.წ. "ცოცხალ საუბარს", რადგან დისკურსის მონაწილეები არიან არათანაბარ პირობებში, მათი როლი არის წინასწარ განსაზღვრული (Tolson 2001: 27). ვიცით, რომ კითხვებს წამყვანი სვამს და სტუმარს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ევალება, საუბარს აკონტროლებს წამყვანი. შეწყვეტინებაც ძირითადად ხდება მის მიერ.

4. ის პროდუქციაა, რომელიც კონკურენციას უწევს სატელევიზიო სივრცეში არსებულ სხვა პროდუქტებს (Timberg 2002: 4);

5. პენცი (Penz 1996: 9-10) თავის წიგნში გამოყოფს ტოქშოუების კიდევ ერთ პრინციპს: რეკლამაზე გასვლას, რომელსაც რამდენიმე დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს. ა) ტოქშოუს ჟანრის გადაცემები ხშირად გადიან რეკლამაზე. ერთ-ერთი და მთავარი დატვირთვა ამგვარი რეკლამებისა არის სპონსორებისა და სხვათა პოდუქციის რეკლამირება, რადგან მათი მთავარი შემოსავალი სწორედ ამ რეკლამებიდან არის. უაიტის (1992) მიხედვით, რეკლამები საკმაოდ მიღებულია და წარმოადგენს ტოქშოუს განუყოფელ ნაწილს. ბ) რეკლამის საშუალებით ასევე ხდება ტოქშოუების დაყოფა ქვეთემებად, როდესაც წამყვანს სურს ძველი სტუმრები გაიყვანოს სტუდიიდან და ახალი სტუმრები და ცოტათი განსხვავებული თემები შემოიტანოს ის იყენებს რეკლამას. ამ დროს ასევე ხდება დაანონსება, თუ რა იქნება შემდეგ ნაწილში, სიანტერესო ნაწილების ამოღებით და წინასწარ ჩვენებით ხდება მაყურებლის ყურადღების შენარჩუნება. გ) უკონტროლო სიტუაციების განსატვირთად. როდესაც წამყვანი ვეღარ ახერხებს სტუმრების დაწყნარებას ის გადის რეკლამაზე.

6. ტოქშოუებში გვხვდება ინსტიტუციონალური და არაინსტიტუციონალური მახასიათებლების გაერთიანება, შესაბამისად ისინი განეკუთვნებიან ნახევრად-ინსტიტუციონალურ დისკურსის ჟანრს (Ilie 2001: 219).

7. ტოქშოუში წარმოდგენილია კომუნიკაციური და სოციალური ქცევები, რომლებიც ასოცირდება ერთზე მეტ დისკურსის ტიპთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოქშოუ შედგება სამი ნაწილისაგან: შესავალი, ინტერვიუ და დასკვნა. შესავალი და დასკვნა უფრო გასართობი სტილის პროგრამას ჰგავს, რადგან მათი მიზანია მაყურებელს შეუქმნას დადებითი განწყობა, იყოს სასაცილო და მსუბუქი. რაც შეეხება ინტერვიუს ნაწილს, სადაც კითხვა-პასუხია მოცემული, ის უფრო ემსგავსება ახალი ამბების ტიპის პროგრამას, რადგან კითხვების საშუალებით წამყვანი ცდილობს გაიგოს რაიმე ახალი ინფორმაცია სტუმარზე, ან განიხილოს ის სიახლეები, რომლებიც ხდება სტუმრის ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, ის არის ნაზავი გართობისა და ინფორმაციის მიწოდების. ასევე ტოქშოუს დიდი ნაწილი ეთმობა სპონტანურ საუბარს, რითაც ის ემსგავსება ყოველდღიურ საუბარს.

8. ემპირიულ მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ტოქშოუს წამყვანები სარგებლობენ ეთნიკური, რასისტული და სექსუალური ორიენტაციის თავისუფლებით. თუმცა, ეს ძირითადათ ეხება ბრიტანულ და ამერიკულ შოუებს. მაგალითად, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ამერიკელი წამყვანი ელენ დეჯენეროსი არის ჰომოსექსუალი. აღნიშნული სოციალურ უმცირესობათა თემები ქართულ შოუებში ტაბუირებულია. ასევე *Loose Women*-ში ერთ-ერთი წამყვანი შავკანიანია.

9. ყოველ ტოქშოუს აქვს თავისი ქუდი და მუსიკა. ქუდი შეიცავს ნაწყვეტებს შოუს სხვადასხვა სერიიდან ან სპეციალურ ვიდეოკლიპს, რომლის დასრულების შემდეგაც იწყება თავად გადაცემა. ასევე, თითოეულ შოუს აქვს მისთვის დამახასიათებელი, საკუთარი მუსიკა, რომელიც მას სხვა გადაცემისაგან გამოარჩევს.

10. ტოქშოუში თანმიმდევრობა არის სტრუქტურულად ორგანიზებული და წარმოადგენს საუბრის, არავერბალური ელემენტების (როგორიცაა მუსიკა, ტაში) და სხვადასხვა ვიდეო მასალის ნაზავს.

11. წამყვანი ყოველთვის წარადგენს სტუმარს ან სტუმრებს. ეს შეიძლება იყოს მხოლოდ სიტყვიერი წარდგენა, ან შეიძლება სიტყვიერ წარდგენას მოჰყვებოდეს დამატებითი ვიზუალური წარდგენა და ვიდეო. მაგალითად: Ellen

DeGeneres-ი, ნანუკა, Alan Titchmarsh-ი, *დღის შოუს* წამყვანები მონოლოგის დასრულების შემდეგ წარადგენენ სტუმარს ან სტუმრებს, რომელსაც თან ერთვის წინასწარ მომზადებული ვიზუალური მასალა. ელენის და გრეემ ნორტონის წარდგენას თითქმის ყოველთვის ახლავს ვიდეო და მხოლოდ ამის შემდეგ შემოდის სტუმარი სტუდიაში. *The Views*-ში და *Loose Women*-ში სტუმარი წამყვანებთან ერთად შემოდის, თუმცა მაინც ხდება წამყვანის მიერ სტუმრის წარდგენა.

12. ყოველი ტოქშოუ, მიუხედავად ქვეჟანრობრივი ნაირფეროვნებისა, შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: შესავალი, ინტერვიუ და დასკვა. ძირითადი ნაწილი აგებულია კითხვა-პასუხზე. ყოველ გადაცემას ჰყავს სტუმარი ან სტუმრები, რომლებიც კითხვებზე პასუხის გაცემის საშუალებით გვიყვებიან რაიმეს.

13. ტოქშოუ არის ინსტიტუციონალურად განსაზღვრული, წამყვანის მიერ გაკონტროლებული, მონაწილეების მიერ ფორმა მიცემული და აუდიტორიის მიერ შეფასებული პროგრამა.

14. ყველა ტოქშოუს აქვს წინასწარ განსაზღვრული საეთერო დრო, რომელსაც არ უნდა გადააჭარბოს. ეს საშუალოდ ერთი საათიდან ორ საათამდე მერყეობს.

ზემოაღნიშნული თვისებები უნივერსალურია და ყველა ქვეჟანრის და ყველა ქვეყნის ტოქშოუებისათვის არის დამახასიათებელი.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ

ა) არსებობს ტოქშოუთა სხვადასხვა სახეობები. მეცნიერები ახდენენ მათ სხვადასხვა თვალსაზრისით კლასიფიკაციას. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია თიმბერგის მიერ ჩატარებული კვლევა, თუმცა როგორც ვნახეთ მისეულ კლასიფიკაციაში დროის ასპექტი აღარ არის რელევანტური;

ბ) დაკვირვებამ ცხადყო, რომ ტოქშოუს ჟანრი სტრუქტურულად შედგება სამი ნაწილისაგან: შესავალი, ინტერვიუ და დასკვნა. თითოეულმა ქვეჟანრმა შეიმუშავა მისთვის დამახასიათებელი ფორმატი და კულტურისა და ქვეჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე თითოეული ნაწილი სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი სხვადასხვა კულტურაში.

გ) მიუხედავად ქვეჟანრობრივი და ფორმობრივი სხვაობებისა, ტოქშოუებს აქვს ზოგადი მახასიათებლები და აგების პრინციპები.

§1.2. ტოქშოუს სოციო-ლინგვისტური მახასიათებლები

ზოგადი მახასიათებლების გამოყოფის შემდეგ საინტერესოა, თუ როგორია ტოქშოუს თითოეული ქვეჟანრი **ჰაიმსის სქემის** (Hymes, 1964) ანუ ზოგადი კონტექსტუალური მახასიათებლების მიხედვით (Brown & Yule 2003: 37-39) და რა განსხვავებები და მსგავსებები შეინიშნება სხვადასხვა ქვეჟანრის ტოქშოუებს შორის.

როგორც ცნობილია, კონტექსტის როლი იმაში მდგომარეობს რომ, ერთი მხრივ, ის ზღუდავს მისთვის შესაძლო ინტერპრეტაციებს და, მეორე მხრივ, გვიქმნის გარკვეულ მოლოდინს, გვეხმარება იმის დადგენაში, თუ რას იტყვის **ადრესანტი, ადრესატი** და რა რეაქცია ექნება **აუდიტორიას**, როგორი იქნება მათ შორის ურთიერთმიმართება. ასევე წინასწარ გვექმნება წარმოდგენა თუ რა **კოდს** (რა ენა, სტილი იქნება გამოყენებული), **არხს** (როგორ არის შენარჩუნებული კონტაქტი კომუნიკანტებს შორის - უშუალო კონტაქტია თუ დისტანციური), **შეტყობინების ფორმას** (რა ფორმა, ჟანრი გამოიყენება – დებატი, ქადაგება და სხვა) გამოიყენებენ დისკურსის მონაწილეები მოცემულ სიტუაციაში, რა იქნება მათი **მიზანი**. როგორ **სამეტყველო ხდომილებაში** მოექცევა ეს ყოველივე. **თემისა** და **გარემოს** ცოდნა კიდევ უფრო ზღუდავს ჩვენს მოლოდინს.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ზოგადად ტოქშოუს ყველა ქვეჟანრისათვის დამახასიათებელია დისკურსის 3 მონაწილე: **ადრესანტი, ადრესატი** და **აუდიტორია**, რომელთა შორის კომუნიკაციაც წარიმართება ორ დონეზე: **კომუნიკაციის შიდა წრე** – კომუნიკაცია სტუდიაში მყოფ ადრესანტს, ადრესატსა და აუდიტორიას შორის და **კომუნიკაციის გარე წრე** – ანუ ტელემაყურებელი, ეკრანი და სტუდიაში მყოფი მონაწილეები. შიდა წრისათვის **არხი** არის მეტყველება, ანუ კონტაქტი შენარჩუნებულია უშუალოდ პირისპირ წარმართული საუბრის საშუალებით. ხოლო გარე წრისათვის მეტყველების გარდა საჭიროა სატელევიზიო სიგნალი და ტელევიზორი ანუ გვაქვს დისტანციური კონტაქტი (Penz 1996: 25).

ტოქშოუს ნახევრად ინსტიტუციონალური ხასიათიდან გამომდინარე დისკურსის სამ მონაწილეს შორის როლები ასიმეტრიულად არის გადანაწილებული. ინსტიტუციონალურად **ადრესანტი** (წამყვანი) არის იერარქიული სისტემის სათავეში და ცდილობს **ადრესატის** (სტუმარი) და

აუდიტორიის წარდგენას და მათ შემდგომ ჩართვას კომუნიკაციაში. მას აქვს უფლება გააკონტროლოს საუბრის მსვლელობა, ასრულებს დირიჟორის როლს, სვამს კითხვებს, რომელზედაც პასუხი უნდა გასცეს ადრესატმა (სტუმარმა), როგორც ესაა ნაჩვენები ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში სამივე კულტურის ტოქშოუდან.

მაგალითი ბრიტანული ტოქშოუდან:

(1) Alan: What's the fascination for this particular, I mean they are lovely, but what particularly nailed you on to this?

G: There was a great deal of mystery about them to me. They are the scenes of English village and nobody knew where the village was, or whether it was just a village. Perhaps it was some sort of generic rural scene. And I was always convinced that there was a lot below the surface. And as I collected more and more cards I realized that people cropped up, these were real people. There were real places and it was a real story being told (*The Alan Titchmarsh Show,* 10 Dec., 2009).

ამერიკული ტოქშოუ:

(2) Conan: What was wrong with the ideas that you came up with?

Guest: They would all cost five hundred million dollars to make and we didn't realize that people wouldn't want to spend that much on us. (*Late Night with Conan O'Brien,* 8 July, 2008)

ქართული ტოქშოუ:

(3)ნანუკა: ლიკა, როდის არის კიდევ ჩვენება?

სტუმარი: ჩვენება იქნება ძალიან მალე, რამდენიმე კვირაში. (*დღის შოუ,* 19 ივნისი, 2012)

ყველა ზემოთ მოყვანილ მაგალითში დაცულია ტოქშოუს ადრესანტის (წამყვანის) ძირითადი ფუნქცია. ის სვამს კითხვას, (ასრულებს თავის ინსტიტუციონალურ ფუნქციას), რომელზეც პასუხი უნდა გასცეს ადრესატმა (სტუმარმა). ადრესანტის მიზანი არის აუდიტორიისათვის ინფორმაციის მიწოდება და მათი გართობა დასმულ კითხვებზე პასუხის მიღების საშუალებით.

კვლევამ ცხადყო, რომ ტოქშოუს ცალკეული ქვეჟანრი გარკვეულწილად განსაზღვრავს **ადრესანტის** რაოდენობას. განხილულ ყველა დილის ქვეჟანრის ტოქშოუში გვხვდება ორზე მეტი ადრესანტი, დანარჩენ ქვეჟანრებში კი მხოლოდ ერთი ადრესანტია. მაგალითად, *Loose Women, The View* და *დღის შოუ,* სამივე განეკუთვნება დილის ქვეჟანრის შოუს და წარმოდგენილია ორზე მეტი ადრესანტი. რაც შეეხება დღის (*The Alan Titchmarsh Show, The Ellen DeGeneres Show*

და ნანუკას შოუ) და გვიან-ღამის (*The Graham Norton Show, Late Night with Conan O'Brien, The ვანოს შოუ*) ქვეჟანრის ტოქშოუებს, ყველგან ერთი ადრესანტია. ასევე ქვეჟანრების და ქვეყნების მიხედვით განსხვავებაა ადრესანტებს შორისაც. ამერიკულ გვიან-ღამის და დღის ტოქშოუში და ბრიტანულ დღის ქვჟანრის ტოქშოუში ადრესანტი წამყვანის გარდა არის ასევე გამომცხადებელიც, რომლის ხმაც ისმის მხოლოდ გადაცემის დასაწყისში, ვიზუალურად იგი ჩანს გვიან-ღამის ამერიკულ შოუში, ხოლო ბრიტანულ და ამერიკულ დღის შოუში კი მხოლოდ ხმა ისმის. ინსტიტუციონალურად მისი ფუნქციაა წარადგინოს ადრესანტი და გადაცემა.

ტოქშოუს **ადრესანტისათვის** (წამყვანისათვის) მთავარი არის შეინარჩუნოს კონტაქტი დისკურსის მონაწილეებს შორის (არხი) და გაართოს ადრესატებთან (სტუმრები) ერთად აუდიტორია. ამისათვის ის იყენებს, როგორც ვერბალურ (მეტყველება), ასევე არავერბალურ საშუალებებს, მიმიკებს, ჟესტიკულაციას, ახლო ხედებს, დამხმარე ვიზუალურ საშუალებებს (სურათები, ვიდეოები). ადრესანტები იყენებენ აგრეთვე უკუკავშირის სიგნალებს, როგორც ვერბალურს (yeah, right, wow, it's amazing, მაგარია, კარგია, ხო) ასევე არავერბალურს (თავის დაქნევა, ღიმილი და სხვა). განსხვავებული ადრესანტი გვხვდება დილის ქვეჟანრის შოუებში, მათი დისკურსი არ შემოიფარგლება მხოლოდ კითხვების დასმით და მონოლოგით, ისინი ასევე არიან ახალი ამბის მომყოლებიც, ასევე გვიამბობენ საკუთარ ამბებს და გამოცდილებას, რომელიც განსახილველ თემასთანაა კავშირში.

დაკვირვებამ მაჩვენა, რომ ხშირად ტოქშოუს **ადრესანტი** (წამყვანი) საუბრის მსვლელობისას იცვლის თავის როლს ინკლუზიური we/ჩვენ-ის გამოყენებით. პირველი პირის მრავლობითი რიხვის ნაცვალსახელის გამოყენებით ადრესანტი შეიძლება წამყვანის როლიდან გადავიდეს აუდიტორიის (სახლში და სტუდიაში მყოფი აუდიტორია) წევრის როლზე ანუ ასეთ შემთხვევაში we/ჩვენ მოიცავს წამყვანს და აუდიტორიას (სტუდიაში და ეკრანებთან მსხდომ); (**we/ჩვენ = სტუმარი + აუდიტორია**).

ქვემოთ მოქვანილია მაგალითი ერთ-ერთი ბრიტანული ტოქშოუდან.

(4) Alan: Plus, we've a garden fashion show…. And that's not all, because we have very special guest starring small and big screens, he's one of the biggest actors of this kind in this country. Shall we bring him out? (*The Alan Titchmarsh Show*, 18 Oct., 2009)

მოცემულ მაგალითში (4) წამყვანი პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ინკლუზიური we-ს გამოყენებით საკუთარ თავს აერთიანებს იმ ფართო აუდიტორიაში, რომელიც უყურებს გადაცემას სტუდიაში თუ სახლში ტელე-ეკრანებიდან.

როლის შეცვლის მსგავს სტრატეგიას იყენებენ წამყვანები ამერიკულ ტოქშოუებშიც. ქვემოთ მოყვანილია ნაწყვეტი ამერიკული ტოქშოუდან:

(5)Conan: Thank you, thank you. We've got a great show coming up tomorrow night. Tom Hanks is going to be here (*Late Night with Conan O'Brien*, 8 Nov., 2010).

We-ს გამოყენებით წამყვანი იცვლის თავის როლს და ხდება აუდიტორიის წევრი.

ქართული ტოქშოუ:

(6)ნანუკა: მოკლედ, ძალიან მალე თქვენ შეგეძლებათ ალბომის ყიდვა, მაგრამ თქვენამდე ალბათ ამერიკელებს. მაგრამ არავინ არ იცის რა მოხდება, ამაზე ნუ ვიკამათებთ. მოკლედ ჩვენ ყველას ერთად შეგვეძლება ალბომის ყიდვა, სადაც სტივ ვანდერისა და ქართველი კომპოზიტორების სიმღერები ერთად იქნება (*ნანუკას შოუ,* 6 დეკ., 2011).

ამ შემთხვევაში ადრესანტი (წამყვანის) საკუთარ თავს წარადგენს წამყვანის როლში და აუდიტორიას მიმართავს მეორე პირის ნაცვალსახელით - თქვენ. შემდეგ საუბრის შუაში ცვლის პირის ნაცვალსახელს და შესაბამისად საკუთარ როლსაც. ის ხდება ფართო აუდიტორიის ნაწილი პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის გამოყენებით.

ტოქშოუებში ადრესანტის **შეტყობინების ფორმა** არის მონოლოგი, დებატები ან უბრალო საუბარი. ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ადრესანტის შეტყობინების ფორმის არჩევა კავშირშია ტოქშოუს ქვეჟანრთან და სტრუქტურასთან. სამივე კულტურის გვიან-ღამის და დღის ტოქშოუების შესავალ და დასკვნით ნაწილში ადრესანტების შეტყობინების ფორმა არის მონოლოგი, ხოლო მესამე ქვეჟანრში კი მონოლოგის გარდა ვხვდებით დებატებს და უბრალო საუბარსაც. ინტერვიუს ნაწილში კი ადრესანტები ირჩევენ დებატებისა და საუბრის ფორმას. ადრესანტისათვის **არხი** კომუნიკაციის შესანარჩუნელად არის ზეპირმეტყველებითი დისკურსი, სადაც ვლინდება როგორც ოფიციალური საუბრის მახასიათებლები, (სპეციალური ფრაზები და სიტყვები) ასევე ყოველდღიური საუბრისათვის დამახასაითებელი შტრიხები (გაწყვეტინება, გადაფარვები, გამეორება, უკუკავშირი, პაუზა).

რაც შეეხება **ადრესატს** (სტუმარს), მისი წარდგენა ხდება ადრესანტის მიერ. ბრიტანულ (*The Graham Norton Show, The Alan Titchmarsh Show*), ამერიკულ (*Late Night with Conan O'Brien, The Ellen DeGeneres Show*) და ქართულ (*ვანოს შოუ, ნანუკას შოუ*) გვიან-ღამის და დღის ტოქშოუში ამას თითქმის ყოველთვის მოსდევს ვიდეო რგოლი ან რაიმე ვიზუალური წარდგენა, რომლის შემდეგაც სტუდიაში შემოდის ადრესატი და იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს. ბრიტანულ გვიან-ღამის შოუში ადრესატები ერთდროულად შემოდიან, ხოლო ამერიკულ და ქართულ ანალოგებში კი ცალცალკე. დილის ქვეჟანრის ბრიტანულ (*Loose Women*) და ამერიკულ (*The View*) შოუებში ადრესატი შემოდის ადრესანტებთან ერთად, ხოლო ქართულში (*დღის შოუ*) კი ადრესატი შემოდის მას მერე რაც ადრესანტი წარადგენს მას.

განსხვავებულია ადრესანტის დამოკიდებულება ადრესატის მიმართ ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ ტოქშოუებში. გვიან-ღამის შოუებში ადრესატი შემოდის, იკავებს თავის ადგილს, ესალმება და ხელს ართმევს ადრესანტს. ბრიტანულ და ქართულ დღის შოუებში ადრესანტი დგება და ეგებება ადრესატს, მისალმების შემდეგ მიყავს ის მისთვის განკუთვნილ ადგილას, რაც შეეხება ამერიკულ შოუს, ადრესატი შემოდის და მიდის თავის ადგილას და ამის შემდეგ ესალმება ადრესანტს. დილის შოუებში ადრესანტსა და ადრესატს შორის არ არის გამოყოფილი ადგილი.

ირკვევა, რომ კომუნიკაციისათვის ადრესანტი და ადრესატი იყენებენ მათთვის მშობლიურ ენას, (ნანუკას შოუში იყო შემთხვევა, როდესაც ადრესატი იყო უცხოელი. ამ შემთხვევაში ადრესანტი იყენებს თავის მშობლიურ ენას და ადრესატი მშობლიურ ან საერთაშორისო ენას და თარჯიმანი თარგმნის ნათქვამს). ანუ თუ ვიცით ადრესანტი და ადრესატი, მათი წარმოშობა შეგვიძლია ვივარაუდოთ თუ რა **კოდს**, ენას გამოიყენებენ ისინი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადრესანტისა და ადრესატის სასაუბრო ენა არის ნახევრად-ოფიციალური. ერთი მხრივ, ადრესანტი იყენებს თავაზიან მიმართვის ფორმულებს და ფრაზებს, მაგრამ, მეორე მხრივ, მათ საუბარში არის ცოცხალი საუბრისათვის დამახასიათებელი შეწყვეტინებები, გადაფარვები ჯერებს შორის, გამეორება, პაუზები და უკუკავშირებითი სიგნალები. ადრესატისათვის **არხი** არის საუბარი, გვაქვს უშუალო კონტაქტი ადრესანტსა და სტუდიის აუდიტორიას შორის. ხოლო სახლში ეკრანებთან მსხდომ აუდიტორიასთან კავშირის შესანარჩუნებლად ამ შემთხვევაშიც გამოიყენება ტელევიზორი და

ტელე-სიგნალი. **შეტყობინების ფორმად** ისინი გამოიყენებენ დებატებსა და საუბარს.

განხილულ ტოქშოუებში არსებობს ორი ტიპის **აუდიტორია**, ერთი რომელიც სტუდიაშია და უშუალოდ იღებს მონაწილეობას და შეუძლია ჩაერთოს საუბარში წამყვანის კონტროლის ქვეშ და მეორე ტიპი, ესაა სახლში მყოფი აუდიტორია. **სტუდიაში მყოფი აუდიტორიის** მონაწილეობა (**არხი**) შეიძლება გამოხატული იყოს, როგორც ვერბალური (უბრალო შეძახილები, რომელიც მათ ემოციებს გამოხატავს ან შეიძლება წამყვანმა მათ საშუალება მისცეს ლაპარაკის), ასევე არავერბალური საშუალებებით (ტაში, ჟესტები, ხელის აწევა). აუდიტორია, რომელიც ესწრება შოუზე, შეიძლება იყოს უბრალო ხალხი, რომელმაც სურვილი გამოთქვა დასწრების ან ეს შეიძლება იყოს სპეციალური ჯგუფი, რომელიც ერკვევა შოუს განსახილველ საკითხში და მოწვეულნი არიან წამყვანის მიერ თავიანთი აზრის გამოსათქმელად. აუდიტორიის საუბარი რეგულირდება მკაცრად წამყვანის მიერ. აუდიტორიის ტიპი განსაზღვრავს, თუ როგორი სახის ჯერს აიღებს აუდიტორიის წარმომადგენელი. ექსპერტებს ხშირად ეძლევათ ჯერი - საუბრის და საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება, მაშინ როდესაც ჩვეულებრივი აუდიტორია ხშირად შემოიფარგლება მხოლოდ ტაშითა და შეძახილებით.

განსხვავებულია აუდიტორიის როლი და ადგილი სხვადასხვა ტოქშოუში. გვიან-ღამის ტოქშოუებში აუდიტორია ჩართულია შოუში, ხშირად იყენებენ უკუკავშირებით სიგნალს, რომელიც ძირითადად არავერბალურია (ტაში და სიცილი). თუმცა, ქართულ *ვანოს შოუში* აუდიტორია არ ჩანს, მხოლოდ მათი შეძახილები, სიცილი და ტაში ისმის. ყველაზე ახლო კონტაქტი აუდიტორიასა და ადრესანტს შორის გამოვლინდა ამერიკულ და შემდეგ ქართულ დღის ტოქშოუში (*The Ellen DeGeneres Show, ნანუკას შოუ*) და ბრიტანულ და ამერიკულ გვიან-ღამის შოუებში (*The Graham Norton Show, Late Night with Conan O'Brien*). ენელის და გრეემ ნორტონის გადაცემა იწყება სწორედ აუდიტორიის ჩვენებით, გრეემი შესავალ-ანონსში დგას აუდიტორიასთან ერთად. ელენის შოუში აუდიტორია ფეხზე დგას და ტაშს უკრავს ადრესანტს, რომელიც გამოდის სცენაზე. მონოლოგის დროს ადრესანტი ხშირად აკეთებს პაუზებს და ამით აუდიტორიას აძლევს ჩართვის საშუალებას (ისინი უკრავენ ტაშს).

მინიმუმამდეა მანძილი დაყვანილი ადრესანტსა და აუდიტორიას შორის ელენის, გრეემის და კონანის შოუში. ადრესანტი (ელენი) მიდის აუდიტორიასთან

და მათთან ერთად ცეკვავს. არის შემთხვევები, როდესაც ადრესანტი მიმართავს აუდიტორიის ერთ-ერთ წევრს, უსვამს მას კითხვას, ან აუდიტორიის წევრები აჰყავს სცენაზე და მათთან ერთად თამაშობს. ელენის შოუში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ადრესანტის (წამყვანის) ინიციატივით აუდიტორიის წევრი ერთვება ადრესატის (გადაცემის სტუმრის) როლზე ან ადრესანტის (წამყვანის) როლზე (კითხვებს უსვამს წამყვანს).

ქვემოთ მოყვანილია მაგალითები ამერიკული *The Ellen DeGeneres Show*-დან:

(7)Ellen: Where is Katy, Where are you? How are you? Do you know which picture I'm gonna show of yours?

Aud. Member: I've no idea (*The Ellen DeGeneres Show*, 09 May, 2012*)*.

მოცემულ მაგალითში ადრესანტი უსვამს კითხვას აუდიტრიის წევრს, რის შემდეგაც მისი როლი იცვლება და ის ხდება ადრესატი.

(8)Aud: For the lady who has everything and can do everything, what are the three things that will be at your bucket list?

Ellen: Well (pause) Where are you from?

Aud: England.

Ellen: What part?

Aud: Sandwich

Ellen: Sandwich? So, I'll go one day. I'm looking for Sandwich. People will laugh at me. There is Sandwich? Really? Is it like a potato chip area?

My bucket list. You know, I've always wanted to go to Safari to Africa and spend time in Africa. So that's something I hope to do some day (*The Ellen DeGeneres Show*, 25 Sep., 2012).

მოცემულ მაგალითში, ერთი შეხედვით თითქოსდა აუდიტორიის წევრი იკავებს წამყვანის როლს და წამყვანი ხდება სტუმარი. უნდა აღინიშნოს, რომ წამყვანი მაინც ინარჩუნებს თავის ძალაუფლებას. სანამ აუდიტორიის წევრი დასვამს კითხვას, ის ხელს მაღლა წევს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც წამყვანი მისცემს მას ჯერის უფლებას ის იწყებს საუბრობს (ეს გავს საკლასო ოთახს, სადაც მასწავლებელი აკონტროლებს სტუდენტების ჯერს). ასევე აღსანიშნია ის ფაქტი, რომ როდესაც აუდიტორიის წევრი სვამს კითხვას, ის არ იღებს წამყვანისაგან პირდაპირ პასუხს. წამყვანი მას თავად უბრუნდება რამდენიმე კითხვით, რომლებზე პასუხის მიღების შემდეგაც პასუხობს მისთვის თავდაპირველად დასმულ კითხვას.

რაც შეეხება კონანს, ის ერთ კონკრეტულ გადაცემაში ირჩევს აუდიტორიიდან ერთ-ერთს და სცენაზე აყავს და თამაშს სთავაზობს მას. ქართულ და ამერიკულ დღის და გვიან-ღამის შოუებში არის შემთხვევები, როდესაც ადრესანტი კითხვებს უსვამს აუდიტორიას და მათგან იღებს ვერბალურ (მოკლე პასუხებს) და არავერბალურ (ხელის აწევა, თავის დაქნევა) პასუხებს. მაგალითად ელენი ეკითხება აუდიტორიას: Who is married? Who is single? და აუდიტორია ხელის აწევით სცემს პასუხს. ვანო მონოლოგში კითხვებს უსვამს აუდიტორიას. მაგალითად: დენის ტარიფი არ გაიაფებულა?

ბრიტანულ დღის შოუში აუდიტორია არ ჩანს, თუმცა იგი ჩართულია გადაცემაში, უკუკავშირს გამოხატავს ტაშისა და შეძახილების საშუალებით.

რაც შეეხება **სახლში მყოფ აუდიტორიას**, განხილული შოუებიდან, მხოლოდ დილის ქვეჟანრის ქართულ შოუში (*დღის შოუ*) ეძლევათ სახლში მყოფ აუდიტორიას გადაცემაში ჩართვის და საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება ტექსტური შეტყობინების და სატელეფონო ზარის საშუალებით. დანარჩენ გადაცემებში ისინი ამ საშუალებას მოკლებულნი არიან. თუმცა, აღნიშნულ ტოქშოუში არ ვხვდებით სტუდიაში მყოფ აუდიტორიას.

ადრესატის, ადრესანტისა და აუდიტორიის წინასწარ ცოდნა წარმოდგენას გვიქმნის, თუ როგორ ხდება კონტაქტის შენარჩუნება ტოქშოუში, რა **არხი** გამოიყენება. ადრესატსა და ტელევიზორთან მსხდომ აუდიტორიას შორის არხი არის სატელევიზიო ან სატელეფონო სიგნალი, ახლო კადრები. ასეთ შემთხვევაში გვაქვს დისტანციური კონტაქტი. უშუალო კონტაქტია სტუდიაში მყოფ აუდიტორიასა და ადრესანტსა და ადრესატს შორის. არხი შეიძლება იყოს როგორც ვერბალური (მეტყველება, წამოძახილები, უკუკავშირებითი სიგნალები) ასევე არავერბალური (ტაში, ჟესტიკულაცია, სახის მიმიკა, ღიმილი) სიგნალები. ადრესანტსა და ადრესატს შორის უშუალო კონტაქტი შენარჩუნებულია მეტყველების საშუალებით. აქაც გამოიყენება როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური საშუალებები. დისტანციურია კონტაქტი ადრესანტსა და ადრესატს შორის იმ შემთხვევაში, როდესაც ადრესატი არ იმყოფება სტუდიაში, არამედ ხდება ჩართვები სხვა სტუდიიდან თუ სხვა ადგილიდან. ასეთ შემთხვევაში კონტაქტის შესანარჩუნებლად არხის არ არის მხოლოდ მეტყველება ან არავერბალური საშუალებები, საჭიროა ვიდეო/აუდიო სიგნალი, რისი საშუალებითაც ისინი გაიგებენ და დაინახავენ ერთმანეთს. მაგალითად, ელენის გადაცემაში იყო შემთხვევა, როდესაც ადრესატი იმყოფებოდა სხვაგან

და მათ შორის კავშირი მყარდება ვიდეო სიგნალით. სტუდიაში არის ეკრანი, სადაც ჩანს ადრესატი.

ყოველ გადაცემას აქვს ერთი ძირითადი **თემა,** რომელიც დაყოფილია ქვეთემებად. მთელი კვირის განმავლობაში გასული ანონსის საშუალებით ჩვენ ვიგებთ, თუ ვინ არიან ადრესატები და რა არის გადაცემის მთავარი თემა. ამით გვექმნება გარკვეული მოლოდინი. ველით, რომ რასაც ადრესანტი იტყვის კავშირში იქნება ადრესატთან და განსახილველ თემასთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოქშოუები იწყება მონოლოგით, ჩვენი მოლოდინია, რომ ის რასაც იტყვის ადრესანტი დაკავშირებული იქნება გადაცემის ადრესატთან და თემასთან და ეს მართლაც დასტურდება ჩემ მიერ განხილულ საკვლევ მასალაში. მაგ. *The Ellen DeGeneres Show*-ს ერთ-ერთი სერიის სახელწოდება იყო Ellen DeGeneres Show with Portia DeRossi და ანონსში აჩვენებენ ნაწყვეტებს მისი ინტერვიუდან. მეტ-ნაკლები წარმოდგენა გვექმნება, თუ რაზე იქნება გადაცემა, რა იქნება მისი მთავარი თემა, რას იტყვის ადრესანტი. ველით, რომ ნათქვამი კავშირში უნდა იყოს თემასთან და ადრესატთან და ეს მართლაც ასე ხდება. მაგალითად, ელენი მონოლოგს იწყებს შემდეგნაირად:

(9) Ellen: So, let me explain how this happened. One day at home Porsha said: “you know, it’s a while since I’ve started writing biographies” and I said: “listen you’re welcome to come any time you want since you have something to promote”. So (audience laugh) she wrote a book, an incredible book. She’s doing this publicity tour and of course first stop is Opra and then (.) (applause) then Good Morning America and finally my show (*The Ellen DeGeneres Show*, 4 Nov., 2011).

ჩვენი მოლოდინი გამართლდა, ადრესატთან და ასევე გადაცემის მთავარ თემასთან კავშირშია ადრესანტის მონოლოგი.

თემის წინასწარი ცოდნა ასევე შეიძლება დაგვეხმაროს ზოგჯერ ადრესატების ამოცნობაშიც. მაგალითად, *ნანუკას შოუ*ში საუბარია ბონი ემზე (დისკო ჯგუფი Boney M.) და ბუნებრივია ჩვენი მოლოდინი თუ ვინ იქნება ადრესატი უფრო იზღუდება, ვარაუდი გვაქვს, რომ ეს იქნება ამ ჯგუფის სოლისტი ან ნებისმიერი ის პიროვნება, ვინც კავშირში იქნება ამ თემასთან (შემდეგ შემოდიან ქართველი მომღერლები, რომლებიც მღერიან მათ სიმღერას), რაც მართლდება კიდეც.

რაც შეეხება გვიან-ღამის გასართობ ტოქშოუებს, მათი მონოლოგის თემატიკა უკავშირდება კვირის ახალ ამბებს.

ოდნავ განსხვავებული ვითარებაა ჩემს მიერ განხილულ დილის ქვეჟანრის შოუებში (*Loose Women, The View, დღის შოუ*). ამ შემთხვევაშიც თემა ზღუდავს ჩვენს მოლოდინს, თუ რაზე ისაუბრებენ ადრესანტები, თუმცა ადრესატის გამოცნობა ცოტათი რთულია. მაგალითად, ერთ-ერთი დღის შოუს გადაცემის თემა იყო ექიმთან სიარულის კულტურა. ადრესანტები საუბარს იწყებენ ამ თემის გარშემო, მაგრამ ძნელია მიხვდე ვინ იქნება მათი ადრესატი, მოლოდინი გვაქვს, რომ ეს შეიძლება იყოს ექიმი, მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ მართლდება, სტუდიაში შემოდის მომღერალი ეკა მამალაძე, თუმცა მერე უკვე ჩვენი მოლოდინი მართლდება და სტუდიაში ადგილს იკავებს ექიმი.

ჰაიმზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონტექსტუალური მახასიათებელია **გარემო**, თუ სად და როდის ხდება მოქმედება. ყოველდღიური საუბრისაგან განსხვავებით, ტოქშოუში მოქმედება ვითარდება კონკრეტულ გარემოში, კერძოდ სტუდიაში სადაც ხდება გადაცემის ჩაწერა. დაკვირვებამ ცხადყო, რომ გარემო მეტნაკლებად ჰგავს ერთმანეთს ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ ტოქშოუებში.

ქვემოთ მოყვანილია სტუდიის სურათები მეტი ვიზუალური სიცხადისათვის.

გვიან-ღამის გასართობი ტოქშოუები:

The Graham Norton Show (ბრიტანული)	***Late Night With Conan O'Brien*** (ამერიკული)	***The ვანოს შოუ*** (ქართული)

როგორც სურათებიდან ჩანს, გვიან-ღამის ამერიკული და ქართული ტოქშოუების სტუდია თითქმის იდენტურია. ორივე შემთხვევაში სტუდია გაწყობილია გრძელი დივანითა და მაგიდა-სკამით. რაც შეეხება ბრიტანულ ანალოგს, აქ განსხვავებული დიზაინის სტუდიაა. უფრო მეტი რაოდენობის სავარძლები და დივანებია და წამყვანისათვის არ არის გამოყოფილი მაგიდა-სკამი. ისიც სავარძელში ზის.

დღის აუდიტორიის მონაწილეობით შექმნილი შოუები:

The Alan Titchmarsh Show (ბრიტანული)	***The Ellen DeGeneres Show*** (ამერიკული)	*ნანუკას შოუ* (ქართული)

სტუდიის ვიზუალური ილუსტრაცია აჩვენებს, რომ სამივე კულტურის ტოქშოუს სტუდია გაწყობილია სავარძლებით ან დივანით და შუაში არის მაგიდა.

დილის ახალი ამბების ჟურნალის ფორმატის შოუები:

Loose Women (ბრიტანული)	***The View*** (ამერიკული)	*დღის შოუ* (ქართული)

აღნიშნულ ტოქშოუში წამყვანები სტუმართან ერთად უსხედან მაგიდას.

ზემოთ ნაჩვენები სტუდიების ნაწილები განკუთვნილია ადრესანტისა და ადრესატისათვის. მოცემულ გარემოში ასევე ცალკე ადგილია გამოყოფილი აუდიტორიისათვის.

ქვემოთ მოყვანილია სტუდიაში აუდიტორიისათვის განკუთვნილი ადგილების სურათები მეტი ვიზუალური სიცხადისათვის.

გვიან-ღამის გასართობი ტოქშოუები:

The Graham Norton Show (ბრიტანული)	***Late Night with Conan O'Brien*** (ამერიკული)

უნდა აღინიშნოს, რომ ჩემს მიერ განხილულ ქართულ *ვანოს შოუში* აუდიტორიისათვის განკუთვნილი სტუდიის ნაწილი არ ჩანს კადრში.

დღის აუდიტორიის მონაწილეობით შექმნილი შოუები:

The Alan Titchmarsh Show (ბრიტანული)	***The Ellen DeGeneres Show*** (ამერიკული)	*ნანუკას შოუ* (ქართული)

აუდიტორია ზის ადრესანტისა და ადრესატის მოპირდაპირე მხარეს, რიგებათ დაწყობილ სკამებზე.

დილის ახალი ამბების გაზეთის ფორმატის შოუ:

Loose Women (ბრიტანული)	***The View*** (ამერიკული)

დილის ქვეჟანრის ქართულ ტოქშოუში აუდიტორია არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად მოცემულ გარემოში (სტუდიის) აუდიტორიისათვის განკუთვნილი ნაწილი არ არის.

როგორც საილუსტრაციო ვიზუალური მასალიდან ჩანს, სტუდიები გაწყობილია დივანით, სავარძლითა და სკამებით, რომლებიც იქ მყოფი საზოგადოებისთვისაა განკუთვნილი. სტუდიაში წარმოდგენილი ხალხი ასრულებს ადრესანტის (წამყვანის), ადრესატისა (სტუმრებისა) და აუდიტორიის როლს და მათ აქვთ მათთვის განკუთვნილი ადგილი ამ **გარემოში** (სტუდია). წამყვანის ნებართვის გარეშე ვერ მოხდება ამ ადგილების შეცვლა (აუდიტორია ვერ ამოვა სცენაზე და სავარძელზე ვერ მოთავსდება, სტუმრებიც ვერ დაჯდებიან აუდიტორიასთან ერთად, თუ ამის უფლებას მათ არ მისცემს წამყვანი). მაგალითად, გვიან-ღამის და დღის ყველა ტოქშოუში ვიცით, რომ ადრესანტი ან სცენაზე დგება ან ჯდება მისთვის განკუთვნილ ადგილას, ანალოგიურად ადრესატსაც აქვს მისთვის განკუთვნილი კონკრეტული ადგილი დივანზე. დილის შოუებში ერთი შეხედვით თითქოსდა ადრესატის და ადრესანტის ადგილი არაა გამოყოფილი, მაგრამ დაკვირვების შედეგად უნდა ითქვას, რომ ადრესანტები სხედან მარჯვენა და მარცხენა მხარეს, ხოლო ადრესატი კი იკავებს ცენტრალურ ადგილს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ადრესანტისა და ადრესატის შეხვედრა ამ **გარემოში** ხდება საკმაოდ ფამილიარულად, რაც მათ არაინსტიტუციონალურ ხასიათზე მიანიშნებს: ისინი ეხვევიან, მხარზე ხელს ურტყავენ ერთმანეთს, მაგრამ ეს ძირითადად ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ადრესატსა (სტუმრებსა) და ადრესანტს (წამყვანს) შორის არის ახლო ურთიერთობა. იმ შემთხვევაში თუ ისინი კარგად არ იცნობენ ერთმანეთს ან მათ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობაა, ხდება უფრო ოფიციალური მისალმება, რაც ხელის ჩამორთმევით გამოიხატება (ინსტიტუციონალური მახასიათებელი).

სტუდიის გარდა ტოქშოუს **გარემო** შეიძლება იყოს რაიმე სხვა ადგილი, მაგალითად სტუმრის სახლი, სამუშაო ადგილი ან რაიმე სხვა. მაგალითად, ელენისა და ნანუკას შოუში იყო შემთხვევები, როდესაც გადაცემის სტუმრები არ იმყოფებოდნენ სტუდიაში, არამედ იყვნენ საკუთარ სახლში. უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სტუმრები არ იმყოფებიან სტუდიაში, ეს მაინც არაა ჩვეულებრივი საუბარი, რადგან საჭიროა სპეციალური

გადამცემი სიგნალები და კამერა, რომლის საშუალებითაც სტუმარსა და წამყვანს შორის კომუნიკაცია შედგება.

ყველა ტოქშოუ ეთერში გადის მისთვის განკუთვნილ დღის კონკრეტულ მონაკვეთში. იმის მიხედვით, თუ როდის გადის გადაცემა განსაზღვრავს მის თემატიკას და აუდიტორიას. დილის შოუების (*Loose Women, The View, დღის შოუ*) აუდიტორია არის უმეტესწილად მდედრობითი სქესის დიასახლისებისათვის, რადგან დღის ამ მონაკვეთში მათ აქვთ მეტი დრო უყურონ ტელევიზორს, შესაბამისად თემატიკაც განსხვავდება იმის მიხედვით თუ დღის რომელ მონაკვეთში გადის შოუ. სწორად დროის ასპექტის გათვალისწინებით ახდენს თიმბერგი ტოქშოუს ქვეჟანრების გამოყოფას.

I თავის დასკვნა

სპეციალური ლინგვისტური ლიტერატურისა და ემპირიული მასალის განხილვის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. დღეს სატელევიზიო სივრცეში არსებობს მრავალი ტოქშოუ, რომელთა კლასიფიკაციისას თიმბერგის მიერ გამოყენებული დროის ასპექტი აღარ არის რელევანტური. ყველაზე დიდი ცდომილება დროსთან მიმართებაში დღის და დილის ქვეჟანრის ქართულ და ბრიტანულ ტოქშოუებში გვხვდება;

2. ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოვყავი ტოქშოუს ჟანრის ზოგადი სქემატური ჩარჩო: **შესავალი, ინტერვიუ და დასკვნა**. თითოეული ნაწილი განსხვავებულად არის რეალიზებული სხვადასხვა კულტურისა და ქვეჟანრის ტოქშოუში:

ა) სამივე კულტურის **გვიან-ღამის გასართობი ტოქშოუს შესავალი** წარმოადგენს წამყვანის მონოლოგს, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: ახალი ამბების კომიკური გადმოცემა და წამყვანების წარდგენა. ბრიტანულ და ამერიკულ შოუებში შესავალს წინ უძღვის შესავალი-ანონსი, რომელიც პირველ ტოქშოუში თავად წამყვანის მიერ არის წარმოდგენილი, ხოლო ამერიკულ ვერსიაში კი გამომცხადებელის მიერ; ამ ორი ქვეყნის ტოქშოუების შესავალი-ანონსი განსხვავდება შინაარსობრივადაც. ბრიტანულ ტოქშოუში კომიკური დადგმაა გათამაშებული, ხოლო ამერიკულში ხდება სტუდიის, წამყვანისა და სტუმრების გამოცხადება. **ინტერვიუს** ნაწილში წარმოდგენილია კითხვა-პასუხი სტუმრებსა და წამყვანს შორის. **დასკვნითი** ნაწილშიც ძირითადად ორი ნაწილისაგან შედგება: სიმღერა, სკეჩი და სტუმრებთან და აუდიტორიასთან გამომშვიდობება;

ბ) **დღის აუდიტორიის მონაწილეობით შექმნილ ტოქშოებში** ეს სამი ნაწილი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი. ბრიტანული და ამერიკული ტოქშოუების **შესავალი** შედგება ორი ნაწილისაგან: შესავალი-ანონსი (წამყვანის წარდგენა) და წამყვანის მონოლოგი. აღსანიშნია, რომ შესავალ ნაწილში ამერიკულ ტოქშოუში ვხვდებით წამყვანის ცეკვას, რომელიც რიტუალიზებულია. ქართულ ტოქშოუში შესავალი მხოლოდ წამყვანის მონოლოგითაა წარმოდგენილი. სამივე კულტურის **ინტერვიუს** ნაწილი ერთნაირია და წამყვანასა და სტუმარს შორის კითხვა-პასუხზე აიგება. **დასკვნით** ნაწილში ხდება სტუმრებისათვის მადლობის გადახდა და აუდიტორიასთან გამომშვიდობება.

გ) **დილის ახალი ამბების ჟურნალის ფორმატის** ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ ტოქშოუებში ზემოთ აღნიშნული სტრუქტურის ნაწილები შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: სამივე კულტურის ტოქშოუს **შესავალი** მონოლოგის გარდა ასევე დისკუსიებს შეიცავს და სტუმრების წარდგენას. **ინტერვიუს** ნაწილი აქაც კითხვა-პასუხის სახითაა წარმოდგენილი. **დასკვნისას** ხდება აუდიტორიასთან გამომშვიდობება.

3. მიუხედავად ქვეჟანრებს შორის არსებული განსხვავებებისა, კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ არსებობს ზოგადი პრინციპები, რომელზეც აიგება ყველა ტოქშოუ. კვლევის შედეგად გამოვყავი თოთხმეტი საერთო ნიშანი.

4. ტოქშოუს ჟანრისათვის დამახასიათებელია დისკურსის სამი მონაწილე: ადრესანტი, ადრესატი და აუდიტორია. დაკვირვებამ აჩვენა, რომ ჟანრიდან გამომდინარე გვხვდება ორი ტიპის აუდიტორია: სტუდიაში მყოფი და სახლში ტელევიზორთან მსხდომი აუდიტორია. ჟანრი განსაზღვრავს აგრეთვე ადრესანტის რაოდენობას. დაკვირვებამ აჩვენა, რომ სამივე კულტურის დილის ქვეჟანრის ტოქშოუში არის ორზე მეტი ადრესანტი, ყველა სხვა დანარჩენ ქვეჟანრში კი ერთია;

5. ყველაზე ახლო კონტაქტი სტუდიის აუდიტორიასა და ადრესანტს შორის ამერიკულ დღის (*The Ellen DeGeneres Show*), ქართულ (*ნანიკოს შოუ*) და ბრიტანულ და ამერიკულ გვიან-ღამის შოუებში (*The Graham Norton Show, Late Night with Conan O'Brien*) გამოვლინდა. სახლში მყოფი აუდიტორია, მხოლოდ დილის ქართულ ტოქშოუშია ჩართული;

6. ადრესანტი, ადრესატი და აუდიტორია კომუნიკაციის დასამყარებლად იყენებს, როგორც უშუალო ასევე დისტანციურ კონტაქტს (**არხი**); კომუნიკაციის შესანარჩუნებლად **კოდი** არის მათი მშობლიური ენა უმეტესწილად ან საერთაშორისო ენა, რომელსაც იყენებს ადრესატი და ადრესანტის ნათქვამის გადათარგმნა ხდება თარჯიმნის მიერ;

7. ტოქშოუს ჟანრისათვის გარემო არის სტუდია, სადაც ხდება გადაცემის ჩაწერა. გვხვდება რამდენიმე გამონაკლისი, როდესაც მოქმედება ვითარდება სხვა გარემოში. დაკვირვებამ აჩვენა, რომ მოცემულ გარემოში კომუნიკაციის სამივე წევრს (ადრესანტს, ადრესატსა და აუდიტორიას) აქვთ მათთვის განკუთვნილი ადგილი და წამყვანიდან სპეციალური ნებართვის გარეშე ამ ადგილებს ვერ შეიცვლიან;

8. ტოქშოუში **შეტყობინების ფორმას** განსაზღვრავს ტოქშოუს ქვეჟანრის ტიპი და ასევე ტოქშოუს სამნაწილიანი სტრუქტურის ცალკეული ნაწილის სპეციფიკა. დილის ახალი ამბების ფორმატის ქვეჟანრის შესავალ ნაწილში ადრესანტების შეტყობინების ფორმა წარმოადგენს მონოლოგის, ნარატივის, დისკუსიისა და დიალოგის ნაზავს, ხოლო ადრესატისა კი ყველა ქვეჟანრში უმეტესწილად დიალოგია.

თავი II

სისტემური და რიტუალური შეზღუდვები ტოქშოუებში

§ 2.1. არხის გამხსნელი და დამასრულებელი სიგნალები

დისკურსის გასაანალიზებლად ერვინ გოფმანმა (Goffman, 1976) შეიმუშავა სისტემური ჩარჩო (კომუნიკაციის შეზღუდვების თეორია). მისი მტკიცებით, ვერბალური კომუნიკაციის კონკრეტული მახასიათებლები სისტემატურად კონტროლდება კომუნიკაციის სისტემის მიხედვით, ისინი ყველა ენას გააჩნია, უნივერსალურია და წარმოდგენილია ყველა ტიპის ვერბალურ კომუნიკაციაში. თუმცა, ცალკეული ენისა და კულტურის სპეციფიკიდან გამომდინარე მათზე ზემოქმედებს რიტუალური შეზღუდვები (Hatch 1992: 6-7).

გოფმანმა გამოყო ორი ტიპის კომუნიკაციური შეზღუდვა: 1. სისტემური შეზღუდვა, რომელიც აუცილებელია და ყველა კომუნიკაციურ სისტემაში ფიქსირდება და 2) რიტუალური შეზღუდვა ანუ სოციალური შეზღუდვა, რომელიც არეგულირებს სოციალურ-კულტურულ ურთიერთობებს და გავლენას ახდენს სისტემურ შეზღუდვებზე და სოციალურ დატვირთვას ანიჭებს მათ. ორივე ერთად საშუალებას გვაძლევს სისტემურ ჩარჩოებში მოვაქციოთ და მათი საშუალებით აღვწეროთ დისკურსი.

როგორც ცნობილია, ერვინ გოფმანის მიერ გამოყოფილია 8 სისტემური შეზღუდვა:

1) არხის გამხსნელი და არხის დამასრულებელი სიგნალები;
2) უკუკავშირის სიგნალები;
3) ჯერობის სიგნალები;
4) აკუსტიკურად ადეკვატური და ინტერპრეტირებადი შეტყობინებები;
5) ჩართული კონსტრუქციები;
6) კომუნიკაციის არამონაწილე წევრთა მარკერები;
7) შეწყვეტინების სიგნალები;
8) გრაისის მაქსიმები.

ისინი უნივერსალურია, ანუ ყველა ენაში ფიქსირდება (Hatch 1992: 8). რაც შეეხება რიტუალურ შეზღუდვებს, ისინი აწესრიგებენ სოციალურ ინტერაქციას და მოქმედებენ სისტემურ შეზღუდვებთან ერთად. სისტემური შეზღუდვები

წარმოგვიდგენენ კომუნიკაციის სისტემისათვის საჭირო ყველა კომპონენტს, ხოლო რიტუალური შეზღუდვები კი ავლენენ სოციალური მარკერების სისტემას, რომელიც სწორედ წარმართავს კომუნიკაციას. საუბრისას გვაქვს გარკვეული მოლოდინი, რაც გამომდინარეობს რიტუალური შეზღუდვებიდან. ეს უკანასკნელნი მართავენ სოციალური ჯგუფების კომუნიკაციას, თუმცა სხვადასხვა ჯგუფში ისინი განსხვავებულადაა წარმოდგენილი.

განვიხილოთ თუ, როგორ მოქმედებენ ცალკეული შეზღუდვები სამივე ქვეჟანრის ინგლისურენოვან და ქართულ ტოქშოუებში.

ყოველ საკომუნიკაციო აქტში არის სპეციალური მარკერები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ კომუნიკაცია უნდა დაიწყოს და შემდეგ იწყება და ასევე კომუნიკაცია დასასრულს უახლოვდება და სრულდება. ცნობილია, რომ არხის გამხსნელი და დამასრულებელი სიგნალები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ნებისმიერ დისკურსის ჟანრში. სხვადასხვა ტიპის დისკურსში (სატელეფონო საუბარი, წერილი და სხვა) ეს ნიშნები სხვადასხვა იქნება არხის, გარემოსა და სხვადასხვა ფაქტორის მიხედვით (Hatch 1992: 8). აღნიშნულ სისტემურ შეზღუდვაზე გავლენას ახდენს რიტუალური შეზღუდვაც. სხვადასხვა ენაში და კულტურაში აღნიშნული მარკერები სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. კულტურის მახასიათებლები აისახება იმაზე, თუ როგორ ხდება არხის გახსნა, რა მოცულობის უნდა იყოს არხის გახსნა, რაზე შეიძლება საუბარი არხის გახსნისას, როგორ უნდა მოხდეს მასზე პასუხის გაცემა. ასევე განსხვავდება არხის დამასრულებელი სიგნალები ენებისა და კულტურების მიხედვით. ზოგიერთ კულტურაში არხის დახურვაში ვერბალურად მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა კომუნიკაციაში ჩართულმა პირმა, ზოგან კი მხოლოდ არავერბალური სიგნალებიც საკმარისია (Hatch 1992: 47).

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ტოქშოუ არ განეკუთვნება დისკურსის ერთ რომელიმე კონკრეტულ ჟანრს, არამედ მასში ხდება სხვადასხვა ტიპის დისკურსის მახასიათებლების შერწყმა. ინსტიტუციონალური ხასიათიდან გამომდინარე, ყოველდღიური საუბრისაგან განსხვავებით, აქ წინასწარაა განსაზღვრული, თუ ვინ გახსნის არხს და რამდენი ხანი ისაუბრებს იგი, ანუ ხდება როლების წინასწარი გადანაწილება. (Ilie 2001: 222). გადაცემა უნდა დაიწყოს და დასრულდეს წინასწარ განსაზღვრულ დროს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება არხზე გასული სხვა გადაცემების არევაც. ასევე, ჩვეულებრივი საუბრისაგან განსხვავებით, ტოქშოუში არხის გახსნამდე ხდება

აუდიტორიის შემზადება იმისათვის, რომ არხი იხსნება. ასევე ყოველდღიური საუბრისაგან განსხვავებით, არხის გახსნაზე არ ვიღებთ დისკურსის სხვა მონაწილეებისაგან საპასუხო ვერბალურ სიგნალს.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ არხის გამხსნელი სიგნალები განსხვავებულადაა წარმოდგენილი სამივე ქვეყანრის ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ ტოქშოუებში. ბრიტანულ და ამერიკულ დღის და გვიან-ღამის გასართობ ტოქშოუებში (ბრიტანული - *The Alan Titchmarsh Show* და *The Graham Norton Show*) (ამერიკული – *The Ellen DeGeneres Show* და *Late Night with Conan O'Brien*) არხის გამხსნელ სიგნალს წინ უსწრებს არხის გახსნის წინმსწრები **ვიზუალური** და **ვერბალური** სიგნალები, რომელსაც წარმოადგენს გამომცხადებელი ან თავად წამყვანი (როგორც ეს არის ბრიტანულ *The Graham Norton Show*-ში). ყველა ქვეყანრის ქართულ და დილის ახალი ამბების ფორმატის ბრიტანულ (*Loose Women*) და ამერიკულ (*The View*) ტოქშოუში არხის გახსნის წინმსწრებ სიგნალად გამოიყენება **ვიზუალური** საშუალება, გადაცემის ქუდი და სპეციალური მუსიკა.

ტოქშოუში არხის გახსნისას სამიზნე აუდიტორიაა, როგორც სახლში ეკრანებთან მსხდომი, ასევე სტუდიაში მყოფი ინდივიდები.

ბრიტანულ და ამერიკულ არხის გახსნის წინმსწრებ **ვერბალურ და ვიზუალურ** სიგნალებში შეინიშნება განსხვავება.

დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ ბრიტანული არხის გახსნის წინმსწრები სიგნალები უფრო მოკლეა. *The Graham Norton Show*-ში არხის გამხსნელ ვერბალურ სიგნალს წარმოადგენს თავად წამყვანი, რომლის დასრულების შემდეგაც გვაქვს არხის გახსნის წინმსწრები ვიზუალური სიგნალი, გადაცემის ქუდი.

ამ შემთხვევაში ვერბალურ არხის გახსნის წინსმსწრებ სიგნალს ცვლის ვიზუალური სიგნალი.

არხის გახსნის წინმსწრები ვერბალური სიგნალები მოკლეა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წინადადება ყველა არხის გახსნის წინმსწრებ სიგნალში

იდენტურია. დაკვირვების შედეგად, აღნიშნულ ბრიტანულ ტოქშოუში გამოვყავით არხის გახსნის წინმსწრები სიგნალების ორი ჯგუფი:

1) ა) სტუმრის არაპირდაპირი იდენტიფიკაცია; ბ) კომიკური ელემენტი გ) სპეციალური ფრაზა და ვიდეო-ქუდი.

(1) Graham: (ა)We've got one of Hollywood's most famous directors. His new films are all about cowboys. (ბ) Muahhhaa. He'll be here in a second, so I'd better move on. Yeah, yeah, go, go. (წამყვანი ზის სათამაშო ცხენზე, სტუდიაში ისმის ცხენის ჭიხვინის ხმა). (გ) Let's Start the Show. ამ ფრაზის დასრულების შემდეგ იწყება გადაცემის ვიდეო-ქუდი (*The Graham Norton Show*, 11 Jan., 2013)

მოცემული ტიპის არხის გახსნის წინმსწრებ სიგნალში წამყვანი შოუს დაწყებამდე წარმოდგენას გვიქმნის თუ რა სფეროდან იქნება სტუმარი, თუმცა არ ხდება მისი სახელით იდენტიფიკაცია. ასევე ჩართულია კომიკური ელემენტი, რომელიც კავშირშია თემატურად სტუმართან. წამყვანი საუბრისას ორიენტირებულია როგორც სტუდიაში, ასევე სახლში ეკრანებთან მსხდომ აუდიტორიაზე. აუდიტორიასთან მიმართვისას იყენებს პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელს, ინკლუზიურ we-ს. ასევე ხშირად სტუმრის წარდგენისას ექსპლიციტურად ესმება ხაზი მის ინსტიტუციონალურ როლს გადაცემაში, რომ ის არის სტუმარი. ასევე წამყვანის ბოლო ფრაზაც – Let's start the show - ხაზს უსვამს, რომ აღნიშნული დისკურსი არის ინსტიტუციონალური ხასიათის, თუმცა გამოყენებულია არაოფიციალური რეგისტრი.

2) ა) კომიკური ელემენტი; ბ) სპეციალური ფრაზა და ვიდეო-ქუდი

(2) Graham: (ა) Uuuh, I'm just going to remind you my New Year resolutions. Get my international singing star, checked. Get a beautiful British actress, checked. Get a really attractive and sexy audience watch them. (უყურებს აუდიტორიას) Well not all. (ბ) Let's start the show. video-ქუდი (*The Graham Norton Show*, 4 Jan., 2013).

წამყვანი იყენებს არაოფიციალურ რეგისტრს. აღნიშნული ჯგუფის არხის გახსნის წინმსწრებ სიგნალებში გვხვდება საუბრისათვის დამახასიათებელი შეკვეცილი ფორმები, სასაუბრო ლექსიკა: gonna, you know; I'm very angry, very angry; შორისდებულები – uuuh, oh. გადაცემის ვიდეო-ქუდი იწყება არხის გახსნის წინმსწრები სიგნალის დასრულების შემდეგ.

მეორე ბრიტანულ ტოქშოუს (*The Alan Titchmarsh Show*) ყველა გადაცემაში სტანდარტულად მეორდება არხის გახსნის წინმსწრები **ვერბალური** სიგნალი. თოქშოუ იხსნება გადაცემის ვიდეო-ქუდით, (გვაქვს არხის გახსნის წინმსწრები ვიზუალური სიგნალი), რის შემდეგაც ისმის გამომცხადებლის ხმა (ვერბალური სიგნალი), სადაც არხის გახსნის წინმსწრები სიგნალის შემდეგი თანმიმდევრობაა: ა) მიმართვა აუდიტორიისადმი; ბ) წამყვანის იდენტიფიკაცია.

(3) Announcer: (ა) Ladies and Gentlemen, (ბ) Alan Titchmarsh (*The Alan Titchmarsh Show*, 18 Oct., 2009)

(4) Announcer: Please welcome your host, Alan Titchmarsh (*The Alan Titchmarsh Show)*.

ყოველდღიურ საუბარში არ ხდება მოსაუბრის გამოცხადება. ამ შემთხვევაში კი გამომცხადებელი ცდილობს მიმართოს აუდიტორიას და წარადგინოს წამყვანი.

მეორე განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ წარმოთქმული ორიენტირებულია არა მხოლოდ მსმენელზე, არამედ ფართო აუდიტორიაზე. ზემო აღნიშნულ ბრიტანულ არხის გახსნის წინმსწრებ სიგნალში აუდიტორიისადმი მამართვა ხდება ოფიციალური რეგისტრის მქონე ლექსიკით. წამყვანი იდენტიფიცირებულია სრული სახელით, თუმცა არ გამოიყენება ოფიციალური მიმართვის ფორმა. გვაქვს ელიფსური წინადადება. მეორე მაგალითში ასევე ექსპლიციტურადაა ხაზი გასმული პიროვნების ინსტიტუციონალურ როლზე, რომ ის წამყვანია.

ჩემს მიერ განხილულ ბრიტანულ ტოქშოუებში არხის გახსნის წინმსწრები სიგნალები მოკლეა, მიმართულია ფართო აუდიტორიისადმი და აუდიტორიისაგან პასუხად მიიღება ოვაციები და ტაში.

ამერიკული არხის გახსნის წინმსწრები სიგნალები უფრო მრავალფეროვანი და მეტი ინფორმაციის მომცველია. თუმცა, მათ შორისაც არის განსხვავება.

ამერიკულ *Late Night with Conan O'Brien* შოუში გამოყენებული არხის გახსნის წინმსწრები სიგნალი ბრიტანული გადაცემების მსგავსად უფრო მოკლე და

სტანდარტულია, სტრუქტურა მეორდება ყველა გადაცემაში. აღსანიშნავია რომ, ამ ტოქშოუში არხის გახსნის წინმსწრები ვიზუალური (გადაცემის ვიდეო-ქუდი) და ვერბალური სიგნალები ერთდროულად არის გამოყენებული. გადაცემის ვიდეო-ქუდის გასვლისთანავე ისმის გამომცხადებლის ხმაც.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად, ზემოაღნიშნულ ტოქშოუში გამოვყავი არხის გახსნის წინმსწრები სიგნალების ორი ჯგუფი:

1) ა) სტუდიის, ადგილის და გადაცემის იდენტიფიკაცია; ბ) სტუმრების იდენტიფიკაცია სახელებით და ვიდეოთი; გ) გადაცემის თანამონაწილეების იდენტიფიკაცია სახელებით და ვიდეოთი; დ) წამყვანის იდენტიფიკაცია.

(5) Announcer: (ა) From NBC Studios and New York, it's Late Night with Conan O'Brien. (ბ) Tonight Pamela Anderson (ვიდეო), Micheil T. Weiss, Ricky Skaggs and a hobbit (ვიდეო). (გ) We're Andy, Randolf, Max Weinberg 7. (დ) And Now here is your host, Conan O'Brien (*Late Night with Conan O'Brien,* 5 Feb., 1999).

ტოქშოუს დაწყებამდე გამომცხადებელი წარმოდგენას უქმნის აუდიტორიას თუ ვისი ნახვა იქნება შესაძლებელი. პირველივე წინადადებიდან ჩანს, რომ გამომცხადებლის საუბარი არის ინსტიტუციონალური ხასიათის, რადგან დასაწყისშივე ახდენს სტუდიის და გადაცემის იდენტიფიკაციას. სტუმრების იდენტიფიკაცია ხდება ვიდეო მასალითა და მათი სრული სახელების გამოცხადებით. ექსპლიციტურად ხაზი არ ესმევა მათ ინსტიტუციონალურ როლს, თუმცაღა სიტყვა Tonight-ი იმპლიციტურად მიანიშნებს აუდიტორიას, რომ ეს ადამიანები არიან დღევანდელი შოუს სტუმრები. წამყვანის იდენტიფიკაცია ხდება მისი სრული სახელით და ასევე ექსპლიციტურად ხაზი ესმევა მის როლს, რომ ის არის წამყვანი. მეტი ემფატურობისათვის, გამომცხადებელი წამყვანის სახელს აცხადებს აღმავალი ინტონაციით და მარცვლების წაგრძელებით.

2) ა) ადგილის და გადაცემის იდენტიფიკაცია; ბ) სტუმრების იდენტიფიკაცია ვერბალურად და ვიზუალურად სახელებით; გ) გადაცემის სხვა

მონაწილეების იდენტიფიკაცია სახელებით და ვიდეობით; დ) წამყვანის იდენტიფიკაცია.

(6) Announcer: (ა) From San Francisco, the most panoramic city of America, it's a play time with Conan O'Brien. (ბ) Tonight Dana Carvey (ჩნდება მისი სახელი ეკრანზე), comedian Jasper Redd (ჩნდება მისი სახელი ეკრანზე) and jazz band Arctic Monkeys (ჩნდება მისი სახელი ეკრანზე). (გ) With Max Wiberg and Max Weinberg seven 7. (დ) Now, here is your host, Conan O'Brien (*Late Night with Conan O'Brien, 30 Apr., 2007)*.

ამ ტიპის არხის გახსნის წინმსწრებ სიგნალებში გამომცხადებელი აღარ ახდენს სტუდიის სახელის იდენტიფიკაციას. სტუმრების იდენტიფიკაცია კვლავაც ხდება მათი სრული სახელებით ვერბალურად და ვიზუალურად, იმპლიციტურადაა მინიშნება მათ ინსტიტუციონალურ როლზე, რომ ისინი არიან სტუმრები. წამყვანის იდენტიპიკაცია აქაც ხდება ემფატიკურად წარმოთქმული სრული სახელით და კვლავაც ექსპლიციტურად ესმევა ხაზი მის ინსტიტუციონალურ როლს.

ელენის შოუში არხის გახნის წინმსწრები სიგნალი იწყება ვერბალურად, მას მოსდევს ვიზუალური სიგნალი (გადაცემის ვიდეო-ქუდი),

შემდეგ კვლავ ვერბალური სიგნალი. *The Ellen DeGeneres Show* –ში გამოყენებული არხის გახსნის წინმსწრები სიგნალები შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად:

1) ა) სპეციალური ფრაზა; ბ) სტუმრების იდენტიფიკაცია სახელებითა და ვიდეო მასალით; გ) გადაცემის გამოცხადება და ვიდეო-ქუდი; დ) წამყვანის იდენტიფიკაცია.

(7) Announcer: (ა) Today on Ellen – (ბ) Hugh Grant meets British princess (ვიდეო კადრი გადაცემიდან). Plus, do parents get a healthy deed (ვიდეო კადრი გადაცემიდან) and a surprise photo (ვიდეო კადრი გადაცემიდან). (გ) Ellen starts now. (ამის შემდეგ ეკრანზეა გადაცემის ქუდი, რომლის დასრულების შემდეგაც კადრში ჩნდება წამყვანი და ისევ ისმის გამომცხადებლის ხმა). (დ) Here she is now, Ellen DeGeneres (*The Ellen DeGeneres Show*, 27 April, 2012).

არხის გახნის წინმსწრები სიგნალი ინფორმაციას აძლევს აუდიტორიას, ვისი და რისი ნახვა იქნება შესაძლებელი შოუში სტუმრების სახელების გამოცხადებით. მას თან ერთვის ვიდეო ამონარიდები გადაცემიდან და შემდეგ ხდება შოუს სახელის გამოცხადება. ბრიტანული არხის გახსნის წინმსწრები სიგნალისაგან განსხვავებით, ამერიკულ ტოქშოუში არ გვხვდება ოფიციალური რეგისტრის მქონე ლექსიკა. გამოყენებულია მარტივი წინადადებები, მესამე პირის ნაცვალსახელები და სრული სახელები სტუმრის და წამყვანის იდენტიფიკაციისათვის. გვხვდება ფრაზები, მაგ. როგორიცაა Today on Ellen; Ellen starts now, რომელიც მიგვანიშნებს, რომ მოცემული ზეპირი დისკურსი განეკუთვნება ტოქშოუს ჟანრს.

ზემომოყვანილი ტიპის არხის გახსნის წინმსწრებ სიგნალში გამომცხადებელი მიმართავს სახლში ტელევიზორთან მსხდომ და სტუდიაში მყოფ აუდიტორიას და წარმოდგენას უქმნის მათ, თუ რისი ნახვის საშუალება ექნებათ მოცემულ გადაცემაში. ამის შემდეგ არის არხის გახსნის წინმსწრები ვიზუალური სიგნალი. არხის გახსნის წინმსწრები სიგნალის დახურვა ხდება წამყვანის სახელის გამოცხადებით, რომელიც ასევე გადაცემის სახელის ნაწილიცაა.

2) ა) სპეციალური ფრაზა – Today on Ellen; ბ) სტუმრების იდენტიფიკაცია ვიდეო მასალით და ნაცვალსახელებით; გ) გადაცემის გამოცხადება და ვიდეო-ქუდი; დ) წამყვანის იდენტიფიკაცია.

(8) Announcer: (ა) Today on Ellen. (კადრში ჩანს წამყვანი, რომელიც წარადგენს სტუმარს) (ბ) She sounds good no matter what she does, even playing Ellen's animal game. Plus, Anna Kendrick on her new movie with Jennifer Lopez (კადრი გადაცემიდან) and bad bride photos (კადრი გადაცემიდან). (გ) Ellen starts now. ამის შემდეგ ეკრანზეა გადაცემის ვიდეო-ქუდი, რომლის დასრულების შემდეგაც ჩნდება კადრში წამყვანი და ისევ ისმის გამომცხადებლის ხმა. (დ) Here she is now, Ellen DeGeneres. (*The Ellen DeGeneres Show*, 9 May, 2012).

გამომცხადებელი აუდიტორიას წარმოდგენას უქმნის ვისი და რისი ნახვა იქნება გადაცემაში შესაძლებელი. სტუმრების იდენტიფიკაციისათვის გამოყენებულია მესამე პირის ნაცვალსახელები და სრული სახელები. ეკრანზე ჩანს წამყვანი და სტუმრები, რომლის საშუალებითაც ჩვენ ვგებულობთ ვინ არიან სტუმრები. გამოყენებულია მარტივი, მოქმედებითი გვარის წინადადებები.

3) ა) სპეციალური ფრაზა; ბ) სტუმრების იდენტიფიკაცია სახელით და ვიდეოებით; გ) გადაცემის დაწყების გამოცხადება და ვიდეო-ქუდი; დ) წამყვანის და სტუდიის იდენტიფიკაცია.

გამომცხადებელი აცხადებს სტუმარს სახელით, რომელსაც თან ერთვის ამონარიდები გადაცემიდან. შემდეგ ხდება გადაცემის სახელის გამოცხადება. არხის გახსნის წინმსწრები სიგნალის დახურვა ხდება სტუდიის და წამყვანის სახელის გამოცხადებით. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდიის სახელის იდენტიფიკაცია ფიქსირდება მხოლოდ 2010 წლის ვიდეო მასალებში.

(9) Announcer: (ა) Today on Ellen (ინტერვიუს ნაწილი გადაცემიდან) (ბ) The one interview with Portia De Rossi you won't see anywhere else. (ვიდეო, ნაწილი ინტერვიუდან) Secrets even Ellen didn't know. Portia De Rossi's most intamate interview (ვიდეო) and (გ) All New Ellen starts now. (გადაცემის ქუდი) (დ) From Warner Brother's Studio, here she is now Ellen DeGeneres. (*The Ellen DeGeneres Show*, 11 April, 2010).

არხის გახსნის წინმსწრებ სიგნალში გვხვდება შეკვეცილი ფორმები, რაც სასუაბრო, არაოფიციალური საუბრისათვის არის დამახასიათებელი. წამყვანი მოხსენიეულია ზოგჯერ მხოლოდ სახელით. სტუმრების იდენტიფიკაცია ხდება სრული სახელით. გამოყენებულია მარტივი წინადადებები, მოქმედებითი გვარი. გვხვდება ფრაზები, მაგ: Today on Ellen; From Warner Brother's Studio, რომლებიც მიუთითებს, რომ აღნიშნული დისკურსი განეკუთვნება თოქშოუს ჟანრს.

4) ა) სპეციალური გადაცემის დაწყების გამოცხადება; ბ) სტუმრების იდენტიფიკაცია სახელით და ვიზუალურად; გ) წამყვანის იდენტიფიკაცია და შეხვედრა.

აღნიშნულ თანმიმდევრობაში განსხვავება შეინიშნება ტოქშოუს სპეციალურ გადაცემებში, რომლებიც ეძღვნება სხვადასხვა მნიშვნელოვან მოვლენას. მაგ: ემის დაჯილდოვებას, სეზონის პრემიერას და ა.შ. გამომცხადებელი აცხადებს სპეციალურ გადაცემას, შემდეგ მონაწილე სტუმრებს სახელებით (ჩანს ეკრანზე მათი სახელები, თუმცა ვიდეო კადრები არ არის).

(10) Announcer: ა) It's the season Premier of Ellen DeGeneres show and it starts right now from the video movie awards. ბ) This year's big names from music: Justin Bieber, Justin Timberlake, Katy Perry, Lady Gaga, Usher. გ) Here she is now, Ellen DeGeneres. (*The Ellen DeGeneres Show, Season Premier, 2011*)

ყველა ჩემ მიერ განხილული არხის გახსნის წინმსწრები ვერბალური და ვიზუალური (ამონარიდები გადაცემიდან თუ რას ნახავს აუდიტორია) სიგნალი ასრულებს ინსტიტუციონალურ ფუნქციას. იგი ორიენტირებულია არა თანამოსაუბრეზე, არამედ სტუდიაში და სახლში მყოფ აუდიტორიაზე. მისი მიზანია არხის გახსნას გაუკეთოს შესავალი, წარადგინოს გადაცემა და მიიპყროს მაყურებლის ყურადღება რათა ისინი დარჩნენ მათთან ერთად და უყურონ აღნიშნულ გადაცემას მომავალი ერთი საათის განმავლობაში.

ზემო მოყვანილ არხის გახსნის წინმსწრებ სიგნალებში ხდება ოფიციალური და არაოფიციალური რეგისტრის გაერთიანება. ერთი მხრივ, გამოყენებულია სრული სახელები, როგორც წამყვანის ასევე სტუმრის იდენტიფიკაციისათვის. თუმცა, მეორე მხრივ, გვხვდება მხოლოდ სახელები და მესამე პირის ნაცვალსახელები. ასევე გამოიყენება მარტივი წინადადებები, მოქმედებითი გვარი, შეკვეცილი ფორმები რაც სასაუბრო, არაოფიციალური რეგისტრისათვის არის დამახასიათებელი. არხის გახსნის წინმსწრებ სიგნალზე აუდიტორია პასუხობს მხოლოდ ტაშითა და ოვაციებით.

ჩემ მიერ განხილულ ბრიტანულ შოუში *Loose Women*, ამერიკულ - *The View*-ში და ყველა ქართულ ტოქშოუში არხის გახსნის წინმსწრები სიგნალი არის გადაცემის ვიდეო-ქუდი, სპეციალურად გადაცემისათვის შერჩეული მუსიკა და ვიდეო კლიპი.

ქვემოთ მოყვანილია ზემო აღნიშნული გადაცემების ქუდები.

Loose Women (ბრიტანული ტოქშოუ)	***The View*** (ამერიკული ტოქშოუ)

ქართული ტოქშოუები

დღის შოუ	*ნანუკას შოუ*	*ვანოს შოუ*

აღნიშნული ტიპის არხის გახსნის წინმსწრები ვიზუალური სიგნალი ორიენტირებულია მხოლოდ სახლში მყოფ აუდიტორიაზე. ასევე ამ შემთხვევაში არ ხდება გადაცემის სტუმრების და წამყვანის ვერბალურად წინასწარ იდენტიფიკაცია.

არხის გახსნის წინმსწრები სიგნალის დასრულების შემდეგ სტუდიაში შემოდის ან ეკრანზე ჩნდება წამყვანი ინსტიტუციონალურად მისთვის განკუთვნილ ადგილას, სცენის შუაში ან მისთვის განკუთვნილ სხვა ადგილას. სანამ მოხდება არხის ვერბალური გახსნა მას წინ უძღვის არხის გახსნის მოსამზადებელი არა-ვერბალური სიგნალი: წამყვანი გამოდის სცენაზე და დგება ცენტრში, ცდილობს დაამყაროს თვალის კონტაქტი, მზერა გადააქვს აუდიტორიაზე, თავს უკრავს მათ, ხელს უქნევს მისალმების ნიშნად, რის შემდეგაც იგი იწყებს საუბარს, ანუ იყენებს არხის გახსნის ვერბალურ სიგნალებს.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ყველა ბრიტანულ შოუში არხის გახნისას ხდება აუდიტორიათან მისალმება და მათი შოუზე მოპატიჟება, რომელსაც თან ახლავს გადაცემის სტუმრების წარდგენა. თუმცა, არსებული საერთო მახასიათებლების გარდა სხვადასხვა ქვეჟანრებში მაინც შეინიშნება განსხვავებები მათი ფორმატიდან, სოციალური ასპექტებიდან და გარემოდან გამომდინარე, ანუ მოქმედებს რიტუალური შეზღუდვა.

ზოგადად გვიან-ღამის გასართობი ტოქშოუს ჟანრისათვის დამახასიათებელია კომიკური ელემენტები, რაც გამოჩნდა არა მხოლოდ ბრიტანული ტოქშოუს (*The Graham Norton Show*) არხის გახსნის წინმსწრებ, არამედ თავად არხის გამხსნელ სიგნალშიც. სტუმრის წარდგენა ხდება როგორც

ვერბალურად, ასევე ვიზუალურად ეკრანზე ნაჩვენები სურათის საშუალებით. ასევე ყველა გვიან-დამის ბრიტანულ შოუში არხის გახსნა ხდება აუდიტორიასთან მისალმებით და მათი შოუზე მოპატიჟებით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეჟანრისათვის დამახასიათებელია არხის გახსნის გარკვეული საერთო კომპონენტები, რომლებიც ყველა გადაცემაში მეორდება, მათ შორის მაინც არსებობს მცირე განსხვავებები. მას შემდეგ რაც წამყვანი თავად აცხადებს შოუს დაწყებას და დასრულდება გადაცემის ქუდი სცენაზე არბის წამყვანი და იკავებს მისთვის განკუთვნილ ცენტრალურ ადგილს, რის შემდეგაც ხდება არხის ვერბალური გახსნა. არხის გამხსნელი სიგნალების შემდეგი თანმიმდევრობა შეინიშნება მოცემული ქვეჟანრის ბრიტანულ ტოქშოუში:

1) ა) აუდიტორიისათვის მადლობის გადახდა და მისალმება; ბ) შოუზე მოპოტიჟება; გ) კომიკური ჩანართი; დ) სტუმრების იდენტიფიკაცია ვერბალურად და ვიზუალურად;

(11) Graham: (ა) Oh, oh, thank you very much. Hello everybody. Hello, hello. (ბ) Welcome one, welcome all. (გ) Oh dear, skid marks everywhere. (დ) Hey, we have some great guests to view this evening and tonight's show, by the way, is brought to you by the letter "J". Hollywood star Jake Gyllenhaal is here (სურათი), top gear stars Jeremy Clarkson and James May (სურათი) are on the show and the stand-by comedian, the legendary Joan Rivers (სურათი) is here. Plus, later on we've got some fast beats with the wonderful Kesha (სურათი), ladies and gentlemen (*The Graham Norton Show*, 1 Dec., 2012*)*.

არხის გახსნისას წამყვანი მადლობას უხდის და ესალმება აუდიტორიას და ეპატიჟება მათ შოუზე. ქვეჟანრის მახასიათებლიდან გამომდინარე ის იყენებს იუმორისტულ ვერბალურ და ვიზუალურ საშუალებებს. არხის გახსნისას გამოყენებული ზემოთ მოყვანილი დისკურსის მონაკვეთი განეკუთვნება, ერთი მხრივ, არაოფიციალურ, სასაუბრო ჟანრს და მეორე მხრივ, მასში შეინიშნება ინსტიტუციონალური ჟანრის ელემენტები. წამყვანი ხშირად იყენებს შორისდებულებს: oh, hey, yeah, oh dear; იმეორებს ფრაზებს: hello, hello; ასევე არაოფიციალურ რეგისტრზე მიუთითებს ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც გამოიყენება აუდიტორიისადმი მისამართად: everybody, one, all. აღნიშნულ დისკურში ასევე გვხვდება შეკვეცილი ფორმები, პირველი პირის მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი (ინკლუზიური we = წამყვანი+აუდიტორია).

მეორე მხრივ, გვხვდება ინსტიტუციონალური ხასიათის ელემენტები, როგორიცაა – ladies and gentlemen, Mr. Tom Cruise, guests.

2) ა) აუდიტორიისათვის მადლობის გადახდა და მისალმება; ბ) ანონსი; გ) სტუმრების ვერბალური და ვიზუალური იდენტიფიკაცია;

(12) Graham: (ა) Oh, oh, oh. Thank you very much. Hello everyone. (ბ) Tonight on the show we have all singing, all dancing, all gorgeous. გ) Zac Efron is here (სურათი) Yeah, starting brand new episode Matt LeBlanc (სურათი) is on the show and Lee Mack (სურათი) is here. And plus we've got music from fabulous Marina and the Diamonds (სურათი) (*The Graham Norton Show*, 27 Apr., 2012).

წამყვანი იწყებს გადაცემას აუდიტორიასთან მისალმებით და მათთვის მადლობის გადახდით. აუდიტორიის მისამართად გამოყენებულია არაოფიციალური ერთეულები – you, everyone. ისევე როგორც წინა მაგალითში (11), აქაც გამოქენებულია სასუბრო, არაოფიციალური რეგისტრისათვის დამახასიათებელი შორისდებულები და შეძახილები, (oh, yeah) სიტყვების გამეორება (oh, oh, oh), შემოკლებული ფორმები (we've got). თუმცა, გვხვდება ცალკეული ფრაზებიც და სიტყვებიც, რომლებიც აღნიშნული დისკურსის ინსტიტუციონალურ ხასიათზე მიანიშნებს. მაგ., Tonight on the show.

3) ა) აუდიტორიასთან მისალმება და პირადი კომენტარი; ბ) შოუზე მოპატიჟება და ინფორმაციის ჩაკითხვა; გ) სტუმრების ვერბალური და ვიზუალური იდენტიფიკაცია;

(13) Graham: ა) Oh, oh, wow, oh, uh. Good evening. Oh Jesus, it stinks. ბ) Welcome everybody. It's Christmas. I know it seems to get earlier this year, doesn't it? We've got a cracker of the show for you tonight. გ) So film star, extraordinary Dustin Hoffman is here, ladies and gentlemen (სურათი) Yeah, yeah. Legendary Scottish comedian Billy Connolly is here. A big star Jennifer Saunders is here. And joining us later, it's not Chritmas without him, doctor Haulmes, Matt Smith is here. I know. Plus, yes plus, we've got music from wonderful Emmy McDonalds, ladies and gentlemen (*The Graham Norton Show*, 29 Dec., 2012).

მოცემულ მაგალითში (13) წამყვანი ესალმება აუდიტორიას და მიმართვისას იყენებს, როგორც ოფიციალურ ასევე არაოფიციაულურ ლექსიკურ ერთეულებს. სტუმრები წარდგენილნი არიან სრული სახელებით, რაც უფრო ოფიციალურ ელფერს აძლევს მოცემულ დისკურსის მონაკვეთს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნულ ბრიტანულ ქვეჟანრში ყველგან ხდება არხის გახსნა წამოძახილებით (oh, wow, yeah), სტუმრებთან მისალმება და სტუმრების წარდგენა სრული სახელებით.

ბრიტანულ დღის შოუს (*The Alan Titchmarsh Show*) არხის გახსნის წინმსწრები სიგნალის დასრულების შემდეგ სტუდიაში შემოდის წამყვანი, მიემემართება სცენის შუაში და იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს, რის შემდეგაც ხსნის არხს. დაკვირვებამ აჩვენა, რომ არხის გახსნისას წამყვანი ყოველთვის ესალმება აუდიტორიას და ეპატიჟება მათ შოუზე, ასევე ახდენს სტუმრების წარდგენას. თუმცა აქაც, ისევე როგორც ზემო განხილული ქვეჟანრის თოქშოუშიც, შეინიშნება არხის გამხსნელი სიგნალების შემდეგი თანმიმდევრობები:

1) ა) მისალმება და შოუზე მოპატიჟება; ბ) სტუმრების არაპირდაპირი წარდგენა.

(14) Alan: (ა) Hello and welcome to Friday eighty show. (ბ) Anything can happen next one hour because I am joined by these very friends. Also, tonight we gonna bring artistic bands (*The Alan Titchmarsh Show,* 19 March, 2010).

არხის გახსნისას წამყვანი ესალმება აუდიტორიას და ეპატიჟება მათ შოუზე. იყენებს არაოფიციალურ რეგისტრს, რაც გამოიხატება: მარტივი, მოქმედებითი გვარის წინადადებების და პირველი პირის მხოლობითი და მრავლობითი ნაცვალსახელების (ინკლუზიური we) გამოყენებით. ასევე გვხვდება არაოფიციალური, სასაუბრო ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა: gonna.

2) ა) მადლობის გადახდა და აუდიტორიის დაწყნარება; ბ) მისალმება და შოუზე მოპატიჟება; გ) სტუმრების წარდგენა არაპირდაპირ; დ) სტუმრების წარდგენა პირდაპირ.

(15) Alan: (ა) Thank you very much. Stop, stop it’s too much. No it’s not actually. (ბ) Hello, Welcome to Tuesday’s eighty show today (გ) with the most successful girl group of all time. Yeah, they had more hits than spice girls, more album sales than other girls and they are still going their 27 year after their first hit single Bananarama, chatty performance exclusively for their brand new album. (დ) Bananarama (*The Alan Titchmarsh Show,* 18 Oct., 2009).

მოცემულ მონაკვეთშიც უფრო არაოფიციალური, სასაუბრო რეგისტრი გამოიყენება, რაც გამოიხატება: შეკვეცილი ფორმების გამოყენებაში (it’s), ისეთ

ლექსიკურ ერთეულებში როგორიცაა: Yeah, მესამე პირის ნაცვალსახელის გამოყენებაში და მარტივ წინადადებებში.

არხის გამხსნელ სიგნალზე პასუხად მიიღება ტაში და ოვაციები.

რაც შეეხება მესამე ქვეჟანრის ტიპის ბრიტანულ ტოქშოუს *Loose Women* არხის გახსნა ხდება ერთ-ერთი წამყვანის მიერ, მას შემდეგ რაც დამთავრდება გადაცემის ქუდი. კადრში ჩანს ერთ-ერთი წამყვანი, რომელსაც უკავია უკვე თავისი ადგილი და ხსნის არხს. არხის გახნის შემდეგი თანმიმდევრობები გამოვლინდა დაკვირვების შედეგად:

1) ა) აუდიტორიასთან მისალმება და შოუზე მოპატიჟება; ბ) დროის იდენტიფიკაცია; გ) წამყვანების წარდგენა; დ) სტუმრის არაპირდაპირი წარდგენა; ე) სტუმრის პირდაპირი წარდგენა; ვ) აუდიტორიისათვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება.

(16) Host: (ა) Hello and welcome on Loose Women, (ბ) on Monday, 8 April. (გ) We're kicking off your week with me Andrea Mclean, with us today are Linda Robson, Carol McGriffin and Denise Welch. (დ) On the show today, he's gone from being an eastender to westender. Telling us all about his latest novel in London. (ე) It's Johny Patridge and (დ) here's the lady who's gone under cover. To give away secret millions all in the name of charity, (ე) Katy Beiber. (ვ) If you've got a question for John or Katy, or if you want to air your opinion, we're discussing today email us at loose.woman@itv.com post on our facebook page or twitter using the #loosewomen and get in tough by 1.05 p.m. cause we've a chance to read them out (*Loose Women,*8 April, 2011).

არხის გახსნისას გამოყენებულია ყოველდღიური საუბრისათვის დამახასიათებელი შეკვეცილი ფორმები (we're, he's, it's), არაოფიციალური რეგისტრის სიტყვები ('cause), მარტივი კონსტრუქციები. მეორე მხრივ, გვხვდება ფრაზები, რომლებიც ხაზს უსვამს დისკურსის ინსტიტუციონალურ ხასიათს: welcome on loose women, on the show today, air your opinion. ასევე გამოყენებულია სრული სახელები როგორც წამყვანების ასევე სტუმრების წარსადგენად, რაც უფრო ოფიციალური გარემოსათვის არის დამახასიათებელი.

2) ა) მისალმება; ბ) დროის და გადაცემის იდენტიფიკაცია; გ) წამყვანების წარდგენა; დ) სტუმრების პირდაპირი იდენტიფიკაცია.

(17) Host: ა) Hello. ბ) It's Monday, 5 September. This is Loose Women live. გ) I'm Carol Vorderman, the new girl of the block and on Loose Women are: Lisa Maxwell, Denise

Welsh and Sherrie Hewson. Let's have a look to see who's in the New Look. დ) There is TV couple, extraodirnary Richard and Judy Finigan (*Loose Women.* 5 September, 2011*).*

მოცემულ თანმიმდევრობაშიც არხის გახსნისას ხდება ოფიციალური და არაოფიციალური ერთეულების შერწყმა.

3) ა) მისალმება და აუდიტორიის შოუზე მოპატიჟება; ბ) დროის იდენტიფიკაცია; გ) სპეციალური გადაცემის დაანონსება; დ) წამყვანთან გამომშვიდობება; ე) წამყვანების წარდგენა.

(18) Host: ა) Hello and welcome to Loose Women. ბ) It's Thursday, 28 July and გ) today it's really a very special show cause after ten years of laughter, tears დ) we say good-bye to her. Say bye to Coleen Nolan. ე) And Alongside me today are Sherriew Hewson and Denish Welsh (*Loose Women,* 28 July, 2011).

მოცემული არხის გახსნის სიგნალების თანმიმდევრობა განსხვავდება იმით, რომ მოცემულ გადაცემაში ხდება განსაკუთრებული რამ, წამყვანი მიდის გადაცემიდან. შესაბამისად ეს ხაზგასმულია არხის გამხსნელ სიგნალში.

რაც შეეხება ამერიკულ ტოქშოუბს, აქაც გარდა *The View*-სი გვხვდება არხის გახსნის წინმსწრები ვიზუალური და ვერბალური სიგნალი, რომლის დასრულების შემდეგაც თავად წამყვანი ხსნის არხს. ბრიტანული ტოქშოუსაგან განსხვავებით, აქ კიდევ უფრო მეტი აქცენტი კეთდება აუდიტორიისათვის მადლობის გადახდაზე არხის გახსნისას. ეს ალბათ გამომდინარეობს რიტუალური შეზღუდვიდან, ამერიკულ კულტურაში დიდი ადგილი უკავია სხვისი დროის პატივისცემას. ზოგადად, ამერიკული ტოქშოუებისათვის დამახასიათებელია არხის გახსნისას აუდიტორიისათვის მადლობის გადახდა, (რომელსაც ხშირ შემთხვევაში მისალმების ფუნქციაც აკისრია) და აუდიტორიის დაწყნარება. თუმცა, აქაც გვხვდება არხის გახნის სხვადასხვა თანმიმდევრობები სხვადასხვა ტოქშოუბში.

შემდეგი ტიპის არხის გამხსნელი სიგნალების თანმიმდევრობა გვხვდება კონანის (*Late Night with Conan O'Brien)* შოუში:

1) ა) აუდიტორიისათვის მადლობის გადახდა; ბ) აუდიტორიასთან კონტაქტი; გ) ახალი ამბების იუმორისტული წარდგენა.

(19) Conan: ა) Thank you. Thank you very much, Thank you very much. Thank you so much. Oh no, no (ჟესტიკულაციით აჩვენებს, რომ გაჩერდნენ). Thank you very much. I have seen tonight show. It's not that good. I don't know what you are going crazy for. ბ) I'm

sorry, take that mask (თითით მიანიშნებს აუდიტორიის ერთ-ერთ მონაწილეზე). This is the strangest mask.

Thanks everybody for being here. Much to talk about of course. გ) We'd a nice evening, we'd a nice show. We've such a nice show, we've great guests here, much to talk about of course. Time magazine has a big deal, they named their person of the year. Have you heard about that? Oh good. I'm hear to tell you about it (*Late Night with Conan O'Brien,* 29 March, 2009).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამერიკულ კულტურაში არხის გახსნისას დიდი ადგილი ეთმობა მადლობის გადახდას. გამოყენებულია მადლობის გადახდის არაოფიციალური ფორმა, ასევე წამყვანი იმეორებს ფრაზებს (thank you, thank you) იყენებს შეკვეცილ ფორმებს (I'm; don't), რაც საუბრის არაოფიციალურ ხასიათზე მიუთითებს. აუდიტორიისადმი მიმართვისას იყენებს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა everybody, you, we. მეორე მხრივ, ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა guests, a nice show მიუთითებს, რომ აღნიშნული დისკურსი განეკუთვნება ტოქშოუს ჟანრს.

2) ა) აუდიტორიისათვის მადლობის გადახდა და მისალმება; ბ) აუდიტორიის დაწყნარება; გ) მადლობის გადახდა;

(20) Conan: ა) Thank you very much, thank you. (ცეკვავს). Thank you. Thank you very much. Thank you. Yeah, that's nice. Wow. All right. Oh, hold on baby. Thank you. Thank you very much everybody. Thank you vey much. How are you guys? (თითით მიანიშნებს აუდიტორიის წევრებზე) ბ) Yeah. Sit down. I'm really sorry I did that. გ) Thank you everybody, keep cool my Canadian babies. Thank you very much for that, that was weird, that was inappropriate. Now listen, important thing, I want to thank you all for that warm welcome. It was great, it's great. You're my hero, oh no, you're not. Great to be here, it's amazing to be here in Canada, thank you very much, this is great (*Late Night with Conan O'Brien,* 2 Nov., 2004).

შემხვდა მსგავსი თანმიმდევრობის არხის გამხსნელი სიგნალები, სადაც წამყვანი იუმორისტულად ცდილობს სტუდიის აუდიტორიის დაწყნარებას. თითქოს ჰიპნოზს უკეთებს აუდიტორიას: Everybody settle down, Please ladies and gentlemen. Sleeeep, Sleeeep my babies, sleep.

მოცემულ მაგალითშიც გვხვდება არაოფიციალური საუბრისათვის დამახასიათებელი ნიშნები: შეკვეცილი ფორმები (that's; you're), მარტივი კონსტრუქციები, წამყვანი აუდიტორიას მიმართავს არაოფიციალური ლექსიკით

– guys, babies. გამოყენებულია ელიფსური წინადადებები, შორისდებულები და შეძახილები (yeah, oh, wow), მეორდება ფრაზები (thank you, thank you).

შემდეგი ჯგუფის არხის გამხსნელი სიგნალები გვხვდება ელენის შოუში (*The Ellen DeGeneres Show*):

1) ა) აუდიტორიის დაწყნარება და მათთვის მადლობის გადახდა; ბ) აუდიტორიის შექება; გ) აუდიტორიისთვის კითხვების დასმა; დ) აუდიტორიის იდენტიფიკაცია; ე) მისალმება და კითხვის დასმა

(21) Ellen: (ა) Have a sit. Thank you. Have a sit, have a sit. Uuuuh, Thank you very much. First of all, let me say back at you, let me say that. (ბ) Second of all, all the commitment to dancing that goes on here. What Tony encourages you to do today, it was genuise, it really was. Congratulations to all of you. You have created new moves that have never been done before. (გ) All right, here is my question: How many of you are on facebook? A lot of you are on facebook?

I don't really know what's going on with this timeline thing, I don't like it as it makes it harder to go on through the pages and it's what I have been doing all day long before you got here. I needed to see who was coming to my show. I'd like to show what I found from some of you folk here. (დ) Where is Jerry Henson, where are you? Jerry? (ე) Hello. So do you have any compromating photos I might like to see?..... (*The Ellen DeGeneres Show,* 27 April, 2012)

მოცემულ მონაკვეთში გვხვდება ფრაზების გამეორება და მათი ხელახალი ფორმულირება. ხშირადაა გამოყენებული შეკვეცილი ფორმები, ემოციის გამომხატველი წამოძახილები (uuuh), პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები და მარტივი წინადადებები რაც არაოფიციალური, სამეტყველო საუბრისათვის არის დამახასიათებელი.

2) ა) აუდიტორიის დაწყნარება და შექება; ბ) მადლობის გადახდა; გ) სტუმრის წარდგენა და მასზე მოკლე ისტორიის მოყოლა; დ) ცეკვა.

(22) Ellen: (ა) Have a sit. Wonderful. Thank you very much. Have a sit. That's wonderful, I feel it too. I've sent it back to you. (ბ) Thank you so much. Well, wow, I can tell you I can feel it. It's what you have been doing. (გ) It's an exciting, exciting day, my wife Portia De Rossi is on the show today. So let me explain how it happened. One day my wife Portia said: You know, it has been a while since I've stopped biographies and then I said: listen you are welcome to come any time you want as long as you have something to promote. And she wrote a book, she wrote an incredible book and now she is doing this publicity tour and of course the first stop- Opra. And finally my show today (*The Ellen DeGeneres Show,* 11 April, 2010).

გამოყენებულია შეკვეცილი ფორმები (that's; it's), ფრაზების გამეორება, წამოძახილები (wow), პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელი. აუდიტორიას წამყვანი მიმართავს მეორე პირის ნაცვალსახელით. სტუმარი მოხსენიებულია სრული სახელით და მესამე პირის ნაცვალსახელით. გამოყენებულია ასევე ლექსიკური ერთეულები, რომელიც ექსპლიციტურად გამოხატავს აღნიშნულ ჟანრს: my show, on the show today.

3) ა) აუდიტორიის დაწყნარება და მისალმება; ბ) აუდიტორიის შექება; გ) პირადი ისტორიის მოყოლა; დ) თამაში აუდიტორიასთან

(23) Ellen: (ა) Hi, Hello, Thank you (ტაში) Have a sit, have a sit. (ტაში) Thank you. That's wonderful and for the first time this year back at you. Happy New Year. Did you all have a good New Year's Eve?

Aud: Yeah,

H: (ბ) Wow, you are really good ones. What a reaction that was, that was great. (გ) We had a wonderful New Year's Eve. Nitsa came over to us, she is only two years and a half and she made all the way to midnight and Porsha and I went to bed at 8: 30 so that was good. Today our show is back after two weeks of our holidays and it takes me at least that long to get my hearing back after twelve days of give-aways as people are screaming so much and since it is a brand new year I thought we should play a brand new game. (დ) It's time to play Snow-body knows the bubbles I have seen. (video) (*The Ellen DeGeneres Show)*

წამყვანი არხის გახსნისას ყოველთვის ცდილობს აუდიტორიის ოვაციებზე იქონიოს გავლენა და დამშვიდებისაკენ მოუწოდებს მათ. ამის შემდეგ ესალმება აუდიტორიას და მადლობას უხდის მათ. მისალმებისას წამყვანი იყენებს არაოფიციალურ მისალმების ფორმას. ამ შემთხვევაშიც გამოყენებულია შეკვეცილი ფორმები, პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები, მეორდება ფრაზები და გამოიყენება წამოძახილები.

იყო შემთხვევა, როდესაც წამყვანმა არხის გახსნისას არ იცოდა ვინ იქნებოდნენ მისი სტუმრები და რა კითხვები უნდა დაესვა მათთვის და რა იქნებოდა სასაუბრო თემა.

(24) Ellen: Hey everybody. Today is my birthday show and it is crazy for the first time in 10 years I have no idea what's gonna happen on the show. I am just gonna walk out and everything that's gonna happen will be a surprise. I don't know who my guests gonna be, what they are going to talk about. I don't know what I'm gonna ask them as I don't know who they

are. But there is one thing that I do know. I am excited and scared but excited about what's gonna happen. Let's get started.

The whole show is a surprise to me, literally I have no idea what's gonna happen. No one told me which is frustrating because I am the boss (*Ellen DeGeneres Show*).

აღნიშნულ მონაკვეთშიც (24) გამოყენებულია ოფიციალური და არაოფიციალური ლექსიკური ერთეულები. თუმცა, სტანდარტული ელენის არხის გახსნისაგან განსხვავებით არ ხდება სტუმრების იდენტიფიკაცია, რადგან თავად წამყვანმაც არ იცის ვინ იქნებიან სტუმრები. ელენი აღნიშნულ დისკურსის მონაკვეთში ხაზს უსვამს თავის ინსტიტუციონალურ როლს, რომ ის არის უფროსი ანუ წამყვანი: I'm the boss.

მესამე ქვეჟანრის ამერიკულ ტოქშოუში (*The View*) არხის გამხსნელი სიგნალი იწყება მას შემდეგ, რაც სრულდება გადაცემის წინაგამხსნელი ვიზუალური სიგნალი (ვიდეო-ქუდი). დაკვირვების შედეგად გამოვლინდა არხის გამხსნელი სიგნალების შემდეგი თანმიმდევრობა:

ა) აუდიტორიასთან მისალმება და შოუზე მოპატიჟება; ბ) კომენტარის გაკეთება; გ) ახალი ამბის განცხადება

(25) Host 1: ა) Wow, hello. Hello and welcome to the View, welcome to the view.

Host 2: ბ) Did they seem particularly happy today?

Host 1: Maybe, I don't know. Maybe it's cause it is so cool here. Yes. გ) American voters have finally picked their presidents. Did you all see the elections? (*The View*, 12 Jan., 2013)

არხის გამსნელ სიგნალში ჩართულია რამდენიმე წამყვანი. ისინი ესალმებიან აუდიტორიას, ეპატიჟებიან გადაცემაზე და წარუდგენენ ახალ ამბავს. წამყვანები ამ შემთხვევაშიც იყენებენ არაოფიციალური ენისათვის დამახასიათებელ შეძახილებს (wow), შეკვეცილ ფორმებს (it's, don't) არაოფიციალურ ლექსიკურ ერთეულებს (cause). მეორე მხრივ, გადაცემის სახელის გამოყენებით ექსპლიციტურად ხაზი ესმევა იმ ფაქტს, რომ აღნიშნული დისკურსი თოქშოუს ჟანრს განეკუთვნება.

რაც შეეხება ქართულ ტოქშოუებს, ბრიტანული და ამერიკული ტოქშოუებისაგან განსხვავებით აქ ყველგან არხის გახსნის წინმსწრები სიგნალი არის გადაცემის ვიდეო-ქუდი, რომლის დასრულების შემდეგაც არხს ხსნის წამყვანი მისი ინსტიტუციონალური როლიდან გამომდინარე. ქართულ ტოქშოუებში არხის გახსნისას წამყვანები ცდილობენ მიესალმონ აუდიტორიას, წარადგინონ ახალი ამბები და სტუმრები. თუმცა, აქაც გვხვდება განსხვავებები,

როგორც სხვადასხვა ქვეჟანრის ტოქშოუებს, ასევე ერთი ტიპის გადაცემებს შორისაც.

The ვანოს შოუში წამყვანი გამოდის ბენდის მიერ დაკრული მუსიკის ფონზე და იკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს, რის შემდეგაც იგი ხსნის არხს. შემდეგი თანმიმდევრობის არხის გამხსნელი სიგნალები შეიძლება გამოვყოთ ქართულ გვიან-დამის გასართობ ტოქშოუებში:

1) ა) აუდიტორიისათვის მადლობის გადახდა; ბ) მისალმება; გ) პოლიტიკური ახალი ამბების იუმორისტულად წარდგენა; დ) ბენდის წარდგენა და მადლობის გადახდა.

(26) ვანო: (ა) გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ. ძალიან დიდი მადლობა. (ბ) მოგესალმებათ ვანო ჯავახიშვილის შოუ. (გ) 21 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტს და სიტყვის კაცს, მიხეილ სააკაშვილს შეუსრულდა 44 წელი, დავუკრათ აპლოდისმენტები, მივულოცოთ 44 წელი. ვისგან არ მიიღო საჩუქრები სააკაშვილმა, მაგრამ ყველაზე კარგი საჩუქრები გაუკეთეს კობა დავითაშვილმა და ზვიად ძიძიგურმა – ბიძინა ივანიშვილთან გაერთიანდნენ ისინი. რამხელა საჩუქარია. ლეიბორისტებმა გადაწყვიტეს, რომ მივიდეთო და დაბადების დღე ჩავუშალოთო, სააკაშვილსო. მართლაც მივიდნენ, კუკავამ დასცხო ზილინა-ზილინა, ძაგანიამ დღეს მიშიკოს დღეობაა პროვოკაცია ცხვებაო, და ბოლოს შალვა ნათელაშვილმა თავისი ინგლისურით იმღერა „Happy dictator to you". ბატონო მიშა, მე მაპატიეთ რომ ვერაფერი გაჩუქეთ, ვერაფერი მაგრამ გპირდებით, რომ ერთი კარგი პრემიერ მინისტრი ჩემზე იყოს. ჩემზე იყოს. მანამდე სააკაშვილი ქობულეთში ჩავიდა შეხვდა მოსახლეობას და კითხა ხო ბევრი ტურისტი იყო წელსო აქო ზაფხულშიო ქობულეთშიო და გლეხმა უთხრა: არა კაცო, კანტი-კუნტად დადიოდაო ხალხიო, იყო ერთი-ორი კაციო. მერე მიშა რომ წავიდა ეს კაცი სულ ვაი დედას იძახდა, ვაი რა მწარე ჩქმეტა იცის ამ ვარშალომიძემ, გვერძე ედგა და დაალურჯა კაცი. ..... (დ) ჩვენს შოუს მუსიკალურად აფორმებს ბენდი თამუნა ლეკვეიშვილის ხელმძღვანელობით. დიდი მადლობა (*The ვანოს შოუ*, 28 დეკემბერი, 2011).

წამყვანი არხს ხსნის აუდიტორიისათვის მადლობის გადახდით. იყენებს თავაზიან ფორმას (გმადლობთ), რაც ოფიციალური რეგისტრისათვის არის დამახასიათებელი. მეორე მხრივ, იმეორებს სიტყვებს, რაც არაოფიციალური, სასაუბრო დისკურსის თვისებაა. მისალმებაც ხდება ოფიციალური სტილით, ინსტიტუციის სახელით (მოგესალმებათ ვანო ჯავახიშვილის შოუ).

ნანუკა ჟორჟოლიანის ტოქშოუს (*ნანუკას შოუ)* გადაცემის ქუდის დასრულების შემდეგ ჩნდება გადაცემის წამყვანი, მისი ინსტიტუციონალური ფუნქციიდან გამომდინარე ისიც დგას სცენის შუაში და ხსნის არხს. აქაც არხის გახსნის რამდენიმე ვერსია გვხვდება:

1) ა) მისალმება; ბ) მადლობის გადახდა აუდიტორიისათვის; გ) გადაცემის სტუმრის არაპირდაპირი წარდგენა; დ) სტუმრის პირდაპირი წარდგენა.

(27) ნანუკა: (ა) საღამო მშვიდობისა. (ბ) დიდი მადლობა მობრძანებისთვის, უღრმესი მადლობა, რომ ხართ ჩემი სტუმრები. (ტაში) ძალიან დიდი მადლობა, რომ არ გავიწყდებათ რომ სამშაბათს, ყოველ სამშაბათს, საღამოს 10 საათზე უნდა გადმორთოთ ტელეკომპანია იმედის ეთერზე. ..... (გ) მოკლედ ხშირად ამბობენ თუ ნიჭი გაქვს, შრომისმოყვარე და მიზანდასახული ხარ ყველაფერი გამოგივაო. ნიჭი კოჭებში ეტყობა ადამიანს. ჩემ სტუმარს კი ნიჭი მაშინ შეეტყო, როცა კოჭები ჯერ მთლად გამოკვეთილად არ ეტყობოდა. თურმე 9 თვის იყო არაფრით სხვის ტონალობაზე რომ არ გადადიოდა, 11 თვის უკვე გამართულად სიმღერას ახერხებდა თან თავის ტექსტებიანად ... ნიჭიერია და მორჩა. რახან დათომ ანდო, მე ისღა დამრჩენია ჩემი გადაცემის პირველი ბლოკი მთლიანად მას ვანდო და დავუთმო. (დ) კომპოზიტორი რუსა მორჩილაძე სტუდიაში. (ტაში) (*ნანუკას შოუ,* 2011)

წამყვანი მადლობის გადახდისას იყენებს ოფიციალურ ლექსიკას, თავაზიან ფორმებს (დიდი მადლობა მობრძანებისათვის,). სტუმრის იდენტიფიკაცია ხდება სრული სახელით, რომელსაც წინ უძღვის მისი პროფესიაც. თუმცა ამავე დროს გამოყენებულია არაოფიციალური რეგისტრისათვის დამახასიათებელი პირველი და მესამე პირის ნაცვალსახელები.

2) ა) მადლობის გადახდა; ბ) ახალი ამბის მოყოლა; გ) სტუმრის არაპირდაპირი წარდგენა; დ) სტუმრის პირდაპირი წარდგენა.

(28) ნანუკა: (ა) დიდი მადლობა სტუდიაში მობრძანებისათვის. (ბ) მოკლედ, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი რომ გაიხსნა იცით, რომ გარემონტდა ისიც იცით. ყველაზე ახალი ამბავი ის არის, რომ პირველ სართულზე ელვის პრესლის კაფე გაუსნიათ. მე არ მინახავს მაგრამ ამბობენ, რომ იქ თუ მიხვალ თურმე 50-იანი წლების ამერიკაში მოხვდებიო. ხომ, იმასაც ამბობენ ფილარმონიაზე მეტად ანათებსო. თავად ფილარმონია კი ხალხს ვეღარ იტევს. ყველაფერი ნანი ბრეგვაძით დაიწყო, ბუბა კიკაბიძეს მოვუსმინეთ, ჯანო ბაგრატიონს 100 წლის იუბილე მივულოცეთ, აქ რა მოსატანია მაგრამ იყო

რივერდანსიც, რომლებსაც თურმე სუხიშვილების რეპეტიცია რომ უნახავთ დაბნეულან რატომ ჩამოგვიყვანეთომანამდე კი კიდევ ერთი სიახლე, ფილარმონიის დდი საკონცერტო დარბაზში ქართული სიმღერები აჟღერდება. (გ) იცით რომელ ხმებს მოუსმენს მაყურებელი? მსოფლიომ რომ პირველად მოისმინა. მათ შექმნეს ტრიოს კულტურა, პირველად გაარღვიეს საბჭოთა კავშირის სივრცე და მსოფლიოს ანახეს როგორ მღერიან საქართველოში, 15 წლის შემდეგ, (დ) გადაცემაში თქვენთან სტუმრად მოვიდნენ დათო აბესაძე, თამაზ სეფერთელაძე და მალხაზ თავართქილაძე (*ნანუკას შოუ,* 24 ნოემბერი, 2009).

ამერიკული ტოქშოუს მსგავსად, აქაც არხის გახსნა ხდება მისალმებითა და მადლობის გადახდით. წამყვანი მიმართავს როგორც სტუდიაში, ასევე სახლში მყოფ აუდიტორიას. მიმართვისას გამოიყენება მეორე პირის თავაზიანი ფორმა (თქვენ). მისალმების შემდეგ ხდება სტუმრის წარდგენა არაპირდაპირ, რაღაცა მინიშნებებით და მესამე პირის ნაცვალსახელების გამოყენებით და შემდეგ უკვე პირდაპირ, მათი სრული სახელების გამოცხადებით. საუბრისას გამოიყენება პირველი პირის ნაცვალსახელი, რაც მის არაოფიციალურ სტილზე მიუთითებს.

3) ა) ამბის მოყოლა; ბ) სტუმრის არაპირდაპირი წარდგენა; გ) სტუმრის იდენტიფიკაცია.

(29) ნანუკა: (ა) მაშინ როდესაც ეხლა ჩვენ აქ ნანუკას ჟორჟოლიანის შოუს, მოკლედ როდესაც ჩემს ერთ გადაცემას ვწერთ, რეალურ ცხოვრებაში ბევრი ისტორია იქმნება, ვიღაცა ვიღაცას სიყვარულს უხსნის, ვიღაცა ვიღაცას პატიებას სთხოვს, ვიღაცა ვიღაცას ტოვებს, ვიღაცა ვიღაცას შორდება, ვიღაცა ვიღაცას ღალატობს, მაგრამ ეს ყველაფერი რეალური ისტორიაა. რეალური ისტორიები რომლისგანაც შემდგომ უკვე თითოეული ჩვენგანის ცხოვრება იქმნება. / (ბ) არსებობს ამ ქვეყანაზე ერთი ადამიანი რომელმაც ერთი ქალის ისტორია შექმნა, მაგრამ იცით ყველაზე მნიშვნელოვანი რა არის? / ამ ერთი ქალის ისტორიაში, ბევრმა ქალმა საკუთარი ისტორია წაიკითხა და ამიტომ გახდა ეს ადამიანი ყველასთვის ძალიან ახლო და მშობლიურია. / .....თქვენ მას ასეთს ჯერ არ იცნობთ, ჩათვალეთ რომ მას დღეს ნანუკას შოუში გაიცნობთ ისეთს როგორიც აქამდე არ გინახიათ. (გ) ნატო გელაშვილი. უღრმესი მადლობა მას მობრძანებისათვის. (ტაში) (*ნანუკას შოუ,* 6 დეკემბერი, 2011)

არხის გახსნისას წამყვანი ორიენტირს აკეთებს ორივე აუდიტორიაზე მისი ინსტიტუციონალური ფუნქციიდან გამომდინარე. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ ამერიკულ ტოქშოუში უფრო მეტი ყურადღებაა სტუდიაში მყოფ აუდიტორიაზე არხის გახსნისას, ხოლო ქართულ შოუში კი სახლში მყოფ აუდიტორიაზე კეთდება აქცენტი. აუდიტორიის აღსანიშნად წამყვანი იყენებს ზოგჯერ პირველი პირის ნაცვალსახელ ინკლუზიურ ჩვენს და ზოგჯერ მეორე პირის თავაზიან ფორმას. სტუმრის წარდგენა ხდება სრული სახელით და ასევე მისთვის მადლობის გადახდა ხდება თავაზიანი, თქვენობითი ფორმით, რაც უფრო ოფიციალური რეგისტრისათვის არის დამახასიათებელი.

4) ა) მადლობის გადახდა სტუდიის აუდიტორიისათვის; ბ) მადლობის გადახდა მაყურებელთათვის; გ) პირადი ამბის მოყოლა; დ) სტუმრის წარდგენა.

(30) ნანუკა: (ა) ძალიან დიდი მადლობა. ძალიან დიდი მადლობა, რომ ამდენი ხართ. მე რაც მახარებს ის არის, რომ დღეს სკამების ჩამატება დაგვჭირდა იმისთვის, რომ დღეს თქვენ მოგვეთავსებინეთ სტუდიაში. თქვენ ხართ ქვეყნის მომავალი, ღმერთმა გამრავლოთ. ძალიან დიდი მადლობა, რომ ჩემი გადაცემის ჩაწერაზე დასწრების ამდენი მსურველი არის. (ბ) მე მინდა დიდი მადლობა ვუთხრა მაყურებელს იმისათვის, რომ უყურებს ნანუკას შოუს, იმიტომ რომ თქვენ განსაზღვრავთ ამ გადაცემის არსებობას, ამ გადაცემის წარმატებას და ამ გადაცემის მთავარი წარმატების მიზეზი ხართ თქვენ, ჩემი მაყურებლები და ამიტომ დიდი მადლობა რომ ყოველ სამშაბათს საღამოს 10 საათზე ხართ ნანუკას შოუსთან ერთად. (გ) მოკლედ ამბის მოყოლა მინდა დავიწყო საიდან. ბავშობაში როცა ჩემმა ბიძაშვილმა გოგონამ ფიზიკაში დაბალი ნიშანი და დედისაგან საყვედური მიიღო, ბიცოლაჩემმა დედაშვილურად დაარიგა, კარგი შვილო რათ უნდა გოგოა, რატომ უნდა გამოიღამოს თვალები ფიზიკა ქიმიის სწავლითო, ბიჭი რომ იყოს ხმას არ ამოვიღედიო, იმან უნდა ისწავლოსო. .... (გ) ნინო კალანდაძე სტუდიაში. (*ნანუკას შოუ,* 29 მაისი, 2013)

გამოიყენება პირველი პირის მხოლობითი და მრავლობითი ნიშნის ნაცვალსახელები. სტუმრის იდენტიფიკაცია ხდება სრული სახელით, მაგრამ არ გვხვდება ოფიციალური მიმართვის ფორმა. აუდიტორიას წამყვანი მიმართავს მეორე პირის ნაცვალსახელით.

რაც შეეხება მესამე ქვეჟანრის ქართულ ტოქშოუს, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ქვეჟანრის ტოქშოუში გვხვდება ერთროულად რამდენიმე წამყვანი და

ისინი იღებენ მონაწილეობას არხის გახსნაში. დაკვირვების შედეგად გამოვყავით არხის გამსხნელი სიგნალების შემდეგი თანმიმდევრობა:

1) ა) მისალმება; ბ) კომენტარი; გ) სტუმრების წარდგენა სრული სახელებით;

(31) წამყვანი 1: ა) გამარჯობა მოგესალმებით ყველას. ბ) ეხლა მე პატარა სიას ჩავიკითხავ, მაგრამ მემგონი დიდი ახსნა არ ჭირდება თუ რა სია იქნება ეს. მოკლედ მოდი დავიწყოთ. ეჭვი მაქვს ყველა მიხვდებით თუ რა სიაა ეს. გ) პირველი – თათია ჭიტაძე, თბილისი. თამთა შედანია, ზუგდიდი. ვერონიკა ჩიხლაძე, ფოთი. ნინი მახარაძე, თბილისი. ანა ოქროპირიძე, გორი. მარიამ კვახაჭელიძე, ზესტაფონი. ანა არაბიძე, თბილისი. ეს იყო ბოლო პრეტენდენტი რომელიც სულ მალე შეიძლება გახდეს მის საქართველო 2012.

წამყვანი 2: ა) გამარჯობა (*დღის შოუ,* 12 სექტემბერი, 2012*)*

არხის გახსნისას მონაწილეობას იღებს ორი წამყვანი, თუმცა მაინც არათანაბარი რაოდენობით და მათი ჯერის ხანგრძლივობაც ერთმანეთისაგან განსხვავდება, რაც განპირობებულია როლების ასიმეტრიული გადანაწილებით მათი ინსტიტუციონალური ფუნქციიდან გამომდინარე. გადაფარვები ჯერებს შორის, სასაუბრო დისკურსისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ მეორე მხრივ, მიუთითებს მათ ინსტიტუციონალურ ფუნქციაზე, ანუ მათ ააქვთ უფლება ჩაერთონ გადაცემის არხის გახსნაში და ერთმანეთს შეაწყვეტინონ საუბარი. სტუმრები იდენტიფიცირებული არიან სრული სახელით, რაც უფრო ოფიციალურ გარემოს ქმნის.

2) ა) წამყვანის სიმღერა; ბ) წამყვანების კითხვა-პასუხი; გ) სიახლის დაანონსება

(32) წამყვანი 1: ა) მე გაზაფხულივით მოგეპარე, და გაზაფხულივით შენში დავრჩი, ნანა ნანა ნანა. ბ) ვაიმე მოგეწონათ?

წამყვანი 2: აბა რა.

წამყვანი 3: არა დეტონაციებით მღერიხარ.

წამყვანი 1: აბა რატო შემომიტრიალდი?

წამყვანი 3: გადაცემა იწყება.

წამყვანი 1: იმიტაცია გავაკეთე იმ ახალი პროექტისა, რომელიც სულ მალე დაიწყება იმედზე, ხო.

წამყვანი 3: კიდევ კარგი მე არ ვიმღერე, თორე	გავარდებოდით
წამყვანი 1:	დავრჩებოდით

წამყვანი 2: მე რომ მემღერა საერთოდ გამორთავდნენ ტელევიზორს

წამყვანი 1: არავინ იცის, არავინ იცის რა როგორ მოხდებოდა.

წამყვანი 2: გ) ნანიკო, ძალიან მახარებს ამ პროექტის შემოსვლა, იცი რატომ, რაც წავიკითხე იმის მიხედვით აღმოჩნდა, რომ ეს არის ძალიან სერიოზული პროექტი სადაც ადამიანებს არ დასცინიან, მათ მიმართ ირონიას და რაღაც სარკაზმს არ ამჟღავნებენ (*დღის შოუ,* 10 ივლისი, 2012).

უნდა აღინიშნოს, რომ სხვა შოუებისაგან განხსვავებით, ნაკლები აქცენტი კეთდება აუდიტორიაზე. ერთი შეხედვით არხის გახსნა ჰგავს ნაცნობებს შორის გამართულ ჩვეულებრივ საუბარს, სადაც ხშირად ხდება ჯერების გადაფარვა, ფრაზების გამეორება. ასევე, მოცემულ მონაკვეთში, არხის გახსნისას წამყვანები არ იყურებიან კადრში, არამედ ერთმანეთს უყურებენ და ისე საუბრობენ. წამყვანები ერთმანეთს მიმართავენ კნინობითი სახელებით, რაც ასევე ქმნის არაოფიციალურ გარემოს. თუმცა, მეორე მხრივ გვხვდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომელიც მიანიშნებს რომ აღნიშნული დისკურსი განეკუთვნება სატელევიზიო ჟანრს (გამორთავდნენ ტელევიზორს).

3) ა) მისალმება აუდიტორიასთან; ბ) პირადი საუბრები; გ) სტუმრის წარდგენა.

(33) წამყვანი 1: ა) გამარჯობა,	მოგესალმებით ყველას.
წამყვანი2:	გამარჯობა

წამყვანი 3: მოგესალმებით

წამყვანი 3: ბ) ნანიკო, ნაფ-ნაფი გეძახის. აი, მე მივედი შენს მაგივრად. ნახე რა კარგი ზედაა	და ეს უნდა დავიტოვო ისე მომწონს. ხო ლამაზია?
წამყვანი 1:	ძალიან ლამაზია.

წამყვანი 1: ძალიან ლამაზია. იცი რა, ვერ წავედი იმიტომ რომ მე ყაზბეგი მეძახდა, ბუნებამ დამიძახა მთებმა და	ვდექი და წავედი
წამყვანი 3:	არამარტო შენ, მთელი თბილისი იქ

იყო.

წამყვანი 1: აღმოვჩნდი, წავედი დასასვენებლად და ყველა იქ დამხვდა.

წამყვანი 2: სად წახვალ ისეთ ადგილას სადაც მარტო იქნები.

წამყვანი1: არა დოდოშკა, ყაზბეგი ისეთი ადგილია, სადაც არ ველოდი ამდენ ხალხს.

წამყვანი 2: არა მართლა ისეთი ბედნიერებაა, რადგან ისეთ სიამოვნებას იღებ ალბათ იმ ჰაერისგან, იმ სანახაობისგან.

წამყვანი 1: ჰაერისგან არა, მაგრამ ეს დაუსრულებელი სივრცე, ეს მთები, წინ გერგეთი

წამყვანი 3: თან ისეთი სასტუმრო გაიხსნა მემგონი ეგეთი შვეიცარიაშიც არ არის.....

წამყვანი 1: გ) ლიკა ლაბაძეა დღეს ჩვენი სტუმარი, და გვიამბობს, ლიკა უკან რაღაც ჩამოგივარდა გაისწორე. ლიკა გამარჯობა დიდი მადლობა მობრძანებისათვის (*დღის შოუ, 16* ივლისი, 2012).

არხის გახსნისას სამივე წამყვანი ესალმება აუდიტორიას, რაც გამომდინარეობს გადაცემის ფორმატიდან. თუმცაღა, ერთ-ერთ წამყვანს აქვს ინსტიტუციონალურად მაინც უფრო მეტის უფლება, რაც ვლინდება ჯერების ხანგრძლივობაში და თემებისა და სტუმრების წარდგენაში. აქაც გამოყენებულია კნინობითი ფორმები, ერთმანეთის ჯერების გადაფარვა რაც სასაუბრო, არაოფიციალური დისკურსისათვის არის დამახასიათებელი.

ქართულ ტოქშოუშიც არხის გახსნისას უმეტეს შემთხვევაში ხდება პირველ რიგში აუდიტორიასთან მისალმება და მათვის მადლობის გადახდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ შოუში ასევე აქცენტი კეთდება მაყურებელზეც. სტუმრებთან მისალმებისას წამყვანი თითქმის ყოველთვის იყენებს თავაზიან ფორმებს.

ტოქშოუს ინსტიტუციონალური ხასიათი გარკვეულ შეზღუდვებს ქმნის და მათ შორის ერთ-ერთია დროითი შეზღუდვა, რომელიც აისახება ზუსტად გაწერილ დაწყებასა და დასრულებაში. მას შემდეგ, რაც მოხდება არხის დროული გახსნა, ასევე უნდა მოხდეს მისი დროული დახურვაც.

არხის გამხსნელი სიგნალის მსგავსად არსებობს სპეციალური **სიგნალი**, რომელიც გვიჩვენებს რომ გადაცემა **დასრულების პირასაა და სრულდება** (Hatch 1992: 8).

ტოქშოუს ინსტიტუციონალური ხასიათიდან გამომდინარე და როლების ასიმეტრიულად გადანაწილების გამო, არხის დახურვაც ხდება წამყვანის მიერ.

თუმცა, სანამ მოხდება არხის საბოლოო დახურვა, აუდიტორიასთან და სტუმრებთან დამშვიდობება, ასევე არსებობს სპეციალური არხის დასრულების წინმსწრები სიგნალები, რომლებიც სიგნალს აძლევენ ხალხს, რომ არხი იხურება.

ბრიტანულ ტოქშოუებში არხის დასრულების წინმსწრები შემდეგი სიგნალები გვხვდება:

1) ა) სტუმრებისათვის მადლობის გადახდა; ბ) მათი ხელახალი წარდგენა.

(34) Graham: ა) Thank you to all my guests tonight. ბ) Kesha, James May, Jeremy Clarkson, Joan Rivers and Jake Gyllenhaal (*The Graham Norton Show,* 1 Dec., 2012).

(35) Alan: ა) Thanks to Carlos, Sebastian and David. ბ) Il Divo (*The Alan Titchmarsh Show,* 6 Sep., 2012).

(36) Host: ა) Thank you, ბ) sir.

G: Thank you (*Loose Women, 5 Oct.,* 2012).

წამყვანი იყენებს არაოფიციალურ, სასაუბრო რეგისტრს მადლობის გადასახდელად და სტუმრებს მოიხსენიებენ სახელებით ან სრული სახელებით. *Loose women*-ში იყო შემთხვევა, როდესაც დამშვიდობებისას წამყვანი სტუმარს მიმართავს sir-თი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს უფრო იუმორისტულად იყო გამოყენებული და არ გამოხატავდა ოფიციალურ მიმართვას ამ ადამიანისადმი.

2) ა) აუდიტორიისადმი მიმართვა; ბ) სტუმრებისათვის მადლობის გადახდა.

(37) Alan: (ა) Ladies and Gentlemen, One Direction. (ბ) Thank you guys. (გ) One day they'll come back. That's when you have your first single. Come and do it on air. That's it for today (*The Alan Titchmarsh Show,* 5 Apr., 2011).

არხის წინადამხურავი სიგნალის დასრულების შემდეგ ბრიტანულ ტოქშოუებში არხის დახურვა ხდება შემდეგნაირად: ა) მომავალი გადაცემის სტუმრების დაანონსება; ბ) აუდიტორიასთან გამომშვიდობება

(38) Graham: ა) Joining next week with musician Jessica Ennis and my favourite actor Daniel Radcliff. ბ) I'll see you then and good bye (*The Graham Norton Show,* 1 Dec., 2012).

(39) Allan: ა) Tomorrow Sarah Carkish will reveal all about her new musical "Betty Blue Eyes". There's music from performer Parisian Ben Montain. Singer and song writer Henzy Ariat is in the Eighty Kitchen. We've an exclusive Nolaw Sisters will be here to talk about the incredible life story. Tomorrow live at three, without one direction (*The Alan Titchmarsh Show,* 5 April, 2011).

(40) Host: ა) Joinning us tomorrow: Boy band JLC will be here chatting and performing their new single. ბ) We'll see you tomorrow at 12:00. Bye-bye. (*Loose Women,* 5 Nov,. 2012)

ამ შემთხვევაში აუდიტორიისადმი მიმართვა ხდება ოფიციალური რეგისტრის ლექსიკით, თუმცა სტუმრებთან მიმართებაში წამყვანი იყენებს არაოფიციალურ, სასაუბრო ლექსიკას (guys). გამოიყენება შეკვეცილი ფორმები, რაც ასევე არაოფიციალურ სტილზე მიუთითებს.

არხის დასრულების წინმსწრები სიგნალის შემდეგ ხდება არხის დახურვა წამყვანის მიერ. ის ემშვიდობება მაყურებელს. გვხვდება არაოფიციალური რეგისტრის დამშვიდობების ფორმა და მოკლე წინადადებები.

(41) Host: See then. Bye (*Loose Women,* 5 Nov., 2012).

დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ამერიკულ ტოქშოუებშიც არხის დასრულებამდე გამოყენებულია არხის დახურვის წინმსწრები სიგნალები. გვიან ღამის ქვეჟანრის ტოქშოუში არხის დახურვის წინმსწრები სიგნალი მოკლე ტიხრითაა გამოყოფილი დამხურავი სიგნალისაგან.

არხის დახურვის წინმსწრები შემდეგი სიგნალები გვხვდება ამერიკულ ტოქშოუებში:

1) სტუმრებისათვის მადლობის გადახდა.

(42) Conan: Chris Isaak, ladies and gentlemen. Thank you very much (*Late Night with Conan O'Brien, 1* May, 2007).

(43) Ellen: I would like to thank Sophia and Rosie Grace for being here, Adam Levin (*Ellen DeGeneres Show,* 12 Oct., 2011).

(44) Thank you for sharing your experience with us. We are very happy to have you here. Come back any time (*The View,* 25 Sep., 2012)

წამყვანი თავაზიანი ფორმით და სტუმრების სრული სახელის გამოყენებით კიდევ ერთხელ წარადგენს მათ და მადლობას უხდის მათ.

2) ა) სტუმრების კიდევ ერთხელ წარდგენა; ბ) მცირეხნიანი გამომშვიდობება აუდიტორიასთან.

(45) Conan: You've created America in your own unique way. Your name is James Ellroy. The book is called Crime Way. Buy it if you like. We'll be right back. Take care (*The Late Night with Conan O'Brien)* .

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული არხის დახურვის წინმსწრები სიგნალი მხოლოდ ამერიკულ გვიან-ღამის გასართობ ტოქშოუში გვხვდება.

3) აუდიტორიისათვის საჩუქრების გადაცემა.

(46) Host: Our audience is going home with a gift card (*The View,* 12 Jan., 2013).

აღნიშულ არხის დახურვის წინმსწრებ სიგნალში ყურადღებაა გამახვილებული სტუდიაში მყოფ აუდიტორიაზე და წამყვანი საჩუქრებს ურიგებს მათ.

არხის დახურვის წინმსწრები სიგნალის დასრულების შემდეგ ხდება არხის საბოლოო დახურვა ისევ წამყვანის მიერ. გამოიყოფა რამდენიმე თანმიმდევრობა:

1) ა) აუდიტორიის მომავალ შოუზე მოპატიჟება; ბ) დამშვიდობება.

(47) Conan: ა) We'll see each other tomorrow. ბ) Good night San Francisco (*Late Night with Conan O'Brien,* 1 May, 2007).

(48) Ellen: ა) I will see you tomorrow. Be kind to one another. ბ) Bye (*Ellen DeGeneres Show, 7 March, 2011).*

2) ა) სტუმრებისათვის მადლობის გადახდა; ბ) დამშვიდობება.

(49) Conan: ა) I wonna thank all my guests. ბ)Good night (*Late Night with Conan O'Brien).*

(50) Ellen: Thank you all. Bye (*Ellen DeGeneres Show, Mar., 2011).*

მესამე ქვეჯანრის ტოქშოუში შეგვხვდა მაგალითი, როდესაც არხის დახურვა ხდებოდა აუდიტორიისათვის სასიამოვნო დღის სურვილით.

(51) Have a great day ereyone. Take care (*The View*, 12 Jan., 2013)

უნდა აღინიშნოს, რომ არხის დახურვისას გამოიყენება არაოფიციალური დამშვიდობების ფორმები (bye, take care), გვხვდება ყოველდღიური საუბრისათვის დამახასიათებელი ლექსიკა (gonna). თუმცა მომავალ შოუზე მიპატიჟებით, ხაზი ესმევა დისკურსის ინსტიტუციონალურ ხასიათს.

არხის დახურვა ასევე ვიზუალურადაა გამოხატული. ახლო კადრი იცვლება შორი კადრით, ჩანს აუდიტორია და ტიტრები, სადაც იმ ხალხის სახელებია ვინც იმუშავა პროგრამაზე.

ქართულ ტოქშოუებშიც გამოიყოფა არხის დახურვის წინმსწრები სიგნალების შემდეგი თანმიმდევრობა:

1) ა) სტუმრებისათვის მადლობის გადახდა;

(52) ვანო: ძალიან დიდი მადლობა მინდა მოგიხადოთ, რომ მოიცალეთ და მოხვედით ჩემ გადაცემაში სტუმრად. ძალიან დიდი მადლობა. ჩვენი სტუმარი იყო ბატონი ვანო მერაბიშვილი. დიდი მადლობა. (*ვანოს შოუ,* 18 იანვარი, 2013)

(53) ნანუკა: ძალიან დიდი მადლობა, ძალიან დიდი მადლობა სტუდიაში მობრძანებისთვის.

(54) ნანიკო: დიდი მადლობა გოგოებო (*ნანუკას შოუ,* 24 აპრილი, 2013).

ია: მადლობა, არაჩვეულებრივები ხართ და მინდა რომ წარმატებებს მიაღწიოთ კიდევ უფორ მეტად. (*დღის შოუ,* 18 ივლისი, 2012)

ამ შემთხვევაში გამოიყენება თავაზიანი დამშვიდობების ფორმა, რაც უფრო ოფიციალური რეგისტრისათვის არის დამახასიათებელი.

2) ა) სტუმართან გამომშვიდობება; ბ) წარმატების სურვილი.

(55) ნანიკო: ა) გიორგი გადემშვიდობები, ბ) გისურვებ წარმატებებს, კარიერულ წინსვლას და შენი სახელის მთელს მსოფლიოში გაგონებას ვისურვებ. (*ნანუკას შოუ,* 16 ივლისი, 2012)

(56) ვანო: ა) დაგემშვიდობები ბ) წარმატებებს გისურვებ. ძალიან დიდი მადლობა. მადლობა (*ვანოს შოუ,* 5 მაისი, 2013).

არხის წინა დამხურავი სიგნალის დასრულების შემდეგ ხდება არხის უშუალო დახურვა. ისევე როგორც ამერიკულ გვიან-ღამის ტოქშოუში, ქართულ *ვანოს შოუშიც* არხის წინადამხურავი და დამხურავი სიგნალების გამიჯვნა ერთმანეთისაგან ხდება მოკლე პაუზით, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოდგენილია მუსიკალური პაუზით.

დაკვირვებამ აჩვენა რომ შემდეგი არხის დამხურავი სიგნალები გვხვდება ქართულ ტოქშოუებში:

1) ა) მაყურებლისათვის მადლობის გადახდა; ბ) დამშვიდობება.

(57)წამყვანი: ა) მოკლედ კიდევ ერთხელ მადლობა ყველა ჩვენს მაყურებელს. ბ) ნახვამდის (*ნანუკას შოუ,* 25 აპრილი, 2013).

(58) დოდოშკა: ა) მადლობა ყველას. ხვალამდე.

ია: ბ) ნახვამდის. (*დღის შოუ,* 16 ივლისი, 2012)

დღის შოუში არხის დახურვაში მონაწილეობას იღებს ორი ან სამი წამყვანი.

2) ა) აუდიტორიასთან გამომშვიდობება; ბ) იუმორისტული ჩანართი.

(59) ვანო: ა) ძვირფასო მეგობრებო, მე ამით გემშვიდობებით. ბ) ეხლა უნდა გავიქცე პრეზიდენტის დაბადების დღე იყო 2 დღის წინ და საჩუქარი უნდა ვაჩუქო აუცილებლად. დამავიწყდა მიტანა (*ვანოს შოუ,* 28 იანვარი, 2012).

3) ა) აუდიტორიასთან გამომშვიდობება; ბ) მომავალ შოუზე მოპატიჟება; გ) იუმორისტული ჩანართი.

(60) ვანო: ა) ძვირფასო ტელემაყურებლებო, მე ამით გემშვიდობებით. ბ) ერთმანეთს შევხვდებით იქითა კვირას განსხვავებული დროით 23:00 საათზე რადგან 22:00 საათზე იწყება ახალი პოლიტიკური თოქშოუ პოზიცია. რა ვქნათ ესეა მოწყობილი "ჯერ მწარე ჭამე კვლავ ტკბილი თუ ეძებ გემოვნებასაო." (*ვანოს შოუ,* 18 იანვარი, 2013)

ვერბალურ არხის დახურვას თან ახლავს არავერბალური არხის დახურვაც. ახლო კადრი იცვლება შორი კადრით და შემდეგ ეკრანზე ჩნდება ტიტრები, იმ ხალხის სახელებით ვინც მონაწილეობდა გადაცემის შექმნაში.

იყო შემთხვევა, როდესაც არხის დახურვა მოხდა სადღეგრძლოთი. სტუმრები წამყვანთან ერთად გადაცემის სადღეგრძელოს სვამენ "ნანუკას შოუს გაუმარჯოს", რის შემდეგაც წამყვანი ხურავს არხს, აუდიტორიას მიმართავს და მათ ემშვიდობება.

(61) ნანუკა: ჩვენ გავაგრძელებთ, თქვენ კი მომავალ სამშაბათს გელოდებით. მომავალ სამშაბათამდე. დიდი მადლობა რომ ჩვენთან ერთად ხართ (*ნანუკას შოუ, 5 აპრილი, 2012).*

არხის ვერბალურ დახურვას თან ახლავს მისი არავერბალური დახურვაც, წამყვანი ხელს უქნევს აუდიტორიას.

აქაც არხის დახურვაზე ასევე მიუთითებს სპეციალური მუსიკალური ქუდი, რომელიც ისმის გადაცემის ბოლოს და შემდეგ გამოდის ტიტრები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოქშოუ შედგება სამი ნაწილისაგან: მონოლოგი, ინტერვიუ და დასკვნა. ინტერვიუს ნაწილში ხდება რამდენიმე სხვადასხვა სტუმრის შემოყვანა და ხშირ შემთხვევებში ინტერვიუს ნაწილი იყოფა ნაწილებად, რომელთა შორისაც არის რეკლამა. წამყვანები იყენებენ სხვადასხვა წინადადებებს იმისათვის, რომ მოამზადონ მაყურებელი რეკლამისათვის და შეაჯამონ შოუ. ისინი მიმართავენ აუდიტორიას რეკლამამდე და რეკლამის შემდეგაც. ქვემოთ მოყვანილია მაგალითები სამივე კულტურის ტოქშოუდან ილუსტრაციისათვის.

(62) Alan: My thanks. It was my pleasure, to Rosemary and also Jeffrey Marsh. Thank you very much.

Coming up, modern …… See you in a couple of minutes (*The Alan Titchmarsh Show,15 Jan., 2007).*

(63) Ellen: We're gonna take a break and when we come back Madonna you did something that was so amazing before we have ever met. You called me, and it meant, ..you can

imagine a phone rings and I pickup a phone, like fifteen years ago and Ellen Madonna. I said hi. I'll talk about that and what it did for me and how I still think of it to that day. Everything you said to me. We'll be back right wth Madonna. (*The Ellen DeGeneres Show,* 22 Oct., 2012)

(64) ნანუკა: მე მინდა თქვენ ძალიან დიდი მადლობა გითხრათ და ჩემგან სიმბოლური საჩუქრები გაგატანოთ...

გადაცემის მეორე ნაწილში საინტერესო თემა გელოდებათ და რაც მთავარია თქვენ შეხვდებით ძალიან დიდი ხნის უნახავ ადამიანს, მოკლედ ტყუპი არველაძეები იქნებიან ჩვენი სტუმრები, ამიტომ არ გადართოთ. (*ნანუკას შოუ,* 27. მარტი, 2012)

გადაცემის ბლოკის სტუმრებისთვის მადლობის გადახდის შემდეგ, წამყვანი მიმართავს აუდიტორიას, რომ დარჩეს მათთან ერთად და ასევე ეუბნება თუ რას ნახავენ, რის შემდეგაც არის რეკლამა.

ამ შემთხვევაშიც არხის დახურვა ხდება მხოლოდ წამყვანის მიერ და პასუხად აუდიტორიისაგან მიიღება ტაში.

რეკლამის დასრულების შემდეგ, კვლავ წამყვანი ხსნის არხს. ის თითქმის ყოველთვის მადლობას უხდის აუდიტორიას იმისათვის, რომ დარჩნენ მათთან ერთად და შემდეგ წარადგენს მომდევნო სტუმარს.

(65) Alan: Welcome back to Tuesday's Eighty show (*The Alan Titchmarsh Show).*

(66) Ellen: So we are back with Madonna and as I said before the break, so when I, before it was really official that I was coming out, it was rumoured that I was coming out on my show, on my sitcom, it was all over the place and it was a big, huge, you know, topic. People were against it and people were for it. That was, I had never had that much media attention, it was really scary for me and Madonna called me out of the blue, we've never met, I've just all of a sudden got a call saying: It's Madonna and I just wonna say that I'm behind you, I am with you and support you and you said some really amazing things I won't share because they were very personal … (*The Ellen DeGeneres Show,* 22 Oct., 2012)

(67) ნანუკა: ძალიან დიდი მადლობა რომ დარჩით ჩემთან ერთად. უღრმესი მადლობა. ნამდვილად არ ინანებთ, იმიტომ რომ წინ ნამდვილად საინტერესო გადაცემა გელოდებათ. (*ნანუკას შოუ,* 27. მარტი, 2012)

არხის გახსნა ხდება წამყვანის მიერ. ამ შემთხვევაში არხის გამხსნელი სიგნალი უფრო მოკლეა და აუდიტორიისაგან კვლავ ტაშისა და ოვაციების სახით მიიღება პასუხი.

შეპირისპირებითმა ანალიზმა გვაჩვენა, რომ:

1. სამივე ტოქშოუში არხის გახსნა/დახურვა ხდება წამყვანის მიერ; სამიზნე აუდიტორიაა როგორც სტუდიაში, ასევე სახლებში მყოფი ინდივიდები;

2. არხის გამხსნელ/დამასრულებელ სიგნალებს წინ უძღვის არხის წინაგამხსნელი და წინადამასრულებელი სიგნალები, რომლებიც განსხვავებულად არის წარმოდგენილი სამივე ტოქშოუში; ბრიტანულ და ამერიკულ გვიან-ღამის და დღის ტოქშოუებში არხის წინაგამხსნელი სიგნალია ვერბალური და ვიზაულური საშუალება, ხოლო ყველა ქართულ და ბრიტანულ და ამერიკულ დილის ტოქშოუებში მხოლოდ ვიზუალური სიგნალი, გადაცემის ვიდეო-ქუდი;

3. განსხვავებულია არხის წინაგამხსნელი ვიზუალური და ვერბალური სიგნალების თანმიმდევრობა. მაგალითად, Alan titchmarsh-ის შოუში ვიზუალური სიგნალს ცვლის ვერბალური სიგნალი, ხოლო პირიქითაა Graham Norton Show-ში. ამერიკულ ენელის შოუში ვიზუალური სიგნალი ვერბალური სიგნალების შუაშია მოქცეული, ხოლო კონანთან ორივე ერთდროულად არის წარმოდგენილი;

4. არხის გამხსნელ სიგნალებში გამოიყოფა სხვადასხვა ჯგუფები მათი თანმიმდევრობის მიხედვით;

5. იმ შემთხვევაში, როდესაც ტოქშოუს ყავს ერთზე მეტი წამყვანი არხის გახსნა ხდება ერთის მიერ ბრიტანულ და ამერიკულ ტოქშოუებში, ხოლო ქართულში სამივე წამყვანის მიერ. თუმცა ქართულ ტოქშოუში არხის გახსნისას ადგილი აქვს წამყვანთა ჯერების გადაფარვას;

6. არხის გამხსნელ სიგნალებში გვხვდება როგორც ოფიციალური, ასევე არა-ოფიციაური, საუბრისათვის დამახასიათებელი ლექსიკური თუ სტრუქტურული მახასიათებლები;

7. ამერიკულ და ქართულ ტოქშოუებში გვხვდება უფრო გრძელი არხის გამხსნელი სიგნალები, ვიდრე ბრიტანულ ტოქშოუში;

8. ოფიციალური რეგისტრის ლექსიკის გამოყენება უფრო ბრიტანულ და ქართულ ტოქშოუებში გვხვდება, სადაც წამყვანი არხის გახსნისას და დასრულებისას აუდიტორიას მიმართავს ოფიციალური ლექსიკური ერთეულით, როგორიცაა მაგალითად: Ladies and gentlemen. ქართულ შოუში გამოიყენება თავაზიანი ფორმები – დიდი მადლობა მობრძანებისათვის;

9. არხის გამხსნელ და დამხურავ სიგნალებზე აუდიტორია პასუხობს ტაშით და ოვაციებით. ასევე არხის დახურვისას მონაწილეობას არ იღებს

კომუნიკაციის ყველა მონაწილე. სტუმრები ხან ემშვიდობებიან აუდიტორიას ხან არა.

§ 2.2. უკუკავშირის სიგნალები

ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ საკვლევ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ აღნიშნულ კულტურებში ზეპირმეტყველებითი კომუნიკაციის დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობს უკუკავშირის სიგნალები. როგორც ცნობილია, უკუკავშირის სიგნალები მიანიშნებენ კომუნიკაციის მონაწილეთა ჩაბმულობაზე კომუნიკაციის პროცესში. ვინაიდან განსახილველი კულტურებისათვის დამახასიათებელია რეფლექსური მოსმენის სტილი (დარასელია 2006: 21), საკვლევ მასალაში დიდი რაოდენობით შეგვხვდა უკუკავშირის სიგნალები.

სწორედ უკუკავშირის სიგნალებია გოფმანის (Goffman, 1976) სისტემურ შეზღუდვაში მეორე ადგილას. მისი აზრით, ყოველ კომუნიკაციაში უნდა არსებობდეს სპეციალური სიგნალები, რომლებიც აჩვენებს მოუბარს, რომ მის მიერ ნათქვამი მიდის მსმენელამდე. მაშინაც კი, როცა მათი ჯერი არაა მსმენელები თავს აქნევენ, უყურებენ მოსაუბრეს, იღიმიან და გამოსცემენ ბგერებსა და სიტყვებს, როგორიცაა ინლისური - uuhmm, uhhuh, yeah, yeah right, ქართული - კი, დიახ, აჰა, ჰმ, მართლა? რას ამბობ? და ა.შ. ეს ყოველივე აჩვენებს მოუბარს, რომ მას უსმენენ და მისი შეტყობინება ადეკვატურად არის აღქმული. უკუკავშირის სიგნალი არ შეიცავს ფაქტობრივ ინფორმაციას, მისი დანიშნულებაა დაარეგულიროს კომუნიკანტთა შორის ურთიერთობა. უკუკავშირის სიგნალი შეიძლება იყოს გარკვეული ბგერათა კომპლექსი, ჟესტი, სხეულის ენა, მიმიკა, სიტყვა ან ფრაზა, რომელსაც მსმენელი იყენებს რათა მოლაპარაკეს გადასცეს გარკვეული ტიპის: ფატიკური, ექსპრესიული და ა.შ. ინფორმაცია. გვაქვს ვერბალური და არა-ვერბალური უკუკავშირებითი სიგნალები (Hatch 1992: 14).

უკუკავშირის სიგნალები განსხვავდება ერთმანეთისაგან გარემოსა და მოუბრის როლების მიხედვით. მათზე მოქმედებს ასევე კულტურაც, რომელიც გავლენას ახდენს მათი გამოყენების ადგილსა და სიხშირეზე, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათზე მოქმედებს რიტუალური შეზღუდვა (Hatch 1992: 15).

დაკვირვებამ ცხადყო, რომ ტოქშოუებში უკუკავშირის სიგნალები ძირითადად გვხვდება მოუბრის ჯერის მსვლელობისას, დასრულებული აზრის გამომხატველი გამონათქვამის ბოლოს.

(1) Graham: One of our researchers took a picture of you with girls } there you all are...
Guest: ah

(*The Graham Norton Show*, 20 May, 2011)

(2) Guest: I spent every night researching in the internet, just trying to find out everything that could possibly go wrong } yes, I'm like, you can ask me anything, I'm like a walking encyclopedia...
Ellen: Aha, that's comforting (*The Ellen DeGeneres Show*, May, 2013)

(3) სტუმარი: პენსია ორჯერ გაიზრდება წელს. ერთი ეხლა ვისაც ას ათი ლარი აქვს 31 მარტის მეორე დღეს გაუხდება 125 ლარი და მერე პირველ სექტემბერს 150 ლარი, ანუ საარსებო მინიმუმს გაუტოლდება პენსია საქართველოში.

წამყვანი: აჰა, გასაგებია. (*The ვანოს შოუ*, 15 თებერვალი, 2013)

მოცემულ ქვეთავში შევეცდები ვაჩვენო, თუ როგორაა უკუკავშირის სიგნალები გამოყენებული ინგლისურენოვან (ბრიტანული და ამერიკული) და ქართულ ტოქშოუებში: ა) რა ტიპის უკუკავშირის სიგნალები გამოიყენება დისკურსის სხვადასხვა მონაწილეების მხრიდან (წამყვანი, სტუმრები, აუდიტორია); ბ) რომელი უკუკავშირის სიგნალი გამოიყენება ყველაზე ხშირად და გ) რა ფუნქციები აკისრია უკუკავშირის სიგნალებს ტოქშოუში.

ლინგვისტურ ლიტერატურაში არსებობს უკუკავშირის სიგნალების სხვადასხვა კლასიფიკაცია.

უკუკავშირის სიგნალების კლასიფიკაციისას ტოტი (Tottie 1991) ეყრდნობა ფორმალურ კრიტერიუმს. კერძოდ, იგი გამოყოფს **მარტივ** (ცალკეული ლექსიკური ერთეულისაგან შემდგარ სიგნალებს. მაგალითად – დიახ, აჰა, yeah, ok, hm), **ორმაგ** (ცალკეული ლექსიკური ერთეულის გამეორების შედეგად მიღებულ სიგნალს. მაგალითად: – ხო, ხო; კი, კი; yeah, yeah) და **რთულ** (ერთზე მეტი ლექსიკური ერთეულისაგან შემდგარ სიგნალს. მაგალითად: კი ბატონო, აჰა ნამდვილად, yeah right, Oh Gosh) უკუკავშირის სიგნალებს. (Tottie 1991: 263).

ჰაიაში და ჰაიაში (1991) (White, 1997), ერიქსონი (1979), შეგლოფი (1982), გუდვინი (1986) და მეინარდი (1996) ახდენენ უკუკავშირის სიგნალების კლასიფიკაციას მათი დისკურსული ფუნქციის მიხედვით.

ჰაიაში და ჰაიაში (1991) (White, 1997) გამოყოფენ 4 ტიპის უკუკავშირის სიგნალს მათი ფუნქციის მიხედვით:

ა) გამაგრძელებლები (continuers); ბ) ჩამსწორებლები (repairers)**; გ) გამატკიცებლები და დამადასტურებლები (reinforcers and claimers)** გამოხატავენ ინდივიდის აზრს **და დ) მიმანიშნებლები და განმარტებითი (prompters and clarifiers)** უკუკავშირის სიგნალები.

კოლთარდის (White, 1997) აზრით უკუკავშირის სიგნალების ფუნქციაა: ინფორმაციის აღიარება, მიღება ან დადასტურება.

მეინარდი გამოყოფს 6 ტიპის უკუკავშირის სიგნალს: გამაგრძელებელს, გაგების, თანხმობის, მხარდაჭერის, ემპათიის, ძლიერი ემოციის გამომხატველს, მცირე შესწორებების ან ინფორმაციის მოთხოვნის აღმნიშვნელს.

უელსის (2001) აზრით ჟღერადობის მიხედვით უკუკავშირის სიგნალები ორი ტიპისაა: ვოკალური და უხმო – ანუ არავერბალური. ვოკალურში შედის ა) ვერბალური სიგნალები; ბ) უბრალო ბგერები; გ) სიცილი; დ) ტაში. ამ უკანასკნელს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტოქშოუს ჟანრში. რაც შეეხება უხმო უკუკავშირის სიგნალებს ესენია ა) თავის დაკვრა ან გაქნევა, ბ) მზერის გადატანა, 3) ღიმილი, 4)სახის გამომეტყველება (მიმიკა), 5) ჟესტები.

ემპირიული მასალის შესწავლამ ცხადყო, რომ ტოქშოუში მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც ვერბალური, ისე არავერბალური უკუკავშირის სიგნალები. აღნიშნულ სიგნალებს განსხვავებული ფუნქციური დატვირთვა აქვთ ტოქშოუს დისკურსში.

1) **გამაგრძელებელი** უკუკავშირის სიგნალი - მიანიშნებს მოსაუბრეს, რომ მსმენელი ყურადღებით ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს ნათქვამს და სურს, რომ მოსაუბრემ საუბარი განაგრძოს. აღნიშნული ტიპის სიგნალი შეიძლება გამოიხატოს ვერბალურად (აღნიშნული ფუნქციით შემხვდა: Yes; Yeah; aha; right; Ok; I see; დიახ; ხო, აჰა) ან არავერბალურად (თვალის კონტაქტი, თავის დაქნევა, ღიმილი):

(4) Guest: You are probably busy but while acting you do hang around a lot and you just have to. While electricians are working you can't, you know, so you hang around there and gaze to see } we get a lot of people coming and watching us
Alan: } Yeah; } yeah, yeah.
(*The Alan Titchmarsh Show*, 5 March, 2012).

(5) Audience Member: She requested to take a photo for Ellen's show for her birthday which is today by the way and she got them and I was so excited } and her husband let me know early that we got tickets…

Ellen: Right (თავს უკრავს).

(*The Ellen DeGeneres Show*,5 April., 2012)

6) სტუმარი: ალბათ ყველას კარგად გახსოვთ ქართლოს კასრაძე, ცნობილი პიროვნება, მწერალი, კომიკოსი, ნუ ყველაფერი. ჩვენთან ერთად იყო სამოგზაურად დიდ ბრიტანეთში } და მოვხვდით ვესტმინსტერის სააბატოში

წამყვანი: } დიახ

(*ნანუკას შოუ*, 24 ნოემბერი, 2009)

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ გამაგრძელებელ უკუკავშირის სიგნალებს (როგორც ვერბალურს, ასევე არავერბალურს) ხშირად იყენებენ წამყვანები.

2) **შემაჩერებელი უკუკავშირი** – სიგნალს აძლევს მოსაუბრეს, რომ ის უნდა გაჩერდეს რადგან მსმენელს სურს ჯერის აღება ან სურს, რომ მან შეცვალოს საუბრის თემა. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკულ (*Late Night with Conan O'Brien, The Ellen DeGeneres Show*) ბრიტანულ (*The Graham Norton Show*) ტოქშოუებში შოუს დაწყებისას წამყვანები ცდილობენ დააწყნარონ მაყურებელი ჟესტიკულაციის და მიმიკის საშუალებით და ვერბალურად – uh, ah. შეიძლება ითქვას, რომ ეს უკუკავშირის სიგნალი ამ გადაცემებში უკვე რიტუალიზებულია.

3) **თანხმობის** გამომხატველი უკუკავშირის სიგნალი – როცა მსმენელი ეთანხმება მოლაპარაკის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. თანხმობა შეიძლება გამოიხატოს ვერბალურად (yeah; yeah, I know; aha; right; absolutely, Ok, that's for sure; all right; კი; დიახ; ნამდვილად; რა თქმა უნდა; ხო; აბა რა; ზუსტად; ბუნებრივია) ან არა-ვერბალურად, თავის დაქნევის საშუალებით.

(7) Graham: We've got to see it here from 8 January } that's when it's released here. It's like a legend a fable told through a western

Guest: } aha, Yeah

(The Graham Norton Show, 11 January, 2013)

(8) Guest: Now, here is the other thing, this is ultra-violet light, this is not a joke, this is real. You are not supposed to be looking } because it's dangerous.

Ellen: } Ok

(*The Ellen DeGeneres Show*, 8 March, 2011)

(9)სტუმარი: საკმაოდ რთული იყო მიღწევა იქამდე

რომ წასულიყავი ნანუკო:	ამას სჭირდებოდა 8 თვით ადრე ჯანმრთელობის ცნობა დიახ (*ნანუკას შოუ*, 24 ნოემბერ, 2009)

როგორც ემპირიული მასალიდან მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, კომუნიკანტები მოსმენისას იყენებენ სხვადასხვა ვერბალურ თუ არავერბალურ უკუკავშირის სიგნალებს რათა აჩვენონ, რომ გამოთქმულ მოსაზრებას ეთანხმებიან.

4) **კომენტარის** გამომხატველი უკუკავშირის სიგნალები, მათი მეშვეობით მსმენელი საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავს ნათქვამისადმი ან მთქმელისადმი. აქ გამოიყოფა რამდენიმე სახეობა:

ა) ***ოვაცია*** – ამ ტიპის ვერბალური (uuh, aah) და არავერბალური უკუკავშირის სიგნალები (ტაში, სიცილი, სტვენა) გამოიყენება სამივე კულტურის ტოქშოუებში სტუდიაში მყოფი აუდიტორიის მიერ, ისინი რიტუალიზებულია და წარმოადგენს ტოქშოუს განუყოფელ ნაწილს. გამონაკლისია ქართული *დღის შოუ,* სადაც სტიუდიაში აუდიტორია არ არის წარმოდგენილი და შესაბამისად მსგავსი უკუკავშირის სიგნალებიც არ გვხვდება.

ბ) ***აღფრთოვანება*** (აღფრთოვანება ჩვეულებრივ გამოიხატება შემდეგი სიგნალებით: wow, awesome; Oh, my God; Oh; so cute; ოო, ძალიან მაგარი იყო; ჰო, ჰო, ჰო; კაი ეხლა, მართლა? ან არავერბალურად – მიმიკის საშუალებით);

(10) Guest: There is more than one moon and then one of them goes in a horse shoe or something else

Graham: that's something interesting / Oh (სახის მიმიკა) (*The Graham Norton Show*, 11 Jan., 2013)

(11) Conan: Yeah, look at that.

Guest: Wow (*Late Night with Conan O'Brien*, 08 Nov., 2010)

(12) სტუმარი: იცი რა, თითონ ის დღე მახსოვს კარგად იმიტომ რომ როსტო და სალომე ცეკვავდნენ ლამბადას, თუ არ ვცდები ხო?

წამყვანი: ძალიან ვიცინე / ოო, ოო.

(*დღის შოუ*, 10 სექტემბერი, 2012)

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს აღფრთოვანება შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ ვერბალურად, სხვადასხვა უკუკავშირის სიგნალის საშუალებით (მაგალითი 11, 12), ან შეიძლება ვერბალურ სიგნალთან ერთად გამოყენებული იქნას არავერბალური სიგნალი, მიმიკა (მაგალითი 12).

გ) ***სიხარული*** (ტოქშოუში ვხვდებით სიხარულის გამომხატველ შემდეგ უკუკავშირის სიგნალებს: ვერბალური: Oh, my Gosh; oh; this is cool, მაგას რა ჯობია; ვაი; რა მაგარია. არა-ვერბალური: პირზე ხელის აფარება, სიცილი, სახის მიმიკა).

(13) Ellen: You're gonna be even better, because right now I'm gonna give you a 2013 Honda { Velastra

Guest: { Oh, my God (პირზე ხელს იფარებს) (*The Ellen DeGeneres Show*, 13 February, 2013).

(14) სტუმარი: დღიურებს აღარ ვაწარმოებ, დღეს უკვე მივხვდი როგორ უნდა ვაკონტროლო საკუთარი თავი, ანუ დღეს { უკვე ვიცი

ნანუკა: { მაგას რა ჯობია

(*ნანუკას შოუ*, 8 მაისი, 2013)

როდესას ვუსმენთ მოლაპარაკე ინდივიდს, ჯერის აღების გარეშე, ვერბალური და არავერბალური უკუკავშირის სიგნალების საშუალებით შეგვიძლია გამოვხატოთ, თუ რამდენად გაგვიხარდა მის მიერ ნათქვამი.

დ) ***აღშფოთება*** (აღშფოთება შეიძლება გამოხატულ იქნას შემდეგი სიგნალებით: ვერბალურად – Oh, God; what!; Oh, my God; Really? No; არა; დედა! დედა რას ამბობს! აი ეხლა, მართლა? არავერბალურად – მიმიკის საშუალებით)

(15) Guest: If you are on the display, it's even fun. You can start singing body-bodies on, or something

Guest 2: Oh, my Gosh. (*The Graham Norton Show*, 1 May, 2013)

(16) Ellen: Do we have it { let's show the failure.

Guest: { Oh, God. (*The Ellen DeGeneres Show*, 18 April, 2013)

(17) სტუმარი: ეხლა ჯერ კაბინეტი არ მაქვს დიდომში, უნივერსიტეტში ხოდა ვიფიქრე მოდი ეხლა კაბინეტს გავაკეთებ და ეს იქნება ცხოვრებაში ჩემი ბოლო კაბინეტი, ნუ რამდენიმე წლის შემდეგ იქიდან წავალ პენსიაზე ან შეიძლება იქიდან გამასვენონ, ნუ კაი გაგებით. იქ პანაშვიდს კი არ მოაწყობენ, იქ დამთავრდება ჩემი აქტიური საქმიანობა ან ცხოვრება, მაგრამ ეხლა ისეთი ეჭვი მაქვს რომ რა ვიცი, შეიძლება ციხეში ვიყო { არ ვიცი რა მოხდება რა

ნანუკა: { არაა

(*ნანუკას შოუ*, 8 მაისი, 2013)

ე) ***თანაგრძნობა*** (თანაგრძნობის გამომხატველი ვერბალური სიგნალებია: ინგლისური- Oh, Gosh, Oh, my God; oh; ქართული - ეჰ; უჰ; ვაი)

(18) Guest: It's quiet sad because they are really the poorest people I've ever seen and they eat rice. They have to cut the forests down to grow rice and eighty percent of the forest is gone

Alan: Oh, Gosh (*The Alan Titchmarsh Show,* 5 March, 2012)

(19) Ellen: I was to show what I found from some of you folk here today. Where is Jane Hanson, Where are you?

Audience: Oh no. (*Ellen DeGeneres Show, 26 April, 2012*)

(20) წამყვანი 1: დღეს ის გოგონა ცოცხალია, მაგრამ ამას თუ ეწოდება სიცოცხლე

წამყვანი 2: უჰ (*დღის შოუ,* 17 ივლისი, 2012)

ტოქშოუს ჟანრის სპეციპიკიდან გამომდინარე, სტუდიაში წარმოდგენილი ინდივიდები ყვებიან რაღაც ამბებს. ზოგჯერ მათ მიერ მოყოლილი ამბავი არის საკმაოდ სევდიანი ან მძიმე და მსმენელები ცდილობენ თანაგრძნობა გამოხატონ უკუკავშირის სიგნალების საშუალებით, რითაც აჩვენებენ ემპათიას.

ვ) ***ეჭვი*** (ეჭვის გამომხატველი უკუკავშირის სიგნალებია – really? No; ანუ?; მართლა?)

(21) Guest: I think next year we are going to try cohabitation.

Alan: Really?

(*The Alan Titchmarsh Show,* 5 March, 2012)

(22) Guest: I never did it. I thought it was terrible.

Host: Really?

(*The View,* 13 April, 2011)

(23) სტუმარი: ბავშობაში კი. ბავშობაში ძაან მიყვარდა ყურადღების ცენტრში ყოფნა. ბავშობაში ვოცნებობდი სხვათაშორის, სანამ ბიოლოგიას გადავწყვეტდი, სანამ სკოლაში წავიდოდი, არის ეგეთი შესანიშნავი პროფესია შპრეხსტალმეისტერი

ნანუკა: { არ იცით? აი ცირკში ნამყოფი საზოგადოება... ანუ? (*ნანუკას შოუ*, 8 მაისი, 2013)

იქიდან გამომდინარე, რომ ტოქშოუ აიგება კომუნიკაციის არხში ჩართულ პირთა შორის ინფორმაციის გაცვლაზე, ზოგჯერ შეიძლება ეჭვი გამოიწვიოს ერთი ადამიანის მიერ გამოთქმულმა მოსაზრებამ ან აღნიშნულმა ფაქტმა; მსმენელები უკუკავშირის საშუალებით აჩვენებენ კომუნიკანტს თავიანთ დამოკიდებულებას და ითხოვენ ინფორმაციის დაზუსტებას.

ტოქშოუს ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე უკუკავშირის სიგნალების კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს კომუნიკაციაში ჩართული მონაწილეების როლის მიხედვით. ტოქშოუს ჟანრი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შედგება სამი ნაწილისაგან შესავალი (წამყვანის მონოლოგი); ინტერვიუ (კითხვა-პასუხი წამყვანსა და სტუმრებს შორის) და დასკვნა, სადაც ხდება დისკურსის სამი მონაწილის სხვადასხვა დოზით ჩართვა და მათ მიერ გამოყენებული უკუკავშირის სიგნალებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება. განსხვავებულია მათ მიერ გამოყენებული უკუკავშირის სიგნალების ფორმა და ფუნქციაც. ასევე უკუკავშირის სიგნალები სხვადასხვა სიხშირიდ გამოიყენება ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ შოუებში. შეიძლება გამოიყოს **წამყვანის, სტუმრების და აუდიტორიის** მიერ გამოყენებული უკუკავშირის სიგნალები.

ვინაიდან ტოქშოუ ორიენტირებულია ფართო აუდიტორიაზე, მასში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აუდიტორიის მიერ გამოხატულ უკუკავშირის სიგნალებს. ეს უკანასკელი ძირითადად რიტუალიზებულია. სტუდიაში მყოფი აუდიტორია ძირითადად იყენებს ტაშს, სიცილს და ოვაციის გამომხატველ ვერბალურ სიგნალებს (uuh, aah).

სტუდიაში მყოფი აუდიტორიის მიერ გამოხატული უხმო სიგნალები, როგორიცაა ჟესტ-მიმიკა ტელემაყურებლისათვის უცნობია. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში კამერამ შეიძლება ახლო ხედით წარმოგვიდგინოს სტუდიაში მყოფი აუდიტორია. ზოგიერთ შემთხვევაში წამყვანმა შეიძლება საუბარი გააბას აუდიტორიის ცალკეულ წევრთან.

მაგალითად ელენი თავის ერთ-ერთ გადაცემაში ესაუბრება აუდიტორიის ერთ-ერთ წევრს და ამ შემთხვევაში ორივე კომუნიკანტს წარმოგვიდგენს კამერა. შესაბამისად, ჩანს აუდიტორიის წარმომადგენლის მიერ გამოყენებული უხმო სიგნალი.

(24) Ellen: How are you? Do you know which picture I’m gonna show of yours?

Aud. Member: I have no idea.

Ellen: You should never stop learning, you should grow as a human being, always learn. It appears you are taking a class here. Let’s take a look.

Aud. Member: სახეს მალავს ხელებში, თან იცინის (*The Ellen DeGeneres Show*, 26 April, 2012).

მოცემულ მაგალითში აუდიტორიის წევრის მიერ გამოყენებულია, როგორც ვოკალური უკუკავშირებითი სიგნალი (სიცილი), ასევე უხმო სიგნალიც

(ჟესტიკულაცია). ყოველივე ეს ინფორმაციას აწვდის წამყვანს თუ მისი ნათქვამი როგორ იქნა აღქმული.

იყო შემთხვევები, როდესაც აუდიტორიის ერთი რომელიმე წევრი თავს აქნევდა ან ხელებს იდებდა ტუჩებთან და გამოხატავდა საკუთარ გაოცებას.

ასევე დაკვირვებამ აჩვენა, რომ სამივე კულტურის ტოქშოუბში (გამონაკლისია ქართული *დღის შოუ*, სადაც სტუდიაში მყოფი აუდიტორია საერთოდ არ არის) აუდიტორია ვოკალური უკუკავშირებითი სიგნალებიდან ყველაზე ხშირად იყენებს ტაშს, სიცილს და ბგერებს (uuh, aah). ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე ხშირად უკუკავშირის სიგნალად ვხვდებით ტაშს. გამონაკლის წარმოადგენს გვიან-ღამის გასართობი ტოქშოუები, სადაც უფრო ხშირად ვხვდებით სიცილს.

ტოქშოუს ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, წამყვანსა და სტუმრებს შორის უფრო ხშირი და მრავალფეროვანი უკუკავშირის სიგნალებია გამოყენებული. ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ერთი მხრივ, ისინი პირისპირ სხედან და ესაუბრებიან ერთმანეთს, უფრო მეტად უნდა აჩვენონ ერთმანეთს თავიანთი დამოკიდებულება წარმოთქმულის მიმართ და მეორე მხრივ, მათ შორის მანძილი უფრო ახლოა, ასევე კამერა მიმართულია მათზე, მათ ააქვთ ხმის გამაძლიერებელი მიკროფონები, რაც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ და გავიგონოთ ყველა უკუკავშირის სიგნალი რომელსაც ისინი გამოიყენებენ. საუბრის მსვლელობისას ისინი უყურებენ ერთმანეთს, მიმიკის საშუალებით გამოხატავენ სხვადასხვა ემოციას, იღიმიან, იცინიან, გამოსცემენ ვერბალურ უკუკავშირის სიგნალებს.

წამყვანებსა და აუდიტორიას შორის უკუკავშირის სიგნალები სამივე კულტურაში არსებობს, თუმცა დაკვირვებამ გვაჩვენა რომ ბრიტანულ და ამერიკულ კულტურაში უფრო ხშირად ხდება ვერბალური უკუკავშირის სიგნალების გამოყენება. ასევე, დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ სხვადასხვა უკუკავშირის სიგნალები განსხვავებული სიხშირით გამოიყენება სხვადასხვა კულტურაში. ბრიტანულ ტოქშოუებში წამყვანების მხრიდან ყველაზე ხშირად გამოყენებული უკუკავშირის სიგნალებია – yeah, right, oh, ამერიკულ ტოქშოუებშიც პირველ ადგილასაა – yeah, შემდეგ ok, all right. ქართულ ტოქშოუებში თანაბარი სიხშირიდ გამოიყენება ხო, დიახ, შემდეგ კი – აჰა, კი. ფუნქციურად წამყვანების უკუკავშირის სიგნალები ძირითადად მიუთითებენ სტუმარს, რომ საუბარი განაგრძონ ან იმას, რომ მათ ნათქვამს ეთანხმებიან.

რაც შეეხება სტუმრების მიერ გამოყენებულ უკუკავშირებით სიგნალებს, აქაც უნდა აღინიშნოს რომ ბრიტანულ და ამერიკულ ტოქშოუებში უფრო ხშირადაა გამოყენებული ვერბალური უკუკავშირის სიგნალები. აქ პირველ ადგილზეა სიხშირის მიხედვით yeah, ასევე საკმაოდ ხშირად იყენებენ ემოციის გამომხატველ კომენტარებს როგორიცაა wow, oh my Gosh, oh. ქართულ ტოქშოუებში სტუმრის მხრიდან ყველაზე ხშირად გამოყენებული სიგნალია: კი, დიახ ან ხო.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ:

1. ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ ტოქშოუებში უკუკავშირის სიგნალები მნიშვნელოვან როლ თამაშობს. უკუკავშირის სიგნალების კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით: ა) ფორმობრივი მახასიათებლის მიხედვით; ბ) ფუნქციის მიხედვით; გ) კომუნიკაციაში ჩართული მონაწილეების მიხედვით;

2. უკუკავშირის სიგნალებს ტოქშოუში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ეს არის სწორედ აუდიტორიისათვის შექმნილი გადაცემა, მაყურებელი და აუდიტორია წყვეტს გადაცემის არსებობის ბედს. აქედან გამომდინარე, წამყვანები დიდ ყურადღებას აქცევენ უკუკავშირის სიგნალებს, რომლებსაც ისინი იღებენ აუდიტორიისაგან, რადგან სწორედ ეს სიგნალები აჩვენებს მათ ხალხის დამოკიდებულებას;

3. სამივე ქვეყნის ტოქშოუში აუდიტორიის უკუკავშირის სიგნალები უფრო ერთფეროვანი და რიტუალიზებულია. გამონაკლისია ქართული *დღის შოუ,* რომელსაც არ ჰყავს სტუდიის აუდიტორია;

4. განსხვავებული ფუნქციის უკუკავშირის სიგნალებს იყენებენ წამყვანები, სტუმრები და აუდიტორია და ასევე განსხვავებაა მათი გამოყენების სიხშირეშიც.

§ 2. 3. ჯერის სიგნალები

დიალოგური ხასიათის დისკურსში საკომუნიკაციო არხის გახსნის შემდეგ **ჯერის** პრინციპი მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

როგორც ცნობილია, პირისპირ წარმართულ საუბარში არსებობს კონკრეტული სიგნალები, რომლებიც არეგულირებენ ჯერის გაცვლა-გამოცვლას, მიუთითებენ თითოეული მოსაუბრის ჯერის დასრულებაზე და მეორე მოსაუბრეს აძლევენ ნიშანს, რომ მას შეუძლია ჯერი მიიღოს (Hatch 1992: 16). ჯერის სიგნალების საშუალებით თავიდან შეგვიძლია ავიცილოთ კომუნიკაციაში ჩართულ პირთა თანადროული ლაპარაკი, მოსაუბრისათვის ხელის შეშლა სათქმელის დამთავრებაში.

სპეციალური ლინგვისტური ლიტერატურის შესწავლამ და ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ **ჯერის სიგნალები** ტოქშოუს ჟანრის განუყოფელი ნაწილია და სხვადასხვაგვარად არის გადანაწილებული ტოქშოუს ქვემოთ მოყვანილ სქემაში.



არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, იმასთან დაკავშირებით თუ რა არის მიჩნეული ჯერად. გოფმანის აზრით ჯერი არის "გარკვეული ხანგრძლივობის საუბარი ერთი ადამიანის მიერ, რომელსაც წინ უძღვის და მოჰყვება პაუზა. ჯერი არის სიტყვის გადაცემა-მიღების პროცესი და არა თავად სიტყვა (Goffman

1981: 23). ჯერი ერთმანეთისაგან განსხვავდება თავისი ფორმისა და ზომის მიხედვით. ის შეიძლება იყოს მტკიცებითი წინადადება, კითხვა, ბრძანება ან წამოძახილი. რაც შეეხება ზომას, ის შეიძლება იყოს ერთი სიტყვა, ფრაზა, წინადადების ნაწილი, მთელი წინადადება ან რამდენიმე წინადადებებაც კი.

ჯერობის ტიპები ასევე განსხვავდება ერთმანეთისაგან დიალოგის ტიპების მიხედვით. განასხვავებენ ჯერობის შემდეგ სახეებს: **ჯერის მიღება თვითარჩევანით** (საკუთარი ინიციატივით საუბარში ჩართვა) და **ჯერის გადაცემა მოთხოვნით ან თხოვნით**: სხვისი არჩევანი, როცა სიტყვას გადასცემს მოუბარი პირი ან საუბრის წამყვანი (ზექალაშვილი 2012: 88). უნდა აღინიშნოს, რომ იქიდან გამომდინარე რომ ტოქშოუ განეკუთვნება ნახევრად-ინსტიტუციონალურ ჟანრს, ჯერის გადაცემა უმეტეს შემთხვევაში ხდება წამყვანის მიერ.

კონკრეტული ჯერის დასრულების აღმნიშვნელი სიგნალები შეიძლება იყოს როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ შემდეგი ტიპის ჯერის სიგნალები გამოიყენება ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ ტოქშოუებში.

ვერბალური სიგნალები

1) ცალკეული სიტყვები (აღნიშნული ჯგუფი მოიცავს სხვადასხვა ტიპის მიმართვის ფორმებს):

ა) სრული სახელები –წარმოთქმული ძირითადად წამყვანის ან გამომცხადებლის მიერ, როდესაც იგი წარადგენს სტუმარს ან წამყვანს და აძლევს სიგნალს, რომ მან მიიღოს ჯერი. უნდა აღინიშნოს, რომ სრული სახელები გამოყენებულია ძირითადად გადაცემის დასაწყისში, თითოეული ნაწილის დასაწყისში ან იშვიათ შემთხვევაში გადაცემის ბოლოს. ეს ბუნებრივიცაა რადგან სამივე კულტურაში არ ხდება სრული სახელების გამოყენება, როდესაც ერთმანეთს მივმართავთ იქნება ეს ოფიციალური თუ ყოველდღიური გარემო. ეს მოსაზრება დასტურდება ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ბრიტანული, ამერიკული და ქართული ტოქშოუებიდან.

(1) Alan: He had a chart-topping music career spanning four decades after which he became a doctor of astro-physics and chanselor of Liverpool John North University. Now, just to keep busy he is leading a campaign to alter government policy on countryside. Ladies and gentlemen, the passionate, Brian May.

Brian: Hello, thank you. (*The Alan Titchmarsh Show*, 27 Jan., 2012)

(2) Ellen: Hello, Porsha DeRossi.

Porsha: Hello, Ellen DeGeneres (*The Ellen DeGeneres Show*, Nov. 2010)

(3) ნანუკა: ეხლა კი ჩემი შემდეგი სტუმარი. ჩემი ნება რომ იყოს სულ აქ მეყოლებოდა სტუდიაში, კახი კავსაძე.

სტუმარი: მოგესალმებით (*ნანუკას შოუ*, 12 თებერვალი, 2012)

როგორც სამივე მაგალითიდან ჩანს, სრული სახელების გამოყენება ხდება ძირითადად, როდესაც წამყვანი წარადგენს სტუმარს და ამით ასრულებს თავის ჯერს.

ბ) კნინობითი სახელები – ინგლისური – Tony, Andy, Katie; ქართული – ნანუკა, თეა, ნინი. გამოიყენება როგორც წამყვანების, ასევე სტუმრების მხრიდან ჯერის სიგნალებად.

(4) Graham: Ed Byrne is very at the moment. Aren't you Ad?

Guest: yeah, yeah, I just took speeding points, didn't I? (*The Graham Norton Show*, 17 May, 2013)

(5) Ellen: Tony?

T: Yes? (*The Ellen DeGeneres Show*, 4 Nov., 2011)

(6) დოდოშკა: მეტი არაფერი დაგაბრუნებს, ნანიკო?

ნანიკო: არა, არა შეიძლება კიდე სხვა რაღაცეებმა დაგაბრუნოს. (*დღის შოუ*, 20 ივნისი, 2012)

გ) ოფიციალური მიმართვის ფორმები: ბატონო + სახელი ან ქალბატონო+სახელი მაგ: ბატონო ზურაბ, ბატონო კახი. უნდა აღინიშნოს, რომ განხილულ ინგლისურენოვან მასალებში, დაფიქსირდა მხოლოდ ოფიციალური მიმართვის ფორმა სახელის ან გვარის გარეშე.

(7) Conan: What's your name, sir?

Aud: Larry. (*Late Night with ConanO'Brien*)

(8) ნანიკო: გამარჯობათ ქალბატონო ლალი.

სტუმარი: გამარჯობათ (*დღის შოუ*, 20 სექტემბერი, 2012)

უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურენოვან (ბრიტანულ და ამერიკულ) ტოქშოუებში ოფიციალური მიმართვის ფორმა გამოყენებულია ძირითადად აუდიტორიის წევრების მიმართ (Mr., sir, madam) იმ შემთხვევაში როდესაც მოუბარმა არ იცის ადრესატის სახელი.

2) მეტყველების სტრუქტურული ნაწილები:

ა) ნაწილაკი – ინგლისური – yeah, right; ქართული - ხომ;

(9) Guest: Yeah, She bought some tickets, my mom, yeah, yeah.

Host: And you dance in a play, is it comic? (*Loose Women*, 24 April 2013)

(10) Ellen: Right now, we want to send our love to all the victims of the devastated tornado that affected Oclahoma, images are heart-breaking and we want everyone to know that we are sending our thoughts and our prayers, yeah.

Guest: And it's important to help them. (*The Ellen DeGeneres show*, 22 May, 2013)

(11) ნანუკა: უკვე დარქმეული გქონდათ ეს სახელი, ხომ

სტუმარი: დაგვარქვა ქართლოსმა და აღარც გვახსოვდა ფაქტიურად. (*ნანუკას შოუ*, 24 ნოემბერი, 2009)

ბ) კავშირები – ინგლისური – so, or, and. ქართული - და�ა, რომ (წარმოთქმული ხმოვნის წაგრძელებით)

(12) Host 1: All you need is a good foundation, so-o-o

Host 2: This is for you (*Loose Women*, 24 April, 2013)

(13) Conan: So you liked your growing up? When I was a kid, I mean, I was a read head and very pale and I hated the way I looked. Do you, do you go to the pale skin, was that fun for you o-o-or (pause)

Guest: I mean I didn't want to be pale but I accepted it, I didn't do very well. (*Late Night with Conan O'Brien*, 2008)

(14) სტუმარი: მე მეყო სითამამე რომ მიმეღო მონაწილეობა, მე მეყო სითამამე რომ

ნანიკო: რომ გეფიქრა, რომ დაგეშვა რომ მე გავიმარჯვებ? (*დღის შოუ*, 26. პრილი, 2012)

უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ჯერის სიგნალად გამოყენებულია კავშირი დიდი მნიშვნელობა ენიჭება პაუზას, რომელიც სიგნალს აძლევს მსმენელს რომ მოუბარს სურს ჯერი მან აიღოს. ზემოთ მოყვანილ სამივე (12, 13, 14) მაგალითში ვერბალურ სიგნალთან ერთად ვხვდებით პაუზას.

გ) შორისდებული – oops, wow. (უნდა აღინიშნოს, რომ oops და wow შეგვხვდა ქართულ მეტყველებაშიც).

(15) ნანუკა: ჯერ კიდევ 70-იან წლებში გინესის წიგნში მოხვდა ბონი ემი (Boney M), თუმცა ამ დროს შავ აბას გიწოდებდნენ, oops.

სტუმარი: The black Aba? (*ნანუკას შოუ*, სტუმრად ბონი ემი)

3) ფრაზები: ა) თავაზიანი ფორმულები: ინგლისური – thank you, thank you very much, ქართული –უკაცრავად, უღრმესი მადლობა;

(16) Conan: Chris Isaak, ladies and gentlemen. Thank you very much (*Late Night with Conan O'Brien, 1* May, 2007).

(17) Guest: Yes, thank you, well thank you.

Conan: I can see the skeleton. (*Late Night with Conan O'Brien*, 2008)

(18) ნანუკა: დიდი მადლობა სტუდიაში მობრძანებისათვის, უღრმესი მადლობა.

სტუმარი: მოგესალმებით (*ნანუკას შოუ,* 8 მაისი, 2013)

დაკვირვებამ ცხადყო, რომ თავაზიანო ფორმულები ძირითადად გვხვდება შესავალ ან დასკვნით ნაწილში, როდესაც წამყვანი მადლობას უხდის სტუმარს სტუდიაში მოსვლისათვის.

ბ) სასაუბრო ფორმულები – ინგლისური – you know, all right, you know kind of, ქართული – მართლა? კარგით რა.

(19) Guest: Yes, from the beginning really, from school. Although at school music lessons were a little bit out of fashion for me. I wanted to learn songs and they learnt. Music was a kind of thing where I escaped to. There were six kids at my family, so you know when I wanted to be alone, I'd go off and listen to my records and you know kind of.

(20) Alan: Who do you want to sing like? (*The Alan Titchmarsh Show*, 8 December, 2009)

Guest: It's not as good as sitting on the meat-chair, you know.

Ellen: Oh, we've got it cleaned. (*The Ellen Degeneres Show*, 16 February, 2013)

(21) ვანო: პრიზების შესახებ იცით რამე, მართლა?

სტუმარი: ცოტაოდენი (*The ვანოს შოუ,* 28 ივნისი, 2013)

გ) ბოლო ფრაზის ან სიტყვის გამეორება – ინგლისური – very nice, very nice; ქართული – კი, კი

(22) Alan: So, when are you starting filming the next season, Doc?

G: Next spring. Next spring.

Alan: Next spring? (*The Alan Titchmarsh Show*, 5 March, 2012)

(23) Ellen: Yes, obviously you went from ninety-five pounds to eighty-two pounds, eighty two pounds.

Guest: Yes, I was suffering from eatig disorder (*The Ellen DeGeneres Show*, 4 Nov., 2011)

(24) წამყვანი 1: ყველანაირებს ემართებათ. ჭკვიანსაც, შეძლებულებსაც და შეძლებულებს უფრო ემართებათ, კი, კი

წამყვანი 2: ყველანაირებს ემართებათ (*დღის შოუ,* 27 მარტი, 2012)

ჩემი აზრით, გამეორება გამოწვეულია იმით, რომ მსმენელმა წინა ჯერის სიგნალი ვერ გაიგო და კომუნიკანტი ბოლო ფრაზის გამეორებით ცდილობს მსმენელს დაანახვოს, რომ მას მეტი სათქმელი აღარ ააქვს და შეუძლია ჯერი აიღოს თავად.

წინადადების ფორმის მქონე ჯერის სიგნალები

ა) კითხვები:

ზოგადი ტიპის კითხვები:

(25) Allan: What were your ambitions earlier? Was it music that ran from the very start?

Guest: Yes, from the beginning really, from school… (*The Allan Titchmarsh Show*, 08 December, 2009)

(26) Ellen: Hi, how are you? Do you know which picture I'm gonna show of yours?

Aud: I've no idea. (*The Ellen DeGeneres Show*, Hugh Grant, 2010.)

(27) ნანიკო: ხო მაგრამ, არ გინანია არაფერი?

სტუმარი: იცი რა, ბავშობაში ალბათ მინანია. როდესაც პატარა ვიყავი დ ავერ ვიაზრებდი იმას რომ არ ღირს არაფრის სინანული (*დღის შოუ*, 26 აპრილი, 2012)

სპეციალური კითხვები

(28) Allan: What're you doing?

Guest: I'm offering a day out with me. Either horse riding or just doing something fun. (*The Alan Titchmarsh Show*, 4 March, 2009)

(29) Host 1: What is he talking about?

Host 2: I don't know. (*The View*, 10 May, 2013)

(30) ია: ნანიკო, მინდა გითქრა მშბენიერი რუჯი გაქვს. რამდენხნიანი, როდის დაიწყე გარუჯვა?

ნანიკო: სტაბილურად ორკვირაში ერთხელ, კვირაში ერთხელ. მაგრამ მე მინდა ვთქვა გაოგნებული ვარ დავდივარ სოლარიუმ ერგოლაინში. (*დღის შოუ*, 30 აპრილი, 2012)

კუდი კითხვები – (დისიუნქციური/გამყოფი)

(31) Alan: It's amazing, isn't it?

Guest: Yes, something very proud to be involved in. (*The Alan Titchmarsh Show*, 2011)

(32) Host: You're saying that the country has become more evil, aren't you?

Guest: No, I'm saying that they are stricting our freedoms (*The View*, 10 May, 2013)

(33) ნანუკა: კოკაინი მომღერლის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, არა?

(*ნანუკას შოუ,* 15 თებერვალი, *2009)*

ბ) მტკიცებითი წინადადებები – უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ენაში ჯერის დასრულების სიგნალად გამოყენებული მტკიცებითი წინადადებები გამოითქმის დაღმავალი ინტონაციით და შენელებული ტემპით.

(34) Guest: The premier was great.

Graham: So, it is based on a book by Nicholas Sparke. (*The Graham Norton Show,* 27 April, 2012)

(35) Guest: I checked and heard that message: love you, want you, you broke up with me, and by the way call me back this is the former leader of the free world. So he knew about the show.

Host: Sounds funny cause it inspired your life but, you know, last week was one of the most talked episodes. (*The View,* 14 May, 2013)

(36) ნანუკა: 18 წლის იყავი როცა მეგობართან იყავი წასული და გაიღო კარები და აქაც, ისევე როგორც სხვაგან ხდება ხოლმე, შემოვიდა ერთი ბიჭი.

სტუმარი: კი 18 წლის ასაკში ვიყავი, როცა შემოვიდა ერთი ბიჭი, გავიცანი (*ნანუკას შოუ,* 8 მაისი, 2013)

პარალინგვისტური საშუალები

ა) ტემპის შენელება; ბ) ხმოვნების დაგრძელება გ) დაღმავალი ინტონაცია დ) პაუზა. როგორც ზემომოყვანილ მაგალითებში ვნახეთ, ყველა ეს პარალინგვისტური საშუალება გამოიყენება ვერბალურ სიგნალებთან ერთად.

რაც შეეხება **არავერბალურ სიგნალებს,** ესენია:

მზერის გადასვლა – გამოიყოფა სხვადასხვა ტიპის მზერის გადასვლა:

ა) მზერის გადატანა იმ ადამიანზე, ვისაც ვაძლევთ ჯერს (ქვემოთ მოყვანილია სურათი ამერიკული ტოქშოუდან):

The View

ჯერის გადაცემისას კომუნიკანტს მზერა გადააქვს იმ ინდივიდისაკენ ვისაც აძლევს ჯერს. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ მაგალითში მზერის გადატანის გარდა, წამყვანი ასევე ცვლის სხეულის მდებარეობას და იხრება იმ ადამიანისაკენ ვისაც აძლევს ჯერს.

ბ) ჯერის დასრულების მაჩვენებელი თვალების დახრა ან პირიქით თავის აწევა და სხვაგან გახედვა.

დღის შოუ

მოცემულ მაგალითში ქართული ტოქშოუდან წამყვანი ჯერის დასრულებისას თვალებს ხრის დაბლა და ამით აჩვენებს, რომ საუბარი დაასრულა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამივე კულტურაში თვალის კონტაქტი მნიშვნელოვანია და შესაბამისად მზერა ხშირად აღნიშნავს ჯერის დასრულებას ან მისი სხვისთვის გადაცემას.

ჟესტიკულაცია - დაკვირვებამ აჩვენა, რომ ჟესტიკულაცია, როგორც ჯერის სიგნალი, უფრო ხშირად გამოიყენება ბრიტანულ და ამერიკულ ტოქშოუებში. თუმცა, შეიძლება აღნიშნული მახასიათებელი ცალკეული ინდივიდის მეტყველებისათვის იყოს დამახასიათებელი. მაგალითად, ნანუკას შოუში კახი კავსაძე ხშირად იყენებს ჟესტიკულაციებს, როგორც ჯერის მიღება-გადაცემისას, ასევე მეტყველების პროცესში.

გამოყოფილ იქნა ჟესტიკულაციით გამოხატული ჯერის გადაცემის სიგნალის ორი ტიპი:

ჯერის გადაცემის სიგნალი – თითის გაშვერა იმ ადამიანისაკენ, ვისაც ვთავაზობთ ჯერს ან ხელით მინიშნება;

The Ellen DeGeneres Show

ვიზუალური ილუსტრაცია აღებულია ერთ-ერთ ამერიკულ ტოქშოუდან (The Ellen DeGeneres Show). სტუდიაში არის ორი სტუმარი და წამყვანი თითის გაშვერით ახდენს იმ პიროვნების იდენტიფიკაციას ვისაც გადასცემს ჯერს.

ჯერის დამასრულებელი სიგნალი – ხელების ჩამოწევა საუბრის დასრულებისას. ქვემოთ მოყვანილია ჯერის სიგნალად გამოყენებული აღნიშნული ჟესტი ბრიტანული ტოქშოუდან.

The Graham Norton Show

საუბრის დასრულებისას წამყვანი (გრეემ ნორტონი) ხელებს დაბლა წევს, რითაც ანიშნებს მსმენელს, რომ ჯერი დაასრულა.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ჯერის სიგნალები რეალიზდებიან როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური საშუალებებით და მათ თან ახლავს კამერის ფოკუსის შეცვლა და მიკროფონის გადაცემა.

დაკვირვებამ ასევე აჩვენა, რომ ჯერის სიგნალები ძირითადად გამოიყენება ტოქშოუს სქემატური ჩარჩოს ინტერვიუს ნაწილში, გამონაკლისია დილის ახალი ამბების ფორმატის შოუები (*Loose Women, The View, დღის შოუ*), სადაც მონოლოგშივე ჩართულია რამდენიმე წამყვანი და ისინი ცვლიან ერთმანეთში ჯერს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკულ ტოქშოუებში (*Late Night with Conan*

O'Brien, The Ellen DeGeneres Show) წამყვანები ხშირად იყენებენ ჯერის სიგნალებს შესავალ ნაწილშიც, რადგან საუბარში რთავენ აუდიტორიის წევრებს ან დისკ-ჟოკეისა თუ გამომცხადებელს. ასევე შესავალ ნაწილში ჯერის სიგნალს იყენებს გამომცხადებელი ზოგ ბრიტანულ და ქართულ ტოქშოუში.

ბრიტანულ ტოქშოუში (*The Alan Titchmarsh Show*) წამყვანის ჯერის დაწყებამდე გვაქვს გამომცხადებლის ჯერი, რემელიც თავის ჯერს არსულებს სტანდარტულად სრული სახელით და პარალინგვისტური საშულებებით, ხმოვნის წაგრძელებით და დაღმავალი ინტონაციით, რომელსაც მოჰყვება პაუზა.

(37) Announcer: Please, welcome your host, Alan Ti….tchma…rsh (*Alan Titchmarsh Show*, 2 Feb, 2011)

ამერიკულ ტოქშოუებშიც შესავალ ნაწილში წამყვანამდე ჯერს იღებს გამომცხდებელი, რომელიც ასევე სრული სახელის გამოცხადებით ასრულებს თავის ჯერს.

(38) Announcer: Here she is now, Ellen DeGeneres .(*The Ellen DeGeneres Show*, 23 May, 2013)

(39) Announcer: And Now here is your host, Co…na…n O'…Bri…an (*Late Night with Conan O'Brien,*5 Dec., 2006).

წამყვანი აქცენტს აკეთებს იმ ადამიანის სახელზე, რომელმაც უნდა მიიღოს ჯერი და ამას მოჰყვება პაუზა. ფოკუსი გადადის სცენაზე, სადაც უნდა გამოვიდეს წამყვანი. ეს ჯერის სიგნალი რიტუალიზებულია და ამ კონკრეტული შოუებისათვის არის დამახასიათებელი.

ამერიკულ გადაცემებში ასევე მონოლოგის ნაწილში ჯერს გადასცემს საკმაოდ ხშირად წამყვანი გამომცხადებელს ან აუდიტორიის რომელიმე წევრს.

(40) Conan: How are you?

Aud: Thank you. sir. (*Late Night with Conan O'Brien*, 8 Nov., 2008)

(42) Ellen: Tony?

Tony: Yes.

Ellen: Did you watch Opra On Monday? (*The Ellen DeGeneres Show*, 4 Nov., 2011)

ორივე შოუში ერთმანეთისაგან განსხვავდება მონოლოგის ნაწილში წამყვანისა და აუდიტორიის თუ გამომცხადებლის მიერ გამოყენებული ჯერის სიგნალები სიხშირისა და ტიპის მიხედვით.

წამყვანის მიერ გამოყენებული ჯერისმიერი სიგნალებია:

ვერბალური სიგნალები + პარალინგვისტური სიგნალები (ხმოვნის დაგრძელება, აღმავალი ან დაღმავალი ინტონაცია)

კნინობითი სახელები წარმოთქმული აღმავალი ინტონაციით და პაუზა, რომელსაც ასევე თან ერთვის არავერბალური მზერის გადატანა იმ ადამიანზე ვისაც ჯერს ვთავაზობთ.

Ellen: Tony

Tony: Yes? (7%)

მიმართვის ფორმას + კითხვა წარმოთქმული დაღმავალი ინტონაციით

Amy, are you there right now? Mandy, have you ever seen anything like that before? Kristie, where do you live? Tony, what do you think about the show that my Mum is in? (17%)

კითხვა + მიმართვის ფორმა: What is your question, Kristie? (3%)

წინადადების ფორმის მქონე ჯერის სიგნალები:

კითხვები – 45 %

ზოგადი ტიპის კითხვები – Did you watch Porsha on Monday? Did you see the evidence that the fungus have been removed? – 38 %

სპეციალური კითხვები – What's your name? What did you do? – 7%

მტკიცებითი წინადადება წარმოთქმული დაღმავალი ინტონაციით: Yes, that's what I did too. In Florida it's snowing; I love Canada – 14 %

არავერბალური სიგნალები:

მზერის გადატანა: წამყვანის მზერა გადადის ჯერის მიმღებ პიროვნებაზე აუდიტორიაში.

ჟესტები: ჟესტების ჭარბი გამოყენება. წამყვანი ქვევით წევს ხელებს ჯერის დასრულებისას ან თითით მიანიშნებს პიროვნებას, რომ ჯერი მიიღოს.

პაუზა: მოკლე პაუზები გვხვდება ჯერის გადაცემისათვის ღირებულ მონაკვეთებში.

ტოქშოუს ჟანრში შეკითხვები ჭარბად გამოიყენება პარალინგვისტურ სიგნალებთან, როგორც ჯერის სიგნალი და ეს შეიძლება აიხსნას ტოქშოუს ასიმეტრიული ხასიათით (აუდიტორიას არ ეძლევა კითხვების დასმის საშუალება). ამის გარდა, შესავალში ზოგადი ტიპის კითხვები ჭარბობს და ალბათ ესეც გამომიდინარეობს იქიდან, რომ აუდიტორიას არ ეძლევა გრძელი ჯერი.

რაც შეეხება აუდიტორიის მიერ გამოყენებულ ჯერის სიგნალებს, ისინი შემდგენაირია: ძირითადად ვხვდებით მტკიცებით წინადადებებს სხვადასხვა

პარალინგვისტურ სიგნალებთან ერთად. It was really gooooood.(წაგრძელებული ხმოვანი და დაღმავალი ინტონაცია) I am Kristie. მეტყველების სტრუქტურული ნაწილები დაღმავალი ინტონაციით: Yes; No; Really; Wow.

იყო შემთხვევა როდესაც აუდიტორიაში მჯდომმა პირმა ხელის აწევით მოითხოვა ჯერი.

რაც შეეხება ტოქშოუს სტრუქტურის შემდეგ ნაწილს (კითხვა-პასუხი), აქ ხშირად გამოიყენება ჯერის სიგნალები, როგორც წამყვანის, ასევე სტუმრების მხრიდან ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ ტოქშოუებში, რადგან სწორედ მათ შორის ჯერთა მონაცვლეობაზეა იგი აგებული. თუმცა, შეიმჩნევა განსხვავება სტუმრებისა და წამყვანის მიერ გამოყენებულ ჯერის სიგნალებს შორის. ამ ნაწილის ხასიათიდან გამომდინარე მოსალოდნელია, რომ წამყვანის ჯერის სიგნალების უმეტესობა იქნება კითხვითი წინადადებები. ეს მოლოდინი გამართლდა კიდეც.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ სამივე ქვეყნის ტოქშოუებში პირველ ადგილზეა კითხვითი წინადადებები, შემდეგ მტკიცებითი წინადადებები და სხვა ვერბალური სიგნალები. ამას გარდა, სამივე ტოქშოუში პარალინგვისტური ჯერის სიგნალები ასრულებდენ მნიშვნელოვან როლს სხვა სიგნალებთან ერთად. სრული სახელი, ან მხოლოდ სახელი გამოიყენება, როგორც ჯერის სიგნალი, გამონაკლისია ქართული ტოქშოუ, სადაც ოფიციალური მიმართვის ფორმა ქალბატონო/ბატონო+სახელი გვხვდება. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქართული ტოქშოუ ხაზს უსვამს იერარქიულ განსხვავებებს.

სტუმრები ძირითადად იყენებენ მტკიცებით წინადადებებს + პარალინგვისტური დაღმავალი ინტონაცია.

განსხვავება სამი ქვეყნის ტოქშოუებს შორის ჯერის სიგნალების მხრივ შემდეგნაირია: ბრიტანულ ტოქშოუებში წამყვანის მიერ ჯერის სიგნალად გამოყენებული მტკიცებითი წინადადებები შეადგენენ 28 %-ს, კითხვით წინადადებებს უკავიათ 46 %, ხოლო სხვა ვერბალურ საშუალებებს (ცალკეული სიტყვები, მეტყველების სტრუქტურული ნაწილაკები, ფრაზები) 27 %. ამერიკულ ტოქშოუებში წამყვანის მიერ გამოყენებული ჯერის სიგნალები შემდეგნაირადაა გადანაწილებული: მტკიცებითი წინადადებები 35 %, კითხვითი წინადადებები 36 % და სხვა ვერბალური საშუალებები (ცალკეული სიტყვები, მეტყველების სტრუქტურული ნაწილაკები და ფრაზები) 29 %. ხოლო რაც შეეხება ქართულ

ტოქშოუს – მტკიცებითი წინადადებები – 36 %, კითხვითი წინადადებები – 51 % და სხვა ვერბალური საშუალებები 13 %. სტუმრების მიერ გამოყენებული ჯერის სიგნალების სიხშირე შემდეგნაირიადაა წარმოდგენილი ამ სამი ქვეყნის ტოქშოუებში: ბრიტანული – მტკიცებითი წინადადებები 68 %, კითხვითი წინადადებები 5 % და სხვა ვერბალური საშუალებები (ცალკეული სიტყვები, მეტყველების სტრუქტურული ნაწილაკები და ფრაზები) 27 %. ამერიკული – მტკიცებითი წინადადებები 69 %, კითხვითი წინადადებები 5 % და სხვა ვერბალური საშუალებები (ცალკეული სიტყვები, მეტყველების სტრუქტურული ნაწილაკები და ფრაზები) 26 %. ქართული – მტკიცებითი წინადადებები 70 %, კითხვითი წინადადებები 3 % და სხვა ვერბალური საშუალებები (ცალკეული სიტყვები, მეტყველების სტრუქტურული ნაწილაკები და ფრაზები) 27 %.

როგორც ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, წამყვანის ჯერის სიგნალებში ჭარბობს კითხვითი წინადადებები. რაც შეეხება სტუმრების ჯერის სიგნალებს, აქ პირველ ადგილზეა მტკიცებითი წინადადებები.

ამის გარდა, ამერიკული და ბრიტანული ტოქშოუებისათვის დამახასიათებელია ჟესტების ჭარბი გამოყენება ჯერის სიგნალებად. ასევე გვაქვს პატარა პაუზები ამერიკულ და ქართულ შოუებში. ბრიტანულ და ქართულ ტოქშოუებში აუდიტორია არ აწყვეტინებს ხშირად არც წამყვანს და არც სტუმარს, რაც შეეხება ამერიკულ ტოქშოუს, ამგვარი გაწყვეტინებები საკმაოდ ხშირია. წამყვანს აქვს გაწვეტინების უფლება. სტუმრები ხშირად აწყვეტინებენ ერთმანეთს საუბარს უფრო ქართულ ტოქშოუებში.

დასკვნით ნაწილში ჯერისმიერი სიგნალები არ გვხვდება არც ბრიტანულ, არც ამერიკულ და არც ქართულ ტოქშოუებში, რადგან გვაქვს წამყვანის ერთი ჯერი.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ:

1. ჯერის სიგნალები ტოქშოუს ჟანრის განუყოფელი ნაწილია;

2. ემპირიულ მასალაზე დაკვირვების საფუძველზე მოვახდინე ჯერის სიგნალების კლასიფიკაცია ვერბალურ, არავერბალურ და პარავერბალურ საშუალებებად და თითოეულ მათგანში გამოყოფილ იქნა ცალკეული ჯგუფები;

3. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ჯერის სიგნალები ძირითადად გამოიყენება ტოქშოუს სქემატური ჩარჩოს ინტერვიუს ნაწილში, თუმცა ამერიკულ თოქშოუებში წამყვანი ხშირად იყენებს ჯერის სიგნალებს შესავალ ნაწილშიც;

4. წამყვანისა და სტუმრების მიერ გამოყენებული ჯერის სიგნალები განსხვავდება ერთმანეთისაგან სიხშირისა და ფორმის მიხედვით;

5. შოუს დასკვნით ნაწილში არცერთ ტოქშოუში არ გვხვდება ჯერის სიგნალები.

§ 2.4. აკუსტიკურად ადეკვატური და ინტერპრეტირებადი შეტყობინებები

ტოქშოუ არიდ გადაცემა, რომელიც გამიზნულია ფართო აუდიტორიისთვის. აქედან გამომდინარე, თითოეული ტოქშოუში ჩართული პირი უნდა შეეცადოს თავისი ნათქვამი გახადოს გასაგები ფართო მასებისათვის, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება კომუნიკაცია წარმატებული. წამყვანმა და სტუმრებმა უნდა ისაუბრონ შესაბამისი ტემბრით, ხმის სიმაღლით, ტემპით და ლექსიკით. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გადაცემის ჩაწერას ესწრება ასობით ადამიანი, წამყვანმა უნდა მოახერხოს ისინი გააკონტროლოს და არ მისცეს მათ საშუალება ზედმეტი ხმაურის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მოუბარი პირების აკუსტიკური ადეკვატურობის დარღვევა.

კომუნიკაციის წარმატებული ფუნქციონირებისათვის საჭიროა შეტყობინებები იყოს ინტერპრეტირებადი, სმენით ადვილად აღსაქმელი და გასაგები. სწორედ ამაში მდგომარეობს გოფმანის ერთ-ერთი სისტემური შეზღუდვა. შეტყობინების გაგებას შეიძლება ხელი შეუშალოს, ერთი მხრივ, იმ გარემოში არსებულმა ხმაურმა ან, მეორე მხრივ, გამოთქმული აზრის არასწორ ლინგვისტურ ფორმაში ჩამოყალიბებამ. იმ შემთხვევაში თუ მოხდა შეტყობინების არასწორად ფორმულირება, უნდა მოხდეს მისი ჩასწორება, წინააღმდეგ შემთხვევაში კომუნიკაცია ვერ შედგება (Hatch 1992: 21).

ტოქშოუს ჟანრში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმოთქმული გამონათქვამები იყოს აკუსტიკურად ადეკვატური და ინტერპრეტირებადი ყველასათვის. საუბრისას ადრესანტებმა (წამყვანებმა თუ სტუმრებმა) უნდა იფიქრონ არა მხოლოდ ერთ ადრესატზე, არამედ ფართო აუდიტორიაზე, რომელიც მათ უყურებს. ისინი შეიძლება იყვნენ სხვადასხვა ასაკის, სოციალური სტატუსისა თუ განათლების მქონე ინდივიდები. შესაბამისად, წამყვანებისა და სტუმრების მეტყველება უნდა ერგებოდეს და გასაგები იყოს მეტნაკლებად ფართო აუდიტორიისათვის.

აკუსტიკურ ადეკვატურობაში შეიძლება იგულისხმებოდეს საუბრისას ჩვენი ხმის სიმაღლე.

იმისათვის, რომ წარმოთქმული იყოს აკუსტიკურად ადეკვატური და ინტერპრეტირებადი ტოქშოუს ჟანრში ამის ერთ-ერთი გარანტია მიკროფონი.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ტოქშოუებში მონაწილე პირებს ააქვთ მიმაგრებული სპეციალური ხმის გამაძლიერებელი

მოწყობილობები, რომლებიც მეტყველებას ხდის აკუსტიკურად ადეკვატურს და ამისათვის თავად მოუბარს არ უწევს ხმის სიმაღლის აწევა. გადაცემის დაწყებამდე წინასწარ მუშაობს ხმის ოპერატორთა ჯგუფი, რომლებიც არეგულირებენ ხმის სიმაღლეს, რაც გარკვეულწილად გარანტია აკუსტიკური ადეკვატურობის.

თუმცა, მიუხედავად მიკროფონების არსებობისა ზოგჯერ წამყვანისა თუ სტუმრის მიერ წარმოთქმული არ არის აკუსტიკურად ადეკვატური აუდიტორიისათვის და ამას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზეზი. ეს შეიძლება იყოს გამიზნული, როდესაც მოუბარ პირებს თავად არ სურთ ნათქვამი გაიგოს აუდიტორიამ, და მხოლოდ ერთმანეთში საუბრობენ. ამგვარი აკუსტიკურად არაადეკვატური საუბარი არის დამახასიათებელი *The Ellen DeGeneres Show*-სთვის; როდესაც წამყვანი წარადგენს სტუმარს და სტუმარი შემოდის სტუდიაში და ისინი ესალმებიან ერთმანეთს და შემდეგ რაღაცაზე საუბრობენ ან როდესაც წამყვანი აცხადებს რეკლამას, მუსიკის ხმა იწევს და ისინი კვლავ რაღაცაზე საუბრობენ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მათი საუბარი აუდიტორიისთვის არ არის განკუთვნილი. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი აკუსტიკური არაადეკვატურობა ამ ტოქშოუს მახასიათებელია და რიტუალიზებულია რადგან თითქმის ყველა გადაცემაში მეორდება.

საუბრის გამიზნულად არააკუსტიკურად ადეკვატურობა შემხვდა ასევე კონანის შოუში (*Late Night with Conan O'Brien*).

(1) Conan: I'm a comedian, I'm a comedian Max and I'll be down if some Giant tech company with an ad budget will take away my integrity as far as I'm concerned with ..... (*Late Night with Conan O'Brien*, 1 May, 2007)

წინადადების ბოლო ნაწილი არის აკუსტიკურად არაადეკვატური, მაგრამ ამას წამყვანი გამიზნულად აკეთებს, იუმორისტულად წარმოაჩენს თუ რამდენად გაბრაზებულია და მეტყველების უნარსაც კარგავს.

საუბრის აკუსტიკურად არაადეკვატურობა შეიძლება გამოწვეული იყოს აუდიტორიის ხმაურით, გადაჭარბებული ოვაციებით თუ ტაშით. ჩემს მიერ განხილულ ემპირულ მასალებში მსგავსი პრობლემა გვხვდება ძირითადად შოუს დაწყებისას ან რეკლამის ტიხრის შემდეგ და ისიც ამერიკულ *The Ellen DeGeneres Show* და *Late Night with Conan O'Brien* ტოქშოუებში. ჩემი აზრით, ეს განპირობებულია, ერთი მხრივ, კულტურის სპეციფიკით, ამერიკულ კულტურაში მიღებულია უკუკავშირის უხვად გამოხატვა. ასევე აღნიშნულ ტოქშოუებში

წამყვანები უფრო მეტად ცდილობენ აუდიტორიის ჩართვას და უფრო ახლო კონტაქტი აქვთ მათთან. ელენი გადაცემის დასაწყისში ცეკვავს აუდიტორიასთან ერთად, კონანი და ელენი ხშირად მიმართავენ აუდიტორიას და ზოგჯერ სცენაზეც კი აჰყავთ ისინი. ბრიტანელები უფრო თავშეკავებული ხალხია და გადაჭარბებული ემოციების გამოხატვა არ არის მათვის დამახასიათებელი, შესაბამისად აუდიტორიის გადაჭარბებული ხმაურიც ჩემს მიერ განხილულ ბრიტანულ ტოქშოუებში არ შემხვდა. ასევე არ შემხვდა მსგავსი ტიპის აუდიტორიის ხმაური ქართულ ტოქშოუებშიც.

როდესაც ხმაური ხელს უშლის მოუბარი პირის საუბრის აკუსტიკურ ადეკვატურობას, ამ შემთხვევაში ის სხვადასხვა სტრატეგიას იყენებს, რათა მის მიერ წარმოთქმული გახადოს აკუსტიკურად ადეკვატური. თუმცა, დაკვირვებამ აჩვენა რომ ამ სტრატეგიებს გამოიყენებენ ძირითადად წამყვანები და ეს, ალბათ, განპირობებულია მათი ინსტიტუციონალური როლით, ისინი არიან გადაცემაზე პასუხისმგებელი პირები.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია გამოვყოთ წამყვანის მიერ გამოყენებული ხელისშემშლელი ხმაურის (ხმაური, რომელიც იწვევს აკუსტიკურ არაადეკვატურობას) შემაჩერებელი შემდეგი ვერბალური, არავერბალური და პარავერბალური საშუალებები:

ვერბალური საშუალებები:

დამაწყნარებელი ფრაზები: wait; settle down; sleep, sleep; stop; oh no, no; please, ladies and gentlemen, please.

(2)Conan: Please everybody, settle down, everyone settle down (*Late Night with Conan O'Brien*, 1 May, 2007).

არავერბალური საშუალებები:

ჟესტიკულაცია – ხელების მოძრაობით ხმაურის შეჩერება.

Late Night with Conan O'Brien	**The Ellen DeGeneres Show**

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, წამყვანები ხელების მოძრაობით ცდილობენ შეაჩერონ აუდიტორია რათა შეძლონ საუბრის გაგრძელება.

პარავერბალური საშუალებები:

პაუზა – მოუბარი პირი ჩერდება და ელოდება როდის იკლებს ხმაური, რათა მან განაგრძოს საუბარი.

(3) Ellen: I hope (პაუზას აკეთებს რადგან სტუდიაში არის აუდიტორიის გადაჭარბებული ოვაციები) I hope this will not annoy you but I need to take a break and then we'll talk about more things that annoy you. (*The Ellen DeGeneres Show*, 23 May, 2013)

როდესაც ვსაუბრობთ აკუსტიკურ ადეკვატურობაზე, ვგულისხმობთ არა მხოლოდ შესაბამისი ხმის სიმაღლით საუბარს და გარეშე ხმის ჩახშობას, არამედ სიტყვების სწორ წარმოთქმასაც.

განხილულ ტოქშოუებში შემხვდა მაგალითები, როდესაც კომუნიკანტი არ იყო დარწმუნებული მის მიერ წარმოთქმულის აკუსტიკურ ადეკვატურობაში და შესაბამისად ის აკეთებდა ამის გადამოწმებას.

(4) Graham: Jak Gyllenhaal, Gyllen, it's a Gyllenhaal, is it right?

Guest: Yes, it's a Gyllenhaal, that's right. (*The Graham Norton Show*, Dec 1, 2013)

მოცემულ მაგალითში ყურადღებაა გამახვილებული ერთ-ერთი სტუმრის გვარის აკუსტიკურ ადეკვატურობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ადამიანს მივმართავთ მნიშვნელოვანია მისი სახელი ან გვარი გამოვთქვათ სწორად რადგან ადამიანების უმეტესობას ამგვარ შეცდომებზე საკმაოდ ემოციურად რეაგირებს.

ასევე შემხვდა მაგალითი ქართულ *ნანუკას შოუში*, როდესაც სტუმრის მიერ წარმოთქმული არ იყო აკუსტიკურად ადეკვატური, თუმცა მოუბარი პირი მის ჩასწორებას არ აკეთებს და კომუნიკაცია მაინც წარმატებულია, რადგან დაშვებული შეცდომა არ იწვევს გაუგებრობას.

(5) სტუმარი: ბებია იყო ნიკო ნიკოლაძის **უმფროსი** შვილი. როცა ის იყო პეტერბურგში და ჰყავდა, **არა ცოლი**, რუსი, ანუ ცოტა რუსული სისხლიც მაქვს (*ნანუკას შოუ*, 10 აპრილი, 2013)

აღნიშნულ ტოქშოუს სტუმარი არის ქართველი ემიგრანტების წარმომადგენელი და მთელი გადაცემის მანძილზე ის უშვებს შეცდომებს, თუმცა მისი საუბარი მაინც ინტერპრეტირებადია.

ზოგიერთ შემთხვევაში ჩასწორება შეიძლება გააკეთოს მსმენელმა და ამით დაეხმაროს მოუბარ პირს.

(6) სტუმარი: მემგონი მისი ყველაზე საინტერესო ნაწილი იყო, რომ ყველაფერში იყო ძალიან აღმომჩენელი, ესე იგი ყველაფერს

წამყვანი: სიახლეების

სტუმარი: სიახლეების ძალიან მოყვარული (*ნანუკას შოუ*, 10 აპრილი, 2013)

მოცემულ მაგალითში წამყვანი ეხმარება სტუმარს სწორი სიტყვის შერჩევაში.

გარდა აკუსტიკურად ადეკვატურისა წამყვანისა და სტუმრების საუბარი უნდა იყოს ინტერპრეტირებადი, ანუ მათ უნდა გამოიყენონ ისეთი ლექსიკა და წინადადების წყობა, რაც მისაღები და გასაგები იქნება ყველასათვის. აქედან გამომიდინარე, მათი საუბარში არ გვხვდება სპეციფიკური ლექსიკა, რომელიც მხოლოდ გარკვეული ჯგუფებისათვის იქნება გასაგები.

შეტყობინება არის აკუსტიკურად არაინტერპრეტირებადი და არააკუსტიკურად ადეკვატური, როდესაც საუბარი წარიმართება ორ განსხვავებულ ენაზე მოსაუბრე ხალხს შორის. ამგვარი მაგალითი შემხვდა მხოლოდ ქართულ ტოქშოუში, ეს ალბათ განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ინგლისური არის საერთაშორისო ენა და ყველა სტუმარი, რომელიც ბრიტანულ თუ ამერიკულ ტოქშოუში არის მიწვეული ფლობს ამ ენას და თავისუფლად საუბრობს. ქართულ *ნანუკას შოუში* იყო შემთხვევა, როდესაც სტუმარი იყო უცხოელი. იმისათვის რომ წარმოთქმული წინადადებები გახდეს ადრესატისათვის ინტერპრეტირებადი საჭიროა თარჯიმანი, რომელიც მოახდენს წარმოთქმულის მისთვის გასაგებ ენაზე თარგმნას.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ამ შემთხევაში ხდება ტემპის შენელება, წინადადება იყოფა ნაწილებად და კეთდება პაუზები რათა თარჯიმანმა მოახდინოს წარმოთქმულის მეორე ენაზე თარგმნა.

(7) ნანუკა: მე მიხარია რომ ხართ ჩემს ქვეყანაში (პაუზა) უფრო მიხარია რომ პირველი ბონი ემის სოლისტი არის ჩემს სტუდიაში. (პაუზა) თქვენ ძალიან პოპულარულები ხართ ჩვენს სტუდიაში, იცით ამის შესახებ რამე? (*ნანუკას შოუ*, იანვარი, 2009)

იმისათვის, რომ წამყვანის საუბარი გახდებს ინტერპრეტირებადი ადრესატისათვის, ჩვეულებრივი საუბრისაგან განსხვავებით, ხდება მეტყველების სტილის შეცვლა. ტემპი კლებულობს, გვაქვს მეტი პაუზები რაც ჩვეულებრივი საუბრისათვის არ არის დამახასიათებელი.

მეტყველების აკუსტიკური ადეკვატურობა და ინტერპრეტირებულობა მჭიდრო კავშირშია უკუკავშირთან. უკუკავშირის სიგნალი ან მსმენელის შესაბამისი რეაგირება სიგნალს აძლევს მოუბარ პირს, რომ მის მიერ ნათქვამი იქნა გაგებული და ის ნათელია. თუ არ იქნა იმ რეაქციის მიღება რასაც ველით, მაშინ ხდება ნათქვამის ჩასწორება, სანამ არ გვექნება სასურველი შედეგი. ქვემოთ მოყვანილია მაგალითი ბრიტანული შოუდან: ვახოთ თუ როგორ ახდენს კომუნიკანტი მის მიერ წარმოთქმული გახადოს უფრო ინტერპრეტირებადი.

(8) Graham: Special effects are amazing, especially like those evil flying monkeys (*The Graham Norton Show).*

წამყვანი მონოლოგში წარმოთქვამს ამ წინადადებას და ელის, რომ ამ წინადადების შემდეგ უნდა გამოჩნდნენ მფრინავი მაიმუნები. ეს ასე არ ხდება. ამრიგად წამყვანი ხელმეორედ წარმოთქმას ამ წინადადებას უფრო ნელი ტემპით და საკვანძო სიტყვებზე მახვილების გაკეთებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ:

1. ტოქშოუს სპეციფიკიდან გამომდინარე საუბრის აკუსტიკური ადეკვატურობა შეიძლება მიღწეულ იქნას ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობით;

2. აკუსტიკური არაადეკვატურობა შეიძლება იყოს გამიზნული ან შემთხვევითი;

3. ტოქშოუს სპეციფიკიდან გამომდინარე აკუსტიკურ ადეკვატურობას შეიძლება ხელი შეუშალოს აუდიტორიამ;

4. ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოვყავი გარეშე ხმების ჩამხშობი ვერბალური, არავერბალური და პარავერბალური საშუალებები, რომლებიც ძირითადად ამერიკულ ტოქშოუებში გვხვდება და წამყვანის მიერაა გამოყენებული. შედარებით ნაკლებადაა გამოყენებული ბრიტანულ და თითქმის არ გვხვდება ქართულ ტოქშოუებში. ეს კულტურის სპეციფიკითაა განპირობებული;

5. აკუსტიკური არაადეკვატურობა შეიძლება იყოს შემთხვევითი ან გამიზნული. ამერიკულ ელენის შოუში ვხვდებით გამიზნული არააკუსტიკური ადეკვტრობის მაგალითებს, რომელიც რიტუალიზებულია და ამ შოუს კონკრეტული ნაწილისათვის (კერძოდ, საუბარი წამყანსა და სტუმარს შორის რეკლამის გამოცხადების შემდეგ) არის დამახასიათებელი;

6. სამივე ქვეყნის ტოქშოუებში წამყვანებიც და სტუმრებიც იყენებენ ისეთ ლექსიკასა და წინადადების წყობას, რომელიც გასაგები იქნება ფართო აუდიტორიისათვის; არ გამოიყენება რთული, სპეციფიკური ლექსიკა თუ სლენგი, რომელიც მხოლოდ გარკვეული ჯგუფებისათვის არის გასაგები;

7. ქართულ ტოქშოუში დაფიქსირდა შემთხვევა განსხვავებული კოდის (საერთაშორისო უცხო ენის) გამოყენების. კომუნიკაცია წამყვანსა და სტუმარს შორის ხორციელდება თარჯიმნის მეშვეობით. საუბარი ხასიათდება შენელებული ტემპით და პაუზათა ხშირი გამოყენებით.

§ 2.5. ჩართული მონაკვეთის სიგნალები

ხშირად საუბრისას, სხვადასხვა მიზეზის გამო, კომუნიკანტები უხვევენ საუბრის მთავარი თემიდან, იწყებენ სხვა საკითხზე ლაპარაკს და შემდეგ კვლავ უბრუნდებიან საუბრის ძირითად თემას.

ყველა სახის კომუნიკაციაში, არსებობს სიგნალები, რომლებიც აჩვენებენ, რომ შეტყობინების ეს ნაწილი არ ეხება მთავარი საუბრის თემას. ე. გოფმანი ამგვარ სიგნალებს უწოდებს ჩართული მონაკვეთის სიგნალებს. იგი იყენებს ტერმინს **bracket signals.** ისინი გვეხმარება შევაჩეროთ საუბარი, ვთქვათ რისი თქმაც გვინდა და შემდეგ ისევ დავუბრუნდეთ ძველ თემას (Hatch 1992: 26).

გოფმანი გამოყოფს ორი ტიპის ჩართული მონაკვეთის სიგნალს: ვერბალურს და არა-ვერბალურს. ვერბალური სიგნალებია: by the way, incidentally, უი, მართლა. მკვლევარი ასევე დასძენს, რომ მაშინ როდესაც ხდება კვლავ ძველ თემაზე დაბრუნება, მოუბარი პირი კვლავ იყენებს სპეციალურ მთავარ თემაზე დამაბრუნებელ ვერბალურ სიგნალებს, როგორიცაა: well, anyway.

ვერბალურის გარდა გვხვდება არავერბალური სიგნალებიც. მაგალითად ინტონაცია და სხეულის მდგომარეობის შეცვლა. ამ არავერბალურ ჩართული მონაკვეთის სიგნალებს კარგად შევამჩნევთ თუ ვუყურებთ ხმაჩაწეულ ტელევიზორს. მოლაპარაკის სხეულის მდებარეობის შეცვლით შეგვიძლია მივხვდეთ როდის არის ჩართული მონაკვეთის სიგნალი.

ჩართული მონაკვეთის სიგნალები და თავად ჩართული მონაკვეთები განსხვავდება ერთმანეთისაგან გარემოს, მოუბრის როლისა და კულტურის მიხედვით. ანუ მათზე, ისევე როგორც სხვა შეზღუდვებზე, გავლენას ახდენს რიტუალური შეზღუდვა. მაგალითად, ზოგიერთი ენობრივი ჯგუფი იყენებს პერსონალურ კომენტარებს, ანეგდოტებს და ილუსტრაციებს. ზოგიერთ ენობრივ ჯგუფში ამგვარი თემიდან გადახვევები მიუღებელია (Hatch 1992: 58).

მოცემულ ქვეთავში შევეცდები ვაჩვენო, თუ როგორაა ჩართული მონაკვეთის სიგნალები გამოყენებული ინგლისურენოვან (ბრიტანულ და ამერიკულ) და ქართულ ტოქშოუებში: რა ტიპის ვერბალური და არავერბალური სინალები გამოიყენება; რა ფუნქცია აკისრია ჩართულ მონაკვეთებს და როგორ ხდება სამიზნე აუდიტორიის შეცვლა ჩართული მონაკვეთების დროს.

სპეციალური ლინგვისტური ლიტერატურისა და ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოვყავი ვერბალური, არავერბალური და

პარავერბალური ჩართული მონაკვეთის სიგნალები და მოვახდინე მათი შემდგომი კლასიფიკაცია იმის მიხედვით ხდება ამ სიგნალებით ჩართული მონაკვეთის დაწყება თუ დასრულება. კლასიფიკაციის შედეგად გამოვყავი ჩართული მონაკვეთის დამწყები და დამასრულებელი ვერბალური და არავერბალური სიგნალები.

ბრიტანულ საკვლევ მასალაში შემხვდა შემდეგი ტიპის ჩართული მონაკვეთის დამწყები სიგნალები:

ა) **ვერბალური სიგნალები**: by the way, oh, well.

(1) Graham: This is sure, don't worry. **By the way**, (მზერა გადააქვს აუდიტორიისაკენ) Twihearts don't worry. We are talking about Twilight. We'll be talking about Twilight, (მზერა გადმოაქვს ისევ სტუმარზე) but first let's talk about your new movie "Snowwhite and Huntsman". (*The Graham Norton Show*, May 12, 2012)

მოცემულ მონაკვეთში წამყვანი უხვევს მთავარი თემიდან და ასევე ცვლის ადრესატსაც. ჩართული მონაკვეთის სიგნალად იყენებს ვერბალურ (სპეციალური ფრაზა) და არავერბალურ (მზერის გადატანა) სიგნალებს, რომლის საშუალებითაც აჩვენებს არა მხოლოდ იმას, რომ თემიდან გადადის, ასევე მზერის შეცვლით სიგნალს აძლევს მსმენელებს, თუ ვისთვის არის ეს ჩართული ინფორმაცია განკუთვნილი.

რაც შეეხება **ჩართული კონსტრუქციის დამწყებ არავერბალურ სიგნალებს** ესენია:

1) **მხედველობითი კონტაქტი.** საკვლევ მასალაში შემხვდა სხვადასხვა ტიპის მხედველობითი კონტაქტი, რომელიც მიუთითებს თემიდან გადახვევას.

ა) **მზერის გადასვლა სხვა ინდივიდზე ან ინდივიდებზე** – წამყვანი ან სტუმარი ჩართული მონაკვეთის დაწყებამდე ცვლის თავის სამიზნე აუდიტორიას, იხედება სხვა მიმართულებით, აუდიტორიისაკენ, წამყვანის ან სტუმრისაკენ. ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ამ ტიპის ჩართული მონაკვეთის სიგნალები არა მარტო მიუთითებენ, რომ შემდგომ წარმოთქმული იქნება მთავარი თემიდან გადახვევა, არამედ სიგნალს აძლევს მსმენელს, რომ კომუნიკანტის სამიზნე აუდიტორია იცვლება.

ქვემოთ მოყვანილია მაგალითი ერთ-ერთი ბრიტანული შოუდან მეტი ვიზუალური თვალსაჩინოებისათვის.

The Graham Norton Show

მოცემულ სურათზე წარმოდგენილია ბრიტანული ტოქშოუს წამყვანი, რომელიც ესაუბრება სტუმრებს, თუმცა შემდეგ უხვევს თემიდან, იხედება აუდიტორიისაკენ, რაც ასევე მიანიშნებს რომ ის ცვლის სამიზნე აუდიტორიას.

ბ) **ამოხედვა** – ჩემს მიერ განხილულ ბრიტანულ ტოქშოუებში ეს ჩართული მონაკვეთის სიგნალი გამოიყენება ძირითადად წამყვანის მიერ, რადგან მას უჭირავს ხელში ძირითადად ფურცლები, საიდანაც კითხულობს.

The Graham Norton Show

უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანულ მასალაში მხედველობითი კოტაქტი, როგორც ჩართული მონაკვეთის სიგნალი საკმაოდ ხშირად გამოიყენება.

2) ჟესტიკულაცია – იგულისხმება ხელების მოძრაობა და სხეულის მდგომარეობის შეცვლა, რომელიც გამოიყენება როგორც ჩართულ მონაკვეთის დამწყები სიგნალი. დაკვირვების შედეგად გამოვყავი რამდენიმე ჯგუფი:

ა) ხელების მოძრაობა - ხელებით რაღაცაზე ან ვიღაცაზე მითითება.

The Graham Norton Show

სურათზე ნაჩვენებია წამყვანი, რომელიც ხელს იშვერს აუდიტორიისაკენ. ის საუბრობდა გარკვეულ თემაზე, თუმცა აუდიტორიიდან ხმაურმა გამოიწვია მის ნარატივში თემიდან გადახვევა, სიგნალად წამყვანი იყენებს ჟესტიკულაციას, კერძოდ ხელს იშვერს აუდიტორიის მიმართულებით.

ბ) ხელის პირთან მიტანა – მოუბარი პირი მსგავსი ჩართული მონაკვეთის სიგნალის გამოყენებისას დაბლა წევს ხმის სიმაღლეს. ეს ჩართული მონაკვეთის სიგნალი ასევე მიუთითებს, რომ ჩართული ნაწილი არ არის გამიზნული ფართო აუდიტორიისათვის.

The Graham Norton Show

მსგავსი არავერბალური სიგნალი, მხოლოდ ბრიტანულ ტოქშოუში შემხდა.

გ)სხეულის მდგომარეობის შეცვლა – ჩართული მონაკვეთის დაწყებამდე მოუბარი პირი იცვლის სხეულის მდგომარეობას, გვერდზე ან უკან ბრუნდება, ან იხრება. ამ შემთხვევაშიც იცვლება ჩართული მონაკვეთის სამიზნე აუდიტორია და მოუბარის ყურადღება გადადის სხვა ადამიანებზე.

The Graham Norton Show

3)მიმიკა – ჩართული მონაკვეთის დაწყებამდე მოუბარი პირი იცვლის სახის გამომეტყველებას. დაკვირვებამ აჩვენა, რომ მიმიკით დაწყებული ჩართული კონსტრუქცია ძირითადად გამოხატავდა მოუბარი პირის სუბიექტურ აზრს ან რაიმე კომენტარს.

The Graham Norton Show

მოცემულ მაგალითში წამყვანი საუბრობს გარკვეულ თემაზე, შემდეგ უხვევს თემიდან, საკუთარ სუბიექტურ აზრს გამოთქვამს და იცვლის სახის მიმიკას.

გ) პარავერბალური – ხმის სიმაღლის დაწევა ან აწევა. უნდა აღინიშნოს, რომ პარავერბალური საშუალებები, როგორც ჩართული მონაკვეთის სიგნალები გვხვდება სხვა არავერბალურ და ვერბალურ სიგნალებთან ერთად. ამასთანავე, ხმის სიმაღლის აწევა მიანიშნებს, რომ ჩართული მონაკვეთი ფართო აუდიტორიისთვისაა განკუთვნილი, ხოლო ხმის დაწევა კი პირიქით აჩვენებს, რომ აუდიტორიის რიცხვი კლებულობს.

(2) Host: Our next guest can be described as someone like Onenigma, an enigma (გვერძე იყურება და ხმის სიმაღლეს დაბლა წევს) I can’t say it properly (ისევ წინ ბრუნდება აუდიტორიისა და კამერისაკენ) dressing in women’s clothes (*Loose Women*, 14 Nov. 2012)

წამყვანი ვერ წარმოთქვამს სიტყვას სწორად, და ამის თაობაზე აკეთებს კომენტარს. ხმას დაბლა წევს, რადგან ცდილობს ეს კომენტარი არ გაიგოს აუდიტორიამ.

რაც შეეხება ამერიკულ ტოქშოუებს, ვხვდებით შემდეგი ტიპის **ჩართული მონაკვეთის დამწყებ სიგნალებს:**

ა) **ვერბალური სიგნალები**: so, by the way, oh, well.

(3) Ellen: So, let's talk about your dog 'cause I know that your (მზერა გადააქვს სტუმრიდან აუდიტორიაზე) well, I love animals everyone knows about it (მზერა გადააქვს ისევ სტუმარზე და ხელსაც მისკენ იშვერს) your, your relationship with your dog is not normal. (*The Ellen DeGeneres Show*, 23 May, 2013)

ბ) **არავერბალურ სიგნალები** – აღნიშნულ კატეგორიაში გამოიყოფა რამდენიმე ტიპი:

1) **მხედველობითი კონტაქტი** – ამერიკულ ტოქშოუებშიც გამოვლინდა სხვადახსვა ტიპის მხედველობითი კოტაქტი, რომელიც მიანიშნებდა ჩართული მონაკვეთის დაწყებაზე.

ა) **მზერის გადასვლა სხვა ინდივიდზე ან ინდივიდებზე**

Late Night with Conan O'Brien

მოცემულ სურათზე ჩანს სტუმარი, რომელიც იყურება აუდიტორიის მიმართულებით. მანამდე ის ესაუბრებოდა წამყვანს და მზერა მისკენ ჰქონდა მიმართული. აღნიშნული სიგნალით ჩართული მონაკვეთის დაწყებისას მისი სამიზნე აუდიტორია ხდება სტუდიის აუდიტორია.

ბ) **ამოხედვა** –ეს ჩართული მონაკვეთის სიგნალი გამოიყენება ძირითადად წამყვანის მიერ, რადგან მას უჭირავს ხელში ფურცლები, საიდანაც კითხულობს ხოლმე გარკვეულ ინფორმაციას. თუმცა, ამერიკულ კონანის შოუში სტუმრის მიერაცაა ეს სიგნალი გამოყენებული.

Late Night with Conan O'Brien

2) **ჟესტიკულაცია** – ამ შემთხვევაშიც გამოიყოფა რამდენიმე ტიპი:

ა) **ხელების მოძრაობა**

The Ellen DeGeneres Show

ელენის შოუს ერთ-ერთი გადაცემის სტუმარი ხელებს მაღლა წევს ჩართული მონაკვეთის დაწყებამდე.

გ)სხეულის მდგომარეობის შეცვლა – ჩართული ნაწილის დაწყებამდე ხდება სხეულის მდგომარეობას შეცვლა.

The Ellen DeGeneres Show

მოცემულ მაგალითში ნაჩვენებია თუ როგორ იხრება წამყვანი სტუდიაში მყოფი ორი ბავშვისაკენ. ის მანმადე მიმართავდა აუდიტორიას, თუმცა რაღაც მომენტში უხვევს თემიდან და კომენტარს ეუბნება ბავშვებს, შესაბამისად იხრება მათკენ.

გ) **პარავერბალური – ხმის სიმაღლის დაწევა ან აწევა** – ამერიკულ ტოქშოუებშიც ეს სიგნალი გამოიყენება ვერბალურ ან ვერბალურ და არავერბალურ სიგნალებთან ერთად და ასევე მიანიშნებს აუდიტორიის რიცხვის ზრდაზე ან კლებაზე.

(4) Ellen: (სტუმრიდან ბრუდნება აუდიტორიისაკენ და უწევს ხმის სიმაღლეს დაბლა) I love her. She's so cute. (ხმას ისევ უწევს მაღლა და ბრუნდება სტუმრისაკენ) Ok, you battle and sometimes you battle with boys, right? (*The Ellen DeGeneres Show*, 15 May, 2013)

შემდეგნაირადაა ჩართული მონაკვეთის დამწყები სიგნალები ქართულ ტოქშოუებში: ამ შემთხვევაშიც გამოიყოფა ვერბალური, არავერბალური და პარავერბალური სიგნალები.

ა) **ვერბალური სიგნალები** – უი, აა, აუ, სხვათაშორის.

(5) ვანო: მინდა გითხრათ, რომ (ბრუნდება გვერდზე რადგან უცებ ერთ-ერთი მის გვერდზე მდგომი ძალით გაჰყავთ კისერზე თოკ მოხვეული) აი, კიდევ ერთი კაცი წაგვგლიჯეს ხალხნო. კიდევ ერთი კაცი, კიდევ ერთი თანაპარტიელი წაგვგლიჯეს და გადაიყვანეს ქართული ოცნების რიგებში (საბოლოოდ სწორდება და იყურება კამერაში) ქართული ოცნება უამრავ ფულს გვთავაზობს. (*ვანოს შოუ* 22 თებერვალი, 2013)

უნდა აღინიშნოს, რომ სამივე კულტურაში ვერბალური ჩართული მონაკვეთის სიგნალები ძირითადად გამოიყენება არავერბალურ ან პარავერბალურ სიგნალებთან ერთად.

ბ) რაც შეეხება **ჩართული კონსტრუქციის დამწყებ არავერბალურ სიგნალებს** ესენია:

1) **მხედველობითი კონტაქტი.** საკვლევ მასალაში გვხვდება სხვადასხვა ტიპის მხედველობითი კონტაქტი:

ა) **მზერის გადასვლა სხვა ინდივიდზე ან ინდივიდებზე** – ხდება სამიზნე აუდიტორიის შეცვლა მხედველობითი კონტაქტის შეცვლით. ყურადღება გადადის იმ ინდივიდზე ან ინდივიდებე ვისკენაც მზერა გადადის. ქართულ ტოქშოუებში ასევე შემხვდა ბევრი მაგალითი, როდესაც მზერა გადადის არა კონკრეტული ინდივიდის ან ინდივიდებისაკენ, არამედ სტუდიის გარკვეულ ნაწილისაკენ.

ნანუკას შოუ

მოცემულ მაგალითში სტუმარი საუბრობს რაღაც თემაზე და მოულოდნელად ესმის სტუდიის კონკრეტული ნაწილიდან ჩიტის ხმა. ის იყურება იმ ადგილისაკენ და აკეთებს კომენტარს ამ ხმის შესახებ.

ბ) ამოხედვა –განსხვავებით ამერიკული ტოქშოუსაგან ქართულ ტოქშოუებში მსგავსი სიგნალი მხოლოდ წამყვანის მიერ გამოიყენება.

დღის შოუ

უნდა აღინიშნოს, რომ სამივე კულტურაში მხედველობითი კონტაქტი ყველაზე ხშირად გამოიყენება, როგორც ჩართული მონაკვეთის სიგნალი, სხვა ტიპის ჩართული მონაკვეთის სიგნალებთან ერთად ან მათ გარეშე.

2) ჟესტიკულაცია ქართულ ტოქშოუებში:

ა) ხელების მოძრაობა - ამ შემთხვევაშიც ხელი იმ მიმართულებითაა გაშვერილი რის ან ვის თაობაზეც ხდება ჩართულ მონაკვეთში კომენტარი.

დღის შოუ

მოცემულ მაგალითში წამყვანი საუბრისას უცებ რაღაცას შენიშნავს უკან, ეკრანზე, ხელს იქითკენ იშვერს და საუბარში რთავს კომენტარს იმის თაობაზე რაც დაინახა.

ბ)სხეულის მდგომარეობის შეცვლა

ვანოს შოუ

მოცემულ მაგალითში წამყვანი საუბრისას სტუდიიდან გაჰყავთ ძალით კისერზე თოკმობმული პიროვნება, რომელიც მის გვერდით იდგა. წამყვანი იხრება და აკეთებს კომენტარს ამის თაობაზე.

3)მიმიკა –დაკვირვებამ აჩვენა, რომ ქართულ ტოქშოუებშიც მიმიკით დაწყებული ჩართული მონაკვეთი ძირითადად გამოხატავს მოუბარი პირის სუბიექტურ აზრს ან რაიმე კომენტარს.

ნანუკას შოუ

გ) პარავერბალური – ხმის სიმაღლის დაწევა ან აწევა.

(6)ნანუკა: ხო, გეთანხმები მაგრამ კაცმაც ბევრი რამე უნდა გააკეთოს, (ხმის სიმაღლეს დაბლა წევს) ეს ჩვენი გადაცემაა და თქვი რომ კაცზეც ბევრია დამოკიდებული. (ხმას ისევ წევს) აუცილებლად კაცზეა დამოკიდებული. (*ნანუკას შოუ.* 27 მარტი 2013)

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ხმის სიმაღლე იწევს მაშინ როდესაც ჩართული მონაკვეთის სიგნალი მიმართულია ახლოს მჯდომი ინდივიდისაკენ, ხოლო იმ შემთხვევაში როდესაც მოუბარი პირი ჩართული მონაკვეთის სიგნალისას მიმართავს აუდიტორიას ხმის სიმაღლე პირიქით მაღლა იწევს.

რაც შეეხება ჩართული მონაკვეთის დამასრულებელ სიგნალებს, ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია გამოვყოთ **ჩართული კონსტრუქციის დამასრულებელი შემდეგი ვერბალური სიგნალები**:

ა) **ცალკეული სიტყვები** ინგლისური - but, now, ok, and, aaam, well, ქართული - ხომ, ხოდა, მაგრამ, და. ეს სიტყვები სიგნალს აძლევს მსმენელს, რომ მოუბარი კვლავ უბრუნდება მთავარ თემას რაზეც მანამდე საუბრობდა. ქვემოთ მოყვანილია მაგალითები ბრიტანული, ამერიკული და ქართული ტოქშოუებიდან.

(7) Graham: Ok, here we go. (იყურება ფურცლიდან ზევით) Yes, I was right. (კვლავ იხედება ფურცელზე) **Ok**. Avoid any sort of impact. Always try to carry it in its box. (*The Graham Norton Show*, Dec 10, 2012)

(8) Guest: I was leaving actually from your show, oh this is what I get into when I come in your show, trouble, **and** then I was leaving your show and I was at a stop light (*The Ellen DeGeneres Show*, 22 May, 2013)

(9) ვანო: დენის ტარიფი შემცირდა სამი თეთრით, (აუდიტროიიდან ისმის სიცილის ხმა და წამყვანი ბრუნდება იმ მიმართულებით საიდანაც ხმა ისმის) დაგაცდით სიცილს არაა პრობლემა (წამყვანი ისევ სწორდება და იყურება კადრში) **მაგრამ** მხოლოდ გარკვეული კატეგორიისათვის. (ვანოს შოუ, 8 იანვარი, 2013)

ბ) **მონაკვეთის ბოლო სიტყვის ან ფრაზის გამეორება** – ჩართული მონაკვეთის დასრულების შემდეგ, მთავარ თემაზე გადასვლა ხდება ბოლოს ნათქვამი სიტყვის ან ფრაზის გამეორებით. აღნიშნული ტიპის სიგნალიც შემხვდა სამივე კულტურის ტოქშოუში:

(10) Guest: And my daughter Mellisa (მზერა გადააქვს აუდიტორიიდან ერთ-ერთ სტუმარზე) Are you single? We'll talk. She just broke up with a porn king of America. He

owns Divid. Oh, you know. We went to the porno awards. They've had a red carpet. I'm not lying to you. Take it seriously. (მზერა გადააქვს ისევ აუდიტორიაზე) My Mellisa does a fashion police. (*Graham Norton Show*, 1 Dec, 2012)

(11) Conan: And finally we have, you're never coming back, and finally we have our last guest here in the show. (*Late Night with Coan O'Brien* 18 Nov. 2007)

(12) ნანუკა: ესე იგი, მე დავრეკე რომ გავიგე რომ თავს უვლისო არაჩვეულებრივადო, ასეო, ისეო, მაგრამ აღმოვაჩინე რომ, რომ (მზერა გადააქვს აუდიტორიაზე, ხმის სიმაღლეს უწევს დაბლა), არ უთხრათ რაც ვთქვი (ხმის სიმაღლეს ისევ მაღლა წევს) რომ ზედმეტად უვლი თავს. (*ნანუკას შოუ*, 27 მარტი, 2013)

ჩართული მონაკვეთის დამწყები ვერბალური სიგნალების მსგავსად, დამხურავი ვერბალური სიგნალების დროსაც თითქმის ყოველთვის გამოიყენება არავერბალური თუ პარავერბალული სიგნალები.

ჩართული მონაკვეთის დამასრულებელი არავერბალური სიგნალები შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს:

1) **მხედველობითი კონტაქტი** – ისევე როგორც ჩართული მონაკვეთის სიგნალის დამწყებ, დამასრულებელ სიგნალებშიც გამოიყოფა რამდენიმე სახეობა:

ა) **მზერის შეცვლა** – როდესაც მოუბარი ასრულებს ჩართულ მოაკვეთს, იგი კვლავ ცვლის სამიზნე აუდიტორიას და იხედება ან აუდიტორიის ან სტუმრისაკენ. ქვემოთ მოყვანილია სურათები სამივე კულტურის ტოქშოუდან:

The Alan Titchmarsh Show	**Late Night with Conan O'Brien**	**დღის შოუ**

ბ)თვალების დახრა ფურცელზე – ამ ტიპის ჩართული მონაკვეთის სიგნალი გვხვდება მაშინ, როდესაც დამწყები ჩართული მონაკვეთის სიგნალი იყო ფურცლიდან თვალების აწევა.

The Graham Norton Show	**Late Night with Conan O'Brien**	**ვანოს შოუ**

სამივე კულტურის ტოქშოუში კომუნიკანტებს, ჩართული მონაკვეთის დასრულებისას, კვლავ გადააქვთ მზერა იმ ფურცლისაკენ საიდანაც ინფორმაციას კითხულობენ.

2) **ჟესტიკულაცია** – ხელების მოძრაობა და სხეულის მდებარეობის შეცვლა რომელიც მიუთითებს, რომ ჩართული მონაკვეთი დასრულდა.

ა) **ხელების მოძრაობა** – ხდება ხელების ჩამოწევა და საწყის პოზიციაზე დაბრუნება.

ბ)სხეულის მდებარეობის შეცვლა - ამ შემთხვევაშიც მოუბარი პირი ცვლის სხეულის მდებარეობას, თუ იყო შებრუნებული ბრუნდება, თუ იყო მოხრილი სწორდება.

The Graham Norton Show	**Late Night with Conan O'Brien**	ვანოს შოუ

სამივე კულტურის ტოქშოუს მაგალითში კომუნიკანტები ჩართული მონაკვეთის დასრულებისას ასწორებენ სხეულის მდებარეობას.

3) მიმიკა – როდესაც ჩართული მონაკვეთის დამწყები სიგნალი არის სახის მიმიკის შეცვლა, დასრულების შემდეგ მოუბარის სახის მიმიკა კვლავ იცვლება.

პარავერბალური საშუალებები – ჩართული სიგნალის დამასრულებელი პარავერბალური საშუალებაა ხმის სიმაღლის აწევა მაღლა ან ცოტათი დაბლა დაწევა.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ჩართული მონაკვეთის სიგნალები შეიძლება იყოს თავად მოსაუბრის სურვილით გამოწვეული ან ის შეიძლება პროვოცირებული იქნეს რაღაც გარეგანი ხმაურით, მომხდარი ფაქტით ან მსმენელის რეაქციით. ამის მიხედვით, შეიძლება გამოვყოთ ჩართული მონაკვეთის სიგნალების ორი ჯგუფი:

მოუბარი პირის ინიციატივით გამოწვეული ჩართული მონაკვეთის სიგნალი - კომუნიკანტი საკუთარი სურვილით, ყოველგვარი გარეგანი ჩარევის გარეშე, იღებს გადაწყვეტილებას საუბრისას ჩართოს რაღაც.

(13) Ellen: Now, of cours we wanted, (ხელს იშვერს სურათისაკენ, რომელიც უკან ეკრანზეა) here's a picture of you two (ბრუნდება ისევ აუდიტორიისაკენ) we wanted to picture the baby but you are not showing a picture of the baby (*Ellen DeGeneres Show*, 6 June, 2013)

(14) ნანუკა: მე მინდა ყველაფერს ქრონოლოგიურად მივუყვე, ამ თემას კიდევ მივუბრუნდები, მაგრამ მინდა რაღაც ქრონოლოგიურად წავიდე წინ. (*ნანუკას შოუ*, 10 აპრილი, 2013)

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში (13, 14) კომუნიკანტები საკუთარი სურვილით მიმართავენ ჩართულ კონსტრუქციას.

გარეგანი ზეგავლენით ინიცირებული ჩართული მონაკვეთის სიგნალი – მოუბარი ინდივიდი საუბრის მთავარ თემას წყვეტს რაღაც მომხდარი ფაქტის გამო, ან მსმენელის რეაქციაზე პასუხად, აკეთებს მასზე კომენტარს და შემდეგ კვლავ უბრუნდება ძირითად თემას.

(15) Ellen: I am not addicted. I can play it and then put it down. I'm gonna show you, (ისმის ბრახუნის ხმა, ვიღაცა აგდებს ipads) oh, great, (ნაბიჯს დგამს და ართმევს ხელსაწყოს და მზერა გადააქვს მასზე) all right, so you're trying to line up three row (*Ellen DeGeneres Show*, 6 June, 2013)

(16) ვანო: დენის ტარიფი შემცირდა სამი თეთრით (აუდიტორიიდან სიცილის ხმა. წამყვანი ბრუნდება იმ მიმართულებით საიდანაც ისმის სიცილის ხმა), დაგაცდით სიცილს, ქალბატონო, არ არის პრობლემა (წამყვანი ისევ

სწორდება და იყურება კამერის მიმართულებით) მხოლოდ გარკვეული კატეგორიისათვის. (ვანოს შოუ„ 18 იანვარი, 2013)

ჩართული მონაკვეთები ზეპირ დისკურსში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ. მათი ფუნქციის მიხედვით მოვახდინე ჩართული მონაკვეთების კლასიფიკაცია და გამოვყავი შემდეგი ჯგუფები:

1) **საკუთარი აზრის გამომხატველი ჩართული მონაკვეთები** – ჩართული მონაკვეთის ფუნქციაა გამოხატოს კომუნიკანტის მოსაზრება რაიმე საკითხთან მიმართებაში. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ბრიტანული, ამერიკული და ქართული ტოქშოუებიდან წარმოდგენილია ჩართული მონაკვეთის აღნიშნული ფუნქცია:

(17) Graham: You know, it's dangerous place and you went (მზერა გადააქვს სტუმრიდან აუდიტიტორიაზე), I don't think British police would let you do this, (მზერა აუდიტორიიდან ისევ სტუმარზე გადააქვს) but you went on this long rides at night with the real policemen. (*Graham Norton Show*, 1 Dec. 2012)

(18) Ellen: (მზერა გადააქვს სტუმრიდან აუდიტორიაზე და საუბრობს დაბალი ტონით) I love her. She's so cute. (მზერა გადააქვს ისევ სტუმარზე და ხმის ტონს უწევს მაღლა) Ok, you battle and sometimes you battle with boys, right? (*The Ellen DeGeneres Show*, 15 April, 2013)

(19) ნანუკა: მოკლედ დღევანდელი დღის ჩემი სტუმარი არის ქალი, რომელიც მარტო პირველი კი არ არის, ერთადერთია საქართველოს ისტორიაში რომელიც არა თუ სათქმელად არამედ ჩინით არის გენერალი, მას ფეხზე ადგომით მხედრულ სალამს აძლევენ ყველგან, (სახის მიმიკას იცვლის) უფ, წარმოვიდგინე, რა მაგარია ესე რომ გიკეთებენ. ხომ არ გვეცადა? გვეცადა? კარგია. თან ჩემს სტუმარს მიუხედავად ჩინისა არც სამხედრო განათლება მიუღია და არც ნორმატივები ჩაუბარებია. (*ნანუკას შოუ*, 27 მარტი, 2013)

მსგავსი ტიპის ჩართულ მონაკვეთებში, მოუბარი პირი გამოხატავს საკუთარ აზრს იმ საკითხთან მიმართებაში რაზეც საუბრობს. ასევე აღსანიშნია, რომ მზერის გადატანით არა მარტო სიგნალს ვიღებთ, რომ საუბრის ეს ნაწილი ჩართულია, არამედ ხდება სამიზნე აუდიტორიის შეცვლაც.

2) **ბოდიშის მოხდის ჩართული მონაკვეთი** – საუბრისას კომუნიკანტი უხვევს თემიდან, რათა ბოდიში მოიხადოს. ქვემოთ მოყვანილია მაგალითები ბრიტანული, ამერიკული და ქართული ტოქშოუებიდან. განვიხილოთ მაგალითი ბრიტანული ტოქშოუდან:

(20) Graham: I understood men and women more. I realized that men really do things differently from women from the onset, from the go, it's just like, (ბრუნდება ერთ-ერთი სტუმრისაკენ, რომელსაც შემთხვევით ხელი გაჰკრა) I'm sorry (ისევ ბრუნდება და იყურება აუდიტორიისკენ, შემდეგ ისევ ბრუნდება სტურმისაკენ) I am talking with my hands, I'm sorry (ბრუნდება ისევ აუდიტორიისკენ) aam, but yes definitely there is, you know, different ways of thinking (*Graham Norton Show*, June 1, 2013)

ბოდიშის მოხდის გამომხატველი ჩართული მონაკვეთის აუცილებლობა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ კომუნიკატმა საუბრისას შემთხვევით ხელი გაჰკრა მის გვერდზე მჯდომ ინდივიდს.

ამერიკულ ტოქშოუში აღნიშნული მონაკვეთი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

(21) Conan: Your mayor is, there is a bit of the monkey moustache kind of thing around here (ბრუნდება და მზერა გადააქვს წამყვანიდან აუდიტორიისაკენ) sorry, I'm sorry, (ისევ ცვლის თვალის კონტაქტს და სხეულის მდებარეობას ოდნავ ბრუნდება) but you know guys you are great and New York is a great city. (*Late Night with Conan O'Brien*, 30 April, 2007)

აღნიშნულ მაგალითში ბოდიშის მოხდის აუცილებლობა გამოიწვია წამყვანის მიერ წარმოთქმულმა წინადადებამ.

შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი ქართულ ტოქშოუდან:

(22) სტუმარი: არიან სტილისტები რომლებიც არიან გაპიარებულები, მაგრამ ეს არის მხოლოდ ცარიელი პიარი, (იყურება გვერძე) მაპატიეთ ეხლა ამას რომ ვამბობ (ისევ იყურება გვერძე) არა მე ამას ყველაზე არ ვამბობ, მაგრამ ზოგიერთი არის ცარიელი პიარი. (დღის შოუ, 14 მაისი, 2012)

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ბოდიშის მოხდისას ჩართული მონაკვეთის დაწყებამდე მზერა ყოველთვის გადადის იმ ინდივიდის ან ინდივიდებისაკენ, ვისაც ბოდიშს უხდის მოუბარი პირი.

3) მადლობის გადახდის მომცველი მონაკვეთი – ჩართულ მონაკვეთში ხდება მადლობის გადახდა სხვადასხვა ინდივიდებისათვის (ეს შეიძლება იყოს წამყვანი, სტუმარი, სტუმრები, აუდიტორიის ერთი კონკრეტული წევრი, თუ მთელი აუდიტორია). განვიხილოთ მაგალითები სამივ კულტურის ტოქშოუდან:

(23) Guest: If there are any ladies in the studio could you please put your hands up. Yes, ladies I mean women, thank you, yes I mean us. (*The Alan Titchmarsh Show*, 7 March, 2011)

მოცემულ მაგალითში ბრიტანული შოუდან სტუმარი მიმართავს აუდიტორიას, და აძლევს მათ მითითებას. შემდეგ განმარტავს რასაც გულისხმობს, თუმცა შუაში წყვეტს სიტყვას რათა მადლობა გადაუხადოს აუდიტორიას.

(24) Guest: I was outside of the building and I was there with my manager and I, and I (სიცილის ხმა, თავს ატრიალებს უკან) Thank you guys, (ისევ ბრუნდება აუდიტორიისაკენ) and I, assume I was standing outside of this building and Gerge Lucas comes out (*Late Night with Conan O'Brien*, 1 May, 2007)

მოცემულ მაგალითში ამერიკული ტოქშოუს სტუმარი მადლობას უხდის აუდიტორიას.

(25) სტუმარი: ძიძა არ მყავს შერჩეული მე დეიდაჩემი მეხმარება

ნანუკა: ამიტომ ძიძა არ გჭირდება. (ბრუნდება კამერისაკენ) ვისარგებლებ შემთხვევით და დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემი შვილის ძიძებს (*ნანუკას შოუ, 2009).*

ზემოთ მოყვანილ მაგალითში (25) წამყვანი მადლობას უხდის კონკრეტულ ინდივიდებს, რომლებიც შეიძლება ეკრანიდან ადევნებენ მას თვალყურს.

მსგავსი ტიპის ჩართული კონსტრუქციები გამოიყენება რათა ვაჩვენოთ მსმენელებს, რომ მათ ვაფასებთ.

4) დამაზუსტებელი ჩართული მონაკვეთი – კომუნიკანტები ზოგჯერ გრძნობენ ან ხედავენ, რომ საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მიწოდება. განვიხილოთ მაგალითები ბრიტანული, ამერიკული და ქართული ტოქშოუებიდან.

(26) Graham: Only clean it with a soft, dry cloth, preferably cotton, (ამოიხედება ფურცლიდან) this is really specific isn't it? Yeah. (ისევ იხედება ფურცელში) Don't use any liquids. (*The Graham Norton Show*, December 10, 2012)

აღნიშნულ მაგალითში ბრიტანული გრეემის შოუდა წამყვანი საუბარში რთავს მონაკვეთს რათა რაღაც დეტალები დააზუსტოს.

(27) Guest: I actually ran across, (თავს მაღლა წევს და ტემბრს ცვლის) I didn't cross him (თვალებს ისევ დაბლა ხრის და უბრუნდება საუბრის ჩვეულ ტემბრს) I ran into him once (*Late Night with Conan O'Brian*, May 1, 2007)

(28) ვანო: ცნობილი ტელევარსკვლავი ნანა მოუსვენარი (თავს წევს მაღლა ფურცლიდან და იყურება კამერაში) ჩვენ ეს სახელი დავარქვით, ფსევდონიმი, მოუსვენარი, (თავს ისევ დაბლა წევს და იყურება ფურცელში) ისევ აგრძელებს

ოლეგა იაძის მისამართით ხმამაღალ განცხადებებს. (*ვანოს შოუ,* 18 იანვარი, 2013)

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ამერიკული (26) და ქართული (27) ტოქშოუებიდან კომუნიკანტები აზუსტებენ იმას რაც მანამ თქვეს.

5) შესწორების მომცველი ჩართული მონაკვეთი – ზოგჯერ რაღაცას ვამბობთ, მაგრამ მერე ვხვდებით, რომ ინფორმაცია არ არის ზუსტი და ხდება ჩართულ მონაკვეთში მისი შესწორება როგორც ეს ქვემოთ მოყვანილ მაგალითებშია.

(29) Ellen: I thought I would give you a little tour, so come with me, (უკან ტრიალდება და შემდეგ ისევ აუდიტორიისკენ ბრუნდება) no you stay here, (ისევ უკან ბრუნდება) the camera will come with me and I'll show you what's happening backstage. (The *Ellen DeGeneres Show*, 22 May, 2013)

წამყვანი მიმართავს კამერას, რომ მას გაჰყვეს, თუმცა მერე ხვდება, რომ შეიძლება აუდიტორიამ გაიგო ეს მოპატიჟებად და ახდენს თავის ნათქვამის შესწორებას. ჩართული მონაკვეთის დასაწყისში იყენებს უარყოფის ნიშან no-ს.

(30) წამყვანი: რეკლამის შემდეგ მე მინდა ერთი არაჩვეულებრივი, აა ეხლავე რეკლამა არ არის საჭირო, სალომე ხომერიკი რომელიც ჩვენთან სტუდიაში იმყოფება, ძალიან ლამაზად გამოიყურება. ის მის მსოფლიოდან არის ჩამოსული. (*დღის შოუ,* 12 სეტემბერი, 2012)

ამ შემთხვევაშიც ქართული ტოქშოუს ერთ-ერთი წამყვანი აკეთებს თავისი ნათვამის შესწორებას. ჩართული მონაკვეთი იწყება შორისდებულ აა-თი.

6) რჩევის მიმცემი ჩართული მონაკვეთი – მსგავსი ტიპის ჩართულ მონაკვეთებში მოუბარი პირი რჩევას აძლევს მსმენელს. რჩევის მიცემისას სამიზნე აუდიტორია შეიძლება იყოს წამყანი, სტუმარი, სტუდიის თუ სახლში ეკრანებთან მსხდომი აუდიტორია. განვიხილოთ მაგალითი ბრიტანული ტოქშოუდან.

(31) Guest: I was not very good at coping. And I think that sort of heart me on the Loose Women because they saw me fall apart and probably drink Vodka for a couple of, nine months, (მზერა გადააქცს აუდიტორიაზე) I wouldn't recommend it (მზერა ისევ წამყვანზე გადააქვს), but I didn't cope with it at all, everybody saw me falling apart. (*Alan Titchmarsh Show*, Sep. 20, 2008)

ბრიტანული ტოქშოუს წამყვანი ჰყვება რაც მას თავს გადახდა და საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე რჩევას აძლევს სტუდიისა და ეკრანებთან მსხდომ აუდიტორიას, რომ იგივე არ გაიმეორონ.

(32) Ellen: Would creating nothing on nothing day count as something? (იყურება გვერძე აუდიტორიისკენ და სახის მიმიკას ცვლის) Think about that, blow your mind. (იყურება ისევ პირდაპირ კამერაში) it will print the rules of doing nothig on the nothing day. (*The Ellen DeGeneres Show*, 13 April, 2013)

ამერიკული ტოქშოუს წამყვანი კითხვას სვამს და შემდეგ რჩევას აძლევს აუდიტორიას, რომ იფიქრონ ამ საკითხზე.

(33) წამყვანი: ნახე როგორი მაისური შემირჩიეს ნაფნაფში, (უბრუნდება მეორე წამყვანს) გირჩევ შენც წახვიდე (*დღის შოუ,* 8 ივნილი, 2012).

აღნიშნულ მაგალითში (33) წამყვანი რჩევას აძლევს მეორე წამყვანს. სიგნალად იყენებს არავერბალურ თვალის კონტაქტს, კერძოდ მზერის გადატანას.

7) **სიჩუმის მოთხოვნის შემცველი ჩართული მონაკვეთი** - შეიძლება ვიგრძნოთ, რომ ჩვენმა ნათქვამმა შესაძლოა გამოიწვიოს მსმენელის ახმაურება, ან ვხედავთ მათში ამგვარ რეაქციას. ამ შემთხვევაში მოუბარი პირი ჩართული მონაკვეთის საშუალებით მსმენელებს დაწყნარებისაკენ მოუწოდებს ან წინასწარ აფრთხილებს ან რჩევას აძლევს სიმშვიდე შეინარჩუნონ. ქვემოთ მოყვანილია მაგალითები სამივე კულტურის ტოქშოუდან, სადაც ჩართული მონაკვეთები შეიცავენ ამგვარ რჩევას:

(34) Guest: I do have some writing on me. It says (.) (სტუმრები იცინიან) (მოუბარს მზერა გადააქვს აუდიტორიიდან სტუმრებისაკენ) Why do you guys laugh? (მოუბარს მზერა გადააქვს ისევ აუდიტორიისაკენ) it says, it says no regrets. It’s a saying in Italian. (*Graham Norto Show*, June 8, 2013)

ზემოთ მოყვანილ მაგალითში ბრიტანული ტოქშოუდან, ერთ-ერთი სტუმარი საუბრისას შენიშნავს, რომ მის გვერდზე მჯდომი ორი სტუმარი იცინის მის ნათქვამზე. კომუნიკანტი ახდენს ამგვარ ხმაურზე რეაგირებას და ჩართული მონაკვეთის საშუალებით კომენტარს აკეთებს მათ სიცილზე.

(35) Guest: Well, one tiny, tiny thing comes to mind, (იყურება წამყვანისკენ და ხელიც მისკენ ააქს გაშვერილი) don’t get mad, (ხელს დაბლა წევს და ქვევით იყურება) ok, so I make dinner. (*Ellen DeGeneres Show*, 22 May, 2013).

აღნიშნულ მაგალითში (35) ამერიკული ტოქშოუს სტუმარი გრძნობს, რომ შეიძლება მისმა ნათქვამმა გამოიწვიოს ადრესატის მძაფრი რეაქცია და შესაბამისად ჩართული მონაკვეთის საშუალებით წინასწარ ურჩევს შეინარჩუნოს სიმშვიდე.

შემდეგნაირადაა სიჩუმის მომთხოვნი მონაკვეთი წარმოდგენილი ქართულ ტოქშოუში:

(36) ნანუკა: არამგონია, მაგრამ ისე ლოგიკური არის, (წამყვანი ბრუნდება) დათო, რეზონანსი შემოგაქვს (ისევ სწორდება) შეიძლება. (*ნანუკას შოუ*, 8 მაისი, 2013)

წამყვანი ჩართულ მონაკვეთს იყენებს მას შემდეგ რაც ესმის ერთი კონკრეტული ინდივიდის გადაჭარბებული ხმაური. სახელით მიმართვით ცდილობს მის დაწყნარებას.

8) გაკვირვების გამომხატველი ჩართული მონაკვეთი – აღნიშნული ტიპის ჩართული მონაკვეთი გამოიყენება მაშინ, როდესაც სტუდიაში ხდება რაღაც უჩვეულო ან ისმის რაიმე უცნაური ხმა.

(37) Alan: Tell us about this play. It was first on in 70s. Rulia Waltes was in your role. It's an adult comdy, it's not for children. I mean language, (ისმის ბრახუნის ხმა, წამყვანს მზერა გადააქვს სტუმრიდან აუდიტორიისაკენ) Oh, what was it? (მზერა გადააქვს ისევ სტუმრისაკენ) adult comedy. (*The Alan Titchmarsh Show*, March 15, 2012)

(38) სტუმარი: მე ცუდი ხასიათი მაქვს როგორც ცობილია, ამიტომ როცა ასპირანტურის დამტავრებამდე დარჩა 3 თვე, ჩემი შეფი მე წამეჩხუბა და მითხრა (ისმის ჩიტის ხმა) (სტუმარი ბრუნდება და იყურება უკან) უი, ეს რა არის, ჩიტი? (ისევ სწორდება) ხოდა, წამეცხუბა იმიტომ რომ ლაბორატორიაში სადაც ვმუშაობდი ყველაფერზე ვიცოდი შეპასუხება. (*ნანუკას შოუ*, 8 მაისი, 2013)

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ჩართული მონაკვეთი გამოწვეული იყო სტუდიაში გაჟღერებული უცნაური ხმაურით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფუნქციის ჩართული მონაკვეთი გამოწვეულია ყოველთვის არა-კომუნიკანტი წევრების მიერ, რომელიც აიძულებს მოუბარს საუბრის მთავარ თემას გადაუხვიოს და სხვა რაღაცაზე გააკეთოს კომენტარი.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ:

1. ჩართული მონაკვეთის სიგნალები ტოქშოუში საკმაოდ ხშირად გამოიყენება, როგორც წამყვანის, ასევე სტუმრების მხრიდან, თუმცა წამყვანები მაინც დომინირებენ;

2. ნაშრომში წარმოდგენილია ჩართული მონაკვეთის სიგნალების შემდეგი კლასიფიკაცია: ვერბალური (ცალკეული ფრაზები), არავერბალური (მხედველობითი კონტაქტი; ჟესტიკულაცია; მიმიკა) და პარავერბალური.

3. სამივე ქვეყნის ტოქშოუში მხედველობითი კონტაქტი არის ყველაზე ხშირად გამოყენებული ჩართული მონაკვეთის სიგნალი, ის გვხვდებოდა სხვა ვერბალურ, არავერბალურ და პარავერბალურ სიგნალებთან ერთად.

§ 2.6. კომუნიკაციის არამონაწილე წევრთა შეზღუდვები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოქშოუ არის გადაცემა, რომელიც აიგება გადაცემაში ჩართული პირების ჯერის მონაცვლეობაზე. მას ააქვს სცენარი, წინასწარ არის საუბრის თემა და სტუმრები შერჩეულები. გარდა ამისა გადაცემას ესწრება აუდიტორია, და შემდგომ უკვე ეთერში გასულ გადაცემას უყურებს ათასობით ადამიანი.

ტოქშოუს სპეციფიკიდან გამომდინარე გვაქვს ნახევრად-ინსტიტუციონალური საუბარი, სადაც როლები მეტნაკლებად წინასწარ არის გადანაწილებული და იერარქიულია. ანუ წინასწარ არის განსაზღვრული ვინ იქნება ადრესატი, ადრესანტი და აუდიტორია, და როგორი იქნება მათი ჩართულობა საუბარში. როგორც უკვე ითქვა, ტოქშოუს ჟანრში ვხვდებით ორი ტიპის აუდიტორიას: სტუდიაში მყოფ და ტელევიზორთან მსხდომ ინდივიდებს.

კომუნიკაციის წარმატებულად წარმართვისათვის ე. გოფმანი გვთავაზობს კიდევ ერთ შეზღუდვას: ყველა ენაში უნდა მოიძებნებოდეს გარკვეული საშუალებები, რომელთა მეშვეობით მოხდება არამონაწილე წევრთა ხმაურის ბლოკირება. არსებობს ვერბალური და არავერბალური სიგნალები, რომელიც ნებას დართავს ან ხელს შეუშლის და შეაჩერებს არამონაწილეთა შემოსვლას კომუნიკაციის არხში. მეორე მხრივ, არამონაწილე წევრებიც იყენებენ გარკვეულ სტრატეგიებს რათა შეიცვალონ როლი და გახდნენ კომუნიკაციაში ჩართული წევრი (Hatch 1992: 28).

ჩემს მიერ განხილულ ტოქშოუებში ეკრანებთან მსხდომი აუდიტორია წარმოადგენს არაჩართულ მონაწილეებს, გამონაკლისია ქართული "*დღის შოუ*" სადაც ეკრანებთან მსხდომი აუდიტორია არაჩართული მონაწილიდან შეიძლება გადაიქცეს კომუნიკაციის არხში ჩართულ მონაწილედ ტექსტური შეტყობინებების ან სატელეფონო ზარის საშუალებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განხილული შოუებიდან ეს იყო ერთადერთი შოუ, სადაც სტუდიაში მყოფი აუდიტორია არ არის წარმოდგენილი.

ტოქშოუს ჟანრის სცენარის მიხედვით ადრესანტი (წამყვანი) და ადრესატი (სტუმარი) არიან კომუნიკაციის არხში ჩართული ინდივიდები.

ტოქშოუში აუდიტორია არის კომუნიკაციის არამონაწილე წევრი. აუდიტორიის ჩართულობა შემოიფარგლება მხოლოდ უკუკავშირის გამოხატვით. თუმცა, როდესაც აუდიტორიის მიერ გამოხატული უკუკავშირის სიგნალები

ხელს უშლის აკუსტიკურ ადეკვატურობას, წამყვანი თუ სტუმრები ცდილობენ ამ ხმაურის სხვადასხვა სტრატეგიებით ჩახშობას.

უნდა აღინიშნოს, რომ წამყვანი და სტუმრები, მათი ინსტიტუციონალური როლიდან გამომდინარე, ყოველთვის წარმოდგენილია როგორც კომუნიკაციის არხში ჩართული ინდივიდები.

როგორც უკვე აღინიშნა აუდიტორია კომუნიკაციის არხში არაჩართული ინდივიდებია.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ტოქშოუებში, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, არამონაწილე წევრებისათვის (აუდიტორიისათვის) არსებობს რამდენიმე შეზღუდვა, რომელიც ართულებს არამონაწილე აუდიტორიის მთავარ კომუნიკაციურ არხში ჩართვას. ერთ-ერთი ასეთი არამონაწილის შეზღუდვა **დისტანციაა.**

სამივე ქვეყნის ტოქშოუში სტუდია ისეა მოწყობილი, რომ აუდიტორია ზის კომუნიკაციაში ჩართული პირებისაგან მოშორებით, ანუ მათზე მოქმედებს **მანძილი**.

მეორე არამონაწილის შემზღუდავი ფაქტორი, რომელიც აუდიტორიას არ აძლევს საშუალებას კომუნიკაციის არხში ჩაერთოს, არის **ხმის გამაძლიერებელი მიკროფონი**. შორი მანილის გამო, იმისათვის რომ აუდიტორია გადაერთოს არამონაწილიდან მონაწილის როლზე საჭიროა სპეციალური ხმის გამაძლიერებელი საშუალება.

მესამე ტიპის არამონაწილის შემზღუდავია **კამერა**: როდესაც საუბარი წარიმართება სტუმარსა და წამყვანს შორის აუდიტორია არ ჩანს კადრში, ყურადღება მოუბარ პირებზეა.

ტოქშოუს ჟანრში იერარქიის სათავეში არიან წამყვანები, ისინი აკონტროლებენ სტუდიაში მიმდინარე მოვლენებს. ისინი იღებენ გადაწყვეტილებას, თუ როდის უნდა ჩართონ არამონაწილე წევრები კომუნიკაციის არხში. ამისათვის ისინი იყენებენ სხვადასხვა ვერბალურ თუ არა ვერბალურ სტრატეგიას, რომელსაც ყოველთვის თან ერთვის კამერის ფოკუსის გადასვლა აუდიტორიის კონკრეტულ წევრზე, და ხშირად მიკროფონის გადაცემა.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად სამივე ქვეყნის ტოქშოუში შემხვდა წამყვანების მიერ აუდიტორიის ჩართვის მცდელობები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებაა ქვეყნებს შორის. უდიტორიის ჩართვის ტიპის

მიხედვით. გამოვყავი ორი ჯგუფი: ა) **ცალკეული ინდივიდების ჩართვა** და ბ) **აუდიტორიის კოლექტიური ჩართვა**. თითოეულ ჯგუფში გამოიყენება განსხვავებული სტრატეგიები წამყვანის მიერ.

როდესაც წამყვანი ცდილობს აუდიტორიის **კონკრეტული წევრი** ჩართოს კომუნიკაციის არხში ის იყენებს სხვადასხვა ვერბალურ თუ არა-ვერბალურ საშუალებებს.

ვერბალური სიგნალებია:

1) მიმართვის ფორმები:

ა) სრული სახელები

(1) Ellen: All right, Stacey Mcbright (*Ellen DeGeneres Show,).*

ბ) მიმართვის ფორმის შემცველი კითხითი წინადადება

(2)Graham: Where is, is it Naifen? Where is Naifen? What annoys you Naifen?

Aud. Member: People with really wet palm shake. (*The Graham Norton Show*, 1 Dec. 2012)

(3) Conan: Max. Who the hell cheers are free way collapsed?

Max: I don't know. (*Late Night with Coan O'Brien*, 1 May, 2007)

უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტიპის სტრატეგიები მხოლოდ ბრიტანულ და ამერიკულ ტოქშოუებში შემხვდა. ასევე ზემოთ მოყვანილი მაგალითები აჩვენებს, რომ აუდიტორიის წევრის კომუნიკაციის არხში ჩართვა წინასწარ იყო დაგეგმილი, სხვა შემთხვევაში წამყვანი მათ ვერ მიმართავდა სახელით.

არავერბალური საშუალებაა აუდიტორიის კონკრეტული წევრისაკენ ხელის გაშვერა ან მასზე მზერის გადატანა.

მსგავსი სიგანლების შემდეგ, აუდიტორიის წევრებიც იყენებენ გარკვეულ სტრატეგიებს, რომლითაც ისინი აჩვენებენ სტუდიაში მყოფ აუდიტორიას, რომ არამონაწილის როლიდან გადადიან მონაწილის როლზე. დაკვირვების შედეგად შეიძლება გამოვყოთ შემდეგი სტრატეგიები:

არავერბალური სიგნალებია:

ა) ფეხზე წამოდგომა - ფეხზე წამოდგომით აუდიტორიის წევრი გამოეყოფა მასას და აჩვენებს, რომ ის აპირებს ჩაერთოს კომუნიკაციაში და პასიური როლიდან გადავიდეს აქტიურ, ჩართულ როლზე. ილუსტრაციისათვის ქვემოთ მოყვანილია სურათები ბრიტანული და ამერიკული ტოქშოუებიდან.

The Alan Titchmarsh Show	**The Ellen DeGeneres Show**

ბ) **სცენაზე ასვლა** – აუდიტორიის კონკრეტული წევრი, წამყვანისაგან შესაბამისი სიგნალის მიღების შემდეგ ადის სცენაზე. მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა ამერიკულ ელენის შოუში.

The Ellen DeGeneres Show

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე სიგნალი გვხვდება წამყვანის შეთავაზების შემდეგ.

ტოქშოუში შეიძლება მოხდეს აუდიტორიის კოლექტიური ჩართვა, რაც სამივე ქვეყნის ტოქშოუში შემხდა. ამისათვის წამყვანი იყენებს ზოგადი ტიპის კითხვით წინადადებებს აუდიტორიის მიმართ. ამ შემთხვევაში მთელი აუდიტორია გადადის არამონაწილის როლიდან, მონაწილის როლზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წინა ტიპის კითხვებისაგან განსხვავებით ამგვარ კითხვებს თან არ სდევს კამერის ფოკუსის გადასვლა და მიკროფონის გადაცემა აუდიტორიის რომელიმე კონკრეტულ წევრზე. ქვემოთ მოყვანილია მაგალითები ბრიტანული და ქართული ტოქშოუებიდან:

(4) Graham: Did anyone see the Oscars?

Aud: Yes (*The Graham Norton Show*, 2 March, 2013)

(5) ვანო: პენსიები გაზარდეს?

აუდიტორია: არა (*ვანოს შოუ*, 18 იანვარი 2013)

ორივე მაგალითში (4, 5) წამყვანები ზოგადი კითხვის დასმით ცდილობენ აუდიტორიის კოლექტიურ ჩართვას კომუნიკაციის არხში.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ აუდიტორია თავად ვერ გადაერთვება ჩართული მონაწილის როლზე თუ მას ამის საშუალებას არ მისცემს წამყვანი.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. ტოქშოუში წარმოდგენილი სამი მონაწილიდან აუდიტორიას აქვს არაჩართულის როლი; მისი კომუნიკაციაში ჩართვა ინიცირებულია ყოველთვის წამყვანების მიერ;

2. ამერიკულ და ბრიტანულ ტოქშოუებში წამყვანები ცდილობენ აუდიტორია არაჩართულიდან გადაიყვანონ ჩართულის როლზე;

3. დაკვირვებამ ცხადყო, აუდიტორიის ჩართულობასთან ერთად მანძილი მცირდება ბრიტანულ და ამერიკულ შოუებში, თუმცა აღნიშნულის რეალიზაცია განსხვავებული ტექნიკით ხდება.

§ 2. 7. შეწყეტინების სიგნალები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოქშოუს სპეციფიკიდან გამომდინარე მთელი გადაცემა აიგება კომუნაკიაში ჩართულ პირთა – წამყვანისა და სტუმრების - ჯერის ცვლაზე. განვიხილეთ ცალკეული სიგნალები, რომლებიც მიანიშნებს მსმენელს, რომ კომუნიკანტმა დაასრულა საუბარი და ახლა მისი ჯერია. ასევე ვნახეთ, რომ გადაცემაში წარმოდგენილნი არიან კომუნიკაციის პროცესში არაჩართული პირები – აუდიტორია და მათი ჩართვისათვის საჭირო იყო სპეციალური სიგნალები, რომლის საშუალებითაც ისინი როლს შეიცვლიდნენ და გახდებოდნენ კომუნიკაციაში ჩართული პირები.

ზოგჯერ არის საჭიროება, რომ კომუნიკანტებმა ერთმანეთს შეაწყვეტინონ საუბარი. საჭიროა არსებობდეს საშუალებები, რომლითაც კომუნიკაციის ერთ-ერთი მონაწილე შეაწყვეტინებს მოუბარ პირს მიმდინარე საუბარს და თავად აიღებს ჯერს (Hatch 1992: 29-30). დაკვირვებამ ცხადყო, რომ შეიძლება არსებობდეს, როგორც ვერბალური ასევე არავერბალური შეწყვეტინების სიგნალები.

როცა ერთი მოსაუბრე აწყვეტინებს მეორეს და იყენებს შესაბამის სიგნალებს, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს რამდენად აქვს მას ამის უფლება – წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება კომუნიკანტი მიჩნეულ იქნეს უტაქტო ადამიანად. განსხვავება შეინიშნება კულტურებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის იმასთან დაკავშირებით თუ რა შეიძლება ჩაითვალოს მისაღებ შეწყვეტინებად, ანუ შეწყვეტინების ფორმასა და შინაარსზე მოქმედებს რიტუალური შეზღუდვა (Hatch 1992: 60). კომუნიკაციის წარმატებულად ფუნქციონირებისათვის საჭიროა კომუნიკაციაში ჩართულმა პირებმა პატივი სცენ ერთმანეთის უფლებებს და სტატუსს. უნდა გვახსოვდეს რომ კომუნიკაცია იერარქიულია და მნიშვნელოვანია სწორი სახის სისტემის გამოყენება, რათა თავიდან ავიცილოთ გაუგებრობა და მოლაპარაკის განაწყენება.

მიუხედავად ჯერის სიგნალების არსებობისა, ტოქშოუს ნახევრად ინსტიტუციონალური ხასიათისა და კონტროლის გარკვეული დოზით არსებობისა, ისევე როგორც ყოველდღიურ საუბარში, ტოქშოუებშიც გვხვდება შეწყვეტინება და გადაფარვები. თავდაპირველად განვმარტოთ რა იგულისხმება შეწყვეტინებასა და გადაფარვაში. ვესტისა და ციმერმანის აზრით (West and Zimmerman, 1975) შეწყვეტინება არის ერთდროული მეტყველების ფორმა, რომლის

დროსაც ირღვევა მოლაპარაკის ჯერი; ანუ მეორე მოსაუბრე იწყებს საუბარს მაშინ, როდესაც პირველ მოსაუბრეს არ აქვს ჯერი დასრულებული. ჯეიმსისა და კლარკის (James and Clarke, 1993) აზრით შეწყვეტინება ხდება მაშინ, როდესაც ადამიანი იწყებს საუბარს მაშინ, როდესაც მეორე ადამიანი ჯერ კიდევ საუბრობს. შეგლოფი ასევე განასხვავებს ერთმანეთისაგან შეწყვეტინებასა და გადაფარვას. გადაფარვის შემთხვევაში მეორე მოსაუბრე იწყებს საუბარს მაშინ, როდესაც ფიქრობს რომ პირველი შესაძლოა ასრულებს საუბარს. ხოლო როდესაც კომუნიკანტი არ ელოდება მოსაუბრის ჯერის დასასრულს, მაშინ ადგილი აქვს შეწყვეტინებას. ანუ გადაფარვა არის არაგამიზნული შეცდომა, ხოლო შეწყვეტინება კი გამიზნულია.

უნდა აღინიშნოს, რომ შეწყვეტინების შემთხვევაში შეიძლება შეგვხვდეს ან არ შეგხვდეს თანადროული ლაპარაკი. ფერგიუსონის (1977) აზრით ამგვარ შეწყვეტინებას ჰქვია "ჩუმი შეწყვეტინება".

ამგვარად შეიძლება დავასკვნათ, რომ შეწყვეტინებას მოსაუბრეებს შორის ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ერთი მოსაუბრე მეორეს ნებისმიერ დროს აწყვეტინებს საუბარს. ამ დროს იმ პიროვნებამ, რომელიც თავიდან ლაპარაკობდა, შეიძლება განაგრძოს ან არ განაგრძოს საუბარი.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მიუხედავად ჯერის სიგნალების არსებობისა, სამივე კულტურაში მაინც ხდება კომუნიკანტის შეწყვეტინება. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა ვერბალური თუ არავერბალური საშუალებები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შეწყვეტინება სამივე ქვეყნის ტოქშოუში ხდება მხოლოდ წამყვანის ან სტუმრების მხრიდან, აუდიტორიას ამისი შესაძლებლობა არ ეძლევა, სხვადასხვა მიზეზების გამო, რომელიც წინა ქვეთავებში აღვნიშნეთ.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად, გამოვყავი შეწყვეტინების შემდეგი ვერბალური და არვერბალური სიგნალები. ბრიტანულ შოუებში შემხვდა შემდეგი **ვერბალური სიგნალები**:

1) სპეციალური ფრაზები

ა) თხოვნის შემცველი ფრაზები

(1) Graham: and Sir Patrick, I feel we ought to/

Guest: Can I, can I ask you, Patrick just Patrick.

Graham: oh, just Patrick (The *Graham Norton Show* Feb 3, 2012)

მოცემულ მაგალითში სტუმარი აწყვეტინებს წამყვანს და გარკვეული თხოვნით მიმართავს მას.

2) კავშირები – but, and, or

(2)Host: So now you've got people who are famous simply because how they look and the other

H2: But there are young kids as well.

H: Yes … (*Loose women* 24 April, 2013)

უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანულ ტოქშოუებში საკმაოდ ხშირად გამოიყენება კავშირი but, როგორც ჯერის შეწყვეტინების ვერბალური სიგნალი. იგი გამოხატავს იმ პირის განსხვავებულ აზრს, რომელიც აწყვეტინებს კომუნიკანტს და შემოჰყავს კონტრასტული ინფორმაცია.

შეწყვეტინების ვერბალური სიგნალები ზოგჯერ გვხვდება არავერბალურ სიგნალებთან ერთად.

ბრიტანულ ტოქშოუებში შემხვდა შემდეგი **არავერბალური სიგნალები**:

ჟესტიკულაცია - ერთი ან ორივე ხელის მაღლა აწევა, რომლითაც კომუნიკანტს სიგნალი ეძლევა, რომ მეორე პირი აპირებს საუბრის დაწყებას. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე ვიზუალური მაგალითი.

The Graham Norton Show	**Loose Women**

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, კომუნიკანტები ვერბალურ სიგნალთან ერთად მეორე კომუნიკანტს ხელით ანიშნებენ და აწყვეტიებენ მათ ჯერს.

რაც შეეხება ამერიკულ ტოქშოუებს, აქაც ხდება წამყვანისა და სტუმრების მიერ ჯერის შეწყვეტინების სიგნალების გამოყენება. დაკვირვების შედეგად, აქაც გამოიყოფა ვერბალური და არავერბალური სიგნალები.

ვერბალური სიგნალებია:

1) კავშირები: and, but.

(3) Guest: And that is when I became very self conscious and

H: And is it when you started banging and parching? When did you start? (*The Ellen DeGeneres Show*, 4 Nov., 2010)

წამყვანი სტუმარს აწყვეტინებს რათა მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია. შეწყვეტინებისას იყენებს კავშირ and-ს.

2) შორისდებულები:

(4) Guest: I think I look like I'm five. Yes, you know, you are young and

Ellen: Oh, listen. You don't have to tell me. I make mistakes too. (*The Ellen DeGeneres Show*, 23 April, 2013)

არავერბალური სიგნალები – ამერიკულ ტოქშოუებშიც ბრიტანულის მსგავსად გამოიყენება ხელებით კომუნიკანტების შეწყვეტინების მცდელობა.

The View

მოცემულ მაგალითში ნაჩვენებია თუ როგორ აწყვეტინებს ტოქშოუს ერთ-ერთი წამყვანი მეორეს საუბარს და შეწყვეტინებისას იყენებს ჟესტიკულაციას, ხელს მაღლა სწევს, და კომუნიკანტს აჩვენებს, რომ იგი ითხოვს დროს ჯერისათვის.

ამერიკულ და ბრიტანულ ტოქშოუებთან შედარებით ქართულ ტოქშოუებში უფრო დიდი სიხშირით გვხვდება შეწყვეტინება.

ქართულ ტოქშოუებში ვხვდებით ჯერის შეწყვეტის შემდეგ **ვერბალურ სიგნალებს**:

1) სპეციალური ფრაზები:

ა) ნებართვის მომპოვებელი ფრაზები

(5) სტუმარი 1: კარგი პროექტი იყო ძაან ჭიათურაში, ყველა ტელევიზიის წამყვანი ჟურნალისტები იყვნენ მოდელის კაბებში ჩაცმული

სტუმარი 2: თუ ნებას დამრთავთ ერთ რამეს ვიკითხავ. მაიკოს ხვდა წილად იქ რადგან მანეკენების უკმარისობა იყო მაიამ წარმოადგინა, მანეკენის

როლიც შეასრულა (*დღის შოუ*, 3 ოქტომბერი, 2012)

მოცემულ მაგალითში ერთი მოსაუბრე მეორეს აწყვეტინებს, მაგრამ ამისათვის იღებს ნებართვას.

ბ) **ბოდიშის მომხდელი სიტყვები ან ფრაზები – ბოდიში, დიდი ბოდიში**

(6) სტუმარი: გვაჩვენე ნამუშევრები და დავგეგმავთ იმ კონკრეტულ დროს, კონკრეტულ საათს როდის გაიხსნება შენი გამოფენაო, როდის იქნებაო და დავიწყე ამ თემაზე მუშაობა. მომეცა შანსი..

წამყვანი: ბოდიში, ნახატები როგორ უნდა გეჩვენებინა მაშინ მეილი, ინტერნეტ ისე არ იყო (*დღის შოუ*, 3 ოქტომბერი, 2012)

დაკვირვებამ ცხადყო, რომ თუმცა ქართულ კულტურაში შეწყვეტინება საკმაოდ ხშირია, კომუნიკანტები ცდილობენ გამოიყენონ თავაზიანობის მარკერები (ბოდიში, უკაცრავად).

გ) **შეჩერების მომთხოვნი ფრაზები – ერთი წამით, ერთი წუთით**

(7) სტუმარი: ესე იდგებოდა ამერიკელი ქალი თავისუფლების ქანდაკებასავით

წამყვანი: (ჟესტიკულაციით აჩვენებს ასევე რომ შეჩერდეს) ერთი წამით ზვიად, მე მინდა წავიკითხო ერთ-ერთი პოსტი, რომელიც ჩვენ ეხლა პირდაპირ ვკონტაქტობთ facebook-ზე. (*დღის შოუ*, 3 ოქტომბერი, 2012)

წამყვანი შეწყვეტინებისას სთხოვს სტუმარს ერთი წუთი მისცეს მას რადგან მნიშვნელოვანი ინფორმაცია აქვს სათქმელი. აღსანიშნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ წამყვანებს აქვთ ძალაუფლება, ისინი მაინც სთხოვენ სტუმრებს დრო მისცენ.

დ) **ნაწილაკები:**

(8) სტუმარი: 98-99 წლებია. ორი თვე ვიყავი

წამყვანი: ანუ ეს ერთი წლის ფარგლებში ხდება (*დღის შოუ*, 3 ოქტომბერი, 2012)

ქართულ ტოქშოუში (*დღის შოუ*) იყო შემთხვევა, როდესაც შეწყვეტინება მოხდა სტუმრის მობილური ტელეფონის ზარის გამო. მსგავსი შემთხვევები სხვა არცერთ ტოქშოუში არ დაფიქსირებულა, რადგან წამყვანები და სტუმრები გადაცემის დაწყებამდე რთავენ თავიან მობილურებს ან ხმას მაინც უწევენ მათ. თუმცა ამ ერთ გადაცემაში იყო ნორმიდან გადახვევა. მოხდა ჯერის შეწყვეტინება

ე) **მობილური ზარის** გამო:

(9) წამყვანი: თბილისში რამდენად ყიდდი ხოლმე?

სტუმარი: აი, რომ არ მოგატყუო ეხლა (ჯერის შეწყვეტა ხდება მობილურის ზარით) უკაცრავად.

წამყვანი: უპასუხე, უპასუხე ჯონდო გირეკავს პირდაპირ ეთერში

სტუმარი: არა არა იყოს გამოვრთე. (*დღის შოუ*, 3 ოქტ., 2012)

მოცემულ მაგალითში, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერის შეწყვეტა ხდება პირადი სატელეფონო ზარის გამო, რაც მოცემულ სიტუაციაში შეუფერებელია. სტუმარი ბოდიშს იხდის წამყვანისა და აუდიტორიის წინაშე აღნიშნულის გამო, თუმცა წამყვანები ცდილობენ ამ ფაქტს იუმორისტულად შეხედონ.

უნდა აღინიშნოს, რომ ვერბალურ სიგნალებს ზოგჯერ წინ უძღვის **არავერბალური სიგნალებიც,** რომლებიც მიანიშნებენ ჯერის შეწყვეტაზე. დაკვირვების შედეგად ვნახე, რომ ქართულ ტოქშოუებში ჯერის შემწყვეტის არავერბალური სიგნალები ძირითადად **ჟესტიკულაციაა – ხელების ზევით აწევა.**

ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე ვიზუალური მაგალითი ქართული ტოქშოუებიდან:

დღის შოუ	**დღის შოუ**

ხელის მდებარეობის შეცვლით, ინდივიდი აჩვენებს კომუნიკანტს რომ აპირებს საკომუნიკაციო არხში ჩართვას.

ემპირიულ მასალაზე დაყრდნობის საფუძველზე, შეწყვეტინების სიგნალები შეიძლება დავყოთ კომუნიკაციის არხში მონაწილე პირების როლების მიხედვით. გამოიყოფა: 1) *წამყვანის მიერ სტუმრის შეწყვეტინება; 2) სტუმრის მიერ წამყვანის შეწყვეტინება; 3) სტუმრის მიერ სტუმრის შეწყვეტინება.* შეტყობინებები ასევე განსხვავდებიან საკომუნიკაციო ინტენციის თვალსაზრისით.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ სამივე ქვეყნის ტოქშოუში გვხვდება **წამყვანის მიერ სტუმრის შეწყვეტინების შემთხვევები**, რომელსაც შეიძლება ქონდეს როგორც სასაუბრო, ასევე ინსტიტუციონალური ფუნქციაც. სასაუბრო ფუნქციებია:

1) საკუთარი აზრის გამოთქმა – ერთი კომუნიკანტი მეორეს აწყვეტინებს, რათა საკუთარი აზრი გამოთქვას. ქვემოთ მოქვანილია მაგალითები სამივე კულტური ტოქშოუდან:

10)

(11) Host 1: I don't know what to say about her, cause there is a free speech on the one hand and on the other hand { it's so heinous

Host 2: { I don't think Bill will aim at that situation (*The View,* 24 June, 2013)

(12) სტუმარი: ძიძა არ მყავს შერჩეული, მე დეიდაჩემი მეხმარება

ნანუკა: და ამიტომ ძიძა არ გჭირდება (*ნანუკას შოუ,* 2010)

სამივე მაგალითში წამყვანები იყენებენ სხვადასხვა სიგნალებს შეწყვეტინებისათვის და მათი მიზანია საკუთარი აზრის გამოხატვა კომუნიკანტის მიერ წარმოთქმულთან დაკავშირებით.

2) ინფორმაციის შევსება – ერთი კომუნიკანტი მეორეს აწყვეტინებს რათა შეავსოს ინფორმაცია.

ბრიტანული ტოქშოუ:

(13) Guest: All her toys were indangered species, lovely lions and things. And she genuinely, I mean she was shining the torch while I was

Alan: pulling them out

G: Pulling them out, yes. (*The Alan Titchmarsh Show,* 5 March, 2012)

ამერიკული:

(14) Guest: You're gorgeous as always and you've got a little bit { red hair, look down there

Conan: { yes, a red hair.

(Late Night with Conan O'Brien, 12 Nov., 2008)

ქართული:

(15) Well, I knew a lot of things were going. I know the first lady was from Holand, from Croling, that's where I

წამყვანი: სადაც თქვენ ცხოვრობთ.

Yes, I live in Amsterdam. (*ნანუკას შოუ*, იანვარი, 2009)

წამყვანები აწყვეტინებენ სტუმრებს, რათა საჭირო ინფორმაციით შეავსონ საუბარი, ან დაეხმარონ გახსენებაში.

3) შეწყვეტინება შეიძლება ემსახურებოდეს თემის შეცვლას.

(16) Guest: I know in my own campaigning for HIV and AIDS. When I speak to people from UNAIDS, they are talking about this huge epidemic, I know that steps have been taken, we .., I am talking about HIV now. We're, you know the mortality rates are actually going down, the transmission of the virus, HIV virus is starting to actually go down but the problem is that financially you;ve got this downturn. Governments are saying, people are saying we don't need to give any aid. In fact, aid itself in America, it's a tiny, tiny percentage of their own national budget. So , you know, I think talking, debating, getting involved, so many organizations that we can get involved { are doing great job.

Alan: { Is it just about raising money? *(The Alan Titchmarsh Show*, 7 March, 2011)

წამყვანები თავიანთი ინსტიტუციონალური ფუნქციიდან გამომდინარე პასუხისმგებელნი არიან ტოქშოუში განსახილველი თემების გაშლასა და წამოჭრაზე. შესაბამისად, ისინი აწყვეტინებენ სტუმრებს კითხვის მეშვეობით და ცდილობენ ახალი თემის შემოტანას.

წამყვანის მიერ გამოყენებული ინსტიტუციონალური ფუნქციის მქონე შეწყვეტინებაა:

4) შეწყვეტინება, გამოწვეული დროითი შეზღუდვით – როგორც ვნახეთ, ყოველ გადაცემას აქვს მისთვის განკუთვნილი დრო და წამყვანები ცდილობენ თითოეული მონაწილის ჯერი გააკონტროლონ, რადგან მოასწრონ ყველა დაგეგმილი თემის გაშლა და შოუს დროზე დასრულება.

(17) Guest: think that /

Ellen: let's have a break now. We will continue talking about that later on the show (Ellen DeGeneres Show, 6 June, 2013).

(18) სტუმარი: მე პატიოსნად ვმუშაობ და კიდევ უფრო პატიოსნად ვიმუშავებ, კიდევ

ნანიკო: თქვენი დრო ამოიწურა, ეს ყველაფერი რაც მოხდა მე ეჭვი მაქვს რომ უბრალოდ აღარ განმეორდება. (*დღის შოუ*, 20 სექტემბერი, 2012)

დაკვირვებამ აჩვენა, რომ წამყვანების დროითი შეზღუდვით გამოწვეული შეწყვეტინება ხდება ძირითადად რეკლამაზე გასვლამდე ან გადაცემის ბოლო მონაკვეთში.

სტუმრის მიერ წამყვანის შეწყვეტინების შემდეგი მაგალითები გვხვდება სამი კულტურის ტოქშოუში:

1) დამატებითი ინფორმაციის მიწოდება

(19) Ellen: Yes, but these pictures were taken

Guest: When I was suffering from eating disorder (*The Ellen DeGeneres Show,* 4 Nov., 2010).

(20) ნანუკა: რომ გავიგე ეს შენი ამბები, ანუ პროცედურებს როგორ იტარებ, როგორ უვლი თავს დედა ვიფიქრე არ დავიღუპო, არაფერი არ დამემართოს, კარგად მოვუაროთ და ამიტომ შევარჩიე ალდო კოპოლა და აუცილებლად უნდა ვთქვა რომ ეს არის პირველი ბრენდი სალონი საქართველოში და ამიტომ ეხლა მე გადავწყვიტე რომ ექსპერიმენტი ჩაატარო და

სტუმარი: რაც მთავარია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტია აქვს უნდა გავითვალისწინოთ ეს. (*ნანუკას შოუ*, 27 მარტი, 2013)

2) შეწინააღმდეგება

(21) Alan: Isn't it the thing that there are a lot of people in the public area, a lot of celebrities in inverted commas seem to think they are not living if they are not in a law, OK, on front pages of Sun

G: I am not a celebrity, I am an artist. That's the difference.

Alan: It's true. But you are a celebrated artist.

(*The Alan Titchmarsh Show,* 8 Dec., 2009)

(22) ნანუკა: ამ შემთხვევაში ნინო მინდა შენ გკითხო, როგორ ახერხებ პირად ცხოვრებას, ამერიკიდან ამ ყველაპრის გაკეთებას. მე ვიცი რომ შენ გათხოვილი ხარ და ცხოვრობ ამერიკაში. როგორ ახერხებ ამერიკიდან//

სტუმარი: მე არ ვცხოვრობ ამერიკაში

ნანუკა: უკაცრავად ეს ჩემი შეცდომაა

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ **სტუმრის მიერ სტუმრის შეწყვეტინებასაც** სხვადახსვა ფუნქცია აქვს:

1) ინფორმაციის შევსება

(23) წამყვანი: უკვე დარქმეული გქონდათ ეს სახელი?

სტუმარი 1. დაგვარქვა ქართლოსმა და აღარც გვახსოვდა ფაქტიურად და

სტ 2: ეს იქ თქვა და ერთ-ერთ { ერთ-ერთ კონცერტზე გამოგვაცხადა ასე

სტ 3: { ერთ-ერთ კონცერტზე დარბაზში

გამოვდივართ და ქართლოსი არის და აცხადებს მღერის ცისფერი ტრიო (ნანუკას შოუ, 24 ნოემბერი, 2009)

2) დათანხმება

სტუმარი 1: დიდი ბედნიერება { გვხვდა წილად

სტუმარი 2: { გვქონდა ეგ ბედნიერება.

{ გვქონდა საშუალება, რომ რამდენიმე

გასტროლი გვქონოდა ერთად (*ნანუკას შოუ,* 24 ნოემბერი, 2009).

სტუმრები ხშირად საკუთარ მხარდაჭერას გამოხატავენ დათანხმებით.

ამრიგად:

1. სამივე კულტურის ტოქშოუში გვხვდება სხვადასხვა ტიპის და ფუნქციური დატვირთვის მქონე შეწყვეტინება;

2. სამივე კულტურის ტოქშოუში სხვადასხვა ტიპის ვერბალური და არავერბალური საშუალებები იყო გამოყენებული ჯერის შეწყვეტისათვის;

3. დაკვირვებამ ცხადყო, რომ შეწყვეტინებას უფრო დიდი სიხშირით ვხვდებით ქართულ ტოქშოუში;

4. ტოქშოუში მონაწილე კომუნიკანტთა თვალსაზრისით შეწყვეტინება შეიძლება იყოს შემდეგი ტიპის: ა) წამყვანის მიერ სტუმრის შეწყვეტინება; ბ) სტუმრიეს მიერ წამყვანის შეწყვეტინება და გ) სტუმრის მიერ სტუმრის შეწყვეტინება;

5. გამოხატვის პლანის თვალსაზრისით შეწყვეტინება შეიძლება იყოს ვერბალური, არავერბალური ან შერეული;

6. საკომუნიკაციო ინტენციის თვალსაზრისით, შეწყვეტინება შეიძლება ემსახურებოდეს: ა) საკუთარი აზრის გამოთქმას; ბ) ინფორმაციის შევსებას; გ) თემის შეცვლას; დ) დათანხმებას; ე) დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას; ვ)შეწინააღმდეგებას; ზ) შეწყვეტინებას დროის შეზღუდვის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი მხოლოდ წამყვანების მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი.

§ 2. 8. გრაისის მაქსიმები ტოქშოუში

როგორც ცნობილია, დისკურსის წარმატებული ფუნქციონირებისათვის საჭიროა მრავალი ასპექტის გათვალისწინება.

წარმატებული კომუნიკაციის პრინციპებსა და სტრატეგიებზე საუბრისას, აუცილებელია აღინიშნოს გრაისის (გრაისი 1975) მიერ შემოთავაზებული კოოპერაციის პრინციპი (Cooperative Principle-CP) და მასთან დაკავშირებული ოთხი მაქსიმა. კოოპერაციის პრინციპი მიუთითებს, რომ საუბარში მოლაპარაკემ სათანადო წვლილი უნდა შეიტანოს საუბრის გაცვლა-გამოცვლის პროცესში საყოველთაოდ მიღებული მიზნებისა და მიმართულებების დაცვით.

ე. გოფმანის აზრით კომუნიკაცია არ იქნება წარმატებული თუ მონაწილეები არ იცავენ გრაისის კოოპერაციის პრინციპებს, კერძოდ ოთხ ძირითად მაქსიმას: ოდენობრივს, თვისობრივს, რელევანტურობისა და მანერის.

გოფმანი აუცილებლად მიიჩნევს კოოპერაციის პრინციპებისა და მაქსიმების სისტემურ და რიტუალურ შეზღუდვებში ჩართვას. როგორც ცნობილია, მაქსიმები უნივერსალურია, თუმცა მათი ლინგვისტური რეალიზაცია კულტურის სპეციფიკითაა განპირობებული.

განვიხილოთ, თუ როგორ რეალიზდება თითოეული მაქსიმა ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ ტოქშოუებში.

ოდენობითი მაქსიმა (Quantity Maxim)

გრაისის განმარტებით თითოეული კომუნიკანტი უნდა შეეცადოს საუბარში შეტანილი წვლილი გახადოს იმდენად ინფორმაციული, რამდენადაც ეს საჭიროა. საუბარი არ უნდა იყოს იმაზე ინფორმაციული ვიდრე ამას ჩვენგან მოითხოვენ ან პირიქით ნაკლებად ინფორმაციული (Brown & Yule 1983: 32).

ე. გოფმანის აზრით ოდენობრივი მაქსიმა ბევრი ადამიანისათვის რთული დასაცავია. ყველას მეტნაკლებად თანაბარი დრო უნდა ჰქონდეს გამოყოფილი საუბრისთვის, სპეციალური ნებართვის გარეშე, რომელიმე კომუნიკანტმა არ უნდა დაიკავოს სცენა დიდი ხნით. (Hatch 1992: 34) თუმცა ოდენობრივი მაქსიმა განსხვავებულია ენებისა და სოციალური როლების მიხედვით. საუბრის ნებადართული ოდენობა, რა თქმა უნდა დაკავშირებულია ჯერის აღებასთან. ზოგიერთი ადამიანი, საკუთარი სოციალური როლიდან გამომდინარე, უფრო მეტ ჯერს იღებს და უფრო დიდი ხნის განმავლობაში საუბრობს.

ოდენობრივი მაქსიმა ასევე დაკავშირებულია ინფორმაციის რაოდენობასთან. ჭარბსიტყვაობა მიუღებელია, თუმცა აღნიშნულის განსაზღვრა დამოკიდებულია ცალკეული ინდივიდისა და კულტურის დისკურსის სპეციფიკასთან (Hatch 1992: 62).

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყოფს, რომ ტოქშოუს ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე და როლების ასიმეტრიული გადანაწილების გამო კომუნიკაციის არხში ჩართულ პირებს არ ეძლევათ თანაბარი რაოდენობის და სიგრძის ჯერი, თუმცა ეს არ იწყვევს ოდენობრივი მაქსიმის დარღვევას.

ტოქშოუების შესავალი ნაწილი, წარმოადგენს წამყვანის ან წამყვანების მონოლოგს, შესაბამისად ისინი საუბრობენ რამდენიმე წუთის განმავლობაში თუმცა ამ შემთხვევაში ოდენობრივი მაქსიმა არ ირღვევა, რადგან ეს არის ამ გადაცემის ფორმატის შემადგენელი ნაწილი და ასევე ის ინფორმაცია, რომელსაც წამყვანი აწვდის აუდიტორიას არის მნიშვნელოვანი, ამ ფორმატის ნაწილია და არ გვხვდება ზედმეტი დეტალები.

მოვახდინე დაკვირვება წამყვანის მონოლოგის ხანგრძლივობაზე სამივე კულტურის სამივე ქვეჟანრის ტოქშოუში, რათა მენახა როგორი იყო მათი ჯერის ხანგრძლივობა. ბრიტანულ ტოქშოუებში ყველაზე ხანგრძლივი მონოლოგი ჰქონდა გრეემ ნორტონს (ტოქშოუში *Graham Norton Show*), იგი მერყეობდა 2.40 წუთიდან 3.20 წუთამდე, შემდეგ იყო ალანი თავისი მონოლოგით *(Alan Titchmarsh Show*) რომლის ხანგრძლივობაც საშუალოდ 1.20 წუთიდან 2 წუთამდე მერყეობდა რაც შეეხება *Loose Women*-ს, აქ რამდენიმე წამყვანია წარმოდგენილი, რომლებიც, თითქოსდა, ერთი შეხედვით, თანაბრად არიან ჩართულნი, თუმცა ერთ-ერთი წამყვანი არის მთავარი და გადაცემის მსვლელობისას ის წარადგენს მთავარ თემებს და სტუმრებს.

რაც შეეხება ამერიკულ ტოქშოუებს, კონანის მონოლოგი (*Late Night with Conan O'Brien*) გრძელდება საშუალოდ 5 წუთიდან 10 წუთამდე. ელენი (*Ellen DeGeneres Show*) კიდევ უფრო არღვევს რაოდენობის მაქსიმას და სუბრობს საშუალოდ 9-12 წუთი. რაც შეეხება მესამე ტოქშოუს, აქაც მსგავსად ბრიტანული ტოქშოუსა ხდება რამდენიმე წამყვანს შორის ჯერის გაცვლა, თუმცა ერთი მაინც დომინირიებს.

ქართულ ტოქშოუებში კი შემდეგნაირადაა წამყვანების ჯერის ხანგრძლივობა: ვანო თავის მონოლოგში (*ვანოს შოუ*) საუბრობს საშუალოდ 9-15 წუთამდე, ნანუკას მონოლოგი გრძელდებოდა 1 დან 7 წუთამდე, ხოლო ქართულ

დღის შოუშიც ინგლისური ტოქშოუების მსგავსად რამდენიმე წამყვანი ცვლის ჯერს. თუმცა აქაც ერთი მაინც დომინირებს, მისი ინსტიტუციონალური როლიდან გამომდინარე.

ამრიგად, ოდენობრივი მაქსიმა მკაცრად არის დაცული ტოქშოუს მონოლოგის შემთხვევაში. განსხვავეული მონოლოგი, ერთი მხრივ, წარმოადგენს რეაქციას ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე, ხოლო მეორე მხრივ, ის წარმოადგენს ტოქშოუს ერთგვარ გეგმას.

სამივე კულტურის ტოქშოუების შემდეგ ნაწილში - ინტერვიუ ოდენობის მაქსიმა კომუნიკანტთა ჯერების სიხშირისა და ხანგრძლივობის თვალსაზრისით უფრო თანაბრადაა დაცული, რადგან ეს ნაწილი აიგება წამყვანსა და სტუმარს შორის კითხვა-პასუხზე. შესაბამისად წამყვანი სვამს კითხვას და მასზე იღებს ამომწურავ პასუხს სტუმრისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ვსაუბრობთ ოდენობით მაქსიმაზე აქ საგულისხმოა არა სიტყვებისა თუ წინადადებების რაოდენობა, არამედ იმ ძირითადი ინფორმაციის მიწოდება რომელსაც ითხოვს კომუნიკანტი. მაგალითად სამივე ქვეყნის ტოქშოუში შემხვდა მაგალითები, როდესაც პასუხი იყო მხოლოდ ერთი სიტყვა ან ფრაზა, მაგრამ რაოდენობის მაქსიმა მაინც არ ირღვეოდა, რადგან ძირითადი ინფორმაცია იყო მიწოდებული. ქვემოთ მოყვანილია მაგალითები ბრიტანული, ამერიკული და ქართული ტოქშოუებიდან.

(1) Ellen: How many laxatives a day where you taking?

H: Twelve (*Ellen DeGeneres Show*, Nov, 2010)

(2) წამყვანი: მაშინ სად მუშაობდი?

სტუმარი: ეკონომიკის სამინისტროში (*ნანუკას შოუ*, 7 ნოემბერი, 2010).

არცერთ მაგალითში არ ირღვევა ოდენობრივი მაქსიმა, რადგან მიუხედავად იმისა რომ ჯერი არის მცირეხნიანი და ერთი სიტყვის ან ფრაზისაგან შედგება, იგი მაინც გვაწვდის ამომწურავ ინფორმაციას დასმულ კითხვაზე.

ემპირიულ მასალაზე დაკვრივებამ ცხადყო, რომ ოდენობრივი მაქსიმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წამყვანებისათვის. ისინი არიან გადაცემაზე პასუხისმგებელნი და მათი მიზანია, ერთი მხრივ, აუდიტორიას მიაწოდონ ყველა საჭირო ინფორმაცია და, მეორე მხრივ, თავიდან აიცილონ ჭარბი ინფორმაციის არსებობა.

მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ოდენობრივი მაქსიმის დაცვას ტოქშოუებში არეგულირებენ წამყვანები. წამყვანები ხშირად აწყვეტინებენ

სტუმრებს ან ერთმანეთს, როდესაც თვლიან რომ ოდენობრივი მაქსიმა დაირღვა. კერძოდ, მსმენელი ა) აწყვეტინებს მოსაუბრეს რათა მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია ან ბ) ჩაკითხვის საშუალებით ცდილობს მიიღოს საჭირო ინფორმაცია.

მსგავსი ინფორმაციის შევსების მაგალითები შემხვდა სამივე კულტურის ტოქშოუებში. განვიხილოთ ცალკეული მაგალითი ბრიტანული, ამერიკული და ქართული ტოქშოუებიდან.

(3) Guest: So, when I was trying to put together just my basic needs like washing my kid, washing the house, you know, cleaning the house and diapering my kid I wanted to have the most eco-friendly, best product that were animal friendly, environemtaly friendly, kid friendly obviously I wanted them to be really cool and I wanted them to perform and I wanted them to /be performable and accessible

Ellen: And recyclable as well, right (*The Ellen DeGeneres Show*)

მოცემულ მაგალითში, ამერიკული ტოქშოუდან წამყვანი აწყვეტინებს სტუმარს, რადგან მისი აზრით სტუმარი არღვევს ოდენობრივ მაქსიმას და თავად აწვდის აუდიტორიას ინფორმაციას.

შემდეგი მაგალითი მოყვანილია ქართული „*დღის შოუდან*“.

(4) წამყვანი 1: ამ შემთხვევაში არ არის რეკომენდირებული სქელი პუდრების წასმა, დერმაკოლი. აი ლაით პუდრები, ანუ ლაით პუდრები იმიტომ რომ

წამყვანი 2: ლაით პუდრი რას ნიშნავს?

წამყვანი 1: ლაით პუდრი, ყველამ იცის ეს სიტყვა, ლაით ნიშნავს მსუბუქი. (*დღის შოუ*, 26 მარტი, 2012)

ამ შემთხვევაშიც შეწყვეტინება გამოწვეულია ოდენობრივი მაქსიმის დარღვევით, თუმცაღა წამყვანი თავად არ აწვდის მსმენელს ამომწურავ ინფორმაციას არამედ ჩაკითხვის საშუალებით ცდილობს კომუნიკანტისაგან მიიღოს საჭირო ინფორმაცია.

მოცემულ მაგალითებში წამყვანების შეწყვეტინება გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ მათი აზრით კომუნიკანტმა აუდიტორიას და მსმენელებს არ მიაწოდა საკმარისი ინფორმაცია, ანუ დაირღვა ოდენობრივი მაქსიმა.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ შეწყვეტინება შეიძლება მოხდეს ასევე იმ შემთხვევაში თუ წამყვანი იგრძნობს, რომ ოდენობრივი მაქსიმა ირღვევა გადაჭარბებული ინფორმაციის გამო.

ჭარბმა ინფორმაციამ შეიძლება:

1) გამოიწვიოს გაუგებრობა მსმენელში. იგი ვერ შეძლებს განასხვაოს ერთმანეთში მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია;

2) გამოიწვიოს ფორმატის დარღვევა. უნდა აღინიშნოს, რომ ტოქშოუს ფორმატი და სასაუბრო თემატიკა მეტნაკლებად წინასწარ არის დაგეგმილი წამყვანების მიერ.

გამეორების და შესაბამისად ჭარბსიტყვაობის თავიდან აცილების მიზნით, წამყვანები და სტუმრები იყენებენ ჩართულ კონსტრუქციებს.

(5) Guest: I got this tooth whitening late. **As you probably know**, tonight is my show premier so I'll do a lot of practice. (*Ellen DeGeneres Show,* 5 Nov., 2011)

მოცემულ მაგალითში ამერიკული ენელის შოუდან კომუნიკანტი (სტუმარი) ცდილობს თავიდან აიცილოს ჭარბსიტყვაობა და იყენებს ჩართულ კონსტრუქციას.

შემდეგი მაგალითი მოყვანილია ქართული *დღის შოუდან.*

(6) წამყვანი 1: მსუბუქი გამჭვირვალე პუდრები იმიტომ რომ სახის კანი უნდა გამოჩნდეს, ამიტომ ყველა ქალს მივმართავ

წამყვანი 2: იმ შემთხვევაშიც თუ არ გივარგა?

წამყვანი 1: ხოდა, **აი მაგას ვამბობდი** ჩემო საყვარელო. სწორედ რომ, თუ არ ვივარგათ სახის კანი მაინც კოსმეტოლოგთან უნდა გაიწმინდოთ (*დღის შოუ* 26 მარტი, 2012)

ამ შემთხვევაში, კომუნიკანტი ცდილობს ხაზი გაუსვას, რომ აპირებდა იმ ინფორმაციის ჩართვას.

გრაისის შემდეგი მაქსიმაა **თვისობრივი მაქსიმა (Quality Maxim).** გრაისის მაქსიმა არის ჭეშმარიტებაზე ორიენტირებული. არ უნდა მივაწოდოთ მსმენელს ყალბი ინფორმაცია, ან ინფორმაცია რომლის სიზუსტეშიც არ ვართ დარწმუნებული (Brown & Yule 1983: 32).

თვისობრივი მაქსიმა, ჩემი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტოქშოუებში, რადგან მაყურებელმა და სტუდიის აუდიტორიამ უნდა იგრძნოს, რომ რასაც წამყვანი ან სტუმრები ამბობენ სიმართლეა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება თავი მოტყუებულად ვიგრძნოთ, დავკარგოთ მათ მიმართ ნდობა და უარყოფითი ემოციები აღგვეძრას კომუნიკანტების მიმართ, რაც უარყოფითად იმოქმედებს მათ იმიჯსა თუ რეიტიგზე. სწორედ ამიტომ, წამყვანი თუ სტუმრები ცდილობენ დააჯერონ აუდიტორია, რომ მათ მიერ ნათქვამი

სიმართლეს შეესაბამება. ზოგჯერ მსმენელის რეაქციიდან ნათელია, რომ ნათქვამის არ სჯერათ და ამიტომ წამყვანი ან სტუმრები ცდილობენ ნათქვამის სისწორეში დაგვარწმუნონ.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ წამყვანები და სტუმრები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიას იმისათვის რომ აუდიტორია და ერთმანეთი საკუთარ სიმართლეში დააჯერონ.

ბრიტანულ ტოქშოუებში შემხვდა ამის შემდეგი მაგალითები:

ექსპლიციტურად მითითება, რომ რასაც ვამბობთ სიმართლეა:

(7) Guest: I had a hernia. I (აუდიტორია იცინის) Oh, **it's true**.

Guest 2: They all laughed, it's so odd. (*Graham Norton Show*, 17 May, 2013)

მოცემულ მაგალითში გრეემ ნორტონის შოუდან აუდიტორიის სიცილი მიანიშნებს კომუნიკანტს, რომ მსმენელებს ეჭვი ეპარებათ მისი ნათქვამის სიმართლეში და აქედან გამომდინარე საფრთხის ქვეშ დგას გრაისის თვისობრივი მაქსიმა. კომუნიკანტი ექსპლიციტურად დასძენს, რომ მის მიერ ნათქვამი შეესაბამება სიმართლეს.

ბრიტანულ ტოქშოუში შემხვდა მაგალითი, როდესაც ერთ-ერთი კომუნიკანტი ფიცილის ფორმულის საშუალებით ცდილობდა მსმენელები ნათქვამის ჭეშმარიტებაში დაერწმუნებინა.

(8) Graham: It will really go on.

Guest: Really?

Graham: I swear I will. (*Graham Norton Show*, 21 June, 2013)

მსგავსი ტიპის იმპლიციტურად სიმართლეზე ხაზის გასმა გვხვდება ამერიკულ ქონანის ტოქშოუშიც.

(9) Conan: The most advanced root everyone is talking about. This is the new running robot, this is actual footage, check it out (video) Yes, it's real. (*Late Night with Conan O'Brien*)

მეტი დამაჯერებლობისათვის კომუნიკანტი ასევე აჩვენებს ვიდეოს, სადაც ნაჩვენებია ეს რობოტი და მისი მოძრაობები.

ქართულ ტოქშოუებშიც შემხვდა გამონათქვამის ჭეშმარიტების დამადასტურებელი ფრაზები, როგორიცაა: სიმართლე გითხრათ, მართლა, ნამდვილად.

(10) ნანუკა: მოგიკვლია რამე ცხოველი ნადირობისას?

სტუმარი: სიმართლე გითხრათ დათვი არა (*ნანუკას შოუ*, 01 მაისი, 2013)

მოცემულ მაგალითში სტუმარი ცდილობს ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ ის ჭეშმარიტებას ამბობს.

თუმცა ზოგჯერ კომუნიკანტები არ არიან დარწმუნებულნი თავიანთი ნათქვამის სიმართლეში და იმისათვის რომ თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა იყენებენ ე.წ. ზღუდეებს, ანუ სპეციალურ ვერბალურ საშუალებებს რომლებიც არბილებენ გამონათქვამში წარმოდგენილ პროპოზიციას.

მსგავს ზღუდეებს ვხვდებით სამივე კულტურის ტოქშოუში.

ქვემოთ მოქვანილია რამდენიმე მაგალითი ბრიტანული, ამერიკული და ქართული ტოქშოუებიდან.

(11) Graham: This is you, you taking a photopraph of a great waterfall?

Guest: Yes, probably so. (*Graham Norton Show*, 21 June, 2013)

მოცემულ მაგალითში ბრიტანული ტოქშოუდან ერთ-ერთი კომუნიკანტი იყენებს ზღუდედ სიტყვას probably (შესაძლებელია), რათა თავიდან აიცილოს არაზუსტი ინფორმაციის მიწოდება. ბრიტანულ ტოქშოუებში შემხვდა მსგავსი ტიპის შემდეგი ზღუდეები: I guess, As far as I know.

განვიხილოთ ნაწყვეტი ამერიკული ტოქშოუდან.

(12) Ellen: I am one of those people who can remember details. It was April 17, I remember it was 68 degrees, it was a little breezy. **I believe** I was wearing blue jeans, shirt and a brown jacket.. (*Ellen DeGenerous Show*, 23 April, 2013)

ზემოთ მოყვანილ მაგალითში წამყვანი იყენებს ზღუდეს I believe, რათა თავიდან აიცილოს თვისობრივი მაქსიმის დარღვევა.

ქართულ ტოქშოუებშიც ვხვდებით თვისობრივი მაქსიმის დარღვევის თავიდან აცილების მცდელობას.

(13)ნანუკა: ვის გავს ცელქი?

სტუმარი: მემგონი მამას.

ნანუკა: დარწუნებული ხარ?

სტუმარი: რა ვიცი, ცირა ბებო ესე გვეუბნება (*ნანუკას შოუ*, 01. 05. 2013)

მოყვანილ მაგალითში სტუმარი იყენებს ზღუდეს – რა ვიცი, რათა თავი დაიზღვიოს.

ვხვდებით ასევე შემთხვევებს, როდესაც წამყვანი ან სტუმარი ცდილობს გადაამოწმოს თავისი ინფორმაცია.

(14) Ellen: I’m sure a lot of you are out of town, yeah? (*Ellen Degeneres Show*, 23 April, 2013)

მოყვანილ მაგალითში მოსაუბრე, ერთი მხრივ, იყენებს ფრაზა I’m sure, რომლის მეშვეობითაც თითქოსდა გამოხატავს რწმენას, რომ გამონათქვამში წარმოდგენილი ინფორმაცია ჭეშმარიტია, თუმცა, ჩაკითხვის მარკერი yeah ერთგვარად აბათილებს გამონათქვამის კატეგორიულ ხასიათს.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ასევე აჩვენა, რომ ზოგჯერ თვისობრივ მაქსიმას გამიზნულად არღვევენ კომუნიკანტები.

ბრიტანულ ტოქშოუში შემხვდა წამყვანის მიერ გამიზნულად თვისობრივი მაქსიმას დარღვევის შემთხვევები და ამას ჰქონდა იუმორისტული დატვირთვა, წამყვანი ცდილობდა აუდიტორია გაეცინებინა:

(15) Graham: He’ll be here in a second so I’d better move on. **Yeah, Yeah, go, go**. (Graham Norton Show. Quentin Tarantino)

მოცემული მაგალითი მოყვანილია გრეემის მონოლოგიდან. წამყვანი გამოწყობილია კოვბოის ფორმაში და ზის ხის სათამაშო ცხენზე. წარადგენს სტუმარს და წარმოადგენს ცხენზე ჯდომის იმიტაციას. იგი ამხედრებულია სათამაშო ცხენზე და იყენებს მხედრებისათვის მახასიათებელ შეძახილებს: **Yeah, Yeah, go, go.** მოცემულ მაგალითში თვისობრივი მაქსიმის დარღვევა ემსახურება იუმორისტულ ეფექტს, და მას მოჰყვება სათანადო რეაგირება აუდიტორიიდან (სიცილი).

აღსანიშნია, რომ ბრიტანულ გვიან-ღამის გასართობ ტოქშოუში ხშირად გამოიყენება იუმორისტულად თვისობრივი (სიმართლის) მაქსიმის დარღვევა.

რელევანტურობის მაქსიმა (Maxim of Relevance)

თითოეული მოსაუბრის მიერ საუბარში შეტანილი წვლილი უნდა იყოს რელევანტური. ანუ არცერთი მონაწილის ნათქვამი არ უნდა იყოს შემთხვევითი, არამედ უნდა იყოს დაკავშირებული იმასთან, რაც მანამდე იყო ნათქვამი (Hatch 1992: 31).

რელევანტურობა მნიშვნელოვანია ტოქშოუს ჟანრში: გადაცემა სწორედ სტუმარსა და წამყვანს შორის ჯერის გაცვლაზეა აგებული და ამ კითხვა-პასუხის საშუალებით აუდიტორია იგებს ახალ ან უკვე ნაცნობ ინფორმაციას სტუმრის შესახებ.

როგორც ცნობილია, რელევანტურობის მაქსიმა (Brown & Yule 1983: 32) მიჩნეულია ერთ-ერთ ბაზისურ მაქსიმად. იგი თავის თავში მოიცავს სამივე

მაქსიმას. შეიძლება სხვა მაქსიმები დაირღვეს, მაგრამ ნათქვამი იყოს მაინც რელევანტური.

რელევანტურობის კუთხით განვიხილოთ ზემოთ მოყვანილ მაგალითი (15). მოცემულ დისკურსის მონაკვეთში დაირღვა თვისობრივი მაქსიმა, თუმცა აღნიშნული დარღვევა რელევანტურია და იმ მიზანს ემსახურება რის მიღწევასაც ცდილობს წამყვანი. აღნიშნულ შემთხვევაში წამყვანის მიზანია შექმნას კომიკური ეფექტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ტოქშოუში გვხვდება შემთხვევები, როდესაც კომუნიკანტი იღებს ჯერს და მისი საუბარი ერთი შეხედვით არარელევანტურია. არ არის იმ თემის გაგრძელება რაზეც მანამადე საუბრობდნენ. დაკვირვებამ ასევე აჩვენა, რომ მსგავსი წინა თემასთან დაუკავშირებელი ჯერი გვხვდება სამივე ქვეყნის ტოქშოუში უმეტესწილად წამყვანების მხრიდან, როდესაც მათ სურთ თემის შეცვლა ან რეკლამისათვის გადაცემის შეწყვეტა.

(16) Guest: That’s a joke we’re not being romantic.

Ellen: No, that’s not a joke.

Guest: It’s a joke. It’s not like that.

Ellen: All right, let’s take a break, take a break. We’ll be back. (*The Ellen Degeneres Show*, 23 April, 2013)

მოცემულ მაგალითში წამყვანი, ერთი შეხედვით, პასუხობს არარელევანტურად, რადგან საუბარი იყო რამდენად რომანტიულ გარემოში იყვნენ სურათზე წარმოდგენილი სტუმარი და მისი ძაღლი და უცებ წამყვანი ამბობს რომ ისინი სარეკლამო ტიხარზე უნდა გავიდნენ. ჩემი აზრით აღნიშნული ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, წამყვანის ეს ჯერი რელევანტურია, რადგან შეიძლება იმ დროს ყურში პროდიუსერმა უთხრა, რომ შოუს მოცემული ნაწილის დრო ამოიწურა და რეკლამის დროა.

(17) სტუმარი: ეს იცით რა არის, ეს თემატიკა

წამყვანი: რა უჭირს ამ გოგოს, ისეთ პოზაშია (დღის შოუ)

ამ შემთხვევაში გადაცემას ჰყავს რამდენიმე წამყვანი. სტუმარი საუბრობს და ერთ-ერთი წამყვანი ათვალიერებს ჟურნალს სადაც ის გოგოები არიან წარმოდგენილი რომლებზეც სტუმარი საუბრობს. შესაბამისად, წამყვანის კომენტარი რელევანტურია იმ სურათისა, რომელსაც ის უყურებს.

მანერის მაქსიმა (Maxim of Manner).

გრაისის განმარტებით თითოეულმა კომუნიკანტმა სათქმელი უნდა თქვას ნათლად. უნდა აირიდოს თავიდან გამონათქვამის ორაზროვნება. უნდა იყოს თანმიმდევრული და ლაკონური (Brown & Yule 1983: 32).

ყოველ ჩვენგანს აქვს თავისი წარმოდგენა თუ რა არის საჭირო სიცხადისთვის. თუმცა მანერის მაქსიმა განსხვავებულია სხვადასხვა კულტურასა და სოციალურ კონტექსტში.

როგორც უკვე ვნახეთ, ტოქშოუების მონაწილეები ცდილობენ თავიანთი საუბარი გახადონ ინტერპრეტირებადი ანუ ფართო აუდიტორიისათვის მარტივად გასაგები. ჩემი თვალსაზრისით მანერის მაქსიმა ნაწილობრივ დაკავშირებულია გოფმანის ერთ-ერთ სისტემურ შეზღუდვასთან. კერძოდ, აკუსტიკურად ადეკვატურ და ინტერპრეტირებად შეტყობინებებთან. თუმცა ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია არა იმაზე, თუ რამდენად მარტივი და გასაგები ლექსიკით იქნება აზრი გადმოცემული, არამედ რამდენად ცხადად, ანუ კომუნიკანტი ცდილობს მის მიერ ნაგულისხმებ ყველა დეტალს ხაზი გაუსვას.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ არსებობს რამდენიმე სტრატეგია იმისათვის, რომ უფრო ნათელი გავხადოთ ჩვენი ნათქვამი და თავიდან ავიცილოთ არამართებული ინტერპრეტაცია მსმენელის მიერ.

აღნიშნულის მიღწევა შეიძლება სპეციალური ვერბალური საშუალებებით:

სპეციალური ფრაზის მეშვეობით – როგორიცაა, ინგლისური: I mean, by the way, in fact; ქართული: - ანუ, რაც იმას ნიშნავს, იმიტომ რომ. აღნიშნული ფრაზის გამოყენებით კომუნიკანტები ექსპლიციტურად განმარტავენ თუ რას გულისხმობენ ნათქვამ ფრაზასა თუ წინადადებაში.

(18) Alan: It’s an adult comedy, it’s not for children. **I mean** language. (*Alan Titchmarsh Show*, 15 March, 2012)

(19) Ellen: That’s a car, **by the way**. (*Ellen DeGeneres Show*, 23 May, 2013)

(20) ნანუკა: დღეს ოთხშაბათია, 10 საათი **რაც იმას ნიშნავს** რომ თქვენ უყურებთ ნანუკას შოუს. (*ნანუკას შოუ*,)

როდესაც კომუნიკანტები დარწმუნებულნი არ არიან ნათქვამის სიცხადეში, ამის საჩვენებლად ისინი იყენებენ ჩაკითხვის მარკერებს.

(21) Graham: This is your character Lucy and Grue, you’ve gone on the cover in the mall and this is two of you. Do I need to, **do I need any more explanation**?

Guest: No, that’s basically that. (*Graham Norton Show* 21 June, 2013)

ამრიგად, ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ ტოქშოუთა გრაისის კოოპერაციის პრინციპებისა და მაქსიმების თვალსაზრისით განხილვამ ცხადყო, რომ:

1. გრაისის მაქსიმების დაცვას ცდილობენ ტოქშოუს მონაწილეები. ტოქშოუში როლების ასიმეტრიული გადანაწილების გამო მონაწილეებს არ ეძლევათ თანაბარი რაოდენობისა და ხანგრძლივობის ჯერი, თუმცა ამით მაინც არ ირღვევა ოდენობრივი მაქსიმა. სამივე კულტურის სამივე ქვეჟანრის ტოქშოუში გვხვდება განსხვავებული ხანგრძლივობის მონოლოგი. მასში მკაცრად არის დაცული ოდენობრივი მაქსიმა. დაკვირვებამ ცხადყო, რომ ოდენობრივი მაქსიმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წამყვანებისათვის და ისინი სხვადასხვა სტრატეგიებს იყენებენ რათა თავიდან აიცილონ ამ მაქსიმას რღვევა;

2. თვისობრივი მაქსიმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტოქშოუს ჟანრში, რადგან მაყურებლის დარწმუნება დადებითად მოქმედებს ტოქშოუს იმიჯზე; პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით კომუნიკანტები შირად მიმართავენ ე.წ. ზრუდეებს;

3. დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ სხვა მაქსიმების დარღვევის შემთხვევაშიც კი რელევანტურობის მაქსიმა მაინც შენარჩუნდა.

§ 2. 9. სახისა და თავაზიანობის სტრატეგიების რეალიზაცია ტოქშოუებში

ერვინ გოფმანის აზრით ყოველმა კომუნიკანტმა უნდა შეისწავლოს ის სოციალური ნორმები, რომელიც საჭიროა საკუთარი თავისა და სხვების წარსადგენად. საუბრისას ინდივიდები ცდილობენ იყვნენ თავმდაბლები, თუმცა ამავდროულად კომპეტენტურნი (Hatch 1992: 65). აღნიშნული ნორმების დაცვა და საკუთარი თავისა თუ სხვების წარმოჩენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტოქშოუში, რადგან ეს არის გადაცემა რომელსაც თვალყურს ადევნებს ფართო აუდიტორია და თუ როგორ წარადგენს თითოეული კომუნიკანტი საკუთარ თავს თუ სხვას იმოქმედებს, როგორც ტოქშოუს, ასევე მათ იმიჯზე.

ტოქშოუებში სისტემური და რიტუალური შეზღუდვების შესწავლამ ცხადყო, რომ დისკურსის აღნიშნულ ჟანრში განსაკუთრებით ღირებულია სახისა და თავაზიანობის სტრატეგიების გათვალისწინება. სახისა და თავაზიანობის სტრატეგიები უშუალო კავშირშია რიტუალურ შეზღუდვებთან.

ე. გოფმანი სახეს განსაზღვრავს, როგორც „სოციალურ ფასეულობას, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოების ცხოვრებაში. (Goffman 1967: 5).

ტოქშოუში სწორი სახის შერჩევა მნიშვნელოვანია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოქშოუ განეკუთვნება ნახევრადინსტიტუციონალურ დისკურს, ანუ როლები მეტნაკლებად იერერქიულად არის გადანაწილებული. გადაცემის სათავეში დგას წამყვანი, რომელიც აკონტროლებს მთელი გადაცემის მსვლელობას და სტუმრების სალაპარაკო თემებს, ხოლო სტუმრები კი მას ემორჩილებიან. დაკვირვებამ აჩვენა, რომ ტოქშოუს სტუდიაში წამორმოდგენილი ხალხი არის სხვადასხვა ასაკის თუ სოციალური სტატუსის ინდივიდები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, წამყვანებმაც და სტუმრებმაც აღიარონ ის იერარქიული სტრუქტურა, რომელიც ტოქშოუში უპირატესობას წამყვანს აძლევს და, მეორე მხრივ, წამყვანი უნდა შეეცადოს წინასწარ განსაზღვროს, როგორი სტატუსი აქვს იმ ინდივიდს, რომელსაც წარადგენს აუდიტორიის წინაშე და როგორ სურს მას, რომ იქნას წარდგენილი ანუ უნდა მოახდინოს ამ სტუმრის სახის დაცვა.

ბრაუნი და ლევინსონი (Brown & Levinson, 1987) “სახეზე” საუბრისას განიხილავენ დადებით და უარყოფით სახეს (შესაბამისად დადებითი და უარყოფითი თავაზიანობას).

დადებითი სახე, ერთი მხრივ, მეგობრობისა და ჰარმონიულობის სტრატეგიას წარმოადგენს და გამოიხატება თითოეული ადამიანის სურვილში იყოს დადებითად შეფასებული სხვათა მიერ. ურთიერთობისას კომუნიკანტები ცდილობენ ჩაებან სხვა მონაწილეებთან საუბარში, და აჩვენონ თავიანთი ჩართულობა (დადებითი სახე).

მეორე მხრივ, უარყოფითი სახე გამოიხატება ადამიანის სურვილში არ იყოს შეზღუდული სხვა ადამიანების მხრიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას სურს ჰქონდეს მეტი დამოუკიდებლობა. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ უარყოფით სახეს არ აქვს ნეგატიური დატვირთვა.

ბრაუნი და ლევინსონი განიხილავენ თავაზიანობას, როგორც დადებითსა და უარყოფითს. დადებითი თავაზიანობის სტრატეგიები მიმართულია მსმენელის დადებითი სახისადმი და გამოხატავენ სოლიდარობას, ახლო მეგობრულ ურთიერთობასა და არაოფიციალურობას. უარყოფითი თავაზიანობის სტრატეგიები კი მსმენელის უარყოყითი სახისადმია მიმართული და გამოიხატება თავშეკავებულობით, ოფიციალურობითა და დისტანციით.

სახის ურთიერთობებში არსებობს ზოგადი კანონები, რომელიც ცნობილია როგორც თავაზიანობის სისტემა. (Scollon & Scollon, 2001) ეს მოიცავს **ძალაუფლებას (Power), დისტანციას (Distance) და თავსმოხვევის ხარისხს (Weight of imposition).**

ძალაუფლება – თავაზიანობის/სახის სისტემაში, აღნიშნავს მონაწილეების მდებარეობას იერარქიულ სტრუქტურაში, ანუ ერთი მოსაუბრე მეორეზე მაღლა დგას თავისი პოზიციით, თუ ისინი თანასწორნი არიან - (+P, -P).

უნდა აღინიშნოს, რომ სახის სისტემაში არსებული განსხვავება ძალაუფლების თვალსაზრისით კარგად ჩანს სამივე კულტურის ტოქშოუში არხის გახსნა/დახურვისას, სასაუბრო თემების შემოტანისას და კომუნიკანტების შეწყვეტინების კუთხით.

როგორც ვნახეთ, ტოქშოუ განეკუთვნება ნახევრად ინსტიტუციონალურ ჟანრს, ანუ როლები მეტნაკლებდ არის წინასწარ გადანაწილებული და კომუნიკაციის არხში ჩართული ინდივიდები თანაბარი ძალაუფლებით არ სარგებლობენ. წამყვანებს აქვთ მეტი ძალაუფლება, და როგორც ვნახეთ არხის გამხსნელი და დამხურავი სიგნალების გაანალზიებისას ყველა გადაცემაში არხის გახსნა ხდებოდა წამყვანის მიერ, რადგან მხოლოდ მას აქვს ამის ძალაუფლება.

უნდა აღინიშნოს, რომ ტოქშოუებში ყოველთვის გვაქვს ძალაუფლების თვალსაზრისით სხვაობები, მნიშვნელობა არა აქვს კომუნიკანტები ერთი ასაკის, სოციალური სტატუსის ინდივიდები არიან თუ არა, რადგან მოცემულ გარემოში ძალაუფლება ყოველთვის წამყვანს ენიჭება.

სახის ანუ თავაზიანობის სისტემის მეორე ასპექტია **დისტანცია (+D, -D)**

დისტანცია დაკავშირებულია ძალაუფლების ასპექტთან. იმისათვის რომ ორივე კომუნიკანტს შორის არ იყოს დისტანცია საჭიროა ასევე ძალაუფლებრივი სხვაობების არ არსებობა.

მესამე ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს სახის სტრატეგიაზე არის **ზემოქმედების ხარისხი, თავსმოხვევის ხრისხი (+W, -W)** შეიძლება მონაწილეებს ჰქონდეთ გარკვეული ფიქსირებული ურთიერთობა ერთმანეთს შორის მაგრამ სახის სტარტეგია, რომელსაც ისინი გამოიყენებენ იცვლება იმის მიხედვით თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის განსახილვევლი საკითხი.

თავაზიანობის სისტემებზე საუბრისას აღსანიშნავია სკოლონების თავაზიანობის სისტემის სამი ძირითადი ტიპი, კერძოდ: 1) დეფერენციული (პატივისცემის) თავაზიანობის სისტემა; 2) სოლიდარობის თავაზიანობის სისტემა; 3) იერარქიის თავაზიანობის სისტემა (Scollon & Scollon 2001: 44-46).

თავაზიანობის ეს სამი ტიპი აგებულია მონაწილეებს შორის ძალაუფლებისა და დისტანციის განსხვავებებზე. სკოლონების თანახმად **დეფერენციული (პატივისცემის) თავაზიანობის სისტემებში** მონაწილეები თანასწორნი ან თითქმის თანასწორნი არიან ძალაუფლებაში, მაგრამ მათ შორის დისტანციაა შექმნილი, რადგან ისინი ერთმანეთს კარგად არ იცნობენ. მსგავსი ურთიერთობებია ტოქშოუში სტუმრებს შორის, რადგან მოცემულ გარემოში მათ აქვთ ერთნაირი ძალაუფლება და ამავდროულად დისტანციაც.

სოლიდარობის, თანამოაზრეობის თავაზიანობის სისტემაში (-P, -D) არ არის განსხავება მოსაუბრეებს შორის ძალაუფლებისა და დისტანციის თვალსაზრისით, რაც ახლო მეგობრულ ურთიერთობას ახასიათებს.

მსგავსი ტიპის ურთიერთობები ვერ იქნება ტოქშოუში რადგან კომუნიკანტებს შორის მაინც არსებობს განსხვავება ძალაუფლებაში, წამყვანი ყველგან დომინირებს.

ამერიკულ ტოქშოუში იყო შემთხვევები, როდესაც სტუმარი იყო წამყვანის მეუღლე, ან მისი უახლოესი მეგობარი, მაგრამ მათ შორის ტოქშოუს კონტექსტში მაინც იყო ძალაუფლებრივი განსხვავება.

იერარქიული თავაზიანობის სისტემა (+P, +/-D) - მოლაპარაკეებს შორის არსებობს განსხვავება ძალაუფლებაში და ამგვარი სისტემა ასიმეტრიული ურთიერთობით ხასიათდება, სადაც უფრო მაღლა მდგომი ადამიანი "სახის" ჩართვის სტრატეგიებს იყენებს, უფრო დაბალ პოზიციაზე მდგომ კომუნიკანტთან მიმართებაში. უფრო დაბლა მდგომი კი პირიქით, დამოუკიდებლობის სტრატეგიებს იყენებს.

როგორც ვნახეთ, ტოქშოუ ნახევრად ინსტიტუციონალურ დისკურს განეკუთვნება, შესაბამისად როლები ასიმეტრიულად არის გადანაწილებული და იერარქიული. ტოქშოუს სათავეშიც არის წამყვანი, ანუ ძალაუფლება აქვს წამყვანს. იგი მეტნაკლებად აკონტროლებს საუბრის მსვლელობას.

შესაბამისად, იერარქიული თავაზიანობის სისტემა გვხვდება გოფმანის პირველ სისტემურ შეზღუდვაში: არხის გამხსნელ და დამხურავ სიგნალებში. ერთი მხრივ, როგორც ვნახეთ, სამივე ქვეყნის ტოქშოუბში აღნიშნულ სიგნალებზე მოქმედებდა რიტუალური შეზღუდვა, იმ გარემოში რიტუალიზებულია არხის წამყვანის მიერ გახსნა და დახურვა. მეორე მხრივ, ამ სისტემურ შეზღუდვაზე იგრძნობა სახის (თავაზიანობის) პრინციპების გავლენა. როგორც ინგლისურენოვან, ასევე ქართულ ტოქშოუებში არხის გახსნა დახურვისას გვხვდება იერარქიული თავაზიანობის სისტემა. არხი იხსნება და იხურება წამყვანის მიერ. წამყვანები იყენებენ დადებით სახეს და გამოხატავენ თავიანთ ჩართულობას.

ნებისმიერი ტიპის საუბრისას უნდა იქნეს გააზრებული სახის ორივე ასპექტი. კომუნიკაციისას მეტნაკლებად ორივე ასპექტია წარმოდგენილი, თუმცა საჭიროა მათი სწორად შერჩევა და გამოყენება.

ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ სამივე კულტურის ტოქშოუებში წამყვანისა თუ სტუმრების მხრიდან გამოყენებულია დადებით და უარყოფით სახესთან ასოცირებული სტრატეგიები (თავაზიანობა). განვიხილოთ სტრატეგიები, რომლებიც გამოყენებულია სამივე კულტურაში წამყვანისა თუ სტუმრების მიერ.

ტოქშოუებში წამყვანები და სტუმრები მეტნაკლებად ორივე სახეს წარმოგვიდგენენ. ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედეგად გამოვყავი წამყვანის და სტუმრების მიერ გამოყენებული დადებითი სახის და შესაბამისად ჩართულობის გამომხატველი შემდეგი სტრატეგიები:

1) **მინიშნება ჯგუფის წევრობაზე** – (-D) წამყვანები მონოლოგში საკმაოდ ხშირად იყენებენ პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანს, ინკლუზიურ we/us/ჩვენ-ს. თუმცა ცალკეულ კონტექსტში ისინი განსხვავებულად ი'შიფრება. კერძოდ, დაკვირვებამ ცხადყო, რომ ინკლუზიური we/ჩვენ შეიძლება მოიცავდეს: 1) წამყვანს + დამდგმელი კოლექტივი; 2) წამყვანს + სტუმარი/სტუმრები; 3) წამყვანს + აუდიტორია; 4) წამყვანს + აუდიტორია + სტუმრები.

ქვემოთ მოყვანილია მაგალითი *The Alan Titchmarsh Show*-დან.

(1) Alan: Welcome to our show today. We've a controversial music icon. (Alan Titchmarsh Show,)

მოცემულ მაგალითში ინკლუზიური we მოიცავს წამყვანს, აუდიტორიას და დამდგმელ კოლექტივს. აქ არ გვაქვს დისტანცია.

მსგავსი სტრატეგიები გამოიყენება ასევე ამერიკულ ტოქშოუებში. წამყვანი განხილულ ამერიკულ ტოქშოუებში ცდილობს ხაზი გაუსვას, რომ აუდიტორია და სტუმრები მასთან ერთად ჩართულნი არიან კომუნიკაციაში და ყოველივე იმაში რაც სტუდიაში ხდება.

(2) Ellen: Today our show is back after two weeks of our holidays (*Ellen DeGenerous Show*)

პირველი პირის მრავლობითი რიცხვის კუთვნილებითი ნაცვალსახელის გამოყენებით, წამყვანი აჩვენებს ჩართულობას, შესაბამისად, დადებით სახეს.

ეს ლინგვისტური სტრატეგია გამოიყენება ასევე ქართულ ტოქშოუებში წამყვანების მხრიდან.

(3) ნანუკა: მაშინ როდესაც ეხლა ჩვენ აქ ნანუკა ჟორჟოლიანის შოუს, მოკლედ როდესაც ჩემ ერთ გადაცემას ვწერთ, რეალურ ცხოვრებაში ბევრი ისტორია იქმნება. (*ნანუკას შოუ*)

უნდა აღინიშნოს, რომ ეს სტრატეგია გამოიყენება ძირითადად ტოქშოუს მონოლოგის ნაწილში, წამყვანების მხრიდან, როდესაც ისინი მიმართავენ აუდიტორიას.

1) სახელების ან მეტსახელების გამოყენება- (+P; -D) წამყვანები სტუმრებთან მიმართვისას გამოიყენებენ მხოლოდ სახელს. უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანულ და ამერიკულ ტოქშოუებში მიმართვა ხდება ძირითადად მხოლოდ სახელებით, გამონაკლისი იყო ერთი-ორი შემთხვევა, როდესაც წარადგენდნენ სტუმრებს სრული სახელით. ქართულში მსგავსი შემთხვევები

უფრო ხშირია, რის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ მიმართვისას ქართული კულტურული სპეციფიკიდან გამომდინარე ალბათ, უფრო უარყოფითი სახე ნარჩუნდება ტოქშოუებში. ქვემოთ მოყვანილია მაგალითები ბრიტანული, ამერიკული და ქართული ტოქშოუებიდან - წამყვანები და სტუმრები იყენებენ სახელებს დადებითი სახის შესაქმნელად.

(4) Graham: Cause, Sara, it's so funny. (Graham Norton Show, 29 June, 2013)

მოცემული მაგალითი მოყვანილია ბრიტანული გრეემ ნორტონის შოუდან. სტუდიაში სტუმრად არის სარა ბალოკი. მასთან საუბარში, წამყვანი მიმართვის ფორმად იყენებს მხოლოდ სახელს, რაც ქმნის არაოფიციალურ სიტუაციას და გამოხატავს დადებით სახეს. კომუნიკანტებს შორის არ გვაქვს დისტანცია.

სახელები მიმართვისას ასევე ხშირად გამოიყენება ამერიკულ ტოქშოუებში.

(5) Ellen: Andy, enjoy the show. I hope you'll enjoy it. (Ellen DeGenerous Show, 24 May, 2013)

Guest: Jenny, it doesn't matter. (Ellen DeGenerous Show, 24 May, 2013)

მოცემულ მაგალითში ამერიკული შოუდან, გადაცემას ჰყავს მოწყვეული თანაწამყვანი ჯენიფერ ანისტონი. სტუმარი არის ელენის მეუღლე, პორშა დე როსი, რომელიც ჯენიფერის ახლო მეგობარია. მიუხედავად იმისა, რომ ტოქშოუებში როლები ასიმეტრიულია და წამყვანი იერარქიის სათავეშია, სტუმარი მას მიმართავს კნინობითი სახელით.

ქართულ ტოქშოუში:

(6) წამყვანი: გიორგი დაგემშვიდობები, გისურვებ წარმატებას, კარიერულ წინსვლას და შენი სახელის მთელ მსოფლიოში გაგონებას ვისურვებ. (დღის შოუ, 16 ივლისი, 2012)

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ტოქშოუებში სახელების გამოყენებისას, ჩემი აზრით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეალურ ცხოვრებაში ინდივიდის სტატუსს და ასევე მის ასაკს.

2) წამყვანის მიერ სტუმრის ენის ან დიალექტის გამოყენება – უნდა აღინიშნოს, რომ ეს სტრატეგია შემხვდა მხოლოდ ქართულ ტოქშოუში (ნანუკას შოუ). ბრიტანულ და ამერიკულ ტოქშოუებში მსგავსი შემთხვევები არ გამოვლენილა. ინგლისური ფართოდ გავრცელებული ენაა, და უცხოელი სტუმრები იყენებენ ამ ენას.

(7) ნანუკა: აუცილებლად მოითხოვეთ ხინკალი.

სტუმარი: Khinkali?

ნანუკა: Yes, Khinkali (*ნანუკას შოუ*)

ნანუკას შოუში სტუმრად არის ბონი ემის სოლისტი. სტუმარი და წამყვანი ურთიერთობენ თარჯიმნის საშუალებით, თუმცა დროდადრო წამყვანი თავად იყენებს ხოლმე სტუმრის ენას რათა მოკლე პასუხები, თუ შენიშვნები გააკეთოს.

3) **შეწყვეტინება** - როგორც წინა ქვეთავში ვნახეთ წამყვანები და სტუმრები სხვადასხვა მიზეზის გამო აწყვეტინებენ სტუმრებს. ამით ისინი გამოხატავენ ჩართულობას და დადებით სახეს. შეწყვეტინების მაგალითები გვხვდება სამივე კულტურაში.

(8) Alan: Isn't it the thing that there are a lot of people in the public area, a lot of celebrities in inverted commas seem to think they are not living if they are not in a law, OK, on front pages of Sun

G: I am not a celebrity, I am an artist. That's the difference.

Alan: It's true. But you are a celebrated artist.(*The Alan Titchmarsh Show,* 8 Dec., 2009)

(9) ნანუკა: ამ შემთხვევაში ნინო მინდა შენ გკითხო, როგორ ახერხებ პირად ცხოვრებას, ამერიკიდან ამ ყველაპრის გაკეთებას. მე ვიცი რომ შენ გათხოვილი ხარ და ცხოვრობ ამერიკაში. როგორ ახერხებ ამერიკიდან//

სტუმარი: მე არ ვცხოვრობ ამერიკაში

ნანუკა: უკაცრავად ეს ჩემი შეცდომაა

4) **შენობითი ფორმების გამოყენება** – როგორც ცნობილია ინგლისური არის vous ენა, ქართული კი tu-vous ენა. ამიტომ ქართულ ემპირიულ მასალაში ფამილიარობა შენობითი ფორმების საშუალებით გამოიხატება.

(10) ნანუკა: ეხლა დედაშენი ალბათ შენ ამაში არ დაგეთანხმება. (ნანუკას შოუ, 22 მაისი, 2013)

წამყვანი: გავიგე რომ ოპერისა და ბალეტის სარდაფში ჩადიოდი, სანთლებს ანთებდი

სტუმარი: ეს საიდან იცი შენ? (*ნანუკას შოუ*, 22 მაისი, 2013)

5) **უკუკავშირის სიგნალების გამოყენება** – წამყვანები და სტუმრები იყენებენ უკუკავშირის სიგნალებს რათა აჩვენონ თანამოსაუბრეს, რომ ჩართულნი არიან საუბარში. უკუკავშირის სიგნალები ფართოდ გამოიყენებოდა სამივე კულტურაში წამყვანების და სტუმრების მხრიდან.

(11) Guest: Do you want to see my bruises.

Graham: Oh (*The Graham Norton Show*)

მაგალითი ამერიკული ტოქშოუდან:

(12) Guest: There's so much out there for people, so much media foundations you know.

Conan: Yes. (*Late Night with Conan O'Brien*, 11 April, 2009)

ქართული ტოქშოუ:

(13) სტუმარი: ადრე გახსოვთ იყო ესეთი სერიალი, ელენ ი რიბიატა. თინეიჯერები იკრიბებოდნენ ზღვის პირას, კოცონს ანთებდნენ და გარშემო უსხდებოდნენ

ნანუკა: აჰა (*ნანუკას შოუ,* 22 მაისი, 2013)

მეორე მხრივ, წამყვანები და სტუმრები ცდილობენ შეიარჩუნონ **უარყოფითი სახე** და აჩვენონ თავიანთი დამოუკიდებლობა. ემპირიული მასალის შესწავლამ აჩვენა, რომ ეს მიზანი მიიღწევა ასევე სხვადასხვა სტრატეგიების საშუალებით:

1) სრული სახელების და ტიტულების გამოყენება – როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრიტანულში ამერიკულის ზეგავლენით არის ტენდენცია ფამილიარული მიმართვის ფორმების გამოყენებისა. ასევე სტატუსების გააზრება ხდება თავიდანვე და ხშირად თავად სტუდიაში გადაცემის მსვლელობისას. ბრიტანულ გრეემ ნორტონის შოუში იყო შემთხვევა, როდესაც წამყვანი თავიდან იყენებს უარყოფით სახეს, მიმართავს სტუმარს ოფიციალური ფორმით, თუმცა სტუმარი აკეთებს ჩასწორებას და სთხოვს წამყვანს მიმართვისას მხოლოდ სახელი გამოიყენოს.

(14)Graham: and Sir Patrick, I feel we ought to/

Guest: Can I, can I ask you, Patrick just Patrick.

Graham: oh, just Patrick (The *Graham Norton Show* Feb 3, 2012)

შეწყვეტინება ხდება სწორი სახის შერჩევის გამო.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სტუმრის წარსადგენად წამყვანი სამივე კულტურაში იყენებს სრულ სახელს. ასევე ქართულ ტოქშოუებში საკმაოდ ხშირად გვხვდება ოფიციალური მიმართვის ფორმები, რაც კულტურის სპეციფიკითაა განპირობებული.

(15)Ellen: Please, welcome Amy Adams (*The Ellen DeGeneres Show*, 6 June, 2013)

წამყვანი: დღის შოუ დაბრუნდა პირდაპირ ეთერში და ორი არაჩვეულებრივი ქალბატონი შემოგვიერთდა. ქალბატონი ნონა ქაცარავა, დიზაინერი და ქალბატონი ნაირა მორგოშია (დღის შოუ, 24 აპრილი, 2012)

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ტოქშოუებში სტუმრების წარდგენისას სრული სახელის გარდა ასევე ოფიციალური მიმართვის ფორმებიც იყო დამატებული.

2) თავაზიანი თქვენობითი ფორმების გამოყენება – ინგლისურ ენაში არ ხდება შენობითი და თქვენობითი ფორმის დიფერენციაცია ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო, შესაბამისად ეს სტრატეგია მხოლოდ ქართულ ტოქშოუებში გამოიყენება.

(16)წამყვანი: ქალბატონო ნაირა, პირველი კითხვა მაქვს, როდის დაიწყეთ თქვენ მარიაჟი? (*დღის შოუ*, 24 მაისი, 2012)

ქართულ ტოქშოუებში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც წამყვანი სტუმრებთან საუბრისას იყენებს ოფიციალურ ენას და ამას გამოხატავს თავაზიანი თქვენობითი ფორმებით.

ემპირიული მასალის შესწავლამ ცხადყო, რომ არც ერთ კულტურის ტოქშოუში არ გვხვდება სახის რღვევის შემთხვევები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე,

1) სახისა და თავაზიანობის სტრატეგიები მნიშვნელოვან როლ ასრულებს ტოქშოუებში. ემპირიულ მასალაზე დაკვირვების შედგად გამოიყო წამყვანისა და სტუმრების მიერ გამოყენებული დადებითი და უარყოფითი სახის შენარჩუნების სტრატეგიები. თითოეულ სტრატეგიეში გამოიყო რამდენიმე ჯგუფი;

2) დადებითი სახის შემანარჩუნებელი სტრატეგიებია: ა) მინიშნება ჯგუფის წევრობაზე; ბ) სახელების და მეტსახელების გამოყენება; გ) წამყვანების მიერ სტუმრის ენის ან დიალექტის გამოყენება; დ) შეწყვეტინება; ე) შენობითი ფორმები; ვ) უკუკავშირის სიგნალები; უარყოფითი სახის შემანარჩუნებელი სტრატეგიებია: ა) სრული სახელების და ტიტულების გამოყენება; 2) თავაზიანი თქვეენობითი ფორმები;

3) ასევე გამოჩნდა, რომ ტოქშოუ მეტნაკლებად იერარქიულია და ყველგან ვხვდებით განსხვავებას ძალაუფლებაში წამყვანსა და სტუმრებს შორის.

II თავის დასკვნა

კვლევამ ცხადყო, რომ:

1. ტოქშოუს ნახევრად ინსტიტუციონალური ხასიათის გამო სამივე კულტურის ტოქშოუში როლები ასიმეტრიულად არის გადანაწილებული და წინასწარ არის განსაზღვრული. არხის გახსნა/დახურვა ყველგან ხდება წამყვანის მიერ განსაზღვრულ დროს. იმ შემთხვევაში თუ გადაცემას ჰყავს ერთზე მეტი წამყვანი, არხის გახსნაში ორივე წამყვანი იღებს მონაწილეობას. არხის გამხსნელ/დამხურავ სიგნალებს ყველგან წინ უძღვის წინაგამხსნელი სიგნალები, რომლების ერთმანეთისაგან განსხვავდება კულტურისა და ქვეჟანრის მიხედვით;

2. ბრიტანულ და ამერიკულ გვიან-ღამის და დღის ქვეჟანრის ტოქშოუებში არხის წინაგამხსნელი სიგნალია ვერბალური (შოუს გამოცხადება) და ვიზუალური საშუალება (ვიდეო-ქუდი), ხოლო ყველა ქართულ და ბრიტანულ და ამერიკულ დილის ფორმატის ქვეჟანრის ტოქშოუებში ვხვდებით ვიზუალურ (გადაცემის ქუდი) არხის წინაგამხსნელ სიგნალს;

3. ერთმანეთისაგან განსხვავდება ბრიტანული და ამერიკული არხის გახსნის წინმსწრები ვიზუალური და ვერბალური სიგნალები, ამ ორი კომპონენტის თანმიმდევრობის თვალსაზრისით. ბრიტანულ *The Alan Titchmarsh Show*-ში ვიზუალურ სიგნალს ცვლის ვერბალური სიგნალი, ამის საპირიპირო წყობაა *The Graham Norton Show- ში.* ამერიკულ ელენის შოუში ვერბალურ სიგნალებს ცვლის ვიზუალური სიგნალი და შემდეგ კვლავ ვერბალური. კონანის შოუში კი ორივე სიგნალი ერთდოულად გვხვდება;

4. დაკვირვებამ აჩვენა, რომ თავად არხის გამხსნელი სიგნალებიც განსხვავდებიან კულტურისა და ქვეჟანრების მიხედვით. ამასთანავე, ერთი ქვეყნისა და ქვეჟანრის ტოქშოუებშიც გვხვდება განსხვავებები. თითოეულ ქვეჟანრში გამოვყავი არხის გამხსნელი ვერბალური სიგნალების რამდენიმე თანმიმდევრობა. აღნიშნულ თანმიმდევრობებში შეინიშნება, როგორც ოფიციალური ასევე არაოფიციალური, სასაუბრო ენისათვის დამახასიათებელი ლინგვისტური ნიშნები. თუმცა, დაკვირვებამ აჩვენა რომ ოფიციალური რეგისტრის ლექსიკა უფრო ბრიტანულ და ქართულ ტოქშოუებში გვხვდება;

5.ემპირიული მასალის შესწავლამ ცხადყო, რომ ტოქშოუს ჟანრში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც ვერბალური ისე არავერბალური უკუკავშირის სიგნალები. მოვახდინე ამ სიგნალების კლასიფიკაცია ფუნქციური

დატვირთვის თვალსაზრისით. გამოიყო: 1) გამაგრძელებელი უკუკავშირის სიგნალი; 2) შემაჩერებელი; 3) თანხმობის; 4) კომენტარის გამომხატველი – აღნიშნულ ჯგუფში გამოიყოფა: ა) ოვაცია; ბ) აღფრთოვანება; გ) სიხარული; დ) აღშფოთება; ე) თანაგრძნობა; ვ) ეჭვი;

6. აუდიტორიის უკუკავშირს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტოქშოუს ჟანრში, რადგან ეს არის სწორედ აუდიტორიისათვის შექმნილი გადაცემა და ისინი წყვეტენ გადაცემის ბედს. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ აუდიტორიის უკუკავშირის სიგნალები უფრო ერთფეროვანია და გამოხატულია შემდეგი საშუალებებით: ტაში, ოვაციების გამომხატველი შეძახილები (ინგლისური – uuuh, aaah, ქართული – ააა, უუუ) და სიცილი. ქართული *დღის შოუ* არის გამონაკლისი, აქ აუდიტორია საერთოდ არ იყო წარმოდგენილი. წამყვანი და სტუმრები უფრო მრავალფეროვან უკუკავშირის სიგნალებს იყენებენ და უფრო ხშირად;

7. ემპირიული მასალის შესწავლის საფუძველზე, ჯერის სიგნალებში გამოვყავი ვერბალური, არავერბალური და პარავერბალური საშუალებები. **ვერბალურ სიგნალებში** გამოიყო: 1) *ცალკეული სიტყვები* – ა) სრული სახელები; ბ)კნინობითი სახელები; გ) ოფიციალური მიმართვის ფორმები; 2) *მეტყველების სტრუქტურული ნაწილები* - ა) ნაწილაკი; ბ)კავშირი; გ) შორისდებული, 3) *ფრაზები:* ა) თავაზიანი ფორმულები; ბ)სასაუბრო ფორმულები; გ) ბოლო ფრაზის ან სიტყვის გამეორება. ცალკე გამოვყავი *წინადადების ფორმის* მქონე ჯერის სიგნალები: ა) კითხვები: ზოგადი ტიპის, სპციალური, დისუნქციური; ბ) მტკიცებითი წინადადებები.

არავერბალურ სიგნალებში გამოიყოფა: *მზერის გადასვლა* – ა) მზერის გადატანა იმ ადამიანზე, ვისაც ვაძლევთ ჯერს; ბ) ჯერის დასრულების მაჩვენებელი თვალების დახრა; *ჟესტიკულაცია* – ხელის გაშვერა იმ ინდივიდისაკენ ვისაც ვაძლევთ ჯერს; ჯერის დასრულებისას ხელების ჩამოწევა. **არავერბალური სიგნალებია –** ა) ტემპის შენელება; ბ) ხმოვნების დაგრძელება; გ) დაღმავალი ინტონაცია; დ) პაუზა;

8. ჯერის სიგნალები ძირითადად გამოიყენება ტოქშოუს სქემატური ჩარჩოს ინტერვიუს ნაწილში, თუმცა ბრიტანულ და ამერიკულ ტოქშოუებში, და დილის ფორმატის სამივე კულტურის ტოქშოუში მონოლოგშიც ვხვდებით ჯერის სიგნალებს;

9. სამივე კულტურის ტოქშოუში წამყვანები ჯერის სიგნალებად იყენებენ ყველაზე ხშირად კითხვით წინადადებებს, ხოლო სტუმრები კი მტკიცებით წინადადებებს. ვერბალური ჯერის სიგნალები ხშირად გამოყენებულია არავერბალურ და პარავერბალურ სიგნალებთან ერთად;

10. ტოქშოუებში საუბრის აკუსტიკურ ადეკვატურობას ხელს უწყობს მიკროფონი. თუმცა, ხანდახან აკუსტიკური არაადეკვატურობის შემთხვევები მაინც ფიქსირდება განხილულ ტოქშოუებში. შემხვდა გამიზნული და შემთხვევითი აკუსტიკური არაადეკვატურობის მაგალითები. აკუსტიკურ ადეკვატურობას ხელს უშლის გარეშე ხმები, აუდიტორიის გადაჭარბებული ოვაციები თუ ტაში;

11. ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, გამოვყავი გარეშე ხმების ჩამხშობი **ვერბალური** (დამაწყნარებელი ფრაზები); **არავერბალური** (ჟესტიკულაცია, ხელების მოძრაობა) და **პარავერბალური** (პაუზა) საშუალებები. ეს სიგნალები ძირითადად ამერიკულ და შემდეგ ბრიტანულ ტოქშოუებში გვხვდება;

12. შეტყობინების ინტერპრეტაციის გაადვილებაც სამივე კულტურის ტოქშოუში გამოყენებულია მარტივი კონსტრუქციები და ლექსიკა;

13. ტოქშოუებში წამყვანებიც და სტუმრებიც საუბრისას უხვევენ ხოლმე თემიდან, თუმცა ამ კუთხით წამყვანები მაინც დომინირებენ;

14. ემპირიულ მასალაზე დაკვირვების საფუძველზე გამოვყავი ჩართული მონაკვეთის გამხსნელი და დამასრულებელი სიგნალები. თითოეულ ტიპში გამოვყავი **ვერბალური**, **არავერბალური** (1) მხედველობითი კონტაქტი; 2) ჟესტიკულაცია; 3)მიმიკა) და **პარავერბალური** (ხმის სიმაღლის მაღლა აწევა ან დაბლა დაწევა) სიგნალები. ასევე მოვახდინე ჩართული მონაკვეთების კლასიფიკაცია მათი ფუნქციის მიხედვით. გამოიყო: 1) საკუთარი აზრის გამომხატველი; 2) ბოდიშის მოხდის; 3) მადლობის გადახდის; 4) დამაზუსტებელი; 5) შესწორების მომცველი; 6) რჩევის მიმცემი; 7) სიჩუმის მოთხოვნის შემცველი და 8) გაკვირვების გამომხატველი ჩართული მონაკვეთები;

15. სამივე კულტურის ტოქშოუში მხედველობითი კონტაქტი არის ყველაზე ხშირად გამოყენება ჩართული მონაკვეთის სიგნალი და გამოიყენებოდა სხვა ვერბალურ, არავერბალურ თუ პარავერბალურ სიგნალებთან ერთად, ან ცალკე;

16. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოქშოუ განეკუთვნება ნახევრად ინსტიტუციონალურ დისკურსს, შესაბამისად როლები წინასწარ არის გადანაწილებული. აუდიტორია წარმოდგენილია, როგორც კომუნიკაციის არხში

არაჩართული ინდივიდები. მათი ჩართვა ყოველთვის ინიცირებულია წამყვანის მიერ და მსგავსი შემთხვევები ძირითადად გვხვდება ბრიტანულ და ამერიკულ ტოქშოუებში;

17. კვლევის საფუძველზე გამოვყავი აუდიტორიის ჩართვის ორი ტიპი: ა) აუდიტორიიდან ცალკეული ინდივიდის ჩართვა და ბ) აუდიტორიის კოლექტიური ჩართვა. თითოული ტიპისათვის გამოიყენება ჩართვის სხვადასხვა სტრატეგია. აუდიტორიის ცალკეული ინდივიდის ჩართვის სტრატეგიებია: 1) ვერბალური – ა) სრული სახელები; ბ) მიმართვის ფორმის შემცველი კითხვითი წინადადებები და არავერბალური – ჟესტიკულაცია (ხელის გაშვერა კონკრეტული ინდივიდისაკენ). აუდიტორიის კოლექტიური ჩართვის სტრატეგიაა ზოგადი კითხვების დასმა;

18. დაკვირვებამ აჩვენა, იმასთვის რომ აუდიტორიის კონკრეტული წევრი გადაერთოს არაჩართულიდან ჩართულ როლზე, მან უნდა გამოიყენოს გარკვეული სტრატეგია, კერძოდ: ფეხზე ადგომა, ხელის აწევა ან სცენაზე ასვლა;

19. კვლევამ ცხადყო, რომ მიუხედავად ჯერის სიგნალების არსებობისა ტოქშოუებში მაინც ვხვდებით შეწყვეტინებებს და გადაფარვებს. გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ვერბალური და არავერბალური შეწყვეტინების სიგნალები. დაკვირვების საფუძველზე გამოვყავი შემდეგი **ვერბალური** შეყვეტინების სიგნალები: 1) სპეციალური ფრაზები – ა) თხოვნის შემცველი; ბ) ნებართვის მომპოვებელი; გ) ბოდიშის მოხდის; დ) შეჩერების მომთხოვნი; 2) კავშირები; 3) შორისდებულები; 4) ნაწილაკები. შემხვდა შეწყვეტინების შემდეგი **არავერბალური სიგნალები**: ჟესტიკულაცია (ხელის აწევა). დაკვირვებამ აჩვენა, რომ შეწყვეტინებებს უფრო დიდი სიხშირით ვხვდებით ქართულ *დღის შოუში*;

20. კომუნიკაციის არხში ჩართულ მონაწილეთა თვალსაზრისით შეწყვეტინება შეიძლება იყოს შემდეგი ტიპის: 1) წამყვანის მიერ სტუმრის შეწყვეტინება; 2) სტუმრის მიერ წამყვანის შეწყვეტინება; 3) სტუმრის მიერ სტუმრის შეწყვეტინება. საკომუნიკაციო ინტერაქციის თვალსაზრისით, შეწყვეტინება შეიძლება ემსახურებოდეს შემდეგ მიზნებს: ა) საკუთარი აზრის გამოთქმა; ბ) ინფორმაციის შევსება; გ) თემის შეცვლა; დ) დათანხმება; ე) დამატებითი ინფორმაციის მიწოდება; ვ) შეწინააღმდეგება; ზ) შეწყვეტინება დროის შეზღუდვის გამო. ეს უკანასკნელი მხოლოდ წამყვანის დისკურსში გვხვდება;

21. ტოქშოუს ჟანრში მეტნაკლებად დაცულია გრაისის მაქსიმები. როლების ასიმეტრიული გადანაწილების გამო, ტოქშოუს კომუნიკანტებს არ ეძლევათ თანაბარი ხანგრძლივობისა და სიხშირის ჯერი, თუმცაღა ეს არ იწვევს ოდენობრივი მაქსიმის რღვევას. კვლევამ ცხადყო, რომ ოდენობრივი მაქსიმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წამყვანებისათვის და ისინი ცდილობენ გააკონტროლონ როგორც საკუთარი, ასევე სტუმრების საუბარი. ამ კუთხით ოდენობრივი მაქსიმის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით კომუნიკანტები ა) აწყვეტინებენ ერთმანეთს საუბარს რათა თავად ჩაურთონ საჭირო ინფორმაცია; ბ) ჩაკითხვის საშუალებით ცდილობენ მიიღონ საჭირო ინფორმაცია;

22. თვისობრივ მაქსიმას განსაკუთრებული ადგილი უკავია ტოქშოუს ჟანრში, რადგან მაყურებლის დარწმუნება მოქმედებს ტოქშოუსა თუ წამყვანისა და სტუმრების იმიჯზე. როგორც ემპირიულ მასალაში გამოჩნდა, კომუნიკანტები ცდილობენ დააჯერონ ერთმანეთი და აუდიტორია თავიანთი ნათქვამის ჭეშმარიტებაში. იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი დარწმუნებულნი არ არიან, პასუხისმგებლობის არიდების მიზნით იყენებენ ე.წ. ზღუდეებს.

23. რელევანტურობის მაქსიმი ხშირად შენარჩუნებულია სხვა მაქსიმების დარღვევის შემთხვევაში;

24. მანერის მაქსიმის შესანარჩუნებლად, ტოქშოუს კომუნიკანტები იყენებენ სპეციალურ ფრაზებს;

25. ემპირიული მასალის განხილვამ აჩვენა, რომ სახისა და თავაზიანობის სტრატეგიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტოქშოუს ჟანრში. საკუთარი (წამყვანი) და სხვისი (სტუმარი) სახის წარმოჩენისას გასათვალისწინებელია ის განსხვავებები, რომელიც არსებობს კომუნიკანტებს შორის ძალაუფლებასა და მათ შორის დისტანციაში;

26. ტოქშოუში წამყვანები და სტუმრები იყენებენ, როგორც დადებით ასევე უარყოფით სახეს. ამ მიზნის მისაღწევად ისინი მიმართავენ სხვადასხვა სახის შენარჩუნების სტრატეგიას. ემპირიული მასალის შესწავლამ ცხადყო, რომ არცერთი კულტურის ტოქშოუში არ გვხვდება სახის რღვევის შემთხვევები, რადგან მისი თავიდან აცილება ხდება სხვადასხვა ტიპის თავაზიანი სტრატეგიებით.

საერთო დასკვნა

1. ტოქშოუს ქვეჟანრობრივი კლასიფიკაციისას გამოყენებული თიმბერგისეული დროის ასპექტზე ორიენტირებული კლასიფიკაცია დღევანდელ სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან შეიცვალა თითოეული ქვეჟანრის ეთერში გასვლის დრო; ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ დროის შეცვლა არ მომხდარა ყველა ქვეჟანრში. ყველაზე დიდი ცდომილება დროსთან მიმართებაში დღის და დილის ქვეჟანრის ინგლისურ და ქართულ ტოქშოუებში გვხვდება;

2. თანამედროვე ტოქშუები სტრუქტურულად სამ ნაწილიანია: შესავალი - მოიცავს წამყვანის მონოლოგს, ინტერვიუ – კითხვა-პასუხი წამყვანსა და სტუმარს ან სტუმრებს შორის და დასკვა – სტუმრებთან და აუდიტორიასთან გამომშვიდობება, ზოგ შემთხვევაში მომავალი გადაცემის და სტუმრების დაანონსება; დაკვირვებამ ცხადყო, რომ აღნიშნული სტრუქტურის ცალკეული ნაწილი განსხვავებულადაა წარმოდგენილი ტოქშოუს სხვადასხვა ქვეჟანრში და ასევე ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ კულტურებში.

3. თეორიული და ემპირიული მასალის დამუშავების შედეგად გამოვლინდა, რომ მიუხედავად განსხვავებებისა, რომლებიც შეინიშნება ქვეჟანრებს შორის, ყველა ტოქშოუს აერთიანებს 14 ძირითადი ნიშანი, რომლითაც ისინი ყველა სხვა გადაცემისაგან განსხვავდებიან. ესენია:

ა) სცენარის არქონა, თუმცა წინასწარი დგეგმვის გარკვეული დონე;

ბ) წამყვანების პოპულარობა და მათი სახელის გადაცემის სახელწოდებებში ჩართვა;

გ) საუბარი ყოველთვის აწმყო დროშია;

დ) ტოქშოუ პროდუქციაა, რომელიც კონკურენციას უწევს სხვა პროდუქციას;

ე) ყველა ტოქშოუ გადის რეკლამაზე;

ვ) ტოქშოუში ხდება ინსტიტუციონალური და არაინსტიტუციონალური მახასიათებლების შერწყმა;

ზ) გვხვდება კომუნიკაციური და სოციალური ქცევები, რომლებიც ასოცირდება ერთზე მეტ დისკურსის ჟანრთან;

თ) წამყვანები სარგებლობენ რასისტული, ეთნიკური და სექსუალური თავისუფლებით;

ი) ყოველ ტოქშოუს აქვს თავისი ქუდი და მუსიკა;

კ) ტოქშოუ თანმიმდევრულია და სტრუქტურულადაა დალაგებული;

ლ) წამყვანები ყოველთვის წარადგენენ სტუმარს ან სტუმრებს;

მ) ყველა ტოქშოუში გვხვდება სამი ძირითადი ნაწილი: შესავალი, ინტერვიუ და დასკვნა;

ნ) ტოქშოუს აკონტროლებს და მიმართულებას აძლევს წამყვანი;

ო) ტოქშოუს აქვს წინასწარ განსაზღვრული საეთერო დრო.

4. თოქშოუს ჟანრში წარმოდგენილია დისკურსის სამი მონაწილე: ადრესანტი (წამყვანი), ადრესატი (სტუმარი) და აუდიტორია. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ჟანრში ვხვდებით ორი ტიპის აუდიტორიას: ა) სტუდიაში მყოფი და ბ) სახლში, ეკრანებთან მსხდომი აუდიტორია.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ქვეჟანრობრივი სხვაობები აისახება ადრესანტების (წამყვანების) რაოდენობაზე. სამივე კულტურის გვიან-ღამის გასართობ და დღის აუდიტორიის მონაწილეობით შექმნილ ტოქშოუებში ერთი ადრესანტია, ხოლო დილის ტოქშოუებში კი სამი ან ოთხი; ადრესანტებსა (წამყვანებს) და ადრესატებს (სტუმრებს) უკავიათ მათთვის განკუთნილი, წინასწარ განსაზღვული ადგილი სტუდიაში. ადრესატები სტუდიაში შემოდიან მას შემდეგ რაც ადრესანტები მათ წარადგენენ. გამონაკლისი იყო ბრიტანული და ამერიკული დილის ქვეჟანრის ტოქშოუ;

5. ემპირიული მასალის შესწავლამ აჩვენა, რომ სტუდიაში მყოფი აუდიტორია ძირითადად ტაშითა და ოვაციებით შემოიფარგლება. იშვიათად ვხვდებით მათ მიერ გაცემულ მოკლე პასუხებს; სამივე კულტურის სამივე ქვეჟანრის ტოქშოუ განსხვავდება სტუდიის აუდიტორიასა და ადრესანტს შორის კონტაქტის თვალსაზრისით. ყველაზე ახლო კონტაქტი გამოვლინდა ამერიკულ დღის აუდიტორიის მონაწილეობით შექმნილ Ellen DeGeneres Show-ში. ადრესანტი (წამყვანი) საკმაოდ ხშირად მიმართავს აუდიტორიას როგორც კოლექტივს ან მის ერთ რომელიმე წევრს კითხვებით, უხმობს მათ სცენაზე სადაც რთავს სხვადასხვა თამაშებსა თუ ვიქტორინებში;

6. სახლში მყოფი აუდიტორია პასიური ფორმითაა ჩართული ყველა ჩემს მიერ განხილულ მაგალითში, გარდა ქართული „დღის შოუ“-სა, სადაც სახლში ეკრანებთან მსხდომი აუდიტორია ერთვება გადაცემაში სატელეფონო ზარისა და ტექსტური შეტყობინებების საშუალებით.

7. კომუნიკაციისათვის ადრესანტი, ადრესატი და სტუდიის აუდიტორია იყენებს, როგორც უშუალო, ასევე დისტანციურ კონტაქტს, ვერბალურ და

არავერბალურ საშუალებებს. მათი კოდი არის მშობლიური ენა ან საერთაშორისო ენა, რომელიც შედარებით უფრო ფართო მასებისთვისაა ცნობილი. მხოლოდ ქართულ ტოქშოუში „ნანუკას შოუ“ შემხვდა მაგალითი როდესაც ადრესატის მიერ გამოყენებულია ერთ-ერთი საერთაშორისო ენა (ინგლისური და რუსული) და მისი თარგმნა ხდება თარჯიმნის მიერ;

8. შეტყობინების ფორმაზე გავლენას ახდენს კომუნიკანტის როლი და შოუს სტრუქტურა. ადრესანტის შეტყობინების ფორმა უფრო მრავალფეროვანია და წარმოდგენილია მონოლოგის, ნარატივისა და დიალოგის სახით, ხოლო ადრესატი და იშვიათ შემთხვევაში სტუდიის აუდიტორია შეტყობინების ფორმად იყენებს დიალოგს;

9. სამივე კულტურის ტოქშოუში გარემო არის წინასწარ განსაზღვრული და უცვლელი ადგილი (სტუდია) და დრო, სადაც და როდისაც ხდება გადაცემის ჩაწერა. დაკვირვების შედეგად ვნახე, რომ სამივე კულტურის ერთი ქვეჟანრის თოქშოუებში მსგავსება არის სტუდიის გაფორმების თვალსაზრისით. იყო რამდინემე სპეციალური გამოშვება ტოქშოუებისა, როდესაც მოქმედება ვითარდებოდა არა სტუდიაში, არამედ სხვა გარემოში. დაკვირვებამ ასევე აჩვენა, რომ კომუნიკაციის სამივე მონაწილეს აქვს მისთვის განსაზღვრული ადგილი აღნიშნულ გარემოში.

10. კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ არსებულ გარემოში კომუნიკაციის არხის გახსნა/დახურვა ყოველთვის წინასწარ არის დაგეგმილი და ხდება სტაბილურად ერთი ადამიანის, წამყვანის მიერ. აღნიშნულ გარემოში მხოლოდ მას აქვს ამის უფლება. არხის უშუალო გახსნა/დახურვამდე გვხვდება არხის წინაგამხსნელი და წინადამხურავი სიგნალები, რომლებიც განსხვავებულად არის წარმოდგენილი სამივე კულტურის ტოქშოუებში:

ყველა ქართულ და ბრიტანულ და ამერიკულ დილის ქვეჟანრის ტოქშოუებში არხის წინაგამხსნელი სიგნალია ვიზუალური საშუალება-გადაცემის ქუდი. ბრიტანულ და ამერიკულ ტოქშოუებში წარმოდგენილი ვერბალური და ვიზუალური არხის წინაგამხსნელი სიგნალების თანმიმდევრობა განსხვავებულია კულტურისა და ქვეჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე. ბრიტანულ (Alan Titchmarsh Show) ტოქშოუში ვიზუალურ სიგნალს ცვლის ვერბალური სიგნალი, რომელსაც წარმოადგენს გამომცხადებელი. საპირისპირო თანმიმდევრობაა მეორე ბრიტანულ Graham Norton Show-ში, ასევე განსხვავებაა იმ თვალსაზრისით, რომ არხის წინაგამხსნელი სიგნალი წარმოთქმულია თავად

წამყვანის მიერ. ამერიკულ Ellen DeGenerous Show-ში ვიზუალური სიგნალი ვერბალური სიგნალების შუაშია მოთასებული, ხოლო მეორე ტოქშოუში Late Night with Conan O'Brien ვერბალური და ვიზუალური სიგანლები ერთდროულად არის წარმოდგენილი. ასევე დადგინდა, რომ ზემოაღნიშნულ ამერიკულ ტოქშოეუბში არხის გახსნის წინმსწრები ვერბალური სიგნალი წარმოთქმულია გამომცხადელის მიერ;

კვლევის შედეგად გამოვყავი არხის **წინაგამხსნელი და გამხსნელი სიგნალების** რამდენიმე ტიპი.

11. ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ არხის გამხსნელ სიგნალებზე გავლენას ახდენს, ერთი მხრივ, აღნიშნული კულტურის სპეციფიკა და, მეორე მხრივ, კონკრეტული ქვეჟანრისათვის დამახასიათებელი ნიშნები. სამივე კულტურის თითოეულ ქვეჟანრში გამოიყოფა არხის გამხსნელი სიგნალების სხვადასხვა ჯგუფი მათი თანმიმდევრობის მიხედვით;

12. გამოვლინდა, რომ არხის გახსნა ხდება ყოველთვის წამყვანის მიერ. იმ შემთხვევაში, როდესაც ტოქშოუს ჰყავს ერთზე მეტი წამყვანი ბრიტნულ და ამერიკულ ტოქშოუებში (Loose Women, The View) არხის გახსნა ხდება ერთი წამყვანის მიერ, რომელსაც მეტი ძალაუფლება აქვს აღნიშნულ გადაცემაში, ხოლო ქართულ „დღის შოუში" სამივე წამყვანი ხსნის არხს;

13. ტოქშოუს ნახევრად ინსტიტუციონალური ხასიათიდან გამომდინარე არხის გახსნისას ვხვდებით, როგორც ოფიციალურ, ასევე არაოფიციალურ საუბრისთვის დამახასიათებელ სტრუქტურულ და ლექსიკურ ერთეულებს. ერთი მხრივ, გამოყენებულია მარტივი კონსტრუქციები, მოქმედებითი გვარი, საუბარი წარიმართება პირველ პირში, რაც არაოფიციალური ენისთვისაა დამახასიათებელი. მეორე მხრივ, გვხვდება ოფიციალური მიმართვის ფორმები და თავაზიანი ფორმები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებაა ოფიციალური რეგისტრის გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით კულტურებს შორის. დაკვირვებამ ცხადყო, რომ ოფიციალური რეგისტრის ლექსიკა არხის გახსნისას უფრო მეტად ბრიტანულ და ქართულ ტოქშოუებში გამოიყენება;

14. არხის დახურვაც სამივე კულტურაში ხდება წამყვანის მიერ, მისი ინსტიტუციონალური როლიდან გამომდინარე. სტუმრები ხან იღებენ არხის დახურვაში მონაწილეობას ხან არა. არხის დამხურავ სიგნალებშიც გამოიყოფა სხვადასხვა თანმიმდევრობა კულტურისა და ქვეჟანრის მახასიათებლებიდან გამომდინარე;

15. არხის გახნის შემდეგ კომუნიკაციის მსვლელობისას კომუნიკაციის არხში ჩართულ და არაჩართულ მონაწილეებს შორის უნდა შედგეს კავშირი, რაც უკუკავშირის სიგნალებით გამოიხატება. ემპირიული მასალის შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ეს სიგნალები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბრიტანულ, ამერიკულ და ქართულ ტოქშოუებში. ტოქშოუ არის ფართო აუდიტორიისათვის შექმნილი გადაცემა, მაყურებელი და აუდიტორია წყვეტს გადაცემის არსებობის ბედს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია წამყვანები დიდ ყურადღებას აქცევენ აუდიტორიის უკუკავშირის სიგნალებს, რადგან ისინი აჩვენებენ ხალხის დამოკიდებულებას;

16. უკუკავშირის სიგნალები ერთმანეთისაგან განსხვავდება: ა) ფორმობრივი მახასიათებლის მიხედვით; ბ) ფუნქციის მიხედვით და გ) კომუნიკაციაში მონაწილე ინდივიდების მიხედვით;

17. სამივე კულტურაში სტუდიის აუდიტორიის მიერ გამოყენებული უკუკავშირის სიგნალები ერთფეროვანი და რიტუალიზებულია, წარმოდგენილია ტაშით, სიცილითა და ოვაციების გამომხატველი შეძახილებით. გამონაკლისია ქართული „დღის შოუ“, სადაც სტუდიის აუდიტორია საერთოდ არ არის წარმოდგენილი;

18. წამყვანებისა და სტუმრების მიერ გამოყენებული უკუკავშირის სიგანლები მრავალფეროვანია და განსხვავდება ერთმანეთისაგან;

19. იქიდან გამომდინარე, რომ ტოქშოუ აიგება წამყვანებსა და სტუმრებს შორის ჯერის გაცვლაზე, ჯერის სიგნალებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ გადაცემაში, ისინი ხელს უწყობენ ჯერების მონაცვლეობას;

20. ნაშრომში წარმოდგენილია ჯერის სიგნალების შემდეგი კლასიფიკაცია: ვერბალურ, არავერბალურ და პარავერბალურ საშუალებებად და თითოეულ მათგანში გამოვყავი ცალკეული ჯგუფები. **ვერბალური სიგნალები**: 1) *ცალკეული სიტყვები* – ა) სრული სახელები; ბ)კნინობითი სახელები; გ) ოფიციალური მიმართვის ფორმები; 2) *მეტყველების სტრუქტურული ნაწილები* - ა) ნაწილაკი; ბ)კავშირი; გ) შორისდებული, 3) *ფრაზები:* ა) თავაზიანი ფორმულები; ბ)სასაუბრო ფორმულები; გ) ბოლო ფრაზის ან სიტყვის გამეორება. ცალკე გამოვყავი *წინადადების ფორმის* მქონე ჯერის სიგნალები: ა) კითხვები: ზოგადი ტიპის, სპეციალური, დისუნქციური; ბ) მტკიცებითი წინადადებები.

არავერბალურ სიგნალებში გამოიყოფა: *მზერის გადასვლა* – ა) მზერის გადატანა იმ ადამიანზე, ვისაც ვაძლევთ ჯერს; ბ) ჯერის დასრულების

მაჩვენებელი თვალების დახრა; *ჟესტიკულაცია* – ხელის გაშვერა იმ ინდივიდისაკენ რომელსაც ვაძლევთ ჯერს; ჯერის დასრულებისას ხელების ჩამოწევა. **პარავერბალური სიგნალები:** – ა) ტემპის შენელება; ბ) ხმოვნების დაგრძელება; გ) დაღმავალი ინტონაცია; დ) პაუზა;

21. ტოქშოუს ფორმატიდან გამომდინარე, ჯერის სიგნალები ყველაზე ხშირად გამოიყენება გადაცემის სქემატური ჩარჩოს ინტერვიუს ნაწილში, თუმცაღა ჯერის სიგნალებს მაინც ვხვდებით შესავალ ნაწილში, როდესაც წამყვანი ცდილობს ჯერი გადასცეს აუდიტორიის რომელიმე წევს. მსგავსი შემთხვევები უფრო ხშირად გვხვდება ამერიკულ ტოქშოუებში;

22. კვლევამ ცხადყო, რომ წამყვანისა და სტუმრების მიერ გამოყენებული ჯერის სიგნალები განსხვავებულად არის წარმოდგენილი და თითოეული ტიპის გამოყენების სიხშირეც განსხვავებულია;

23. ე. გოფმანის სისტემურ შეზღუდვას - აკუსტიკურად ადეკვატური და ინტერპრეტირებადი შეტყობინებები, მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ტოქშოუს ჟანრში, რადგან ეს ასპექტი განსაზღვრავს შოუს რეიტინგს. თუ ვერ გაიგო ფართო მასამ წამყავნისა და სტუმრების მიერ გაგზავნილი შეტყობინებები, მას აღარ უყურებენ;

24. ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მიკროფონი ემსახურება აკუსტიკურ ადეკვატურობას, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მაინც ხდება გამოთქმულის აკუსტიკური ადეკვატურობის დარღვევა. მსგავსი ქმედება შეიძლება იყოს გამიზნული, ემსახურებოდეს გადაცემის ფორმატს ან შემთხვევითი, გარეშე პირების (აუდიტორიის) ხმაურით იყოს გამოწვეული;

25. აუდიტორიის ხმაურით გამოწვეული აკუსტიკური არაადეკვატურობის გამოსწორება შეიძლება მოხდეს ვერბალური (დამაწყნარებელი ფრაზები), არავერბალური (ჟესტიკულაცია) და პარავერბალური (პაუზა) საშუალებებით. თუმცა უნდა აღინიშოს, რომ მსგავსი პრობლემა მხოლოდ ამერიკულ და ბრიტანულ ტოქშოუებში შემხვდა;

26. ტოქშოუებში შეტყობინების ინტერპრეტირებულობას უზრუნველყოფს მარტივი კონსტრუქციების გამოყენება, მარტივი ლექსიკა და ორაზროვნების თავიდან აცილება;

27. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოქშოუს თემატიკა წინასწარ არის გასაზღრული, თუმცაღა საუბრის მსვლელობისას თითოეული კომუნიკანტი (წამყვანი და სტუმარი) აკეთებს მოკლე ჩანართებს. მონაკვეთების ჩართვამდე და

მისი დასრულების შემდეგ ისინი იყენებენ სხვადასხვა სახის სიგნალებს. ჩართული მონაკვეთის სიგნალებში გამოვყავი ჩართული მონაკვეთის დამწყები და დამასრუებელი სიგნალები. თითოეულ ტიპში გამოვყავი **ვერბალური, არავერბალური** (1) მხედველობითი კონტაქტი; 2) ჟესტიკულაცია; 3)მიმიკა. **პარავერბალური** (ხმის სიმაღლის მაღლა აწევა ან დაბლა დაწევა) სიგნალები. ასევე მოვახდინე ჩართული მონაკვეთების კლასიფიკაცია მათი ფუნქციის მიხედვით. გამოიყო: 1) საკუთარი აზრის გამომხატველი; 2) ბოდიშის მოხდის; 3) მადლობის გადახდის; 4) დამაზუსტებელი; 5) შესწორების მომცველი; 6) რჩევის მიმცემი; 7) სიჩუმის მოთხოვნის შემცველი და 8) გაკვირვების გამომხატველი ჩართული მონაკვეთები;

28. ტოქშოუს მონაწილეებს (წამყვანი, სტუმარი და აუდიტორია) თუ განვიხილავთ მონაწილე და არამონაწილე წევრების კუთხით, აუდიტორია მიეკუთვნება კომუნიკაციის არაჩართულ მონაწილეებს. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ მათი კომუნიკაციაში ჩართვა ყოველთვის ინიცირებულია წამყვანის მიერ, ამისათვის ის იყენებს სხვადასხვა ვერბალურ და არავერბალურ საშუალებებს;

29. ემპირიულ მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ აუდიტორიის ერთი კონკრეტული წევრის ჩართვა უფრო ბრიტანულ და ამერიკულ ტოქშოუებში ხდება, მაშინ როდესაც მათი კოლექტიური ჩართვის მცდელობა სამივე კულტურაში ფიქსირდება;

30. დაკვირვებამ აჩვენა, რომ მიუხედავად ჯერობის სიგნალის არსებობისა და ტოქშოუს ნახევრად ინსტიტუციონალური ხასიათისა წამყვანსა და სტუმრებს შორის მაინც ვხვდებით სხვადასხვა ფორმის შეწყვეტინებებს. დაკვირვების საფუძველზე გამოყოფილ იქნა შემდეგი **ვერბალური** შეყვეტინების სიგნალები: 1) სპეციალური ფრაზები – ა) თხოვნის შემცველი; ბ) ნებართვის მომპოვებელი; გ) ბოდიშის მომხდელი; დ) შეჩერების მომთხოვნი; 2) კავშირები; 3) შორისდებულები; 4) ნაწილაკები. შემხვდა შეწყვეტინების შემდეგი **არავერბალური სიგნალები**: ჟესტიკულცია (ხელის აწევა). დაკვირვებამ აჩვენა, რომ შეწყვეტინებებს უფრო დიდი სიხშირით ვხვდებით ქართულ *დღის შოუში*;

31. შეწყვეტინებები ერთმანეთისაგან განსხვავდება ტოქშოუში მონაწილე კომუნიკანტთა თვალსაზრისით. შეიძლება გამოიყოს: ა) წამყვანის მიერ სტუმრის შეწყვეტინება; ბ) სტუმრის მიერ წამყვანის შეწყვეტინება და გ) სტუმრის მიერ სტუმრის შეწყვეტინება;

32. შეწყვეტინებებს შორის განსხვავებაა, ასევე ფუნქციური თვალსაზრისით. განხილულ ტოქშოუებში მათი ფუნქციაა:

ა) ინფორმაციის შევსება;

ბ) დათანხმება;

გ) შეწინააღმდეგება;

დ) საკუთარი აზრის გამოთქმა;

ე) ინფორმაციის შევსება;

ვ) თემის შეცვლა;

ზ) დამათებითი ინფორმაციის მიწოდება;

33. ტოქშოუების განხილვა შესაძლებელია გრაისის მაქსიმების კუთხით. კონკრეტულ კულტურასა თუ სოციალურ გარემოში მიღებული ნორმების გათვალისწინებით, ტოქშოუს კომუნიკაციის არხში ჩართული პირები ცდილობენ ქვეცნობიერად ამ მაქსიმების დაცვას;

34. ოდენობრივი მაქსიმა, ერთი მხრივ, გულისხმობს ჯერების თანაბარ გადანაწილებას და თანაბარ ხანგრძლივობას და, მეორე მხრივ, არსებითი ინფორმაციის მიწოდებას. თუმცა, ტოქშოუში როლების ასიმეტრიული გადანაწილების გამო ყველას არ ეძლევა თანაბარი რაოდენობის და ხანგრძლივობის ჯერი, მაგრამ ეს მაინც არ არღვევს ოდენობრივ მაქსიმას. სამივე კულტურის ტოქშოუებში წარმოდგენილია ერთი სიტყვის, ფრაზის, წინადადების ან რამდენიმე წინადადებისაგან შემდგარი ჯერი მაგრამ ყველა შემთხვევაში დაცულია ოდენობრივი მაქსიმა, რადგან არსებითი ინფორმაცია გადმოცემულია;

35. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ოდენობრივ მაქსიმაზე განსაკუთრებით ზრუნავენ წამყვანები, რადგან ისინი არიან პასუხისმგებელნი მაყურებლის წინაშე. ოდენობრივი მაქსიმის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით წამყვანები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიას;

36. როდესაც ადამიანები გამოდიან ფართო აუდიტორიის წინაშე, ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ საკუთარ იმიჯს, აქედან გამომდინარე თვისობრივ მაქსიმას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამივე კულტურაში, როგორც წამყვანების ასევე სტუმრების მხრიდან. იმ შემთხვევაში თუ კომუნიკანტები დარწმუნებულნი არ არიან წარმოთქმულის სიზუსტეში იყენებენ სპეციალურ ფრაზებს, ე.წ. ზღუდეებს, რათა თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა და ხალხის განაწყენება;

37. დაკვირვებამ აჩვენა, რომ რელევანტურობის მაქსიმა, მაშინაც კი ნარჩუნდება, თუ საფრთხე ექმნება და ირღვევა სხვა მაქსიმები;

38. ტოქშოუს წამყვანი და სტუმრები ასევე ცდილობენ თავიდან აიცილონ ორაზროვნება და, გარკვეული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, იყენებენ სპეციალურ ფრაზებს, რომლებიც უფრო ნათელს ხდის წარმოთქმულს.

39. ტოქშოუს ჟანრში კომუნიკანტებს შორის სოციალურ ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საჭიროა მოხდეს სწორი სტრატეგიების შერჩევა, როგორც საკუთარი ასევე სხვისი სახის წარმოდგენისას. დაკვირვების საფუძველე გამოიყო წამყვანისა და სტუმრების მიერ გამოყენებული სხვადასხვა სტრატეგია დადებითი თუ უარყოფითი სახის შესანარჩუნებლად. კერძოდ, დადებითი სახის შესანარჩუნებლად ხდება: ა) მინიშნება ჯგუფის წევრობაზე; ბ) სახელების და მეტსახელების გამოყენება; გ) წამყვანის მიერ სტუმრის ენის ან დიალექტის გამოყენება; დ) შეწყვეტინება; ე) შენობითი ფორმების გამოყენება; ვ) უკუკავშირის სიგნალები. მეორე მხრივ, უარყოფითი სახე წარმოდგენილია: ა) სრული სახელების და ტიტულების გამოყენებით; ბ) თავაზიანი თქვენობითი ფორმებით;

40. განხილულ ემპირიულ მასალაში სახის რღვევის შემთხვევები არ დაფიქსირებულა, რადგან აღნიშნულის თავიდან აცილება ხდება სხვადასხვა ტიპის თავაზიანი სტრატეგიებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დარასელია, ნ. შორისდებული საკომუნიკაციო კომპეტენციის თვალსაზრისით (ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენათა მასალაზე). ავტორეფერატი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი, 2006.

2. ზექალაშვილი, რ. ქართული დიალოგური მეტყველება: ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები. თბილისი: უნივერსალი, 2012.

3. კვაჭაძე, ლ. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: განათლება, 1977.

4. შანიძე, ა. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი, 1973.

5. Allen, R. Ed., Channels of Discourse, Reassembled. Television and Contemporary Criticism. New York and London: Routledge, 1992.

6. Biber, D. Quirk, Randolph et al. Longman Grammar of Spoken and Written English. Harlow: Pearson Education Limited, 1999.

7. Brown, P & Levinson, S. Politeness. Cambridge: Camridge University Press, 1987.

8. Brown, G & Yule, G. Discourse Analysis. Cambridge: Cambridge University Press, 1983.

9. Burke, P. The Art of Conversation. Cambridge: Polity Press, 1993.

10. Cook, G. Discourse, Language Teaching. A Scheme for Teacher Education Editors: C N Candlin and HG Widdowson Oxford University Press, 1989.

11. Coulthard, M. Introduction to Discourse Analysis. 2nd ed. New York: Longman, 1992. Longman. 212 pages. ISBN 0-582-55379-2

12. Cutting, J. Pragmatics and Discourse. Routledge, London and New York, 2002.

13. Goffman, E. Forms of Talk. Oxford: Basil Blackwell, 1979.

14. Goffman, E. Replies and Responses. Language in Society, 1976.

15. Goffman, E. On Face Works. An Analysis of Ritual Elements in Social Interaction. 1967.

16. Hatch, E. Discourse and Language Education.Cambridge: Cambridge University Press, 1992.

17. Ilie, C. ‘‘Semi-Institutional Discourse: The Case of Talk Shows“. Journal of Pragmatics 33 (2001) 209-254.

18. Ilie, C. ‘‘Question-Response Argumentation in Talk Shows.“ Journal of Pragmatics 31 (1999) 975-999.

19. Livingstone, S. and Peter Lunt, Talk on Television. London: Routledge, 1994.

20. Martinez, R. Political Interviews, Talk show Interviews and Debateson British TV: a contrastive study of the interactional organization of three braodcast genres. Doctoral Thesis. Satiago Del Compostela University, 2000.

21. McCarthy, M. Discourse Analysis for Language Teachers, Cambridge University Press, 1991.

22. Mittel, J. Television Talk Shows and Cultural Hierarchy. Material retrieved from: http://justtv.files.wordpress.com/2007/03/talk-shows.pdf

23. Merriam Webster Online Dictionary. An Encycopledia Britannnica Company. Retrieved from: http://www.merriam-webster.com/

24. Muson, W., All Talk: The Talk Show in Media Culture. Philadelphia, PA: Temple University Press, 1993.

25. Penz, H. Language and Controll in American TV Talk Shows. An Analysis of Linguistic Strategies. Tubingen: Naar, 1996.

26.Richardson, K & Meinhof, U. Worlds in Common? Television Discourse in a Changing Europe. London and New York: Routledge, 1999.

27. Scollon, R. & Scollon, S. Intercultural Communication. A Discourse Approach. Second Edition. Massachusetts: Blackwell Publishers, 2001.

28. Shegloff, E.A. and Sacks, H. Opening up Closings. Semiotica. 1973.

29. Signes, G. A Genre Based Approach to Daytime Talk on Television. SELL Monographs 1. Valencia: Universitat de Valencia, 2000.

30. Terrace, V. Encyclopidia of Television Shows, 1925 Through 2007. North Carolina and London: McFarland and Company Inc., Publishers, 2009.

31. Timberg, B. Television Talk. A History of the TV Talk Show. Austin: University of Texas Press, 2002.

32. Tolson, A. ed., Talk Shows: Discourse, Performance, Spectacle. Routledge, 2001.

33. Tottie, G. "Conversational Style in British and American English: The Case of Backchannels". English Corpus Linguistics: Studies in Honour of Jan Svartvik. New York: Logman, 1991.

34. Vojtek, P. On Backchannels in English Communication. Diploma Thesis. Masaryk University, Brno. 2006.

35. White, R. "Back Channelling, Repair, Pausing, and Private Speech." Applied Linguistics. Vol. 18. No 3. 1997, p 314-344.

36. Yule, G. Pragmatics, Oxford: Oxford University Press, 1996.

37. Zimmerman, D & West, C. Sex Roles, Interruptions and Silences in Conversation. In M. Lourie and N. Conkling (Eds.,), A Pluralistic Nation: The Language Issue in the United States. Rowley, Mass.: Newbury House, 1978.

ემპირიული მასალა:

ბრიტანული ტოქშოუები

The Graham Norton Show

1. *The Graham Norton Show,* 29, Dec., 2012 - http://www.youtube.com/watch?v=cycKAtYMHpk– მასალა ნანახია – 10 ივნილი, 2013;
2. *The Graham Norton Show,* 17 May, 2013- http://www.youtube.com/watch?v=SjUPl2k7jiE - მასალა ნანახია – 10 ივლისი, 2013;
3. *The Graham Norton Show,* 11 Jan., 2013 - http://www.youtube.com/watch?v=CeaeEtcv964 - მასალა ნანახია – 5 მარტი, 2013;
4. *The Graham Norton Show,* 4 Jan., 2013http://www.youtube.com/watch?v=4jcDN2k6-FM - მასალა ნანახია – 6 მარტი, 2013;
5. *The Graham Norton Show,* 1 Dec., 2012 - http://www.youtube.com/watch?v=GkeTBRgjKjo - მასალა ნანახია – 15 თებ., 2013;
6. *The Graham Norton Show,* 27 April, 2012- http://www.youtube.com/watch?v=H3yxTurmB9k - მასალა ნანახია – 17 მაისი, 2013;
7. *The Graham Norton Show,* 1 Jan., 2013 - http://www.youtube.com/watch?v=Ep9UfUx1y0A - მასალა ნანახია – 17 მაისი, 2013;
8. *The Graham Norton Show,* 10 Dec., 2012 - http://www.youtube.com/watch?v=aIR4beCPemk - მასალა ნანახია – 17 მაისი, 2013;
9. *The Graham Norton Show,* 6 May, 2012 http://www.youtube.com/watch?v=16CX9iixAu4 - მასალა ნანახია – 1 ივნისი, 2013;
10. *The Graham Norton Show,* 30 Nov., 2010 http://www.youtube.com/watch?v=l9uW5AH6Frg - მასალა ნანახია – 9 სექტემბერი, 2012;

The Alan Titchmarsh Show

1. *The Alan Titchmarsh Show,* 18 Oct., 2009 - http://www.youtube.com/watch?v=IM7EHqoeoAU – მასალა ნანახია – 3 მაისი, 2013;
2. *The Alan Titchmarsh Show,* 3 Apr., 2010 - http://www.youtube.com/watch?v=O6kNUW5iKIU – მასალა ნანახია – 7 თებ., 2012;
3. *The Alan Titchmarsh Show,* 18 Oct., 2009 - http://www.youtube.com/watch?v=IM7EHqoeoAU – მასალა ნანახია – 5 მარტი 2012;

4. *The Alan Titchmarsh Show,* 6 Sept., 2012 - http://www.youtube.com/watch?v=_6wdQYi5Yzg – მასალა ნანახია – 11 იანვარი, 2013;

5. *The Alan Titchmarsh Show,* 5 Apr., 2011 - http://www.youtube.com/watch?v=MMig1jJoo0c – მასალა ნანახია – 12 ივნისი, 2013;

6. *The Alan Titchmarsh Show,* 5 March, 2012 - http://www.youtube.com/watch?v=_tT78cK0CaY – მასალა ნანახია – 15 ივნისი, 2013;

7. *The Alan Titchmarsh Show,* 7 March, 2011 - http://www.youtube.com/watch?v=zUVvNQt6heg – მასალა ნანახია – 10 ივლისი, 2013;

8. *The Alan Titchmarsh Show,* 8 Dec., 2009 - http://www.youtube.com/watch?v=bsLsA-qPLbM – მასალა ნანახია – 10 იანვარი, 2012;

9. *The Alan Titchmarsh Show,* 10 Dec., 2009 http://www.youtube.com/watch?v=puFfYUB4vRM – მასალა ნანახია – 10 მაისი, 2013;

10. *The Alan Titchmarsh Show,* 27 Jan., 2012 - http://www.youtube.com/watch?v=hKVAL4ApDQg - მასალა ნანახია – 10 მაისი, 2013;

Loose Women

1. *Loose Women,* 5 Sep., 2011, http://www.youtube.com/watch?v=2qYNT64oB_c - მასალა ნანახია – 3 თებ., 2013;

2. *Loose Women, 28 July, 2011* http://www.youtube.com/watch?v=rhurr350EZw - მასალა ნანახია – 10 ივნისი, 2013;

3. *Loose Women,* 1 Aug., 2011 http://www.youtube.com/watch?v=Ugo0sAgVwW4 - მასალა ნანახია – 7 მაისი, 2013;

4. *Loose Women,* 2 Aug., 2011 http://www.youtube.com/watch?v=9ZW_nU0O448 - მასალა ნანახია – 29 ივნისი, 2013;

5. *Loose Women,* 11 Apr., 2011 http://www.youtube.com/watch?v=nvWGSq8yZyQ - მასალა ნანახია – 5 მარტი, 2012;

6. *Loose Women,* 19 Mar., 2013 http://www.youtube.com/watch?v=ZEuo4lR0Ag4 - მასალა ნანახია – 10 ივნისი, 2013;

7. *Loose Women,* 5 Mar., 2013 http://www.youtube.com/watch?v=-5d6usgq-UY - მასალა ნანახია – 7 ივნისი, 2013;

8. *Loose Women,* 23 May, 2013 http://www.youtube.com/watch?v=uv7r6pKvszg - მასალა ნანახია – 7 ივლისი, 2013;

9. *Loose Women,* 4 May, 2013 http://www.youtube.com/watch?v=lJ4RCgO7RSo - მასალა ნანახია – 2 ივლისი, 2013;

10. *Loose Women,* 9 Apr., 2013 http://www.youtube.com/watch?v=KGY3on67uQM - მასალა ნანახია – 19 მაისი, 2013.

ამერიკული ტოქშოუები

Late Night with Conan O'Brien

1. *Late Night with Conan O'Brien,* 1 May, 2007 http://www.youtube.com/watch?v=nP78aHLekoU - მასალა ნანახია – 5 ივლისი, 2013;
2. *Late Night with Conan O'Brien,* 07 Aug., 2008 http://www.youtube.com/watch?v=snVAg2HTEhc - მასალა ნანახია – 15 სექტემბერი 2012;
3. *Late Night with Conan O'Brien,* 05 Feb., 1999 http://www.youtube.com/watch?v=XKYnGEEQS1E - მასალა ნანახია – 04 მარტი 2013;
4. *Late Night with Conan O'Brien,* 30 Apr., 2007 http://www.youtube.com/watch?v=-1le_R7H10g - მასალა ნანახია – 15 დეკემბერი, 2013;
5. *Late Night with Conan O'Brien,* 02 Oct., 2004 http://www.youtube.com/watch?v=lhi1w0BN3uU - მასალა ნანახია – 12 მაისი, 2013;
6. *Late Night with Conan O'Brien,* 8 Nov., 2008 http://www.youtube.com/watch?v=S6hLwVR1IQ - მასალა ნანახია – 12 მაისი, 2013;
7. *Late Night with Conan O'Brien,* 20 Feb., 2009 http://www.youtube.com/watch?v=BliwT8tfwZ8 - მასალა ნანახია – 2 აპრილი, 2013;
8. *Late Night with Conan O'Brien,* 25 Nov., 2008 http://www.youtube.com/watch?v=Xtvf8FWL7dg - მასალა ნანახია – 21 იანვარი, 2013;
9. *Late Night with Conan O'Brien,* 11 June, 2008 http://www.youtube.com/watch?v=hwZvVMRAafM - მასალა ნანახია – 3 აპრილი, 2013;
10. *Late Night with Conan O'Brien,* 2 Nov., 2004 http://www.youtube.com/watch?v=hwZvVMRAa - მასალა ნანახია – 7 მარტი, 2012.

The Ellen DeGeneres Show

1. *The Ellen DeGeneres Show,* 12 Oct., 2011 http://www.youtube.com/watch?v=odhUPMYXpX4 - მასალა ნანახია – 12 მაისი, 2013;
2. *The Ellen DeGeneres Show,* 25 Sep., 2012 http://www.youtube.com/watch?v=PV6uauhYzRo - მასალა ნანახია –7 სექტემბერი, 2012;

3. *The Ellen DeGeneres Show,* 30 Mar., 2013 http://www.youtube.com/watch?v=hKoBT0vF7Fkმასალა - მასალა ნანახია – 4 მაისი, 2013;

4. *The Ellen DeGeneres Show,* 27 Apr., 2012 http://www.tudou.com/programs/view/9LNDNgP8dR8 - მასალა ნანახია – 15 დეკემბერი, 2013;

5. *The Ellen DeGeneres Show,* 09 May, 2012 http://www.tudou.com/programs/view/UkBJjQYlsyY - მასალა ნანახია - 9 სექტემბერი, 2012;

6. *The Ellen DeGeneres Show,* 04 Nov., 2010 http://www.tudou.com/programs/view/Wa_12mFRX3M - მასალა ნანახია – 21 აგვისტო, 2012;

7. *The Ellen DeGeneres Show,* 11 Oct., 2010 http://www.tudou.com/programs/view/XUSPcvWvjWY - მასალა ნანახია – 14 ნოემბერი, 2012;

8. *The Ellen DeGeneres Show,* 14 Nov., 2010 http://www.tudou.com/programs/view/Wa_12mFRX3M - მასალა ნანახია – 21 იანვარი, 2013;

9. *The Ellen DeGeneres Show,* 22 Oct., 2012 http://www.youtube.com/watch?v=aiL2YFeR0Qw - მასალა ნანახია – 14 მაისი, 2013;

10. *The Ellen DeGeneres Show,* 26 Apr., 2012 http://www.youtube.com/watch?v=RDQv5SZU5eM – მასალა ნანახია – 11 ოქტომბერი, 2012;

The View

1. *The View,* 25 Sep., 2012 http://www.youtube.com/watch?v=Hdn1iX1a528 - მასალა ნანახია – 22 აპრილი, 2013;

2. *The View,* 13 April, 2011 http://www.youtube.com/watch?v=RhcY-435qxc - მასალა ნანახია – 2 ივლისი, 2013;

3. *The View,* 24 June, 2013 http://www.youtube.com/watch?v=YBHuQzV2nQQ - მასალა ნანახია – 27 ივლისი, 2013;

4. *The View,* 12 Mar., 2013 http://www.youtube.com/watch?v=tOHCsk-EsRs - მასალა ნანახია - 19 აპრილი, 2013;

5. *The View*, 14 Oct., 2010 http://www.youtube.com/watch?v=vCiNyBnoQ5I - მასალა ნანახია - 17 დეკ., 2012;

6. *The View*, 19 July, 2011 http://www.youtube.com/watch?v=hWWfsyVYe4E - მასალა ნანახია - 10 მაისი, 2013;

7. *The View*, 15 May, 2011 http://www.youtube.com/watch?v=XzQ7fDiGu1A - მასალა ნანახია - 24 მაისი, 2012;

8. *The View*, 20 May, 2009 http://www.youtube.com/watch?v=W2FK2vchoEo **-** მასალა ნანახია - 7 აპრილი, 2013;

9. *The View*, 25 Sep., 2012 http://www.youtube.com/watch?v=Hdn1iX1a528 - მასალა ნანახია - 15 მარტი, 2013;

10. *The View*, 12 Jan., 2013 http://www.youtube.com/watch?v=8nHiqO4MbEQ - მასალა ნანახია - 10 ივნისი, 2013.

ქართული ტოქშოუები

ვანოს შოუ

1. ვანოს შოუ, 28 დეკემბერი, 2011 http://www.youtube.com/watch?v=qJW6nll_jH4 - მასალა ნანახია - 15 მაისი, 2013;

2. *ვანოს შოუ,* 28 ივნისი, 2013 http://www.youtube.com/watch?v=_qJVroanvlA - მასალა ნანახია - 6 ივლისი, 2013;

3. ვანოს შოუ, 18 იანვარი, 2013 http://www.youtube.com/watch?v=472PdjBRUL8 - მასალა ნანახია - 10 ივნისი, 2013;

4. ვანოს შოუ, 22 თებერვალი, 2013 http://www.youtube.com/watch?v=lifanbck6gQ – მასალა ნანახია – 4 მარტი, 2013;

5. *ვანოს შოუ,* 30 ნოემბერი, 2012 http://www.youtube.com/watch?v=cmwE3QYCBoY – მასალა ნანახია – 29 მაისი, 2013;

6. *ვანოს შოუ,* 31 მაისი, 2013 http://www.youtube.com/watch?v=8GR7_a7KKqw - მასალა ნანახია – 7 ივნისი, 2013;

7. *ვანოს შოუ,* 15 თებერვალი, 2013 http://www.youtube.com/watch?v=6fY_dz7j6Yg - მასალა ნანახია – 17 მარტი, 2013;

8. *ვანოს შოუ,* 21 დეკემბერი, 2012 http://www.youtube.com/watch?v=dJ7cH6FGEzI მასალა ნანახია – 22 თებერვალი, 2013;

9. *ვანოს შოუ,* 22 მარტი, 2013 http://www.youtube.com/watch?v=G6DguPVu_WE - მასალა ნანახია – 15 მაისი, 2013;

10. *ვანოს შოუ,* 2 ნოემბერი, 2012 http://www.youtube.com/watch?v=S9SJmOCjD_w - მასალა ნანახია – 17 იანვარი, 2013.

ნანუკას შოუ

1. *ნანუკას შოუ,* 22 მაისი, 2013 http://www.youtube.com/watch?v=TNWNnk2MR1o - მასალა ნანახია - 10 ივნისი, 2013;

2. *ნანუკას შოუ,* 27 მარტი, 2013 http://www.youtube.com/watch?v=zhsFdWDDMQE - მასალა ნანახია - 10 ივნისი, 2013;

3. *ნანუკას შოუ,* 8 მაისი, 2013 http://www.youtube.com/watch?v=jq3JebZVLes - მასალა ნანახია - 19 ივნისი, 2013;

4. *ნანუკას შოუ,* 29 მაისი, 2013 http://www.youtube.com/watch?v=ktKTh-8yEgw - მასალა ნანახია - 10 ივნისი, 2013;

5. *ნანუკას შოუ,* 24 აპრილი, 2013 http://www.youtube.com/watch?v=Lht3RRFbSWU - მასალა ნანახია - 10 ივნისი, 2013;

6. *ნანუკას შოუ,* 1 მაისი, 2013 http://www.youtube.com/watch?v=a4o7mPeSCbg - მასალა ნანახია - 17 ივნისი, 2013;

7. *ნანუკას შოუ,* 24 ნოემბერი, 2009 http://www.youtube.com/watch?v=4uRoJUi9eXc - მასალა ნანახია - 10 იანვარი, 2011;

8. *ნანუკას შოუ,* 6 დეკემბერი, 2011 http://www.youtube.com/watch?v=cl7MZvAP5OU - მასალა ნანახია - 17 იანვარი, 2012;

9. *ნანუკას შოუ,* 20 ივნისი, 2013 http://www.youtube.com/watch?v=CzGIcyARFIc - მასალა ნანახია - 27 ივნისი, 2013;

10. ნანუკას შოუ, 10 აპრილი, 2013 http://www.youtube.com/watch?v=qvwBqHDrM-Y - მასალა ნანახია - 20 მაისი, 2013.

დღის შოუ

1. *დღის შოუ,* 19 ივნილი, 2012 http://www.youtube.com/watch?v=qSPTlR8jofU - მასალა ნანახია - 10 ივნისი, 2013;

2. *დღის შოუ,* 12 სექ., 2012 http://www.youtube.com/watch?v=8bhKQEppV0M - მასალა ნანახია - 21 თებერვალი, 2013;

3. *დღის შოუ*, 10 ივლისი, 2012 http://www.youtube.com/watch?v=rnSAO8wXpbo - მასალა ნანახია - 19 მარტი, 2013;

4. *დღის შოუ*, 16 ივლისი, 2012 http://www.youtube.com/watch?v=svZPN8q8Eb0 - მასალა ნანახია - 10 ივნისი, 2013;

5. დღის შოუ, 17 ივლისი, 2012 http://www.youtube.com/watch?v=tvolERMk1zI - მასალა ნანახია - 4 ივლისი, 2013;

6. დღის შოუ, 26 აპრილი, 2012 http://www.youtube.com/watch?v=N9ESCXFJ9Hw - მასალა ნანახია - 4 ივლისი, 2013;

7. დღის შოუ, 10 ივლისი, 2012 http://www.youtube.com/watch?v=rnSAO8wXpbo - მასალა ნანახია – 21 მარტი 2013;

8. დღის შოუ, 16 ივლისი, 2012 http://www.youtube.com/watch?v=svZPN8q8Eb0 - მასალა ნანახია – 22 თებერვალი, 2013;

9. დღის შოუ, 17 ივლისი, 2012 http://www.youtube.com/watch?v=tvolERMk1zI - მასალა ნანახია – 24 აპრილი, 2013;

10. დღის შოუ, 10 ივნისი, 2012 http://www.youtube.com/watch?v=EDt7mAld5_c მასალა ნანახია – 24 აპრილი, 2013.